

240/  
1975/3



საქართველოს  
სახელმწიფო  
მუზეუმი

# მოგებე

XXXI-B

«მეცნიერება»

466

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი  
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ ИМ. С. Н. ДЖАНАШИИ





В Е С Т Н И К  
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ  
XXXI—V

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1975

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ ო ა მ ბ ე

XXXI—B

19907

გამომცემლობა „მაცნიერება“

თბილისი

1975

ქ. შავჭავჭავაძის ქ. 133  
საქართველოს მუზეუმის  
სამეცნიერო საბჭოს  
გამომცემლობა



საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“-ში  
ქვეყნდება ნაშრომები საქართველოს ისტორიის, არქე-  
ოლოგიისა, ეთნოგრაფიისა და სამუზეუმო საქმის მნიშ-  
ვნელოვან საკითხებზე. ნაშრომთა ერთი ნაწილი ეხება  
სამუზეუმო ფონდების შესწავლასა და პუბლიკაციას.

ნაშრომებს თან ერთვის საილუსტრაციო მასალები.

2008 წ.

XVIII — XIX საუკუნეების ქვის ირანული ჭურჭელი  
(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მასალების მიხედვით)

ქვის ჭურჭლის წარმოებასა და გამოყენებას ირანში დიდი ხნის ისტორია აქვს. ამაზე მეტყველებს XIII საუკუნის სპარსულ ანონიმურ წყაროში — „აჯა-იბ ად-დუნია“ (ქვეყნიერების საოცრება) დაცული ცნობა<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, ირანში ქვის ჭურჭელი სათანადო გამოყენებას პოულობდა არა მხოლოდ წარსულში, არამედ XIX საუკუნეშიც. ამას მოწმობს როგორც მსოფლიოს რიგი ქვეყნების მუზეუმებში დაცული ქვის ირანული ნივთების მიმოხილვა, ისე სსრკ სიძველეთა საცავებში, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაუნჯებული ქვის ირანული წარმოშობის ჭურჭლების შესწავლა.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში ინახება ალებასტრის ქვის ირანული სურები, ყავადანები, სასანთლეები, ყალიანის ჭურჭლები, საყვავილეები, ვაზები, ჯამები, ფიალები, თევშები, სამარილეები და სხვა. ხსენებული კოლექცია იქმნებოდა და იგებოდა წლების მანძილზე 1868 წლიდან მოკიდებული 1902 წლის ჩათვლით. ეს უიშვიათესი კოლექცია მნახველთა აღტაცებას იწვევს. ამავე დროს, რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ირანული ჭურჭლები რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით დიდად აღემატება ერევნის, ბაქოს, ტაშკენტის, სამარყანდის, ბუხარისა და თვით სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულ ანალოგიურ კოლექციებს.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია ფაქტობრივი მონაცემების, ასევე საველე-ეთნოგრაფიული მასალების, არქეოლოგიური, ლიტერატურულ-ისტორიული წყაროების საფუძველზე წარმოაჩინოს ქვის XVIII — XIX საუკუნეების ირანული ჭურჭლის დამზადების ხალხური მეთოდები და გარკვევის ამ ჭურჭლების დანიშნულება ირანელთა ყოფაში.

ჩვენ ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვიდან ირკვევა, რომ სსრკ მუზეუმებში დაცული ქვის ირანული ჭურჭლები სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არავის გაუხდია. ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენ მოგვეპოვება რიგი გამოკვლევებისა

<sup>1</sup> ს.რ მეცნიერებთა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი A—253. Н. Д. М и к л у х о - М а к л а й, Географическое сочинение XIII в., на персидском языке, Ученые записки Института Востоковедения АН СССР, 1954, IX.





სადაც გაკვრით არის ნათქვამი ზოგიერთი ქვის ირანული ჭურჭლის შესახებ. მხედველობაში გვაქვს ლ. კურაევას<sup>2</sup> და ამერიკელი მეცნიერის ა. ფოუზის<sup>3</sup> ნაშრომები. ა. ფოუზის ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა როგორც ხელოვნური, შესაჯერებელი მასალის შემცველი.

რაც შეეხება შესაჯერებელ ნივთიერ მასალას, ამ მიზნით ვიყენებთ სახელმწიფო ერმიტაჟში, ტაშკენტის, სამარყანდის, სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ქვის ირანულ ჭურჭელს.

ქვის ირანული ჭურჭლის დამზადების ხალხური ხერხები

XIX ს. ირანში ქვის ჭურჭლების წარმოება, ერთი მხრივ, ეანაპირობა რბილი ჯიშის ალუბასტრის კარიერების დიდი რაოდენობით არსებობამ, ალუბასტრის<sup>4</sup> ქვა ირანში თითქმის ყველგან გვხვდება: რეიში, ქირმანში, ხორასანში, შირაზსა და სხვ. საკვლევი პერიოდის ირანში ალუბასტრის ქვის დამუშავება ოდითგანვე ცნობილი წესების გამოყენებით ხდებოდა. ქვის მხატვრული დამუშავების პროცესში ირანელი ოსტატები დღესაც დიდი წარმატებით იყენებენ იმავე იარაღებსა და ქვითხურობის ნეთოდებს, რაც უძველესი დროიდანვეა ცნობილი. ამის მტკიცების უფლებას გვაძლევს ჩვენ მიერ 1968 წელს ქვითხურობასთან დაკავშირებით შუა აზიაში შეკრებილი მასალები. ამ მასალების მნიშვნელობა მართლაც რომ დიდია, რადგან იგი შეკრებილია უზბეკეთის სსრ-ში, კერძოდ სამარყანდსა და სოფელ გაზგანში მცხოვრებ ტაჯიკებს შორის. იმ ხალხებს შორის, რომელთაც შესანიშნავად შემოინახეს ქვითხურობის უძველესი ირანული მეთოდები, რასაც მოწმობს ზემოხსენებული მასალების ტექნოლოგიური და, რაც მთავარია, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა.

IX—XI სს. წერილობითი წყაროების მიხედვით სამანიდების დედაქალაქ სამარყანდში წლების მანძილზე მზადდებოდა მაღალმხატვრული ნაკეთობანი ძვლისგან. ბრინჯაოსაგან, ძვირფასი ლითონებისაგან, ქვისგან, თიხასა და ხისგან<sup>5</sup>.

საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცული ქვის ირანული ჭურჭლები დამზადებულია რბილი ჯიშის ქვის ალუბასტრისაგან. ამას მოწმობს გეოლოგია-მინერალოგიის მეც. კანდიდატის მ. ხუჭუას მიერ ჩატარებული პეტროგრაფიული ანალიზი. ალუბასტრის ქვის კლდიდან მოსარღვევად საჭიროა სხვადასხვა ზომის რკინის სოლები (დანდან)<sup>6</sup>, ძალაყინი (ლომ)<sup>7</sup> და რკინის კვერები (ბოლღა).

<sup>2</sup> А. А. Кураева, Средневековая привозная каменная тварь из Мерва и Хивы. «Труды южно-туркменской археологической комплексной экспедиции, т. XIV, Ашхабад, 1969, стр. 217—226.

<sup>3</sup> А. И. Порье, A Survey of Persian Art from Prehistoric times to present day, London New-York, 1939, ტ. VI,

<sup>4</sup> ირანში ალუბასტრის ქვას **مرمر سفید** „მარმარე სეფიდ“—ს (თეთრი მარმარილო) უწოდებენ.

<sup>5</sup> Ю. Алескеров, Самарканд, Ташкент, 1967, стр. 50.

<sup>6</sup> **دندان** „დანდან“ სპარსულ-ტაჯიკურად კბილს ნიშნავს. შეადარეთ ამავე სახის იარაღის რუსულ სახელწოდებას «зубила».

<sup>7</sup> შეადარეთ ამავე სახის იარაღის ქართულ სახელწოდებას — „ლომი“.





საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამარყანდსა და გაზგანში დამოწმებული ქვის დასოლისა და დანაღმის წესით მორღვევის ხალხური ხერხები ანთროპოგენიზმს ქვის დამუშავების ქართულ მეთოდებთან. ეს კარგად ჩანს ქართველ ეთნოგრაფების ს. ბედუკაძისა<sup>8</sup> და ნ. რეხვიაშვილის<sup>9</sup> ნაშრომებიდან.

საჭურჭლე ქვის ვათლა საბადოდან ქვის ჭურჭლის დასამზადებელ სახელოსნოში გადატანის შემდეგ იწყება. ამ ეტაპზე ქვის დამუშავების მიზანია ზედმეტი ნაწილების საბოლოოდ ათლა-ჩამოშორება და „გამოსათლელი“ ჭურჭლის კონტურების გამოყვანა. ამ სამუშაოს შესასრულებლად ოსტატი იყენებს რკინის მრგვალ და შემდეგ ბრტყელობრიან ყალმს. ქვას შუაში, ზურგზე დარჩენილი მაღალი ადგილი ჯერ ორწვერა წაკატით (თეშა დუნოვა) აეთლება, შემდეგ კი ყალმით გასწორდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანს ოსტატი საჭურჭლე ქვას სახელოსნოში და მისგან ჭურჭლის გამოთლას შეუდგება.

XIX ს. ირანში გავრცელებული ქვის ჭურჭლების დამზადების ხალხური ხერხების წარმოსახენად, ჩვენი აზრით, საკმარისი იქნება თუ ყავადანის წარმოების ტექნოლოგიას შევეხებით.

ცნობილი სამარყანდელი ხელოსნის ჯალალ ჯურაბაევის თქმით; ქვის ყავადანი, ლითონისა და თიხის ამავე სახის ჭურჭლისაგან განსხვავებით, ქვის ერთი ნაჭრისაგან მზადდება. ოსტატი ფარგლით ქვაზე შემოხაზავს გამოსათლელი ჭურჭლის კონტურს და შემდეგ მახვილწვერიანი ყალმის თავზე კვერის დაკვრით შეუდგება ხაზს იქით დარჩენილი „ზედმეტი“ ნაწილის აცლას. პირველად იგი ყავადანის ტანის გამოყვანას შეუდგება, შემდეგ სახელურს გამოთლის, დასასრულ კი მილაკს.

საჭრეთლით გამოყვანილი ყავადანის ტანი, ბუნებრივია, ჯერ კიდევ გარეგნულად უხეშია. მისი დახვეწის მიზნით ოსტატი მას ჯერ ჭობოსნით გახეხავს, შემდეგ კი წმინდაკბილიანი ქლიბით, დასასრულ კი ჩარხზე გათლის. იმავე წესით დაამუშავებს იგი ყავადანის მილაკსა და სახელურს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგება ოსტატი ყავადანის „გულის“ გამოღებასა და მილაკის „გაყვანას“. სამარყანდელი ხელოსნების ბალთა ჯურაბაევის გადმოცემით „ყავადანის“, სურის, დოქისა და შანდლის მუცლის გაბურღვა-გამოსაფხეკად იხმარება სპეციალური ხელსაწყო „ფარმა“ (ბალთა ჯურაბაევი, სამარყანდი, 1968 წ.). ფარმა მაღალი ხარისხის რკინისაგან მზადდება. მას ტანი რკინისა აქვს, წვერი ფოლადის, სახელური კი ხისა. ფარმა გარეგანი მოყვანილობით არაფრით არ განსხვავდება დურგლის „ხელბურღისაგან“. ფარმას ერთი კაცი ემსახურება. სურის, ყავადანის ან შანდლის მილაკისა თუ ძირის გასახვრეტად უსტო (ხელოსანი) ფარმას წვერს დააბჯენს მის ცენტრში. მარცხენა ხელით სახელურს დააწვება, ხოლო მარჯვენას ფარმას „წელში“ წაავლებს და დაატრიალებს. ფარმა მარცხნიდან მარჯვნივ ბრუნავს და მისი წვერი თანდათან ქვას ხვრეტს.

ყავადანისა თუ სურის მილაკის ან მუცლის სასურველ ზომაზე გახვრეტის შემდეგ, ოსტატი ფოლადის საფხეკით (ხირთ-ხირთ) თანდათან კიდევ უფრო გააფართოებს მათ და შემდეგ ჩარხზე შიგნიდან დაამუშავებს. XVIII — XIX

<sup>8</sup> ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზ. მოამბე, ტ. XXII-B, 1961.  
<sup>9</sup> ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, ქვის საკოდელი იარაღები, მუზეუმის მოამბე, 1940, ტ. XXI-B, ვგ. 136.



ს. ირანში ქვის ჭურჭლების ჩარხზე დამუშავების მაჩვენებელია მათ ყელსა და მუცლის შიგნით შერჩენილი კონცენტრირებული წრეხაზები.

სხვათა შორის, ირანში ძველთაგანვე ჩარხზე ქვის ჭურჭლების სპილენძის ჭურჭლებსაც „თლიდენ“<sup>10</sup>. XVII ს. ფრანგი მოგზაურის რაფაელ დე მანსის ცნობით, ირანელი მესპილენძეები თავიანთი ნახელავის დასახვეწად სახარატო ჩარხებს იყენებდნენ<sup>10</sup>.

როგორც ზემოთ ითქვა, ყელიანი ჭურჭლების—ყავადანის, სურის, მათ შორის ჩაიდნებისა და სამარილეების მუცლის „გამოფხეკა“ ძირიდან ხდება. ძირის „ჩადგმით“ მთავრდება, სხვათა შორის, მათი შინაგანი და გარეგანი დამუშავება. სულ ბოლოს ხდება ყავადანების, სურების, ჩაიდნებისა და სამარილეების სუფის დამზადება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქვის ჭურჭლების სხვადასხვა ორნამენტით შემკობა სპილენძ-თითბრის ჭურჭლების ანალოგიურად ხდება. ამ შემთხვევაშიც შესამკობ ნივთებზე ორნამენტები ტრაფარეტით გადააქვთ. სამარყანდელიც გაზგანელი ხელოსნები ტრაფარეტად კალკის ქაღალდს იყენებენ. „ჩვენთვის საჭირო ორნამენტს-ფრინველის ან ცხოველის გამოსახულებას, უფრო ხშირად კი ვარდულს, ჯერ კალკაზე დავხატავთ, მერე კალკას შესამკობი ჭურჭლის ზედაპირზე დავაფენთ და შავი ფანქრით ორნამენტის კონტურებს შემოვხაზავთ. რადგანაც კალკა თხელია, ამიტომ ორნამენტის ფორმა, ფანქრის დაჭერით ადვილად აღიბეჭდება ჭურჭლის გულზე. ამის შემდეგ პატარა, წვრილწვერიან ყალამს მოვიმარჯვებთ და მის თავზე ჩაქუჩის დარტყმით ორნამენტის ამოჭრას შევუდგებით (ბალთა ჯურაბაევი, სამარყანდი, 1968, 19 აპრილი).

რაც შეეხება ვარდულსა და სპარსულ ასოებს, კონტურების ყალმით ამოკეთის შემდეგ, მათ შორის არსებული სივრცე ფოლადისპირიანი პატარა საკვეთით (ხირთ-ხირთ) უნდა ამოიფხეკოს. ამის შემდეგ ვარდული და სპარსული წარწერები ქვის ჭურჭლების ზედაპირზე „ამოიზიდება“ და ეს უკანასკნელი რელიეფური ორნამენტის სახეს მიიღებს.

არანაკლებ საინტერესოა ქვის ჭურჭლების სხვადასხვა ფერის მძივებით, ფირუზითა და ლალით მოოჭვის ტექნიკა. შესამკობი ჭურჭლის პირზე, გარედან ფარმით (ხელბურღი) ან წვრილწვერიანი ყალმით ნაჩვრეტებს ამოიყვანენ და შიგ წებოს წასცხებენ. შემდეგ ნაჩვრეტში მძივებს ჩასვამენ და კარგად გააშრობენ. წებო გამავრდება და მძივსაც მჭიდროდ მიიკრავს.

საერთოდ, ქვის ჭურჭლის დამამზადებელი ხელოსნების შრომა ძალზე მძიმეა. მაგრამ რაც უფრო რთული და შრომატევადია მათი საქმიანობა, მით უფრო მაღლიანი და დიდებულია ნახელავი. ძალზე ძნელია მარმარილოს თუ ალბასტრის ქვისაგან დიდი ოსტატობით გამოქანდაკებულ, ნაირი ორნამენტით შემკულ ირანულ ჭურჭლებს ხელოსნობის პროდუქტი ვუწოდოთ. ისინი ხომ კემმარიტად ხელოვნების დონეზე აყვანილი ხელოსნობის ნაყოფია. იმ ხელოსნობისა, რომელიც თავისი ღირსებითა და შესაძლებლობით მსოფლიოს ყველა ხალხის ხელოვნებას დაამშვენებდა.

<sup>10</sup> Pere Raphael du Mans, Estate de la Perse en 1660, Paris, 1890, p. 196.





წინამდებარე ნაშრომის შესავალში ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფოს ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცულია ირანული ფორმის ქვის ირანული ჭურჭელი. ხსენებული ჭურჭელი საფუძვლიანი შესწავლის მიზნით ფორმისა და დანიშნულების მიხედვით დავაჯგუფეთ. ვიდრე თითოეულ ჯგუფში შემავალ ჭურჭლებს ცალ-ცალკე განვიხილავთ, აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ იმ საკითხს თუ რით იყო გამოწვეული, ან რა ედო საფუძვლად ირანში ქვის ჭურჭლების მასობრივ წარმოება-გამოყენებას როგორც ძველად, ისე XIX საუკუნეში. აპრობებდა თუ არა მას, თიხისა და ლითონის ჭურჭლების მსგავსად, ადამიანის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მოთხოვნები, თუ მის აღმოცენებას საფუძვლად ედო სულ სხვა ფაქტორები?

როგორც სეფიანთა ხანის (XVI—XVII სს.), ისე XIX ს. ქვის ირანულ ჭურჭლებზე დაკვირვებამ საბოლოოდ ცხადყო, რომ მათ წარმოებასა და გამოყენებას ირანში საფუძვლად უნდა დასდებოდა წმინდა ესთეტიკური მოთხოვნები, რაც გაპრობებული იყო მაჰმადიანთა ტრადიციის მიხედვით გამოყენებითი ხელოვნების ძეგლების როგორც საოჯახო, ისე დეკორატიული დანიშნულებით ხმარებით. საეჭვოა, რომ ირანში, თიხის, ლითონისა და ხის ჭურჭლების უხვად არსებობის პირობებში საოჯახო მოთხოვნების გადასატრეოდ აუცილებელი ყოფილიყო ქვის ჭურჭლების წარმოება. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, თითქოს ქვის სურები, დოქები, ყავადანები, სასმისები, ჭიქები და ფილები იმთავითვე განკუთვნილი ყოფილიყო ადამიანის წყლით ან რაიმე სხვა სითხით მომარაგებისათვის. ანდა ქვის ქვაბები, ჯამები და თევზები გამიზნული ყოფილიყო კერძისათვის. კიდევ ერთი დეტალი, რაც ამასვე გვაფიქრებინებს ისაა, რომ ქვის ჭურჭლების უმრავლესობა, როგორც თავის ადგილას ითქვამ, ვარედან შავადაა „ფონდადებული, ე. ი. შეღებილია სპეციალური, შავი ფერის საღებავით. ეს საღებავი ძალზე სუსტია. იგი წყლით ან სველი ხელის ოდნავი დასმითაც კი გადადის. ასე სუსტად „ფონდადებულ“ სურებიდან ან ფილიდან ნებით თუ უნებლიეთ გადმოღვრილი წყალი ადვილად წაშლის საღებავს და წაახდენს სურის დეკორს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ ქვის ზოგიერთი ჭურჭლის ირანში უტილიტარული დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, არაა საეჭვო, რომ ქვის სამარხილებს მარლის შესანახად იყენებენ, ჯამებსა და მაღალფეხიან ვაზებს კი პურობისას—როგორც სახილეს. ეს კი, ბუნებრივია, სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ქვის ჭურჭლების წარმოშობა მათი უტილიტარული დანიშნულებით იყო გაპრობებული. ადვილად შესაძლებელია, რომ ქვის ზემოთ დასახელებულმა ჭურჭლებმა ხსენებული ფუნქცია გვიან შეიძინეს.

ირანში ქვის ჭურჭელი ძველადვე თვალსატიკობო ნივთებს რომ წარმოადგენდა ეს კარგად ჩანს XIII ანონიმურ წყაროდან „აჯაიბ აღ-დუნია“ (ქვეყნიერების საოცრება), სადაც ნათქვამია: „რეი დიდი ქალაქი იყო. აქ მზადდებოდა მუარის ქსოვილი, ქვის ქვაბები და ხის ნაკეთობანი—ტაბაკები, გობები, ზარდახშები, ბზის სავარცხლები“<sup>11</sup>.

<sup>11</sup> სსრკ მეც. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი A—253; Н. Д. Миклухо-Маклаи, Географическое сочинение XIII века на персидском языке, Ученые записки Института Востоковедения АН СССР, 1954, IX.





ხსენებულ წყაროში ნახსენები ქვის ქვაბები, რა თქმა უნდა, დეკორაციული დანიშნულებით მზადდებოდა და არა სხვა რაიმე მიზნისათვის. ირანში ქვის ჭურჭლების დეკორაციული დანიშნულებით გამოყენების ტრადიციის დამკვიდრება რომ ნამდვილად ისლამის სარწმუნოების გავრცელების შემდეგ მოხდა, ამას არქეოლოგიური მასალებიც მოწმობს.

ჩვენ მიერ გადასინჯული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით საკვლევი ქვის ჭურჭლების ანალოგი ირანში არ ჩანს ძვ. წ. IV ათასწლ. მოკიდებული ირანის არაბების მიერ დაპყრობამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქვის ამ ერთადერთ სარიტუალო ბაკანს, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა ძვ. წ. IV ს. ათარიღებს<sup>12</sup>. სხვათა შორის, ჯ. ჰარსტანგი დაქვევებულია ამ ჭურჭლის ირანულ წარმომავლობაში. „ჩვენ არ ვიცით — წერს იგი, — ეს ჭურჭელი აქემენურია თუ სარმატული (ძვ. წ. III—II სს.), მაგრამ ცხადია, რომ იგი სარიტუალოა და ჰგავს ყუბანში მიკვლეულ ერთ-ერთ ჭურჭელს<sup>13</sup>.

ჩვენ მიერ განსახილველი ქვის ჭურჭლები, უკეთ შესწავლის მიზნით, ფორმა-მოყვანილობისა და სახელწოდების მიხედვით დავაჯგუფეთ. ამჯერად კი თითოეულ ჯგუფს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

**სურა (آب گزی)** ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცულ ქვის ჭურჭლებს შორის სურები რიცხობრივად ყველაზე მეტია. ხსენებულ სურებზე ნათელი წარმოდგენის შექმნის მიზნით ერთ-ერთ მათგანს დეტალურად აღვწერთ. ამ მხრივ კოლ., № 80—82 სურას შევეხებით (ტაბ. I, სურ. 1).

სურას ყელი მაღალი და ვიწრო აქვს. ყელს შუაზე ამობურცული რგოლი შემოსდევს. მუცელი ბირთვისებრია და ძირისაკენ ვიწროვდება. ქუსლი მაღალია, ძირი კი ბრტყელი. სურას გუმბათისებრი წვეტიანი ხუფი ახურავს. დოქი ორნამენტირებულია. სურის შემკობისას ოსტატი, როგორც ჩანს, ნაირი სახის ორნამენტული მოტივებით აზროვნებდა.

სურის „მოხატვა“ ყელიდან იწყება და ქუსლთან მთავრდება. ყელს პირზე პატარა ოთხკუთხედიანი ამშვენებს, ხოლო ქვემო მხარეზე კი ვერტიკალურ ჩარჩოებში მოქცეული ფრინველთა გამოსახულებანი. ყელზე ამობურცულ რგოლს ორრიგად მოკრძო ოთხკუთხედი გარშემოევლება. მუცელს ამშვენებს ფრინველთა და მოძრაობაში მყოფი ღომების სტილიზებული გამოსახულება. მუცლის შემკობა გეომეტრიული ფიგურებითა და ფრინველთა გამოსახულებით მთავრდება. ქუსლზე მოცემულია მცენარეული მოტივები, მის ქვემო მხარეს კი პატარა ოთხკუთხედი და წრეხაზები. ხუფს ამშვენებს მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტი. ფონად მთელ სურაზე გამოყენებულია მცენარეული მოტივების ნაირი ვარიაციები (h—25 სმ, პირის d—5,5 სმ, ყელის h—13 სმ, მუცლის გარშემოწერილობა—41 სმ, ძირის d—8 სმ, ხუფის h—5 სმ). ფუნქციის მიხედვით ხსენებული სურა დეკორაციული დანიშნულების თვალსატიკობი ნივთია.

სხვათა შორის, ხსენებულ ჯგუფში შემავალი ქვის სურები გამოირჩევა გარეგანი ფორმა-მოყვანილობისა და ორნამენტული მოტივებით შემკობის ნაირფეროვნებით. აქ წარმოდგენილია ცილინდრისებრი, მრგვალმუცლიანი, მაღალყელიანი, ქუსლიანი და უქუსლო სურები. ზოგიერთ მათგანს აქვს გუმბა-

<sup>12</sup> ხსენებული ბაკანი ამჟამად მსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში ინახება.

<sup>13</sup> G. Garstang, Prehistoric Mersin, Oxford, 1953, p. 450.



თისებრი შეისრული ხუფი, ზოგი კი უხუფოა. გვხვდება იდენტური, ასევე განსხვავებული ორნამენტით შემკული სურები.

სხვათა შორის, ორ მათგანზე მოცემულია იდენტური სპარსული წარწერები:

„დალიე წყალი და დასწყევლე იაზიდი“<sup>14</sup>, მეორეზე კი აწერია: **جان ارفادای مرقدشاه شهید کن ۱۴۸۳** „შეიწყალე სული და საფლავი, სარწმუნეობისათვის განწირულისა 1283 წელი“ (1866—1867 ქ. წ. ა.).

ხსენებული წარწერებიდან ჩვენთვის საინტერესოა ის ადგილი, სადაც ნათქვამია—„დალიე წყალი და დასწყევლე იაზიდი“. არა გვგონია, რომ აქ მოხსენიებული ფრაზა, „დალიე წყალი“ კონკრეტულად მიუთითებდეს იმაზე, რომ ქვის ამ სურიდან შესვი წყალი და დასწყევლე იაზიდი. ჩვენი აზრით, ზემოხსენებული წარწერა ზოგადად ხაზს უსვამს სურის ფუნქციას და მის კონკრეტულ დანიშნულებაზე არ მიუთითებს. რაც შეეხება ამ ჭურჭლების დამზადების თარიღს—1283 წ. ჰიჯრით (1866—1867 ქ. წ. ა.), მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია. ირკვევა, რომ ეს სურები დამზადებული ყოფილა XIX საუკუნეში. რაკი ზემოხსენებული სურები ფორმა-მოყვანილობით, მასალით, დამზადების ტექნიკითა და მანერით, ასევე ორნამენტული მოტივების მხრივ, მსგავსებას იჩენს საქართველოს სახ. მუზეუმის კერამიკის ფონდში დაცულ ქვის ირანულ ჭურჭლებთან, ამდენად ეს უკანასკნელიც შეიძლება XIX ს. დავათარილოთ. ამ მხრივ ხსენებული სურები, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმოადგენს სახელმძღვანელო ჭურჭლებს ქვის სხვა დანარჩენი ირანული ნივთების დათარიღებაში. მიუხედავად ამისა, ქვის ირანული სურების დათარიღებაში გადაამწყვეტ მნიშვნელობას ჩვენ ვანიჭებთ შესაბამისი ფორმისა და დანიშნულების თიხისა და ლითონის ირანულ ჭურჭლებთან მათ შეპირისპირებას. ურთიერთშეჯერების საფუძველზე ქვის სურები ანალოგს, ზოგჯერ იდენტურობასაც კი, ყველაზე მეტად პოვებენ სპილენძ-თითბრის XIX ს. შესაბამის ჭურჭლებში (ტაბ. I, სურ. 2).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული სახის ქვის სურები გავრცელებული ყოფილა XVII—XVIII სს. ირანში. ერთი ასეთი სურის აღწერილობა მოცემულია ა. ფოუპის ნაშრომში<sup>15</sup>. ავტორი მას სახსებით სამართლიანად მიიჩნევს დეკორატიული დანიშნულების ნივთად.

საფუძველმოკლებული არაა თუ ვიფიქრებთ, რომ ქვის XIX ს. ირანული სურები ზემოთ ხსენებული ჭურჭლების მიწაბაძს წარმოადგენენ, მით უმეტეს, რომ ემთხვევა როგორც მათი გარეგანი ფორმა, ისე მასალის—ქვის ფერი.

სხვათა შორის, საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში არსებული ქვის სურების მსგავსი, ზოგჯერ იდენტურიც კი, ჭურჭლები დაცულია სომხეთის, ბუხარის, სამარყანდისა და ტაშკენტის სახ. ისტორიულ მუზეუმებში. ეს კი საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ ეს უკანასკნელიც XIX ს. დავათარილოთ.

**ყ ა ლ ი ა ნ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი** (قالبان). საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცულ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ქვის ირანული ჭურჭლების რიცხვს მიეკუთვნება ყალიანის ჭურჭლები.

<sup>14</sup> იაზიდი ხალიფა ოსმანის მკვლელის სახელია. მაჰმადიანები ამ სახელს მაშინ იხსენიებენ, როცა ვინმეს წყევლიან.  
<sup>15</sup> А. И. По ре, A survey, ტ. VI, გვ. 1457.



ყალიანის ჭურჭელი სულ ოთხ ცალადაა წარმოდგენილი. ამ ჭურჭელზე მეტი წარმოდგენის შექმნის მიზნით ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, კოლ. №4—38/7 ქვის ყალიანს აღწერთ (ტაბ. II, სურ. 1). ხსენებულ ყალიანს აქვს მრგვალი და სპირგადმოზნეპილი პირი. ყელი მაღალია, რომლის ზემო ნახევარი ცილინდრულია, ქვემო ნაწილი კი შედარებით ვიწროა და მრგვალი. მუცელი მრგვალია და მოგრძო, ქვემოთ იგი განიერია. ჭურჭელს ძირი ბრტყელი აქვს. ყალიანის ჭურჭელი მთლიანად შემკულია ნაირი სახის ორნამენტით. ყელზე მოცემულია პარალელური წვრილი ზოლები და პატარა ოთხკუთხედები, ასევე მცენარეული მოტივები და „მანებიანი“ (ბუთა) ორნამენტი. მუცელს მცენარეული ორნამენტის ფონზე ამშვენებს მოძრაობაში მყოფი ლომების სტილიზებული გამოსახულება. მუცლის შემკობა გეომეტრიული ფიგურებით—წვრილი ზოლებითა და ჯაჭვისებრი ორნამენტით მთავრდება. ფუნქციის მიხედვით ხსენებული ჭურჭელი დეკორაციული დანიშნულების ნივთის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგივე შეიძლება ითქვას ქვის სხვა დანარჩენი ყალიანის ჭურჭლის მიმართაც, რომლებიც ზემოთ აღწერილი ჭურჭლისაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ ყელზე აქვთ ამობურცული რგოლი და დგანან ოთხ დაკბილულ ფეხზე. აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილულ ქვის ყალიანის ჭურჭლებს ფორმითა და ორნამენტული მოტივებით შემკობის სტილის მიხედვით ბევრი რამ აქვთ საერთო თიხისა და სპილენძ-თითბრის XIX ს. ირანულ ყალიანებთან (ტაბ. II, სურ. 2). გარეგანი ფორმის მიხედვით მსგავსება რიგ შემთხვევებში იგივეობაში გადადის. მაგალითად, ეს ითქმის ეთნოგრაფიის განყ. კერამიკის ფონდში დაცულ (კოლ. №4—38/7) ქვისა და თიხის (33—26/7) ყალიანის ჭურჭლებზე. იგივე შეიძლება ვიფიქროთ ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის ფონდში დაცულ სპილენძისა (№6—02/7) და იმავე განყოფილების კერამიკის ფონდში დაუნჯებულ (№87—02) ქვის ყალიანების მიმართაც.

რაკი ქვის ყალიანები ფორმით ახლო ნათესაობას იჩენენ თიხისა და სპილენძ-თითბრის ყალიანის ჭურჭლებთან, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ XIX ს. მათ წარმოშობას საფუძვლად დაედო ამ უკანასკნელთა გარეგანი მოყვანილობა. რაც შეეხება მათ მხატვრულ დამუშავებას, ისინი ამ მხრივ სპილენძ-თითბრის ყალიანის ჭურჭლების დეკორის გავლენას უფრო განიცდიან, ვიდრე თიხისას.

ზემოთ განხილული ქვის ყალიანის ჭურჭლის მსგავსი ჭურჭელი, მათ შორის იდენტურიც, ინახება სამარყანდის, ტაშკენტისა და საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმის ფონდებში. რადგანაც ეს უკანასკნელი ახლო ნათესაობას იჩენს პირველთან, ამდენად ჩვენ მათ XIX ს. ვათარილებთ.

შ ა ნ დ ა ლ ი ( شهنشاهان ). ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ჭურჭლების მსგავსად კერამიკის ფონდში დაცული ქვის სასანთლეები წარმოდგენენ პირდაპირ იმიტაციას XIX ს. სპილენძ-თითბრის ირანული შანდლებისა. რაკი განსახილველი ჭურჭლები ფორმით მსგავსნი არიან, მათზე საერთო წარმოდგენის შექმნის მიზნით, სრულიად საკმარისია ერთ-ერთი მათგანის (კოლ. №90—02) აღწერა. აღნიშნულ სასანთლეს (ტაბ. I, სურ. 3) აქვს მრგვალი, ნაპირგადმოზნეპილი პირი, მოგრძო, თავში ცილინდრული, ქვემოთ კი ვიწრო, გამოყვანილი ყელი. ყელს სამ ადგილას აქვს ამობურცული რგოლი. შანდლის ტანი პირდაპირ ხობილ ჯამს მოგვაგონებს, ფეხი მომაღლოა და ქვემოთ ფართოდ გადგმული,



ძირი — შეზნეკილი (h—20 სმ, პირის d—4 სმ, ტანის გარშემოწერლობა—16 სმ, ძირის d—9 სმ).

ხსენებული შანდალი შემკულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით. მუცელზე, შუა, განიერ სარტყელში ფრინველებია ამოკვეთილი. ფხს ამშვენებს წრეხაზები და პატარა ოთხკუთხედები. ფუნქციის მიხედვით იგი დეკორატიული ნივთის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს არ გამოირიცხავს მისი სასანთლედ გამოყენებასაც, თუმცა ამის ნიშანკვალი მას არ გააჩნია. არც სასანთლის გადმონაღვენთი და არც სასანთლე ფოსოში ჩარჩენილი უწვრილესი ნაწილაკები. იგივე შეიძლება ითქვას სხვა, დანარჩენი შანდლების მიმართაც.

ზემოთ განხილული შანდლები თავიანთი წარმოშობის სათავეს რომ ნამდვილად სპილენძისა და თითბრის XIX ს. ირანულ სასანთლებში პოვებენ ამას, პირველ რიგში, მათი ურთიერთშეპირისპირება მოწმობს. მაგალითად, აშკარა ნათესაობა ჩანს ქვის კოლ. № 83—02 შანდალსა და ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის ფონდში დაცულ კოლ. № 16—02 სასანთლეს შორის. იგივე ითქმის ქვის სხვა დანარჩენი შანდლების შესახებ. ზემოთ ნახსენები ქვის ირანული შანდლების იდენტური სასანთლეები ტაშკენტის, სამარყანდისა და საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმშიც ინახება. მოწმდება, რომ ისინი შეუსწავლელი და დაუთარილებელია. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება მათი XIX ს. დათარილება, რადგან ისინი ფორმა-მოყვანილობით მსგავსია, ზოგჯერ იდენტურიც კი, ჩვენ მიერ შესწავლილი ქვის ჭურჭლებისა.

ყავადანი (چاقه جوادانی). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში ქვის ირანული ყავადანები ხუთ ცალადაა წარმოდგენილი. ერთმანეთისაგან ისინი განსხვავდებიან როგორც ფორმით, ისე ზომითაც. განსახილველი ჭურჭლების ტიპური წარმომადგენელია კოლ. № 112—02 ყავადანი (ტაბ. I, სურ. 5). ხსენებულ ყავადანს აქვს მრგვალი, ფართო პირი, დაბალი ყელი, მუცელი მრგვალი და გრძელი, ძირი კი ბრტყელი. მილაკი მოკლეა და დაკბილული. პირთან იგი შეერთებულია ბრტყელი, რკალისებრი სამაგრით. სახელური მარყუჟისებრია, დაკბილულ-დაკეჭნილი. ყავადანის ყელს ამშვენებს გრძელი, ამოღარული ოთხკუთხედები, მის ქვემო მხარეზე კი მოცემულია ტუხილი ხაზები. ყავადანის მუცლის დასამშვენებლად გამოყენებულია „მანებიანი“ (ბუთა) ორნამენტი, ნაძვის ტოტისებრი გამოსახულება და კვიპაროსის ფორმა. სახელური და მილაკი სადაა (h—19 სმ, პირის d—7 სმ, სახელურის h—10 სმ, მილაკის h—10 სმ, ძირის d—5 სმ). ფუნქციის მიხედვით იგი აშკარად თვალსატყობი ნივთია. იგივე ითქმის ქვის დანარჩენი ყავადანების მიმართაც.

საყურადღებოა, რომ ხსენებული ყავადანებიდან ზოგიერთი მათგანი ფორმით, ასევე ორნამენტული მოტივებით აშკარად განსხვავდება ქვის XIX ს. ირანული ჭურჭლებისაგან. დასახელებული ყავადანების წარმომავლობის დადგენაში გადამწყვეტი როლი შეასრულა XVII—XVIII სს. ანალოგიურ ჭურჭლებთან მათმა შეპირისპირებამ. შეჯერების საფუძველზე გაირკვა, რომ კოლ. № 113—02 ყავადანი დამზადებულია XVIII საუკუნეში (ტაბ. I, სურ. 4). ამას ადასტურებს ა. ფოუპის ნაშრომში მოცემული XVIII ს. ქვის ყავადანზე დაკვირვება<sup>16</sup>. ემთხვევა როგორც მათი გარეგანი ფორმა, ისე დეკორი.

<sup>16</sup> A. H. Pope. A Survey, ტ. VI, გვ. 1459.



ჩაიდანნი (قوری) ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალები მოწმობს, რომ ირანელი ქვითხურონი ალებასტრის ქვისგან თითქმის ყოველგვარი სახის ჭურჭელს ამზადებდნენ. ამ მხრივ ჩაიდანების ხვედრითი წონაზედ იქონიეს ისე მცირე ყოფილა. განსახილველ ჭურჭლებზე საერთო წარმოდგენის შექმნის მიზნით ერთ-ერთი მათგანის—კოლ. 8—02: დეტალურ აღწერილობას მოვიტანთ. ხსენებულ ჭურჭელს (ტაბ. II, სურ. 3) აქვს მრგვალი პირი. მუცელიც ასევე მრგვალია და ძირისაკენ შევიწროებული. ქუსლი ძალზე დაბალია, ძირი კი ბრტყელი. ტუჩი ვარზვის თავყელისებრია, სახელური კი გველის სხეულს მოგვაგონებს. ხუფი ბრტყელია, შუაში აქვს წვეტიანი სახელური. ჩაიდანნი შემკულია მცენარეული და გეომეტრიული ფიგურებით, აგრეთვე ფრინველთა გამოსახულებით. სახელურის ორსავე გვერდზე მოცემულია გრძელი, დაკლკანილი ხაზები, ირგვლივ თეთრი, ფართო ხალებით. მთლიანობაში ეს ორნამენტი გველის სქემატურ გამოსახულებას იძლევა. დანიშნულების მიხედვით ჩაიდანნი თვალსატყობობი ნივთის შთაბეჭდილებას ტოვებს (h—8 სმ, პირის d—4 სმ, მუცლის გარშემოწერილობა—41 სმ, მილაკის h—6 სმ, სახელურის სიგრძე 6 სმ, ხუფის h—3 სმ).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ განსახილველი ჩაიდანებიც გარეგანი ფორმითა და ორნამენტული მოტივებით შემკობის მანერით XIX ს. სპილენძისა და თითბრის ირანულ ჭურჭლებს ენათესავება. ეს კი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქვის ჩაიდანები, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ქვის სურების, სასანთლეებისა და ყალიანის ჭურჭლის მსგავსად, წარმოშობის სათავეს შესაბამისი ფორმის XIX ს. ირანულ ჭურჭლებში პოულობს (ტაბ. II, სურ. 4).

ვაზა (انگ). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცულ ქვის ჭურჭლებს შორის გარეგანი ფორმის ნაირფეროვნებით გამოირჩევა ვაზები და სამარილეები. ამის გამო ყველა მათგანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შემცველი ერთი რომელიმე ჭურჭლის გამოჩახვა ძალზე ჭირს.

სხვათა შორის, ქვის ვაზებს შორის ვხვდებით როგორც წმინდა დეკორაციულ ჭურჭლებს, ისე გარდამავალი ფუნქციის მქონეთ. მაგალითად, აშკარა დეკორაციულ ნივთს წარმოადგენს კოლ. № 99—02; № 26—24 ვაზები. გარდამავალი ფუნქციის მატარებელი ჩანს ქვის კოლ. № 102—02; № 100—02 ვაზები (ტაბ. III, სურ. 1, 2), რადგან ჯამისებრი და თეფშისმაგვარი პირის წყალობით შეიძლება გამოყენებული იქნან როგორც ტკბილეულისათვის, ისე სახილედ. ისე კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული ვაზები ძირითადად თვალსატყობობი ნივთებია, რასაც მათი გარეგანი შემკობა მოწმობს.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ზოგიერთი ვაზის გარეგან გამოყვანილობას, როგორც ჩანს, საფუძვლად დასდებია თიხისა და სპილენძის XIX ს. ირანული ვაზების ფორმა. მაგალითად, ქვის (კოლ. № 99—02) მაღალფეხიანი ვაზა თითქმის იდენტურია (კოლ. № 26—09/3) სპილენძის ვაზისა (ტაბ. III, სურ. 3) ორთავესათვის დამახასიათებელია პირგადამოხილი ჯამის ფორმის ტანი და მაღალი ფართოდ გადგმული ფეხი. მათ შორის ნათესაობა ორნამენტულ მოტივებშიც მჟღავნდება, განსაკუთრებით მუცლის არეში მოცემული მცენარეული სახეების ნაირი ვარიაციების წყალობით. ამ ორ ჭურჭელს შორის განსხვავებაც აშ-





კარად ჩანს. მაგალითად, სპილენძის ვაზისაგან განსხვავებით, ქვის ვაზას აქვს ხუფი და პირზე გარშემოფლებული გეომეტრიული მეანდრი, რომელიც ფირუზისფერი მძივებითაა მოოჭვილი (ტაბ. III, სურ. 1).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ირანულ ქვითხუროთა შემოქმედებით-მა ნიჭმა თავისი ანარეკლი უნიკალური ფორმის ვაზის წარმოქმნაში პოვა. მხედველობაში გვაქვს ადამიანის ხელისმტევნის ფორმისებრი ფეხის მქონე დეკორატიული ვაზები (ტაბ. III, სურ. 3), რომელიც დამახასიათებელია ირანული ქვითხურობისათვის და გამოყენებითი ხელოვნების სხვა ძეგლებს შორის არ გვხვდება.

როგორც დაკვირვებამ ცხადყო, ზემოთ ხსენებულ ზოგიერთ ვაზას აქვს ფრიალა თეფშის ან ჯამის ფორმის ტანი, რომელიც ქუსლით ადამიანის ხელისმტევნის მოყვანილობის ფეხს ეყრდნობა. ამით ირანული ოსტატები, როგორც ჩანს, ცდილობენ გადმოსცენ ადამიანის მიერ ჯამის ან ფიალის ხელთპყრობის იდეა (ტაბ. III, სურ. 2, 4).

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ამგვარი ვაზა ნაკვეთია არა ერთი, მთლიანი ქვისგან, არამედ შედგება ორი ცალ-ცალკე არსებული კომპონენტისაგან. ასეთ ვაზებს ფეხი ეხსნებათ. ეს ტექნიკური თავისებურება მიღწეულია ვაზის ტანის ძირზე ამოღებულ ღარში ქუსლის თავზე არსებულ პატარა გამონაშვების ჩასმით. ეს სიახლე ქვის ჭურჭლის წარმოებაში პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება. ამგვარი სახის ვაზისათვის დამტვრეული ტანის ან ფეხის ახლით შეცვლა ძალზე ადვილია, მაშინ როცა მთლიანი ქვისგან გამოქანდაკებული ამავე ფორმის ვაზისათვის იგი გამორიცხულია. არანაკლებ საინტერესოა ზემოხსენებული ფორმის ვაზების დათარიღების საკითხიც. რაკი ეს ჭურჭლები გარეგანი ფორმის იშვიათობის გამო ანალოგს ვერ პოულობენ ადრეული და გვიანდელი ხანის ირანული გამოყენებითი ხელოვნების ძეგლებს შორის, ამდენად მათი ასაკის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მათზე მოცემული ორნამენტული მოტივების შესწავლას. როგორც დაკვირვებამ ცხადყო, ქვის ირანული ვაზების დამამზადებელ ხელოსნებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ XIX ს. ირანულ მესპილენძებთან. ამას მოწმობს ხელოსნობის ამ ორი სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ნახელავის დეკორის ერთმანეთთან შეპირისპირება (ტაბ. III, სურ. 3).

სხვათა შორის, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ქვის ვაზების მსგავსი ჭურჭლები დაცულია სამარყანდისა და ტამქენტის მუზეუმებში. სამწუხაროდ, ეს ვაზებიც შეუსწავლელ-დაუთარიღებელია, თუმცა ზემოთქმულის შემდეგ მათი ასაკის განსაზღვრა არ უნდა გაჭირდეს. რაკი ეს ვაზები გარეგანი ფორმითა და ორნამენტული მოტივებით შემკობის მანერით მსგავსია საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული ქვის ირანული ვაზებისა, ამიტომ სამართლიანი იქნება თუ ამ უკანასკნელთ XIX ს. დავათარიღებთ.

ჯამი და ფიალა (جام و فیا). საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცულ ქვის ჭურჭლებს შორის რიცხობრივად ჯამები და ფიალები, სურების შემდეგ, ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. განსახილველ ჭურჭლებს ჩვენ შემდეგი ნიშნების მიხედვით ვაჯგუფებთ: 1. სახელწოდებით — ჯამი და ფიალა, 2. ფორმით — დიდი და მცირე მაღალგვერდებიანი, დაბალგვერდებიანი, ქუსლიანი, უქუსლო, 3. დანიშნულებით — სახილე და თვალსატკობი და სარიტუალო. განსახილველი



ჭურჭლების ტიპური წარმომადგენელია კოლ. № 35—53 ჯამი და კოლ. № 4—38/3 ფიალა.



ხსენებულ ჯამს (ტაბ. IV, სურ. 1) აქვს ფართო პირი, მაღალი დაბალი ქუსლი და ბრტყელი ძირი. ჯამი შემკულია ნაირი ორნამენტით, რომელიც სამ სარტყელადაა გაყოფილი. პირველ სარტყელში, რომელიც ჯამს პირს გარშემოვლებს, მოცემულია მცენარული მოტივები და ერთმანეთისავე თანაბარი მანძილით დაშორებული შავი ფართო ხალები. ტანზე, შუა განიერ სარტყელში, მცენარული სახეების ფონზე ამოკვეთილია სხვადასხვა ჯურის ფრინველები და ლომის სამი ბოკვერი, რომლებიც ჯაჭვით პალოზე არიან მიბმულნი. ჯამის მოსახვა გეომეტრიული ფიგურებით მთავრდება.

განსახილველი ფიალებიდან კოლ. № 4—38/3 აღვწერთ (ტაბ. IV, სურ. 4). აღნიშნულ ფიალას აქვს მრგვალი, ფართოდ გადაშლილი პირი, მომაღლო გვერდები და დაბალი ქუსლი, ძირი კი ბრტყელი. ფიალა ნაწილობრივია მოხატული. პირზე მას გარშემოვლებს წვრილი ზოლები და პატარა ოთხკუთხედები. მუცელს ამშვენებს ერთმანეთთან შეერთებული რკალები, ხოლო ქვემო მხარეს კი ისრის თავის მოყვანილობის ფიგურები (h—4 სმ, პირის d—9 სმ, ძირის d—4,5 სმ). დანიშნულებით ეს ჭურჭელი თვალსაზრისით ნივთია.

როგორც ზემოთ ითქვა, ქვის ირანული ჯამები და ფიალები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გარეგანი ფორმით — მოყვანილობის ნაირსახეობით, კიდევ უფრო საინტერესოა არიან ისინი მხატვრული თვალსაზრისით. ჩვენ მიერ განხილულ ქვის ნივთებიდან ჯამები და ფიალები ჯერჯერობით ერთადერთი ჭურჭელია, რომელიც უნიკალური ორნამენტული მოტივებითაა მოხატული. ასეთ ორნამენტულ სახედ, უპირველეს ყოვლისა, წარმოგვიდგება პალოზე ჯაჭვით მიბმული ლომის ბოკვერი, რომელიც (კოლ. 35—51) ქვის ირანულ ჯამს ამშვენებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ორნამენტი დამახასიათებელია მხოლოდ ქვის XIX ს-ის ჯამებისათვის. ადრეული თუ გვიანდელი ხანის სხვა გამოყენებითი ხელოვნების ძეგლებზე ის არ გვხვდება. ეს კი, ბუნებრივია, წარმოადგენს ერთ-ერთ ხელისშემწყობ გარემოებას ამგვარი ორნამენტით შემკული ქვის ჭურჭლების XIX ს-ით დათარიღებისათვის.

როგორც დანიშნულებით, ისე ფორმითაც ზემოხსენებულ ჯამთან ახლოს დგას ქვის სხვა ჯამები და ფიალები. ეს კი ქმნის იმის საფუძველს, რომ ეს უკანასკნელიც XIX საუკუნით დავათარიღოთ.


ზემოთ განხილულ ჭურჭლებიდან ცალკე უნდა გამოიყოს დიდი ზომის ჯამი (ტაბ. IV, სურ. 3).

ხსენებული ჯამის დამამზადებელი ხელოსანი ჭურჭლის შემკობისას ჩანს ირანის გამოყენებითი ხელოვნების ძველი და ახალი მიღწევებით სარგებლობა. ეს რომ ასეა, ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით. მაგ., ჯამის პირზე მოცემული სტილიზებული დურაჯის გამოსახულება ხელოსანს XII ს. ირანული ლუსტრიანი ფაიანსის ნაწარმის დეკორიდან აუღია. იგივე უნდა ითქვას, მოძრაობაში მყოფი სტილიზებული ველებისა და კანჯარის გამოსახულებათა მიმართაც. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოანთროპომორფული არსებანი ქვის საკვლევე ჭურჭლებს შორის მხოლოდ ხსენებულ ჯამზე გვხვდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი ორნამენტი ელამის ხელოვნების შემდეგ (ძვ. წ. IV ათასწ.) ირანში დიდი მასშტაბით გამოიყენეს XIX საუკუნეში



1



2



3



4



5






1



2



3



4



1



2



3




4





1



2



3



4

ირანელმა მესპილენძეებმა<sup>17</sup>. ამ მხრივ მათი პრიორიტეტი სხვებთან შედარებით ეჭვს არ იწვევს. არც ისაა სადავო, რომ ხსენებული ორნამენტული მოტივი ირანელმა ქვითხურობმა საკუთარი ნახელავის დასამშვენებლად სწორედ XIX ს. ირანელი მესპილენძეებისაგან ისესხეს. რაკი ეს ასეა, მაშინ საკუთარი ლოგიკურია თუ შემოხსენებულ ჯამს, რომელიც ამგვარი ორნამენტითაა შემკული, XIX ს. დავათარილებთ.

ამრიგად, საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კვრანიკის ფონდში დაცული ქვის ირანული ჭურჭლების შესწავლა შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა:

XVIII—XIX სს. ირანში ქვის ჭურჭლების წარმოება საკუთარი ნედლეულის ბაზას ემყარებოდა, რასაც ხელი შეუწყო საჭურჭლე ქვის მდიდარი საბადოების არსებობამ.

პეტროგრაფიული ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ჩვენ მიერ განხილული ირანული ჭურჭლები დამზადებულია რბილი ჯიშის ქვისგან-ნაცრისფერი ალბასტრისაგან.

ხალხურ ქვითხურობასთან დაკავშირებით ქ. სამარყანდსა და სოფ. გაზგანში შეკრებილი მასალები, ქვის დამუშავებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის ხელსაწყო-იარაღების არსებობა, ქვის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი, მდიდარი და მრავალფეროვანი ტერმინოლოგია და ამ ტერმინთა უმრავლესობის ირანული წარმომავლობა ნათელს ჰფენს XIX ს. ირანში ქვის ჭურჭლების დამზადების დიდი ტრადიციების არსებობას.

საკვლევი პერიოდის ირანში ქვის ჭურჭლების წარმოება კუსტარულ ხასიათს ატარებდა, რომელთა დამზადება სპეციალურ სახელოსნოებში ხდებოდა, ასეთ სახელოსნოებში გაერთიანებული იყვნენ კვალიფიციური ოსტატები და მათი შეგირდები.

როგორც დაკვირვებამ ცხადყო, XVIII—XIX სს. ირანში, ისე როგორც ძველადაც, ქვის ჭურჭლების წარმოებას საფუძვლად დაედო არა მათი უტილიტალური დანიშნულებით გამოყენება, არამედ ადამიანის ესთეტიკური მოთხოვნები.

XVIII—XIX სს. ქვის ირანული ჭურჭლის დეკორის შესწავლა მოწმობს, რომ ირანელი ოსტატები ჭურჭლის დასამშვენებლად იყენებდნენ მცენარეულ, გეომეტრიულ, ზოომორფულ, ანთროპომორფულ და ზოოანთროპომორფულ სახეებს. იმ ორნამენტულ საუყეტებს, რომელთა უმრავლესობა ირანში ძველთაგანვე იყო ცნობილი.

დასახელებული ხანის ირანში გავრცელებული ჭურჭლების ისტორიულ ჭრილში შესწავლა მოწმობს, რომ მათი უმრავლესობის გარეგან მოყვანილობასა და ორნამენტირებას საფუძვლად დასდებია შესაბამისი ფორმის სპილენძითიბრის XIX ს. ირანული ჭურჭლები. ეს ლოგიკური ჩანს, რადგან XIX ს. ირანში მხატვრული დამუშავების მხრივ შედარებით მაღალი დონე მხოლოდ სპილენძისა და თითბრის ჭურჭლებმა შეინარჩუნეს.

მესპილენძეებზე დამოკიდებულობის მიუხედავად, ირანელმა ქვითხურობმა მაინც შეძლეს შეექმნათ უნიკალური ფორმის ჭურჭლები და ორნამენტული საუყეტები. ამის ნათელი დადასტურებაა ადამიანის ხელის მტევნის ფორ-

20527

<sup>17</sup> ვ. კვიციანი, ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1968, გვ. 133.



მის ფეხის მქონე დეკორატიული ვაზის არსებობა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ირანული ქვითხურობისათვის და გამოყენებითი ხელოვნების სხვა ძეგლებს შორის არ გვხვდება.

XVIII—XIX სს. ირანში ხელოსნობის მკვეთრი დაქვეითების მიუხედავად, ქვის ჭურჭლებისნაირი ორნამენტით შემკობის ხელოვნება განვითარების მაღალ დონეს ინარჩუნებს, რაც, ერთი მხრივ, გაბირობებული იყო ქვის მხატვრული დამუშავების ტრადიციის არსებობით, ხოლო მეორე მხრივ, კი მაჰმადიანთათვის დამახასიათებელი იმ ზნე-ჩვეულების ჯერ კიდევ მძლავრად შემორჩენით, რაც გამოყენებითი ხელოვნების ძეგლების დეკორატიული დანიშნულებით ხმარებას გულისხმობს.

Г. Г. КВИРКВЕЛИЯ

## ИРАНСКАЯ КАМЕННАЯ УТВАРЬ XVIII—XIX ВВ.

(По материалам Гос. музея Грузии)

Резюме

Производство и употребление каменной посуды в Иране имеет многовековую историю. Об этом свидетельствует один из источников XIII века «Аджиб ад-дуния»<sup>1</sup> («Чудеса мира»). «Реи был большим городом, — гласит источник, — здесь изготовляли ткань муара, каменные котлы и деревянные изделия-столики, подносы, лотки, гребни из самшита»<sup>2</sup>. Указанные в источнике каменные котлы, надо предполагать, готовились для декоративных целей.

Как видно, употребление каменной посуды в Иране для декоративных, порой утилитарных целей имело место не только в далеком прошлом, но и XVIII—XIX вв. Об этом свидетельствует обзор иранских каменных изделий, хранящихся в различных музеях мира, в том числе и в хранилищах древностей СССР.

В керамическом фонде отдела этнографии Гос. музея Грузии хранятся иранские каменные кувшины, светильники, кальяны, кофейники, вазы, чаши, пиалы, стаканчики, солонки и т. д. Указанная коллекция создавалась и пополнялась в течение ряда лет, начиная с 1868 вплоть до 1902 года.

Иранские каменные изделия Гос. музея Грузии по своему количеству и качеству превосходят аналогичные коллекции, хранящиеся в музеях Москвы, Баку, Еревана, Ташкента, Самарканда, Бухары и даже Гос. Эрмитажа.

На основе фактических данных, а также полезных этнографических материалов, археологических и литературно-исторических источников, изучены народные способы изготовления иранских каменных сосудов

<sup>1</sup> Рукопись А—253, Института Востоковедения АН СССР.

<sup>2</sup> Там же.

XVIII—XIX вв., определена их роль и значение в быту иранского народа.

В настоящем труде из иранских каменных изделий, хранящихся в керамическом фонде отдела этнографии Гос. музея Грузии, отдельные выделены и изучены кувшины (табл. I, рис. 1), светильники (табл. VI, рис. 3), кофейники (табл. I, рис. 4, 5), кальяны (табл. II, рис. I), чайники (табл. II, рис. 3), вазы (табл. II, рис. 1, 2, 3), чаши (табл. IV, рис. 1, 3) и пиалы (табл. IV, рис. 4). В качестве сравнительных материалов нами использованы иранские каменные изделия, хранящиеся в различных музеях СССР.

Изучение иранской каменной утвари Гос. музея Грузии дает возможность сделать следующие выводы:

В Иране XVIII—XIX вв. производство иранской каменной посуды опиралось на собственную сырьевую базу, т. е. существующие богатые месторождения камня. В результате петрографических анализов установлено, что изученная нами каменная посуда изготовлена из серого алебастра.

Материалы, собранные нами на территории Узбекской ССР в городе Самарканде и в селении Газган среди таджиков, свидетельствуют о народных способах обработки камня, о существовании разнообразных орудий труда. Богатая и многообразная терминология и их персидское происхождение свидетельствуют о древней традиции производства каменной посуды в Иране XVIII—XIX вв.


Установлено, что производство каменной посуды в Иране XVIII—XIX веков носило кустарный характер. Изготавливалась она в специальных мастерских квалифицированными мастерами и их учениками.

В результате исследования мы пришли к выводу, что в основу производства каменной посуды легло не ее утилитарное назначение, а возросшие эстетические потребности человека.

Изучение декора каменных сосудов XVIII—XIX вв. показало, что иранские мастера для их украшения пользовались растительными, геометрическими, зооморфными, антропоморфными и зооантропоморфными орнаментами, порой с арабо-персидскими надписями. В результате исследования стало ясно, что некоторые из этих орнаментов были известны в Иране с древнейших времен.

Изучение иранской каменной посуды в историческом разрезе показало, что в большинстве случаев в основу их внешней формы и орнаментации легли формы медно-латунных сосудов XVIII—XIX вв. В Иране в указанное время высокий уровень художественной обработки, по сравнению с другими видами прикладного искусства, сохраняет медно-латунная посуда. Несмотря на это иранские мастера, занимающиеся художественной обработкой камня, все же сумели создать сосуды уникальной формы, с редким и своеобразным орнаментальным мотивом и сюжетом. Ярким свидетельством этого является наличие декоративных каменных ваз, имеющих ножку формы кисти человеческой руки (табл. II, рис. 2,3).





Некоторые каменные сосуды, распространенные в Иране исследуемого периода, характеризуются двумя функциями: использованием для утилитарного назначения и эстетической целью.


Несмотря на резкий упадок ремесла в Иране XVIII—XIX вв. искусство украшения каменной посуды разными орнаментами сохраняет сравнительно высокий уровень, что с одной стороны, было обусловлено существованием продолжительности художественной обработки камня, а с другой стороны — наличием мусульманской традиции, подразумевающей использование предметов прикладного искусства в декоративных целях.

---

ლამარა ბაღვაშიძე

ხეზე კვეთილოზის ზოგიერთი ნიმუში სვანეთიდან\*

სვანური ავეჯი ხეზე კვეთილობის უაღრესად საინტერესო ნიმუშებს შეიცავს. სვანური ხელოვნება მდიდარ მითოლოგიასა და რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. მას საფუძვლად უდევს ცხოვლთა სამყაროსა და ადამიანის ღამოკიდბულების საკითხი, აგრეთვე წინაპართა კულტი ანუ რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც დაკავშირებული იყო საიქიო ცხოვრების გაგრძელებასა და ა. შ. ეს მითოლოგია, რწმენა-წარმოდგენები, არ შეიძლება შეიზღუდოს წინაპართა კულტით ან ერთი რომელიმე შავით. იგი ყველაფერს ერთად მოიცავს. მისი სინკრეტული ხასიათი მეტ-ნაკლებად ხალხურ ხელოვნებაშიც ვლინდება.



სურ. 1 უშგული. ჩაუაში. მაცხოვრის ეკლესია.

სვანური ავეჯის უმთავრესი თავისებურება მისი ორნამენტიკა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ყველასათვის ცნობილი რკალური ორნამენტი, რომელიც უფრო ინტერიერულია. რეტროსპექტულად იგი არქაულიდან მომდინარედაა

\* სტატია დაწერილია სვანეთის 1972 წლის კომპლექსურ ექსპედიციაში მონაწილეობის შედეგად. წაითხულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქარ. ეელოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ მესტი-აში ჩატარებულ სესიაზე, რომელიც მიეძღვნა სვანეთის 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებს.



მიჩნეული<sup>1</sup>. აგრეთვე ცალკეული დეტალები: წრესაზები, ზოლები, შევსებული სამკუთხედების სისტემები, რომები და ხალხური შემოქმედების თებელი სხვა ორნამენტები.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ორნამენტული ავეჯის ერთი ჯგუფი, კერძოდ, უშგულის ეკლესიებში დაცული ავეჯი, რომელზედაც გეომეტრიული სახეების გვერდით სიუჟეტური კვეთილობა გვხვდება, რაც ავეჯის შემკულობისათვის ნაკლებტიპიურია. ეს უმთავრესად საშუალო და მცირე ზომის სკივრები (სურ. 1. 2).



სურ. 2. სკივრი.

ავეჯის ორნამენტისათვის უცხოა აგრეთვე ცხენის, წრესაზისა და ხელის ერთად გამოსახვა (სურ. 1). ეს ჭრელი შესრულებს მანერით, სქემატურობით და სტილიზებით ხაზოვანი ნახატების სერიას სავსებით შეეფერება, რომელაც ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით სილუეტურისა და ნახევრად სილუეტური მხატვრობის პროტოტიპად გვევლინება. ჩვენი აზრით, სკივრზე მოცემული ცხენი

<sup>1</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, стр. 262.





და ხელის გამოსახულება მაგიურ ნიშანს გამოხატავს და თავის კონკრეტულ ახსნას ლიფანალის მხატვრობის მესამე ვერსიაში პოულობს, რომლის მიხედვითაც ნივთებისა და ცხოველების ხატვა მათ გასამრავლებლად ხდებოდა.<sup>2</sup>  
 ხელი, რომელიც იმთავითვე შრომის ერთადერთ ორგანოს წარმოადგენდა, ადამიანის აზროვნებაში გამარჯვებასთან, მზესთან, განთიადთან იყო ასოცირებული. ხელის ამგვარმა გააზრებამ მისი მაგიურობაც განაპირობა და იგი სხვადასხვა რიტუალის ორიგინალურ კომპონენტად აქცია.

გაშლილი ხელის მტევნის ემბლემა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული როგორც კავკასიაში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში, უძველეს წარსულში პოულობს საწყისებს. სვანურ სკივრზე მოცემულ ხელის გამოსახულებას მეტად მკაფიო პარალელები მოეპოვება არა მარტო ქართულ სამყაროში, არამედ ჩრდ. კავკასიელთა მატერიალურ კულტურაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „ხელის“ გამოსახულება ხევსურულ ორნამენტში. ის ტაგრუცებსა და „ბეჭუზა“ მოცემული. პარალელები გვაქვს აგრეთვე გლეხის დარბაზების, დედაბოძებისა და თავხეებზე მოცემულ ხელის გამოსახულებასთან, რომელიც ხეზეა ამოკვეთილი<sup>3</sup>. მსგავსი გამოსახულება მოიპოვება სვანური „ქორის“ „ლეკუნდრებზედაც“. მაგიური მნიშვნელობისაა აგრეთვე რაჭულ კოდზე გამოსახული ხელიც (ექსპ. № 77—62/2), რომელიც ხალხის რწმენით, კოდში მოთავსებული ხორბლეულის სიუხვესა და სიწმინდეს უზრუნველყოფდა. (სურ. 3). სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე მრავლად არის ცნობილი ამ გამოსახულებათა შესადარებელი მასალა ინგუშეთიდან, საჩაჩნოდან<sup>4</sup> და დაღესტნიდან<sup>5</sup>.

როგორც ცნობილია, წინა აზიის უძველეს კულტურაში აპოთროპეული დანიშნულების საგნებს დიდი როლი ჰქონდათ დაკისრებული, კერძოდ შუმერეთსა და ასურეთ-ბაბილონში. ამ მიზნით ამ ხალხებში სახლების მისავალთან, თვით სახლში—სანოვავის ჭურჭელთან ან ჭურჭელზე სხვადასხვა აპოთროპეული დანიშნულების საგნები თუ მათი სიმბოლური გამოსახულება იყო ხოლმე მოთავსებული<sup>6</sup>. მეტად საინტერესოა ამავე ასპექტში ხელის გამოსახულება. „ხელი“ ამულეტის მნიშვნელობით იხმარებოდა კავკასიის მრავალ ხალხში<sup>7</sup>.

<sup>2</sup> დღეობა ლიფანალი მიცვალებულის კულტის გამომხატველი და ბემბლუსთან ერთად ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებული დღეობა იყო. დღეობა ლიფანალის დეტალური აღწერა და ანალიზი მოცემულია ბარდაველიძის შრომებში (ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 64). როგორც ცნობილია, ლიფანალის დროს შესრულებული ჭრელების სემანტიკა სამი ვერსიით იხსნება. I ვერსიით ჭრელები სულბის გასართობად სრულდებოდა. II ვერსია ლიფანალის მხატვრობას უტილიტარულ მნიშვნელობას მიაწერს, კერძოდ, იხატებოდა სულბისათვის საჭირო ნივთები და ცხოველები. III ვერსიით კი ლიფანალის მხატვრობას უტილიტარული მნიშვნელობა მათზე მოცემულ ჭრელების მაგიურ დანიშნულებაზე მიუთითებს. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 64.

<sup>3</sup> გ. ჩუბინაშვილი, ქართული დარბაზი, I. დარბაზი დიღომში, ტფ., 1927, ტაბ. II გ. ჩიტაია, გლეხის სახლი კვაბლიანში, მიმომხილველი ტ. I, გვ. 237.

<sup>4</sup> Вг. P l a e t s c h e. Die Tschetschenen, Hamb; 1929, გვ. 58—59; Л. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушети в 1928 и 1929 гг. Изв. Ингушского научно-исслед. института Краеведения, ВЛК, 1930. ტ. II-III, გვ. 282.

<sup>5</sup> Г. Ч у р с и н, Амулеты и талисманы, Махач-Кала, 1929, СМОМПК. ნაკვ. 45, გვ. 8.

<sup>6</sup> ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I. ხევსურული, თბილისი, 1939, გვ. 7.

<sup>7</sup> Г. Ч у р с и н, დასახ. ნაშრ., გვ. 7—8.



ანალოგიური სემანტიკა ეძებნება ex voto-ებს, რომლებიც საქართველოს სა-  
ხელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული და რომელიც  
სხვადასხვა ხალხების კუთვნილებას შეადგენს (კოლ. № 103—60/4)



სურ. 3. კოდი რაჭიდან. ექსპ. № 77—62/2.

დალესტიიდან. სურ. 45) ხელის გამოსახულების ასახსნელად მნიშვნელოვანია  
აგრეთვე ხელის გახსნის რიტუალი „შიმი ლიფშუდე“ და „ლიშიაშალ“, რომე-



ლიც საახალწლო დღეობების („ზომხა“) კომპლექსში შედიოდა. ლეჩხუმში ამ წეს-ჩვეულებას „ხელი დააწნა ეწოდება“<sup>8</sup>. ხევისურეთში დამკვიდრებული ტრადიციით ხევისური სისხლის აღების შემთხვევაში მოკლულ მტერს არახევისურს მარჯვენა ხელის მტევანს მოსჭრიდა და მას როგორც ტროფეის მიაკრავდა საკუთარი სისხლის გარე კედელზე, სადაც ის „ხელი“ მზეზე და ქარში ბუნებრივად



სურ. 4. ფირფიტა ამულეტი დალესტნიდან ექს. № 103—60/4.

მუმიფიცირდებოდა. ასეთივე წესჩვეულება იყო თუშეთშიც<sup>9</sup> „ამრიგად ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახლის კედლებზე დაკრული, დამარცხებული მტრის მუმიფიცირებული ხელი გამარჯვების სიმბოლოს წარმოადგენდა“<sup>10</sup>.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გაშლილი ხელის მტევანი მნათობთა სიმბოლოა<sup>11</sup>. იგი იყო ემბლემა მზის ღვთაებისა ინდოეთში, ეგვიპტეში, სირიაში,

<sup>8</sup> ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> ა. რაბაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში. კოლექტიური ნაღირობის მდგომარეობა რაქაში, 185.

<sup>11</sup> The Ackerman. Some Problems of Early Iconography SPA, vol. 1. London New-York 1938, p. 833.



ბაბილონში, ფინიკიასა და საბერძნეთში.<sup>12</sup> უმრავლეს შემთხვევაში იგი წმინდა ხის გამოსახულებასთან ერთად გვხვდება, რაც აგრეთვე მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. კარხემისის ხატოვან წარწერებში, აგრეთვე წერის ბოლო სტრიქონში 16 ხელის მტევანი და ადამიანის სამი სახეა გამოხატული, როგორც ფიქრობენ, ეს სახეები მცველ ღვთაებებისა უნდა იყოს.<sup>13</sup>



სურ. 5. ამულეტი.

ხელის საკულტო მნიშვნელობა კარგად ვლინდება შუა აზიაში დამკვიდრებულ ჩვეულებაშიც, რომელიც მეტალის ხელის გამოსახულებას ავგაროზად გამოყენებაში მდგომარეობს. ავი თვალის საწინააღმდეგო ეს ავგაროზი, როგორც წესი, მოოქრული იყო და სახლის შესასვლელში ეკიდა<sup>14</sup>. როგორც ამულეტი იგი კარგად ცნობილია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. ამ გამოსახულების მრავალრიცხოვანი ეგზემპლარები ნაპოვნია როგორც კავკასიაში, ისე მის გარეთ. შუა ბრინჯაოს ხანის ხელის სტილიზებული გამოსახულება ცნობილია ბრილის სამაროენიდან და ორი შემთხვევითი მონაპოვარი სვანეთიდან<sup>15</sup>. ფეოდალური ხანის ხელის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკინძი მოპოვებულია ერ-

<sup>12</sup> А. А. Бобринской, Горцы верховьев пиянджа Вананцы и ишкашимцы, М., 1908, 114.

<sup>13</sup> ვ. ბარდაველიძე, ვ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>14</sup> С. М. Марр. Мохаррам. Традиционная культура народов передней и средней Азии. Сборник музея антропологии и этнографии XXVI, Ленинград. 1970 г. стр. 353.

<sup>15</sup> მ. ჩართილანი, არქეოლოგიური მასალა სვანეთში, ხელნაწერი.





წოს ველიდან<sup>16</sup>. ხელიანი საკინძები ფართოდაა გავრცელებულ ადრეფეოდალურ ხანაში: ამგვარი ძვლის საკინძი აღმოჩენილია ურბნისის ნაქალაქარში იქვე არის მოოქრული სპილენძის „ხელიანი“ საკინძი<sup>18</sup>.

ჩრდილო კავკასიის კერძოდ ყობანის სამაროვნიდან ცნობილია ხელის რამდენიმე გამოსახულება. ერთი მათგანი კარგად ფორმირებული და ცერგალუნულია, მეორე მცირე ზომისა და თითებმოხრილი. ერმიტაჟში ინახება ყობანშივე ნაპოვნი ხელის სამი გამოსახულება, რომელთაგან ერთი მაჯაზე ძაღლის ქანდაკებითაა წარმოდგენილი. ვ. ი. ტეხოვის აზრით ამ უკანასკნელის ანალოგიურია სამხრეთ ოსეთში თლის სამაროვანზე აღმოჩენილი ხელის გამოსახულება, რომელიც ძვ. წ. XII—XI საუკუნეებით თარიღდება<sup>19</sup>. ამგვარი გამოსახულება მაჯაზე უხეშად გამოკვეთილი ძაღლით დაცულია ვენისა და სენჯერმენის მუზეუმებში<sup>20</sup>. მსგავსი გამოსახულებები ცნობილია ლურისტანში<sup>21</sup>. სინტერესოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ლურისტანში აღმოჩენულ ხელს ყობანის კოლექციას უკავშირებს<sup>22</sup>. ხელის გამოსახულება მზისა (მარჯვნივ) და მთვარის (მარცხნივ) სიმბოლოებააა მიჩნეული. ზოგიერთი გამოკვლევების მიხედვით მარჯვენა მხარე ორნამენტში მზის ადგილად ითვლება, მარცხენა კი მთვარის ადგილად. ამ მხრივ საყურადღებოა მარის მოსაზრებაც, რომელიც მარჯვენა ხელს მზის სიმბოლოდ მიიჩნევს, მარცხენა ხელი კი მისი აზრით ღამის მნათობი, მთვარე, სტონური ღვთაებაა<sup>23</sup>. მნათობის ემბლემათა თანხლებით მოცემული ხელის გამოსახულება ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში ადრიდანვეა ცნობილი<sup>24</sup>. იგი ხშირად ორ მნათობს შუაა მოთავსებული, რაც მკვლევართა აზრით ერთხელ კიდევ ადასტურებს მის ღვთაებრივ მნიშვნელობას<sup>25</sup>.

გაშლილი ხელის მტევანი ძველ საქართველოში სიმტიციისა და უფლებების ნიშნად იყო მიჩნეული. როგორც ცნობილია, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ საქართველოში და განსაკუთრებით სომხეთში გავრცელდა მეტალის ხელის გამოსახულებები, როგორც რელიკვია, რომელიც ხალხის რწმენით, ამა

<sup>16</sup> ბ. ჯორჯიანი, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ერწოს ველზე. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია „მაცნე“, 1968, № 2, გვ. 223.

<sup>17</sup> გ. ლომთათიძე, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი „მაცნე“, 1964, 2, გვ. 105; ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, 1964, გვ. 122—124, სურ. 54; Некоторые моменты археологического исследования Урбниси, ВГМ, т. 24—В, 1963, стр. 37—40; მ. სინაურიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1966, გვ. 43, ტაბ. I.

<sup>18</sup> ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58, ტაბ. XV.

<sup>19</sup> В. Т е х о в, Очерки древней истории и Археологии Юго-Осетии, Тбилиси, 1971, стр. 165.

<sup>20</sup> Гр. У в а р о в а, Могильники северного Кавказа Осетия-Кобань, МАК, вып. VIII, 1900, стр. 15.

<sup>21</sup> Th. A s k e r m a n. Some Problems...

<sup>22</sup> Fr. H a r c â r. Caucasus-Luristan E3A, IX minus volume Helsinki გვ. 93—94 მითითებულია ვ. ბარდაველიძის და გ. ჩიტაიას ნაშრომის მიხედვით ქართული ხალხური ორნამენტი, გვ. 19.

<sup>23</sup> Н. Я. М а р р, Язык и письмо ИР, т. II, стр. 365.

<sup>24</sup> Th. A s k e r m a n, დასახ. ნაშრ., გვ. 838.

<sup>25</sup> Вс. И в а н о в, Об одном типе архаичных знаков искусства и пиктографии. Сб. Ранние формы искусства, М., 1972, стр. 123.



თუ იმ წმინდანის ნაწილი იყო. ფეოდალურ საქართველოში მეტად ცნობილი ყოფილა ესტატე მთაწმინდელის და ნაწილობრივ გიორგი კაპარცხელის „მარჯვენა“ (რელიკვია)<sup>26</sup>.

ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევის მიხედვით „ქელი“ ეწოდებოდა მიწაზე უფლების მაჩვენებელ მატერიალურ ნიშანს, მიწაზე უფლების აღსადგენად „ქელს ამართავდნენ“ ხოლმე, ხოლო ამ უფლების დამრღვეველი „ქელს მოგლეჯდა“. მაგრამ „ქელი“ ამავე დროს და ამავე საბუთებში თვით იმ უფლებასაც ეწოდებოდა, რომელსაც ეს მატერიალური ნიშანი გამოხატავდა<sup>27</sup>. „X—XI სს. გვხვდება სპეციალური ტერმინი „ქელი“, რომელიც მხოლოდ ქვაზე ამოჭრილ იურიდიულ ხასიათის საბუთების აღსანიშნავად იხმარებოდა<sup>28</sup>. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება რამდენიმე ქვა ძეგლი, რომლებზედაც გაშლილი ხელის მტევანია წარმოდგენილი. აგრეთვე კარგად ცნობილია ხელის გამოსახულება ქართულ მონუმენტალურ ძეგლებზე. საქართველოს მოგვიანო ხანის (XVI—XVIII სს.) საფლავის ქვებზე ჯვარი და ხელი ერთადაა გამოსახული. ხელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული ქართული ენის მონაცემების მიხედვით. იგი იარაღსაც, უფლებასაც, თანამდებობასაც და მრავალ სხვას აღნიშნავდა<sup>29</sup>.

ამრიგად, ხელის გამოსახულების ფართო გავრცელება გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად ხელი საკუთრების მაგიურ ნიშანს წარმოადგენდა, რომელიც შემდგომ ხელისუფლების სიმბოლოში გადაიზარდა. ამ ნიშნის გამოყენასთან დაკავშირებული მაგიური მოქმედება, ისე როგორც სხვადასხვა საკულტო ცერემონიალი ადამიანთა ცნობიერებაში სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებასთან იყო დაკავშირებული. ხელთან ერთად გამოხატული ცხენიც მიცვალებულის ცხენის განსახიერება და პირველის საკუთრებას გამოხატავს. ესეც ჩვენი აზრით, საკუთრების მაგიურ ნიშნად ხელის მიჩნევის თავისებური ფაქტია.

როგორც ქართული ეთნოგრაფიული მასალიდანაა ცნობილი ცხენს მიცვალებულის კულტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა<sup>30</sup>. ამ მხრივ საინტერესოა დოლი, რომელიც ამ დღეს სრულდება. ამ დოლში ცხენი აქტიურ როლს თამაშობდა. დოლისათვის, როგორც წესი, მიცვალებულის ცხენს იყენებდნენ. მიზანი ცხენის უზომოდ დაღლაში, ადრე კი მის სიკვდილამდე მიყვანაში მდგომარეობდა. გასვენების დღეს ცხენის უზომოდ დაღლა და ცოცხალ-მკვდარი ცხენის სახლში მიბრუნების ჩვეულება დამკვიდრებული ყოფილა ლატალშიც (საშა რომანის ასული გულედანი კვანჭიანისა 55 წლის, სოფ. ლატალი, მესტიის რ. 1973 წ.). დოლში მხოლოდ მამალ ცხენს იყენებდნენ, ჭაკი — დედალი ცხენის გამოყენება კი აკრძალული ყოფილა. ხევისურის შეხედულებით: „მკვდრისათვის, მეტადრე თუ ეს მკვდარი კარგი და თვალსაჩინო ვაჟკაცი იყო სულეთში ცხენი აუცილებლად საჭიროა; ამ ცხენზე ზის ვაჟკაცი და საიქიოსაკენ

<sup>26</sup> Л. М. Меликсет-Бек, Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии. Мასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბილისი, 1957, გვ. 111.

<sup>27</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, ნაწ. თბილისი, 1966 გვ. 135—249.

<sup>28</sup> ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1959, გვ. 66—93.

<sup>29</sup> ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>30</sup> დ. გოორჯაძე, Обряд «посвящения коня» у горцев Восточной Грузии, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI—XVII, თბილისი, 1972, გვ. 290.





გამგზავრებულს გზაში სულეები მიეგებება, საიქიოს ამბავს მოჰკითხავს... ჯერ ისევ დამარხვის დროს ვაჟაკს თუ ცხენი ჰყავს, შეკაზმული ცხენი გვერდით უნდა მიუყენონ: ხურჯინის ცალ მხარეში ჩაუდებენ ტიკით არაყს, მეორე მხარეში ჩაუწყობენ ქადებს. გარდა ამისა, მკვდარს ზედ აწყვია თავისი იარაღი — ხმალი, ხანჯალი, თოფი. გაკეთებული აქვს აშურმა. სასწრაფო, ერთი სიტყვით, შეიარაღებული, როგორც შორს წამსვლელი მგზავრი“. თუ კაცს ცხენი არ ჰყავდა სიცოცხლეში, მისი სულისათვის მაინც შოულობდნენ ცხენს.<sup>31</sup> სულის ცხენის გაყიდვა აკრძალული იყო ცხენის დაბერებამდე<sup>32</sup>. ჰადისის მასალების მიხედვით მიცვალებულის ცხენს შეკაზმავდნენ ყურებზე ანთებულ სანთლებს დააკრავდნენ (2) და მაჩუბში შეიყვანდნენ სანთლებს ოჯახის ვაჟიშვილი ან ოჯახის წევრი მამაკაცი აკრავდა (კატო გაბრიელის ასული გიგანი ქალდანისა, 80 წლის). მიცვალებულს სამჯერ გარს შემოატარებდნენ და მასთან ერთად აკურთხებდნენ. შემდეგ საფლავისაკენ მიმავალ სამგლოვიარო პროცესიას წაუმძღვარებდნენ ჰირსუფლებზე აღრე საფლავთან ცხენს მიიყვანდნენ და სამჯერ წადმა შემოატარებდნენ. მიცვალებულის დამარხვამდე ცხენი საფლავთან უნდა მდგარიყო. საფლავი ყველაზე ბოლოს ცხენს უნდა დაეტოვებინა. სახლში მობრუნების შემდეგ უნაგირსა და სანთლის ნარჩენებს მოხსნიდნენ. უნაგირის გაჩუქება ან გაყიდვა აკრძალული ყოფილა. ჩვენთვის საინტერესოა მიცვალებულის დღესასწაულის დროს შესრულებული მხედრის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით მიცვალებულის ცხენის განსახიერებაა.<sup>33</sup> მიცვალებულის კუთვნილი და მაგიური მნიშვნელობა ენიჭება თვით მხედრის გარეშე წარმოდგენილ ცხენსაც, რომელსაც შ. ამირანაშვილის განმარტებით, ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც ტოტემს, რელიგიურ-სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონია<sup>34</sup>. ამას ადასტურებს სხვადასხვა ხალხების ყოფაში დადასტურებული ცხენის შეწირვის ფაქტები<sup>35</sup>.

საქართველოში ამ წესის არსებობას განათხარი მასალით ეძებნება პარალელი<sup>36</sup>. „მიცვალებულთათვის ცხენის ჩატანების ფაქტები დასტურდება წინამურში, ღებში, მცხეთის რკინიგზის სადგურთან 1951 წელს აღმოჩენილ აკლდამაში, კლდეთში, ბორაში და სხვა. სამთავროში და ბორაში დამოწმებულია ცხენის ცალკე დასაფლავების შემთხვევა. იგივე სურათია ღების სამაროვანზედაც. ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის ჩვენთვის ცნობილ ზოგიერთ აღწერილობაში ყურადღებას იქცევს ცხენის დაღლის ფაქტის არსებობა შეწირვამდე, თუმცა რიტუალის ხასიათი არ არის ახსნილი, მაგრამ მკვლევართა აზრით მას ორი მომენტი უდევს საფუძვლად: მიცვალებულის პატივისცემა და

<sup>31</sup> ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940, გვ. 77.  
<sup>32</sup> ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1964, გვ. 232.  
<sup>33</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 67.  
<sup>34</sup> Ш. А м и р а н а ш в и л и, История грузинского искусства, т. I, Москва, 1950, стр. 42—43.  
<sup>35</sup> დ. გ ი ო რ გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 240—241.  
<sup>36</sup> რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები ლავოდების რაიონში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კავრთიანებული სესიის თეზისები.



სამსხვერპლო ცხოველის წვალეების გადმონაშთი.<sup>37</sup> მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული დოღი (ხევი, თუშეთი, ფშავი), ისე როგორც გასვენების დღეს ცხენის უზომოდ დაღლის სვანური ჩვეულება, ამ რიტუალის სახეშეცვლილი გამოხატულებაა, ხოლო სვანეთში დამოწმებული სანთელმოკიდებელი ცხენის საფლავთან მიყვანის ცერემონიალი, ვფიქრობთ, ცხენის მსხვერპლად შეწირვის ოდესღაც არსებული ჩვეულების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს. ამავე საკითხზე ყურადღებას იქცევს ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილი „ცხენის სამხთით დაყენება“, რაც ხატის სახელზე გაზრდილი ცხენის გაჩუქებაში გამოიხატებოდა. ამ ცხენისათვის ფაფარის კიბე-კიბე აჭრა აუცილებელი ყოფილა<sup>38</sup>. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ცხენის კულტი „თევდორობას“ უკავშირდება. თევდორობას, რომელიც ცხენის სალოცავად ითვლებოდა სამეგრელოში დიდმარხვის პირველი კვირის შაბათ საღამოს იხდიდნენ. ამ დღისათვის ს. მაკალათიას მასალების მიხედვით, ცხენის პატრონი აცხობდა ცხენის გამოსახულებიან ქანდაკებებს შეკვამულობით. ოჯახის უფროსი შამაკაცი წმინდა თევდორეს ცხენის გამრავლებასა და ნადირისაგან მათ დაცვას ევედრებოდა<sup>39</sup>. ანალოგიური რიტუალი რაჭაშიც მოწმდება<sup>40</sup>. ცხენის საკულტო მნიშვნელობასა და კერის კულტთან მის კავშირზე მიუთითებს აგრეთვე ცხენის გამოსახულება შვილის ლანთხებზეც<sup>41</sup>.

ცხენის კულტს მოწმობს არქეოლოგიური მასალა, კერძოდ სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილი ცხენისა თუ მხედრის გამოსახულება<sup>42</sup>, ქანდაკებანი (ყაზბეგი, ღები, ახალგორი, კლდეეთი, დაბლაგომი და სხვა)<sup>43</sup>. ამავე ასპექტში ყურადღებას იქცევს შენაქოს საკულტო კომპლექსში აღმოჩენილი ცხენის ქანდაკება<sup>44</sup>.

არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ ქართველ ტომებში ცხენის კულტი მზის კულტს უკავშირდება. ცნობილია, რომ წინა აზიის ხალხები ცხენის სახით თაყვანს სცემდნენ მითრა-მზეს, საძოვრებისა და ცხენების მფარველ ღვთაებას<sup>45</sup>. ცხენის როგორც მზის ღვთაების ჰელიოსისადმი შესაწირ ცხოველზე ქსენოფონტეც აღნიშნავს<sup>46</sup>. სტრაბონის ცნობით, სომხეთიდან სპარსეთში მითრას დღესასწაულისათვის ყოველწლიურად 20 000 კვიცი

<sup>37</sup> Н. Н. Велеская, О некоторых ритуальных явлениях языческой погребальной обрядности (К анализу сообщения Ибн-Фадлана о похоронах «русса»). История, культура, фольклор и этнография славянских народов. VI международный съезд славистов (Прага, 1968) М., 1968, стр. 198; შდრ. «Илиада», песнь XXIII... Трижды вокруг тела они долгогривых коней обогнали».

<sup>38</sup> ვ. სონღულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1964, გვ. 229.

<sup>39</sup> ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 310, 311.

<sup>40</sup> ა. სოხაძე, სოფ. ბარეულში 1948 წელს ჩაწერილი მასალა.

<sup>41</sup> მ. ჩართოლანი, სვანური სახლის აყარი (შვილი). აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 306.

<sup>42</sup> ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ზეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 36.

<sup>43</sup> ა. აფაქიძე, ვ. ვოზეჟიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე მცხეთა, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, 1955, გვ. 56.

<sup>44</sup> რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბილისი, 1973, გვ. 30.

<sup>45</sup> К. В. Тревер, Памятники греко-бактрийского искусства, М.-Л., 1940, стр. 92.

<sup>46</sup> შ. აპირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.



იზავნებოდა<sup>47</sup>. ამ მხრივ საინტერესოა ბიჭვინტაში აღმოჩენილი ტრაპეზუნტის მონეტების განძი ფანტასტიკური გამოსახულების სამი ნიმუშით რომელიც ნუმისმატ გ. დუნდუას განმარტებით მითრას კულტანაა დაკავშირებული. რადგან მისი კონცეფციის მიხედვით სხვანაირად არ შეიძლება იქნას კვალიფიცირებული სტილიზებული მანერით შესრულებული ტახტზე მჯდომი ცხენის გამოსახულება<sup>48</sup>. ჩვენი აზრით, ცხენის საკულტო ხასიათსა და მზისა და ცხენის კულტების კავშირზე მიუთითებს აგრეთვე ჩვენს მიერ განხილული



სურ. 6. ბაქტრიული ფილა (ძვ. წ. III-ს.). რეპროდუქცია წიგნიდან.

სკივრზე გამოსახულ ცხენის ფეხებთან მოცემული სოლარული ნიშანიც. ცხენის ფეხებთან ამოკვეთილი ანალოგიური ნიშანი — 8-ქიმიანი როზეტი მოცემულია ვერცხლის ბაქტრიულ ფილაზე, რომელიც ძვ. წ. III ს. თარიღდება (სურ. 6). ანალოგიური სიუჟეტის მინიატურული გამოსახულება გვხვდება სელევკიდურ მონეტებზე კერძოდ კი ანტიოქე II მონეტაზე (261—247 წწ.)<sup>49</sup>.

<sup>47</sup> თ. ყ ა ლ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1952, გვ. 31.

<sup>48</sup> გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა ბიჭვინტაში ძვ. წ. II ა. წ. VI სს. (ხელნაწერი) გვ. 84.

<sup>49</sup> К. В. Тр е в е р. Памятники греко-бактрийского искусства, М.-Л., 1960, стр. 37 и стр. 92, табл. 25—26.



სკივრის მხოლოდ გვერდი ზიგზაგისებური კლაკნილითაა შემკული, რომელიც გზის მიტოვებისას უნდა წარმოადგენდეს. ამგვარ სიმბოლოთა ანალოგიულობრივობა ნებად მიჩნევის რამდენიმე მაგალითი პალეოლითის პერიოდიდანაა (სურათი 10).

შეწირულ ნივთებზე გამოსახული ცხოველები რელიგიის ისტორიაში კარგად ცნობილი პრინციპის — შესაწირის სიმბოლოთი შეცვლის მაგალითს წარმოადგენს. ე. ი. მათ როგორც გამოკვლეულია „თვის ამ მსხვერპლის ადგილი ეჭირა“<sup>51</sup>. დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ადრე სვანურ ავეჯზე მოცემულ ამგვარ გამოსახულებებს ლიფანალში დახატულ ცხოველების მსგავსად, საფუძვლად მაგიური მხატვრობა უნდა დასდებოდა, რომელმაც შემდგომ დაპყარგა თავისი შინაარსი და ავეჯისა თუ სხვა ნივთების დეკორატიულ შემკულობად დარჩა.

ამრიგად, აქ წარმოდგენილი ავეჯის ზოგიერთი სახეობა ხასიათდება სხვადასხვა სიმბოლური ნიშნებითა და „ორნამენტული“ გამოსახულებებით, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთს ავსებს და ხშირად ასტრალური ნიშნების გარემოცვაშიაც ექცევა. ასეთი სიუჟეტური კომპოზიციები, ისე როგორც ხელის გამოსახულება, რომლებიც ავეჯს გარდა დედაბოძებზე და სვანურ ლეჭუნდრებზეც გვხვდება, უფრო მეტად გამოხატავს საგნის საგანგებო (საკრალურ) დანიშნულებას და მასში მოთავსებული დოვლათის ან გამოსახულების ხელშეუხებლობას. ზემოთქმული აშკარად უკავშირდება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ხელი ერთი მხრით, მაგიურ-პოთორპეული დანიშნულებისაა, ხოლო მეორე მხრით ძალისა და სიმტკიცის სიმბოლო.

აქ წარმოდგენილ მასალას, შესაძლოა ბევრი რამ დაემატოს, ხოლო, მეორე მხრივ ზოგი რამ სხვანაირად აიხსნას. არც ის არის უცილობელი, რომ ორნამენტის ყველა დასახლებული დეტალი, თუ კომპოზიცია ან სიუჟეტი ანალოგების ან მსგავსების გამო ერთი წყაროდან მომდინარედ ჩაითვალოს და ერთი რომელიმე გარკვეულ ეპოქით დათარიღდეს. როგორც დავინახეთ, მას სხვადასხვა ეპოქაში ეძებნება ბარალელი, რაც უდავოდ ძველ წარმართულ რელიგიურ-სიმბოლურ წარმოდგენის ღრმა ტრადიციას მოწმობს<sup>52</sup>. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ გამოსახულებათა გარკვეული ნაწილი, რომელიც ერთგვარ გენეტურ სიასლოვეს ამჟღავნებს ლიფანალში შესრულებულ ჭრელებთან, თავის მხრივ კავკასიის სხვა ხალხებში გავრცელებულ ამავე სიუჟეტის კვეთილობასთან პოვებს მსგავსებას. ეს მსგავსება მხოლოდ ისტორიული კონტაქტის შედეგი არ უნდა იყოს. იგი შესაძლოა ერთნაირი სამეურნეო ცხოვრების პირობებითაც აიხსნას, რომელთა გაუმჯობესებაზე ზრუნვამ და მასთან დაკავშირებულ ცერემონიალთა იდენტურობამ ერთნაირი სიმბოლოების შექმნა განაპირობა.

<sup>50</sup> ამგვარი ახსნა ეძებნება მაგ. პერმერლეში ცხენის ორ გამოსახულებას, რომელიც ხელის ორ გამოსახულებასთანაა მოცემული. A. Laming-Emperaire, La signification de L'art rupestre paleolithique, Paris, 1962, სტრ. 23, 413. იდენტური გამოსახულებები ცნობილია სხვა გამოქვაბულებიდანაც. Вяч. Иванов, Об одном типе архитектурных знаков искусства и пикетрафии. Ранние формы искусства. Сборник статей, Москва, 1972, стр. 110.

<sup>51</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 72.

<sup>52</sup> რ. დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბილისი, 1973, გვ. 32.



Резюме

В статье рассматривается один из древнейших видов народной мебели-деревянный ларь, хранящийся в церкви Спаса сел. Чажаша в Ушгуле (Сванетия).

Изучение ларя свидетельствует, что орнамент, нанесенный сванским резчиком, имеет свои характерные черты, заключающиеся в простоте и ясности композиции, где значительное место занимают основные элементы в виде расчлененных розеток. Не менее важное значение имеют изображения кисти руки и лошади, находящие параллель в сванском обрядовом графическом искусстве и указывающие на древность вышеприведенных элементов орнамента.





თ. ბერიძე

## თბილისის შემოგარენის ისტორიიდან (საქარველოს)

ქალაქ თბილისის უახლოესი უბანი სამხრეთით, იყო სეიდაბადი, ტერიტორიამ, რომელიც ამ სახელს ატარებდა რამდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება. მისი თავდაპირველი სახელი იყო—„ტფილისი“. შემდეგ სეიდაბადი, ხოლო სულ ბოლოს კი ხარფუხი.

საუკუნეების მანძილზე ადგილის სახელთა ასეთი ცვლა საქართველოს, კერძოდ თბილისს, თავსგადამხდარ ამბავთა გამოძახილია.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოსული მტერი ფეხის მოსაკიდებლად ქმნიდა კოლონიებს, ისიც ცნობილია, რომ მსგავსი კოლონიები იქმნებოდა მეზობელი სახელმწიფოდან ლტოლვილთა თუ ხიზანთა მიერ. ბევრმა ასეთმა ჩამოსახლებულმა ტომმა თავის თვითმყოფადობა შეინარჩუნა და დღევანდლამდე მოაღწია, ზოგი კი ადგილობრივ ხალხში აირია-გაითქვიფა, ასიმილირებულ იქნა. ისიც გარკვეულია რომ ესა თუ ის ადგილი თავის სახელს იღებდა ამა თუ იმ ხალხის სადაურობა-წარმომავლობის მიხედვით. თბილისი ქალაქობის პირველ საუკუნეებში სამი ნაწილისაგან — „ტფილისი, კალა და ისანი“ შედგებოდა<sup>1</sup>.

მოგვიანებით, თბილისის ამ შემადგენელი ნაწილების სახელებს მეორადი სახელები—სინონიმები გასჩენიათ. ვახუშტი საიმეამინდელი ქალაქ თბილისის აღწერისას გადმოგვცემს, რომ: „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას—ტფილისსა, ტფილისს—სეიდაბათს და ისანს—ავლაბარს, და ვარეთუბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი“<sup>2</sup>.

თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისის აღწერისას ამბობს, რომ „ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა იყო მცირეს სოფლებად დაყოფილი: ესე იგი:... სოფელი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა სეიდაბადის ბალები რომ არის იქ. ტფილს წყლებს ახლო. და იმ სოფელს ტფილისი რქმევია, და იქაც მცირედნი ქართველები მდგარან“<sup>3</sup>. როგორც ზემოთ მოტანილი ადგილებიდან ჩანს ვახუშტი და თეიმურაზ ბატონიშვილები ძველი თბილისის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილის „ტფილისის“ მეორე გვიან გაჩენილ სახელად სეიდაბადს ასახელებენ.

<sup>1</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1940, წ., გვ. 52.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 54.

<sup>3</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ტფილისისათვის, 1838 წ. ლენინგრადის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის აზიის ხალხთა განყოფილების ფ. E-86.

საუკუნეების მანძილზე ქალაქ თბილისის ტერიტორია ტოპოგრაფიულად დიდ ცვლილებებს განიცდიდა. რამდენადაც „მყარია“ ქალაქის ჩრ. დასავლეთი ნაწილი „ქალა“, იმდენად ცვალებადია ქალაქის მეორე უბანი „ტფილისის“ ტერიტორია. „ტფილისს“ უნდა კავებოდა მდ. წავკისის მარჯვენა ნაპირი, დღევანდელი „თათრების სასაფლაოსა“ და აბანოების უბნის ტერიტორია მდ. მტკვრამდე. შემდეგ კი, როცა ქალაქი თბილისი იქცა გაერთიანებული, ძლიერი, სახელმწიფოს საქართველოს დედაქალაქად, მისი ტერიტორიაც შესაბამისად უნდა გაზრდილიყო.

ქალაქის სამხ.-აღმოსავლეთ ტერიტორიას მიუღწევია აწ შემორჩენილი ძველი ქალაქის ე. წ. „განჯის კარამდე“. 1948 წ. „განჯის კართან“ წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ წარმოაჩინა XII—XIII საუკ. მდიდარი მასალა. „განჯის კარის“ მასალის სინქრონულია ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობისას (1937 წ.) აღმოჩენილი მასალაც. ამ ტერიტორიაზე შექმნევიით თუ საგანგებოდ აღმოჩენილი კერამიკული თუ ნუმისმატიკური მასალა XII—XIII საუკუნეებისა. XIII საუკუნიდან მოყოლებული საქართველო და მისი დედაქალაქი განიცდის დამანგრეველ შემოსევებს, რის გამოც ქალაქის ტერიტორია მცირდება. გამუდმებულ ნგრევას ქალაქის ტერიტორიის შემცირების გარდა, მოჰყვებოდა მკვიდრი მოსახლეობის გაწყვეტა, გახიზვნა და ტყვედ წასხმა, რასაც თან ერთვოდა, როგორც თვით ქალაქში, ასევე მის სანახებში ეთნოსის ცვლა.

ქალაქის ტერიტორიის შემცირების შემდეგ, მისი ძველი შემადგენელი უბანი—„ტფილისის“ ათხლებულა, ანდა გაუკაცრიელებულა და XVII საუკუნეში იგი უკვე თბილისის გარეუბანია—„სეიდაბადად“ წოდებული.

საიდან გაჩნდა თბილისის ტოპონიმში ეს უცხო სახელი? მივმართოთ ისევე ვახუშტი ბაგრატიონს: „აქ (ტფილისს—თ. ბ.) დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს...“.

ეს მომხდარა XVII საუკუნეში, როცა საქართველოს პოლიტიკური სიმძლავრე დიდხანია შერყეულია, ხოლო მისი დედაქალაქის თბილისის ეკონომიური და ტერიტორიული“ ზრდა-განვითარება დამცრობილი და შეჩერებულია. ამ დროს ქალაქის სამხრეთით მდებარე უბნის „ტფილისის“ მოსახლეობა, როგორც ვთქვით ან აყრილია, ანდა იმდენად ათხლებულია, რომ მის ტერიტორიაზე მაჰმადიანთა ტომის სეიდების დასახლება შესაძლებელი ყოფილა, რის გამოისობითაც ამ უბანმა თავის პირვანდელი სახელი დაკარგა და დაერქვა სეიდების უბანი, ანუ სეიდაბადი.

ეს მოხდა შაჰ-აბას I მემკვიდრის შაჰ-სეფის (1629—1642) დროს. ცნობილია რომ ჯერ კიდევ შაჰ-აბას I, რომელიც „საქართველოს მიმართ ყველაზედ თანმიმდევრული ყიზილბაში იყო. მისი მოღვაწეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში თურქმან-ყიზილბაში მომთაბარეთა მიერ ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპს მოასწავებდა“<sup>4</sup>. იგი გავრანებული ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე დასახლებდა თურქმანულ-ყიზილბაშური მოდგმის ტომებს. სეფიანთა შაჰების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ გატარებულ პოლიტიკაში მთავარი იყო ქართული ფეოდალური მიწის-მფლობელობის შეცვლა „ირანულ-ყიზილბაშურ მიწისმფლობელობით“.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 266.



„...შაჰ-აბასი ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში დიდი რაოდენობით სასახლებდა ყიზილბაშურ-ტომებს, რათა აქაური ქვეყნების ინტენსიური მეურნეობის ადგილზე ექსტენსიური მეურნეობის გავრცელება-დამყარებოდა ეკონომიური საწინდარი შეექმნა ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად შაჰ-აბასის მრავალჯნის ლაშქრობისა მან თავის საწადელს ვერ მიაღწია, ზღმოსავლეთ საქართველოში ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა ვერ შესცვალა „ირანულ-ყიზილბაშურ მიწისმფლობელობით“. შაჰის პოლიტიკას აგრძელებდა შაჰ-სეფი, რომელმაც „წესად აქცია ქართველი მეფის მაჰმადიანობა, რაც XVII ს. 30-იანი წლებიდან დაწყებული XVIII ს. 40-იან წლებამდე გავრძელდა“<sup>5</sup>.

პირველი ქართველი მაჰმადიანი მეფე იყო, ქართლის მეფის სიმონ I-ის ძმის დავითის (1562—1579) უკანონო შვილი ხოსრო-მირზა. მეფობაში როსტომის სახელით ცნობილი.

ხოსრო მირზა შაჰის კარზე დიდი გავლენით და ნდობით სარგებლობდა, მას „აქენდა ყულარადასობა ყეენისა, მოურაობა ისპაჰანისა და ნიჭვიდა ყეენი ურიცხვსა და უხმობდა მამად“<sup>6</sup>. როსტომის მეფობის (1632—1658) დროს ბევრი ქართული სამოხელეო სახელი შეიცვალა სპარსულით. როსტომს ქართლში წამოჰყვა ქართველ დიდებულთა მრავალრიცხოვანი ამაღლა. ვახუშტი გადმოგვცემს, რომ „ამა როსტომ მოიყვანს ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიად გამაჰმადიანებულნი...“ მართალია, ჩვენს ხელთ არსებული არც ერთი მატიაწე ამის შესახებ პირდაპირ ცნობას არ გვაწვდის, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ (ისევე ვახუშტიზე დაყრდნობით), რომ შაჰ-სეფის როსტომისათვის გამოეყოლებინა სეიდების მოდგმის ხალხიც, თბილისის მახლობლად დასასახლებლად. ეს უფრო პოლიტიკური აქტი იყო ვიდრე ეკონომიური. ქართლ-კახეთის მაჰმადიან მეფეს სატახტო ქალაქის ერთ-ერთ მისადგომთან დასაყრდენი უნდა ყოლოდა და ა. შ. ამის თაობაზე საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული პლ. იოსელიანს. „Очень вероятно, что Ростовъ, наименованный царем Грузии Шахомъ-Сефомъ, расположился на время въ виду Тифлиса и раскинута была на этой высоте палатка войска Шаха-Сефа, от имени которого и вся местность около бань въ Тифлисе занятая имъ, также получила название Сейдабада“.<sup>7</sup>

თბილისის ზღუდეს ექვსი კარი ჰქონდა დატანებული. აქედან ორი — „განჯისა“ და „აბანოსი“ სამხრეთ კედელში იყო გაჭრილი. აი სწორედ ამ მეორე კარის „აბანოს“ და ამავე სახელის მქონე ხიდის საშუალებით, რომელიც გადებული იყო წავკისის ხევზე, სეიდაბადი უკავშირდებოდა ქალაქს. აბანოს კარიდან გატანილი გზა დღეს ასეა წარმოსადგენი: აბანოების ქუჩა, ახუნდოვის ქუჩა, ტაგიზადეს ქუჩა (ყოფილი სურბ-სარქისის), სეიდაბადის მოედანი (ამჟამად ვანო ხუციშვილის სახელობის), შემდეგ ისევე ტაგიზადეს (დღეს ბოლნისის ქუჩა)<sup>8</sup>.

<sup>5</sup> ვ. გაბაშვილი, უნდილანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში, მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1972, გვ. 78, 83.

<sup>6</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინოვის გამოცემა, ტფ., 1854, გვ. 46.

<sup>7</sup> Пл. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Ахтала, Тиф., 1850, стр. 7.

<sup>8</sup> მ. ბერძენიშვილი, თბილისის კარეგანი სახე XVIII საუკ., 1966, გვ. 38.





პლ. იოსელიანი ქალაქის შვიდ კარს ასახელებს, აქედან პირველს „აბანოს კარს“, იგი „სეიდაბადისას“ უწოდებს: «Первая ворота от начала стены с одной стороны Тифлиса, имев овались Сейдагатскими»<sup>9</sup>.

XVIII საუკუნის შედგენილ დოკუმენტში „ქალაქის მოურავის სარგო“ ვკითხულობთ, რომ მოურავს: „§ 5. ქ. აბანოს კარზედ და განჯის კარზედ, თუ სხვის კარზედ, თუმანზე ხუთი შაური ბაჟი რომ ყოფილა, ოთხი შაური ბატონისა არის და ერთი შაური მოურავისა...“<sup>10</sup>.

„აბანოს ხიდის“ შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ჩვენში სამოგზაუროდ ჩამოსული გიულდენშტედტი (1772) „სონღალუდიდან თბილისს მოვალწიეთ განჯისკარით, რადგანაც აბანოს ხიდი ვატყვნილი იყო, ეს არის ამჟამად ჩვეულებრივი გზა, რომლითაც ქარავანი მოდის რადგან ხიდი აბანოს მდინარეზე მხოლოდ მსუბუქი კომუნიკაციისათვისაა განკუთვნილი“<sup>11</sup>, ე. ი. „აბანოს ხიდი „მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის და „მსუბუქი კომუნიკაციისათვის“ — ყოფილა განკუთვნილი.

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალი ქარავანი ქალაქში „განჯის კარით“ შედიოდა. „განჯის კარი“ „აბანოს კარის“ მალა, დასავლეთით, ქალაქის კედელში დატანებული იყო დაახლოებით იქ, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია<sup>12</sup>. ქალაქის კარის აქ არსებობაზე მიგვანიშნებს ბოტანიკურ ბაღის შესასვლელთან ამჟამად არსებული ხიდის ახლოს, წავკისის წყალში მდებარე ძველი ხიდის დედაბით ნაგები ბურჯების ნაშთები.

— როგორც ვნახეთ, ქალაქის სამხრეთ კედელში ორი კარია — „განჯის“ და „აბანოს“ დატანებული. ვახუშტი თბილისის აღწერისას მოგვითხრობს: „კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა და ჩამოზღუდვილი სალაღაკისკევი მტკვრამდე. სალაღაკის-კევის კარს უწოდებენ განჯის-კარად... მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდან ხიდის ყურამდე და მისცა სპარსთა“<sup>13</sup>.

მამასადამე, როსტომ მეფეს აუგია ქალაქის სამხრეთი ზღუდე, რომელიც ჩამოზღუდული იყო ციხიდან—ნარიყალიდან ხიდამდე. ახლა ძნელია იმის თქმა აქ მანამდე არსებული კედელი როსტომ მეფემ განაახლა თუ ახალი ააგო, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ნათელია, რომ ეს სამუშაო მისი მეფობის დროსაა ჩატარებული. მოტანილი მონაკვეთის მიხედვით ქალაქის სამხრეთ კედელში მხოლოდ ერთი კარია—„განჯის“, ვახუშტისეულ „თბილისის 1735 წლის გეგმაზეც“, მხოლოდ ერთი კარია—„განჯის“ (№ 76). მკვლევრის მიერ მეორე კარის არ მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ იგი გამიზნული იყო ქალაქის გარეუბანში — „სეიდაბადში“ გასასვლელად. პლ. იოსელიანი მას ხომ „სეიდაბადის კარს“ უწოდებს კიდევ. ამ კარის დანიშნულების მეორეხარისხოვნებაზე აკი გიულდენშტედტიც ლაპარაკობს.

მ. მესხია არაბი ისტორიკოსის ტაბარის (X ს.) ცნობაზე დაყრდნობით, ჩამოთვლის რა საიმჟამინდელ თბილისის ზღუდეში დატანებულ ხუთ კარს, აღნიშნავს, რომ აღნიშნული ხუთი კარიდან ორი — „კარის კარი“ და „მოედნის კარი“, დატანებული ჰქონია თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელს. „მოედნის

<sup>9</sup> Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, 1866, стр. 255—256.

<sup>10</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909, გვ. 523.

<sup>11</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962 წ., გვ. 85.

<sup>12</sup> მ. ბერძენიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკ., გვ. 37.

<sup>13</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 52.





კარი“, როგორც ირკვევა, ციხის მოედანს (შემდეგდროინდელ „თათრის მოედანში“) აკავშირებდა ძველ თბილისთან (შემდეგდროინდელ „აბანოების უბანში“). „კარის კარი“ სამხრეთ კედელში თბილისის უმთავრესი კარი იყო. იგი აკავშირებდა თბილისს სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქალაქებთან, მათ შორის ქალაქ კართან (ყარსთან), საიდანაც უნდა იყოს წარმოშობილი თვით ამ კარის სახელწოდებაც<sup>14</sup>.

აქედან ჩანს, რომ ძველთაგანვე თბილისის სამხრეთ კედელში დატანებული ორი კარიდან ერთი ადგილობრივი მნიშვნელობისაა, ხოლო მეორეს კი სატრანზიტო, საქალაქთაშორისო მნიშვნელობა ჰქონია. ვახუშტის მიერ ნათქვამი, რომ როსტომ მეფემ ქალაქი სამხრეთიდან შემოზღუდა ამ ძველი კედლის აღდგენაზე უნდა მიუთითებდეს და ტრადიციისამებრ, ძველად არსებული ორი კარი, ისევე იქ დაატანეს, ოღონდ სახელის შეცვლით. „კარის კარს“ დარქმევია — „განჯის კარი“ ხოლო „მოედნის კარს“ — „აბანოს კარი“.

გიულდენშტედტის ნაშრომში სახელ სეიდაბადს არ ვხვდებით, მაგრამ სამაგიეროდ მოგზაური გვაწვდის აღნიშნული უბნის მეორე სახელს. „...ადრე ქვედა გარეუბანი, აბანოების ქვევით იყო ქალაქი თბილის ქალაქი“<sup>15</sup>. ამგვარად, მოტანილი მონაკვეთიდან ვიგებთ, რომ სეიდაბადს „ქვედა გარეუბანი ეწოდებოდა“. მისი ტერიტორიის ერთ-ერთ ნაწილს, კერძოდ მის ჩრდილოეთით მდებარე წავკისის წყლის მახლობელ ნაწილს კი „აბანოს უბანი“. მოგზაური ცოტა ქვემოთ, „ქვედა გარეუბნის“ აღწერისას ამბობს „ქალაქის ქვემოთ, ახლოს მასთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არის თბილი წყაროები და მათთან საზოგადო აბანოები ორივე სქესისათვის. აბანოების ქვემოთ არის წინაქალაქი, გარეთუბანი, ან უფრო უკეთ ძველი თბილისი. ქალაქისა და გარეუბნის გარშემო არის მნიშვნელოვანი ვენახები და ხილის ბაღები, რომლებიც მდინარის ქვევით აღწევენ 5 ვერსამდე და პატარა წისქვილებისა და არხების საშუალებით ირწყვებიან მტკვრის წყლით. ბაღებთან და მათ ქვემოთ არის აგრეთვე ხორბლის პატარა ყანები“<sup>16</sup>.

მოტანილ მონაკვეთიდან ჩანს, რომ სეიდაბადის ბაღებს კარგა დიდი ფართობი ეკავათ.

ვახუშტის მიერ შედგენილი „თბილისის 1735 წ. გეგმის“ მიხედვით სეიდაბადი შემდეგნაირად შემოიფარგლება: ჩრდილოეთიდან—ქალაქის სამხრეთის ზღუდით და წავკისის ხევით, აღმოსავლეთიდან — მდ. მტკვრით, სამხრეთიდან—ქალაქის სამხრეთით — მდებარე ძველი ზღუდით (ე. წ. განჯისკარი) და დასავლეთით — თაბორის მთით.

ამავე გეგმის თანდართულ ექსპლიკაციაში სეიდაბადი ორჯერაა აღნიშნული. ერთხელ № 47-ით „ტფილისის ბაღი სეიდაბადის“, რომელიც გაშენებულია მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით, ხოლო მეორე აღნიშვნაა ქართული ასო—ი—თი—„სეიდაბადი ანუ ტფილისი“. თუ პირველი აღნიშვნა (№ 47) ბაღებს ეკუთვნოდა, მეორე აღნიშვნა (ი) საცხოვრისის აღმნიშვნელი უჯრედებით აქ მჭიდრო დასახლებაზე მიგვანიშნებს.

<sup>14</sup> შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 34.

<sup>15</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 87.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 89.



ვის ეკუთვნოდა სეიდაბადის ბალ-ბოსტნები?

ჩვენს ხელთ არსებული გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი გასამყარელო თუ ნასყიდობის სიგელ-გუჯრების მიხედვით სეიდაბადის ბაღების მფლობელები იყვნენ: ქალაქის მელიქი დარჩია<sup>17</sup>, თავადი სუმბათაშვილები, მირიან მირიანოვი, „მეფოს კარის“ თათრულის წიგნის: მწერალი: მირზა ალა ლარაში“. სეიდაბადის ბაღების მესაკუთრენი, გარდა თბილისის მცხოვრებლებისა იყვნენ—კრწანისელები<sup>18</sup> და ბევრი სხვა.

გარდა ხეხილის ბაღებისა სეიდაბადში ზვრებიც ყოფილა გაშენებული. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის 1790 წ. შედგენილი ერთ-ერთი ნასყიდობის სიგელი, სადაც ვხვდებით ასეთ სიტყვებს: „ტავარ<sup>19</sup> ქვევრითა“ და „მარან საწნახლითა“.

სეიდაბადის ბაღები ირწყვებოდა მდ. მტკვრისა და წავკისის წყლის საშუალებით, საიდანაც საგანგებოდ გატანილი იყო სარწყავი რუები. საბუთებში გვხვდება ბაღი: „...თავის შესავალი გასავლითა თავის ჩარხითა და რუსმულითა“.

1800 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე დატანილია მდ. წავკისიდან საგანგებოდ გატანილი სარწყავი არხი, «Ровъ водяной для пущения по садам воды».


სეიდაბადში სარწყავი არხებისა და რუების გარდა, ბაღებთან მოწყობილი ყოფილა საგანგებოდ გაჭრილი წყლის რეზერვუარი-საგუბარიც და აუზიც:—„ბაღები თავის საგუბრით“<sup>20</sup>, „ეს ბაღი თავისის აუზისა და სოლაღაის წყლის რაშათით“. არხებიდან წყლის ხმარება წესისა და რიგის მიხედვით ყოფილა. თითოეულ ბაღს თავის მისაგდები წყალი ჰქონია, რომლის ხმარებაც მკაცრი ნომენკლატურით ხდებოდა. ამიტომ ძველი მეპატრონე ბაღის გაყიდვის დროს მყიდველს — ახალ მეპატრონეს საგანგებოდ აფრთხილებს და არკვევს თავისი ბაღის მორწყვის განრიგში: „...ეს ჩემი ბაღი თავისის ნიშნებითა და თავისის სამძღურითა და თავისის წყლითა როგორც ყულავც ამას წინათ გქონდათ წყალი ყველამ თავისის რიგითა და თავისი ანგარიშითა. ისე უნდა ყველამ თავისი რიგით წყალი წაიღოს, ორი დღე ბარაბასია, ოთხი დღე ბექანასია, სამი ჩვენ ორთავე ძმის არის, ეს წყლები რომ არის ყველამ თავისი წილი უნდა წაიღოს...“<sup>21</sup> მკაცრად აფრთხილებს მამულის გამყიდველი მყიდველს.

XVIII საუკ. (1784—1790) შედგენილ „ქალაქის მოურავის სარგოს“ მიხედვით, ქალაქის მოურავს ქალაქისპირა მდებარე ბაღებიდან ყოველწლიურად აღებულ ჰორნახულიდან თავისი წილი ერგებოდა. საბუთში ქალაქის შემოგარენის დასახელებულ ბაღებს შორის სეიდაბადიცაა ნახსენები: „ქ. ქალაქის მოურავს ქალაქის ბაღებმა უნდა მოართვან... მოკრეფილი ხილი... ყოველის ბაღებიდამ... სეიდაბადიდამ“...<sup>22</sup>.

XVIII საუკუნეში შედგენილ საბუთებში სეიდაბადის ბაღებში საცხოვრი-

<sup>17</sup> საქართველოს სიძველენი, 1910, ტ., III, გვ. 383—384.  
<sup>18</sup> საქართველოს სსრ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, კოლექცია 1450, დავთარი 52, საქმე № 136, იქვე, კოლექცია 1448, საქმე № 7307, 557.  
<sup>19</sup> ტავარი ახლად დაწურვილის ტყბილის ჩასადინარი აუზი საწნახლის ქვეშ, ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961 წ.  
<sup>20</sup> საქართველოს სსრ ცსსა, კოლექცია 1449, საქმე № 477.  
<sup>21</sup> საქართველოს სსრ ცსსა, იქვე.  
<sup>22</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965 წ. გვ. 496.





სის — ბინების მისანიმნებელი რამდენიმე ცნობა გვხვდება. ბაღებთან ერთად მოხსენიებულია სიტყვა „ტახტი“. ჩვენს ხელთ არსებულ რამდენიმე დოკუმენტში გვხვდება ასეთი ადგილი „ამ ბაღს ქვევით ტახტი“ (1771)<sup>24</sup>, „ამ ბაღს ქვევით რა სამი ტახტი“<sup>25</sup>. ვ. ბერიძის აზრით „ტახტი“ ნაგებობას უნდა ნიშნავდეს და თუ ეს ასეა მაშინ ვამოდის რომ ბაღებში რაღაც შენობაც მდგარა. გვაქვს ასეთი საბუთიც: „ქ. ოთახი გავაკეთე თავის დერეფნით...“ (1753 წ.)<sup>26</sup> „ამ ბაღში შენობა ჩავაგდევო...“ (1756 წ.)<sup>27</sup>.

„სეიდაბადში რომ საბოსტენ ალაგი აქვთ... ამის გარდა სხვა რაც მამულები აქუსთ აბანო დაბახან სეიდაბათში სახლები თუ ქოხები და იქავ სეიდაბათში დუქნები“<sup>28</sup> (1817).

სეიდაბადის ბაღები შემოფარგლულია საგანგებოდ ნაშენი კედლითა და გალავნით, ბაღ-ბოსტნის შემოსარაგავად ძეძვსაც იყენებდნენ<sup>29</sup>.

უკვე ვთქვით, რომ სეიდაბადი სპეციალურ ლიტერატურაში XVIII—XIX საუკუნეში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით რამდენჯერმე გვხვდება.

ვახუშტი, კონსტანტინე (მაჰმად-ყულიხანი) კახთა მეფის მიერ ქართლისა და კერძოდ თბილისის აოხრებასთან და აღებასთან დაკავშირებით (1722) სეიდაბადს რამდენჯერმე ახსენებს.

თელეთთან ბრძოლაში გამარჯვებული ბაქარი თბილისასაკენ მოდის. უკან მომავალს გზაში „კახ-ლევნი და ყიზილბაშნი“ დახვდნენ. მომხდურებს ბაქარი შეუტევს, ნაწილს ამოსწყვეტს, ხოლო გადარჩენილნი „ლტოლვილნი შევიდნენ სეიდაბადსა შინა: ხოლო ბაქარ მოვიდა ტფილისს“. შემდეგ მოვლენები სწრაფად ვითარდებიან. ბაქარი ღამე თავს დაესხმის თაბორის ციხეს და იკავებს მას. სეიდაბადს თავშეფარებული მაჰმად-ყული ხანი დილით კონტრშეტევაზე გადადის და თაბორის ციხეს ისევე იკავებს, მერე თაბორის ციხე ისევე ბაქარს უპყრია. ლტოლვილი კონსტანტინე ახალი ჯარის საშოვნელად კახეთს მიდის, „ხოლო მეფე მოადგა სეიდაბადითაჲ ციხეს და დამშიგდა ფრიად... მერმე მოვიდნენ და მოერთვნენ მეფესა ყოველნი წარჩინებულნი კახნი სეიდაბადსა შინა“<sup>30</sup>. შემდეგ რაც მოხდა საყოველთაოდ ცნობილია. კონსტანტინე მაჰმად-ყული ხან დაქირავებული ლეკთა ჯარით შემოუტევს (უკვე მერამდენიმეჯერ) თბილისს და იმარჯვებს. დამარცხებული ქართლის მეფე ვახტანგ VI სტოვებს საქართველოს ფარგლებს.

დამოწმებული ადგილებიდან ისე ჩანს, რომ სეიდაბადს ქალაქის სამხრეთ მისადგომთან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი უკავია. აქ მზადდება და აქედან იწყება ქალაქის ერთ-ერთი ფორ-პოსტის თაბორის ციხეზე შეტევითი ოპერაციები, ასევე სეიდაბადის დაკავებით დაცულია თბილისზე და თაბორზე მისასვლელი გზა.

<sup>24</sup> საქართველოს სსრ ცსსა, კოლექცია 1450, დავთარი 33, საქმე № 281.

<sup>25</sup> საქართველოს სსრ ცსსა, კოლექცია 1450, დავთარი 56, საქმე № 144.

<sup>26</sup> საქართველოს სსრ ცსსა, კოლექცია 1450, დავთარი 53, საქმე № 136.

<sup>27</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, ტ. I, ობ., 1938, გვ. 34.

<sup>28</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 26.

<sup>29</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 30, 39, 40, 45.

<sup>30</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ქართლის ცხოვრება დ. ჩუბინოვის გამოცემა, ტვ., 1854, გვ. 84.

სეხნია ჩხეიძე 1722 წლის ამბების თხრობისას აღნიშნავს: „ავლადის მხრიდან გამოვიდა კახი ბატონი და დადგა სეიდაბადსა და გასდევნიდი ხალვათ გარსა ბოლოს, დაიჭირეს თაბორი“<sup>31</sup> ამის შემდეგ თაბორის ხე დაიკავა ვახტანგ VI, ხოლო მერე ისევ მაჰმად-ყული ხანმაო“ წერს ს. ჩხეიძე.

ომან ხერხეულიძე კი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „მივიდა მეფე მაჰმად-ყული ხან მახლობელი ტფილისისა სეიდაბადში, სადაცა განვიდა მეფე ვახტანგ, ეწყო და აოტა მაჰმად-ყულისხან და წარვიდა მეოტი. გარნა არა ინება დაყოვნება ღროისა. არამედ მასვე ჯამსა მეოტი განვიდა ჭარში, შემოიჭობინა ჭარელნი და განიზარუნა სპანი, კვალად მოვიდა მეორედ სეიდაბადში და განვიდა მეფე ვახტანგცა, ეწყვნენ ურთიერთთა, გარნა ივლტოდა მეფე ვახტანგ და არღარა შეიქცა ტფილისად — არამედ წარვიდა ზემოქართლს ხოლო მაჰმად-ყულიხან შემოვიდა ტფილისს და დასჯდა მეფედ ბრძანებათა შაჰ-თამაზისათა“<sup>32</sup>.

1632 წლიდან პირველი ქართველი მეფე, რომელიც ქრისტიანული წესით ეკურთხა იყო თეიმურაზ II, ეს მოხდა 1744 წელს. ირანის შაჰმა ნადირმა თეიმურაზ II ქართლის მეფედ დაამტკიცა, ხოლო მისი ძე ერეკლე კი კახეთის მეფედ.

მამა-შვილი „ტირილით გაეყარნენ ერთმანერთსა“ მეფე ერეკლე II თავის საგამგებლო ქვეყანას კახეთს წაბრძანდა, ხოლო მეფე თეიმურაზ II—კი „მობრძანდა ქალაქს იმ ღამეს იდგა სეიდაბადში“<sup>33</sup>. მოგვიტხრობს პაპუნა ორბელიანი.

აჯი-ჩალაბის შვილისა და განჯის ხანის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ მეფე ერეკლე II და თეიმურაზ II ქართლში ბრუნდებიან, სოღანლულში გაჩერებული მეფეები ყაზან-ბორჩალუს ამბებს აგვარებენ. შემდეგ: „დაიბარეს ხუთად-ბეგ განჯის ხანის დის-წული, რომელი იყო ქალაქს თბილისს მზევლად, გაისტუმრეს განჯას და შემობრძანდნენ ქალაქს, ჩამოხდნენ სეიდაბადში, გაიხადეს ფეხთ ორთავ მეფეთა და სულ ქართველთა და კახთა დარბაისელთ, პატრიარხი ანტონი სამღვდელთ დასით წინ წამოუძღვა და ევრე მობძანდნენ სიონს ეკლესიაში და სამადლობელი პარაკლისი გარდაიხადეს“<sup>34</sup>.

პაპუნა ორბელიანი თბილისს სეიდაბადისაგან არა ყოფს. იგი ამბობს „შემობრძანდნენ ქალაქს, ჩამოხდნენ სეიდაბადში“.

სეიდაბადს კიდევ ერთხელ ვხვდებით თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომში. ისტორიკოსი მოგვითხრობს 1795 წელს სექტემბრის თვეში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ამბებს „ხოლო დღესა სამშაბათსა, ია-სა, რიცხვსა ენკენის-თვსა (რომელ არს სეკდემბერი) განვიდა თვთ მეფე ყოვლითა მხედრობითა თვისითა ბრძოლად სპარსთა და დაადგინა მხედრობანი თვისნი დასასრულსა სვეიდაბადს ბალთასა (რომელსა სეიდაბათს უხმობენ), დაადგინა და განჰყენა იგინი ხუთ ნაწილად: ა. მარჯვენსა მხარესა დაადგინა შვილისშვილი — მეფის

<sup>31</sup> სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913 წ., გვ. 36.

<sup>32</sup> ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი II, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913 წ., გვ. 141—142.

<sup>33</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ესე ქართლისანი, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913 წ., გვ. 92.

<sup>34</sup> პაპუნა ორბელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 201.



ქე დავით, რომელიცა ზემოთ გზით ტფილისად შევალს და გზასა მას შეეყრება იან გზანი სოლოლაკისა და ტაბახმელისანი და ეგრეთვე სეიდაბათსა საშვალ-ცა გარდმოვლის ბორჩაყალისა კერძ მუნით გზად იწრო და შეეყრებოდეს იგნცაჲნი ქვემოსა გზასა ტფილისისასა“<sup>35</sup>.

მოტანილი მონაკვეთიდან ირკვევა, რომ მეფე ერეკლეს ჯარი სეიდაბადის ბაღის ბოლოს დაუბანაკებია, ხოლო როგორც ცნობილია ერეკლე მეფემ ალა-მაჰმად ხანს ბრძოლა გაუმართა კრწანისის ველზე, მამასადამე სეიდაბადის ბაღებს იქით იწყებოდა, კრწანისის ველი. ასევე ირკვევა, რომ ერეკლე მეფემ თავისი შვილიშვილს ჩააბარა მეტად საპასუხისმგებლო პუნქტი, კერძოდ თბილისში შემავალი გზის—„ზემოთას“ დაცვა, რომელსაც უერთდებოდა კიდევ ორი გზა—სოლოლაკისა და ტაბახმელასი.

ამ გზებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ. იმ შემთხვევაში თუ მტერი მათ ხელში ჩაიგდებდა, მას გზა ეხსნებოდა ქალაქისაკენ. ალალ, მოგვითხრობს თეიმურაზ ბაგრატიონი „ტფილისის ციხით სეიდაბადის გარდამოსავალთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერა უძლონ შემოსვლა ტფილისს...“<sup>36</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სეიდაბადის გვიანი სახელია ხარფუხი. თაბორის მთის აღმოსავლეთ კალთას ხარფუხი ეწოდებოდა. ეს სიტყვა სომხურია. ადგილმა აღნიშნული სახელი მიიღო თაბორის მთის ძირში, გორხანის ახლოს (თათრების სასაფლაო) მდგარი საკულტო დანიშნულების მქონე ქვის გამოი-სობით, რომელზეც ხატი იყო მისვენებული. ხარფუხი სომხურ ენაზე ნიშნავს სურდოს.

ხარფუხი XIX საუკუნეში სოფლად იხსენიება. ზუსტად ამ სოფლის გა-ჩენის, წარმოშობის დრო არაა ცნობილი. სავარაუდოდ იგი ალბათ წარმოიქმ-ნა XVIII საუკ. დასასრულს და XIX საუკ. დასაწყისში.

ხარფუხს როგორც სოფელს დიდხანს არ უარსებია. საქართველოს მთა-ვარმართებლის გენერალ ერმოლოვის დროს (1816—1827), კერძოდ 1819 წ. იგი ქალაქ თბილისს შეუერთეს.

თბილისის სახ. ისტორიულ არქივში დაცულია საბუთი, სადაც ლაპარაკია სოფ. ხარფუხის ქალაქთან მიერთებაზე. ესაა სამოქალაქო გუბერნატორის მო-ვალეობის შემსრულებლის გენერალ-მაიორ ხოვენის მიმართვა, მთავარმარტე-ბელ ერმოლოვისადმი. აქედან ვიგებთ, რომ ხარფუხი 1811 წელს თბილისის საქალაქო პოლიციისადმია დაქვემდებარებული. 1819 წლისთვის სოფ. ხარ-ფუხში 34 კომლი სახლობს (143 სული). იმასთან დაკავშირებით, რომ სოფ. ხარფუხი თავშესაფარია უდოკუმენტო პირთათვის, და ასევე აქ უცხოეთიდან ჩამოსულთ მოაქვთ საქონელი, რომლის შესახებაც პოლიციამ არაფერი იცის, ამიტომ შემდგომში ამ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა რომ სოფ. ხარფუხი შეუერთდეს ქალაქ თბილისს. სოფ. ხარფუხის ქალაქთან შეერ-თების შემდეგ ხარფუხელებს რჩებოდათ შემდეგი მოვალეობანი: ზაფხულო-ბით უნდა გამოეყვანათ ლეკთა წინააღმდეგ ერთი ყარაული და ყოველთვიუ-რად 5 მანეთი ვერცხლით გადაეხადათ კახაკთა პოსტისათვის განკუთვნილი ცხენის შესანახად<sup>37</sup>.

<sup>35</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბაგრატიონის ისტორია, 1972 წ. გვ. 33—34.

<sup>36</sup> ი ქ ვ ე, გვ. 37.

<sup>37</sup> საქართველოს სსრ ცსსა, ფონდი 7, აღწერა 1, საქმე № 826.

აღნიშნული წლის (1819) 15 მარტს მთავარმართებელი ერმოლოვი ხოვე-  
ნისადმი საპასუხო წერილში თანხმობას აცხადებს სოფ. ხარფუხის ქალაქთან  
შეერთებაზე. ოღონდ იგივე პირობით რა პირობებიც წამოყენებული ჰქონდა  
ხოვენს, ასევე ხარფუხელები თავისუფლებდნენ ყოველგვარი საქალაქო  
გამოსაღებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ხარფუხი 1819 წელს თბილისს შეუერთდა, იგი  
რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩვენს ხელთ არსებული მომდევნო  
ხანის თბილისის გეგმებზე (1843, 1859 წწ.)<sup>38</sup> სოფლად მოიხსენიება. ისიც აღ-  
სანიშნავია რომ სოფ. ხარფუხს ძველი სახელით სეიდაბადითაც იხსენიებენ  
(1828 წ.) ხოლმე.

ე. ვეიდანაუმი, რომელმაც მეფისნაცვალის (დონდუკოვ-კორსაკოვის) (1882—  
1894) დავალებით შეადგინა კავკასიის გზამკვლევი, სეიდაბადის შესახებ წერდა:  
«Поселение около источниковъ или бань, бывший древний Тбилиси, назы-  
валось Сеидъ-абадъ, т. е. по татарски «городъ сеидовъ». Это название, сохра-  
нившееся до ныне, вошло в употребление со времени владычества над Гру-  
зией и Тифлисом шаха Сефи, поселившаго около бань въ крепости на горе  
Таборъ, мусульманскихъ сеидовъ»<sup>39</sup>. ისე რომ XIX საუკ. 80-იან წლებშიც ხარ-  
ფუხს სეიდაბადს უწოდებდნენ.

რა მატერიალური კულტურის ძეგლები იყო და არის სეიდაბადის ხარ-  
ფუხის ტერიტორიაზე. ამ საკითხის დადგენაში გვეხმარებიან, როგორც წერი-  
ლობითი წყაროები, ასევე XVIII—XIX საუკუნეების ქალაქ თბილისის რუკე-  
ბი და გეგმები.

ამჟამად შემორჩენილია მიწისზედა ნაგებობები; ქალაქის სამხრეთ-აღმო-  
საღვლეთით ძვ. ზღუდის ნაშთები, სურბ-სარქისის ეკლესიის კედლები, და წმ.  
ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესია.

ქალაქის ძვ. ზღუდის ნაშთები, მდებარეობს „300 არაგველის“ სახელო-  
ბის ბაღის სამხრეთით ე. წ. „საზამთროს ბაღებს“ მახლობლად (ამჟამინდელი  
ქუმისიაშვილის სახელობის ქუჩის ბოლოს და თბილისის 75-ე საშუალო სკო-  
ლასთან). კედელი ნაგებია ქვითა და აგურით. ზღუდის თითოეული ქვა მოთავ-  
სებულია ქართული აგურისაგან სავანგებოდ შეკრულ ჩარჩოში. შემორჩენილი  
კედლის ნაწილს ო. ჯაფარიძე მისასადაგებელ მასალაზე დაყრდნობით XVII—  
XVIII საუკუნეებით ათარიღებს<sup>40</sup>.

როგორც გ. ლომთათიძე გადმოგვცემს ამ ადგილს სავარაუდოდ „განჯის-  
კარი“ უწოდეს<sup>41</sup>. აღნიშნულ ძეგლზე და აქ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასა-  
ლაზე ჩვენ არ შეეჩერდებით, რადგანაც მასზე დაწვრილებით ლაპარაკი აქვთ  
დამოწმებულ ავტორებს.

1800 წელს თბილისის გეგმის შემდგენელს — ჩუიკოს ქალაქის აღნიშნული  
კედელთან წარწერა აქვს: «Развалинное крепостное строение Халатхан назы-  
ваемое ...»<sup>42</sup> შ. მესხია Халат-хан-ს, ორი სიტყვის ნაზავად მიიჩნევს. პირველი სი-

<sup>38</sup> ЦГВИА, ф. ВУА, д. 22663, 22666.

<sup>39</sup> Е. Вейданбаумъ, Путеводитель по Кавказу.

<sup>40</sup> ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მა-  
სალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955, გვ. 90.

<sup>41</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, მასალები  
საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955, გვ. 124.

<sup>42</sup> ЦГВИА, ф. ВУА, д. 22660.



ტყვა მას განმარტებული აქვს, როგორც ქართული ხალა-ხალამი — პირფართო თიხის ჭურჭელი, ხოლო მეორე კი სპარსული — خاخ სახლი, ე. ი. ჭურჭლის ქსევილი. შ. მესხია აქ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოხილული მასალაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „ექსპედიციამ გამოავლინა თიხის ჭურჭლეულობის გამოსაწვავი 6 „ქართული ქურა“. ამრიგად, არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, რომ XII—XIII საუკუნეების თბილისის ამ უბანში თავმოყრილი იყვნენ თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატები და ამიტომაც ამ უბანს ძველად „ხალანხანას უწოდებდნენ“<sup>43</sup>. აღნიშნულ გეგმაზე (1800 წ.) «Халатхан»-ის მოშორებით, სამხრეთით „ჩანადერის“ ხევი — «Балка Чанадерис хеви», რომლის დასავლეთით წყაროა «Родник». ამ ხევში დღესაცაა წყარო, და აქ მაცხოვრებელი ხარფუხელები თავიანთ თავს „წყაროს უბნელებს“ უწოდებენ. გეგმაზე დატანილ სახელ «Чанадери»-ში ორი სიტყვაა მოცემული, იგი თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს წყლის — ან წყლიან ხევს — (چای) — წყალი چره — ხევი<sup>44</sup>. გეგმაზე აღნიშნულია ცხელი და ცივი წყლის წყაროები, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ აქ არსებული აბანოებისათვის №№ 71, 72, 73, 74. აბანოები განლაგებულია წავკისის წყლის მახლობლად. აქვე ქვის ხიდი — Каменный мост. ამ ხიდთან ერთდებდა ორი გზა — წამოსული განჯის კარიდან № 19 და აბანოს კარიდან. № 20. ქვის ხიდი გადებული ყოფილა სურბ-სარქისის ხევზე. ხევის სამხრეთით ეკლესია — Армянская церковь святого Сергия. სწორედ ამ ეკლესიის სახელს ატარებდა ხევიც. სეიდაბადის ბალებს რწყავდა საგანგებოდ გაჭრილი თხრილი, რომელიც წყალს მდ. წავკისიდან იღებდა. «Ровь водяной для пушания по садам воды» ბალებს ორად დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად ჰყოფს განჯის გზა, რომელიც ზემოთ აღნიშნული სურბ-სარქისის ხევზე გადებული ქვის ხიდისაკენ მოემართება. გზას წარწერა აქვს: «Ганжинская дорога на кого сходят дороги от многих персидских городов сия дорога и из Анадолии». განჯის გზას დასავლეთიდან ერთვის — «Дорсга в деревню Табахмель». აღსანიშნავია, რომ ამ ძველი გზის ადგილზე დღეს მდებარე ქუჩა „ტაბახმელის“ სახელს ატარებს. და როგორც დღევანდელმა აქაურმა მაცხოვრებლებმა გადმოგვცეს დღესაც ტაბახმელელნი ქალაქში რძისა და მაწვნის გასასყიდად აღნიშნული გზით დადიან.

ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე „სეიდაბადის ბალების ბოლოს ხევს იქით, სამხრეთ-აღმოსავლეთით № 48-ით დატანილი აქვს შემოზღუდული პუნქტი. ზღუდეში თითქოსდა რაღაც შენობაც უნდა იდგეს. ამ ადგილს ეწოდება „ხალათ-კარი (მ. ბერიძის მიხედვით), ხოლო ვ. ბერიძის წაკითხვით „სალათ გარი“<sup>45</sup>. „ხალათკარი“ და „სალათ გარი“-ც დღეს გაუგებარი შინაარსის მატარებელი სიტყვებია. ამ გაუგებრობის გარკვევაში გვეხმარება სეხნია ჩხეიძე.

უკვე ვთქვით, რომ სეიდაბადს მდგომი მაჰმად-ყული ხანი გადის „ხალვათ გარსა ბოლოს“. აქ იგი ვასდებს ხიდს და დაიკავენს თაბორს. ისტორიკოსი ზუსტად არას ამბობს თუ სად მდებარეობდა „ხალვათ გარსი“. კონტექსტიდან ცნობილია, რომ იგი სეიდაბადშია, ანდა მის მახლობლადაა, ხოლო რაც შეეხე-

<sup>43</sup> დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 143—144.

<sup>44</sup> შეიძლება ამ სიტყვაში ქართული სახაღინარეც დაინახოთ.

<sup>45</sup> „ანალები“, ტ. I, 1947, გვ. 135.





ბა სიტყვის შინაარს იგი ასეთია: „ხალვათ გარ“-ი სპარსული სიტყვაა, იგი რომ სიტყვისაგან შედგება. პირველი **خاو** —(ხალვათ)—ნიშნავს—განმარტოებულს, ცალკე მდგომ შენობას, მეორე კი **گارت** —(გარ)—სადგურს, გასაჩერებელ ადგილს. ე. ი. ხალვათ გარი (**گارت جاوات**) ნიშნავს: განცალკევებულ, ცალკე მდგომ, ანდა ცარიელ სადგომს.

მოვიხმოთ ისევ ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმა“, სადაც სეიდაბადის ბაღის ბოლოს № 48-ით აღნიშნულ შემოზღუდულ პუნქტს ხალათ კარი. თუ სალათ-გარი ეწოდება. მოტანილ სიტყვებში პირველი ნაწილი ხალათ-სალათ შინაარსობლივად გაურკვეველია, მეორე ნაწილი კი (გარ.) ვ. ბერიძისეული უფრო მიესადაგება სეხნია ჩხეიძისეულ „ხალვათ გარას“, რაც როგორც აღვნიშნეთ ცალკე მდგომ სადგურს ნიშნავს. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ამბავიც, რომ მოგვიანო ხანის, XIX ს. თბილისის რუკებზე და გეგმებზე ამ ადგილზე დგას — **Таможня**—საბაჟო—სადგური<sup>46</sup>. საბაჟოს მახლობლად მდინარე მტკვარზე 1850 წელს ძველი ხიდის „კახეთის“ ადგილას ააგეს (არქიტ. რაისი) ახალი ხიდი, რომელსაც მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პატივსაცემად „ვორონცოვისა“ უწოდეს. შემდეგ, მას მსაცაკონოვის ხიდს უწოდებდნენ. პლ. იოსელიანი ამის შესახებ გადმოგვცემს: «Мост Кахетинский (კახეთის ხიდი) он существовал там же, где в 1850 году построен новый деревянный тифлисским гражданином Мнацакановым».<sup>47</sup>

სეიდაბადში, ამჟამინდელ ი. გრიშაშვილის ქუჩაზე იდგა სურბ-სარქისის საზ. სომხურ-გრიგორიანული ეკლესია. დღეს, ამ ეკლესიის რამდენიმე კედელია შემორჩენილი. კედელზე გვიანი ხანის საცხოვრებელი ოთახია დაშენებული.

წლებონ მელიქსეთ-ბეგის მიერ გამოქვეყნებულ დ. კარიჭაშვილის კატალოგში დაცულია სურბ-სარქისის ეკლესიის აშენების დრო და აშენებლის ვინაობა. „აბანოების ხიდს გაღმა, დიდის შარავზის აღმართის ასავალის დასრულებამდე, არის სხვადასხვა შენობა და სადგომები და მათ შორის ეკლესია წმინდისა სარგისისა. ეკლესია ესე არს აღმშენებელი ტფილისის მეშვიდედ მუხლად აღწერილისა ახალშენისა ნორაშენის ეკლესიის შინა დეკანოზის ტერ-სუქიაზისაგან წლისა 1737. ამასვე ეკლესიასა შინა არის ნაწილი წმინდისა სარგისისა სასწაულთა მოქმედი და დღესასწაულობენ დღესა ამა წმინდისასა მეზვერისა და ფარისევლის გვარის შაბათსა დღესა, და მივლენ მას შინა ფრიადი სიმრავლე ერისა და უმეტეს დედათა სიმრავლე“<sup>48</sup>.

აწინდელ შემორჩენილ ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში, ჩასმულ მარმარილოს ფილაზე ორენოვანი—ქართული და სომხური წარწერაა: „აღვაშენე და შეეწირე ოთახი ესე წმინდის სურბ-სარქისის ეკლესიისათვის თელავის მოქალაქე იავორ არუთინას ძე ოსკანოვა მოსახსენებლად სულის და მშობლებისა ჩემისა“. იგივეა სომხურ ენაზე. სომხურ წარწერაში თარიღია 1883.

მეორე ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც დგას სეიდაბადში, არის წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებული ბერძნული ეკლესია. იგი გუმბათიანი ეკლესიაა, აგურით ნაგები. ეკლესია დგას ი. გრიშაშვილისა და ეფრემ მცირეს სა-

<sup>46</sup> დღესაც ძველი ხარფუხელები ამ ადგილს „დამოვნისა“ უწოდებენ.

<sup>47</sup> Пл. Иоселиани, Описание древностей, стр. 257.

<sup>48</sup> ლეონ მელიქსეთ-ბეგის, მასალები თბილისისა და „სომხეთის“ სიძველეთა ისტორიისათვის, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, ტ. I, გვ. 93.





ხელობის ქუჩებს შორის, მომადლო ადგილას. ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში ჩასმულ ფილაზე არსებულ წარწერებიდან ვიგებთ ტაძრის აგების დროს.

აღმოსავლეთ კედელზე ფასადზე, კარის მაღლა რუსულ და ქართულ ენაზე წერია: «Храмъ Воиня св. Чудов: Царств: Импе: Нико: I-го при Намест. кн: Воронцо: и при: Экзар: Исидоре: попечениемъ: Благодч: Протопер: Василия: Андриясоно хонче: При Импе: Алекса: Нико I-го 1856г.» მის გვერდით ქართულად წერია: „ტაძარი ესე წმიდის საკვრველთ-მოქმედისა დაწყებული 1846-სა წელსა მეფობასა იმპერატორის ნიკოლოზისა პირველისა ნამესტნიკობისა ვორონცოვისასა და ექსარხოსისასა არჩიებისკობისასა (...) ქმნა 1854 წელსა შენებასა იმპერატორის ალექსანდრე მეორისასა: საზოგადოებისა შეწირული საფასითა შეკრებილითა დეკანოზისა და ბლალოჩინია: ვასილ ანდრიანსაგნითა“.

დასავლეთ კედელზე, კარის მაღლა რუსულ-ბერძნული წარწერაა. რუსული წარწერა: «Храмъ гречес. во имя Чудотв. Николая. соор. 1853 г. въ царств. Императора Николая I-го при Наместнике К. Воронцова и экзарха Исидоре попечением. Благодч. Протопер. Василия Андрианова». ამას მოსდევს ბერძნული წარწერა, რომელიც რუსულის იდენტურია.

როგორც ვხედავთ ეკლესიაზე არსებული წარწერებში ძეგლის აგების სხვადასხვა თარიღია, ქართულში 1854, რუსულში (აღმ. კედ.)—1856, მეორე რუსულ წარწერაში 1853 წ. (დასავლეთი კედელი). დღეს ეკლესია გაუქმებულია (შიგ მოთავსებულია „საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო კომბინატის მექანიკური საამქრო“).

ეკლესიის ეზოში რადენიმე საფლავია. ერთ-ერთი საფლავის ქვაზე არის ეპიტაფია: «Личный почетный гражданин Николай Алексеевич Гуляев (Кти-торъ сей церкви 13 апр. 1864 г. 8 янв. 1913 г...).

აღნიშნული ეპიტაფიიდან ვიგებთ რომ ეკლესიის აღმშენებელი (ქტიტორი ეტყობა ხელმეორედ) ყოფილა საპატიო მოქალაქე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გულიაევი.

ახლა რაც შეეხება აბანოებს. სეიდაბადის ჩრდილოეთ რაიონს წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, პატარა ლოკალურ ადგილს აბანოების უბანი ერქვა და ამჟამადაც ასე მოიხსენიებენ თბილისის ძველი მოსახლეობა. თვით ქალაქის სახელის წარმოშობის ლეგენდაც ამ ცხელ წყაროებთანა დაკავშირებული. ძველად უცხო თუ შინაური მტერი თუ მოყვარე ქალაქში შემოსავლისთანავე მიაშურებდა საქვეყნოდ განთქმულ თბილისურ გოგირდოვან აბანოებს, რომელთა შესახებაც ჩვენში მყოფ არც ერთ მოგზაურს, არ დაუშურებია შესაქები სიტყვა. იბნ-ჰაუკალი (X ს.), იაკუთი — (XIII ს.), ალ-ბაქუვი (XV ს), ევლია ჩელები (XVII), ისქანდერ მუნში (XVII), ვასილ გაგარა (XVII) და სხვ.

მოგზაურნი თბილისში რამდენიმე ათეულ აბანოს ასახელებენ. XIX საუკუნეებში მათი რიცხვი 6-მდე შემცირებულია.

ამგვარად, ერთიანი საქართველოს სიძლიერის ხანაში (XII—XIII სს.) ძველი ქალაქის შემადგენელი ნაწილის—„ტფილისის“ (მდებარეობდა წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე) ტერიტორია, სამხრეთ-აღმოსავლეთით გაზრდილა. 1948 წ. აქ წარმოებული („განჯის-კარი“) არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალით იგი სახელოსნო უბანია.





ქალაქის გარეუბანია. აქ გაშენებული ბაღ-ბოსტნეებით იგი ქალაქის სასოფლო-სამეურნეო უბანია, რომელიც ქალაქის ბაზარს აწვდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ამ ტერიტორიაზე „სეიდაბადის“ გვერდით ჩნდება მისი მეორე სახელი „ხარფუხი“.

Т. П. БЕРИДЗЕ

## К ИСТОРИИ ОКРЕСТНОСТЕЙ ГОРОДА ТБИЛИСИ

(Сеидабад)

Резюме

В период могущества Грузии (XII—XIII вв.) часть территории древнего города Тбилиси, имевшая одноименное название (т. е. «Тфилиси») и расположенная на правом берегу Цавкисис-Цкали, увеличилась в юго-восточном направлении. Судя по материалам археологических раскопок, производившихся (возле «Ганджис-Кари») в 1948 г., этот район в указанную эпоху считался ремесленным.

В дальнейшем в результате неоднократных нашествий внешних врагов «Тфилиси» приходит в упадок или вообще пустеет. Территория же города сокращается.

В XVII в. правитель Ирана Шах-Сефи (1629—1642 гг.) заселяет этот район племенем сеидов, в результате чего «Тфилиси» (подразумевается район города) теряет свое первоначальное наименование и называется с указанного времени Сеидабад.

Ранние источники ничего не сообщали об указанной части города. Судя же по специальной литературе и письменным источникам XVIII в., этот район является уже окрестностью города. Расположенные здесь сады и огороды придают ему характер пригорода, откуда город снабжался сельскохозяйственными продуктами. С конца XVIII и начала XIX вв. у этого района существует параллельно уже два названия «Сеидабад» и «Харпухи».

---

ა. გუგუშვიანი

ა. ფოთისა და ს. საჭილაოს სახერხი ქარხნების  
მუშათა გაფიცვები 1913 წ.

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერიაში დაიწყო სტოლიპინის რეაქცია. რეაქციის წლებში მეფის თვითმპყრობელობა მუშათა კლასს ართმევდა იმ მონაპოვარს, რაც მან 1905 წლის რევოლუციის დროს ბრძოლით მოიპოვა. რუსეთთან ერთად საქართველოს სამრეწველო საწარმოები კრიზისმა მოიცვა. ზედისედი იხურებოდა ან მცირდებოდა რიგი საწარმოები. ფაბრიკა-ქარხნებიდან გამოძევებულმა მუშებმა უმუშევართა უზარმაზარი არმია შექმნეს. საწარმოთა მეტატრონიები პირველ რიგში რევოლუციურად განწყობილ, აქტიურ და შეგნებულ მუშებს ერეკებოდნენ სამუშაოდან.

1907 წ. ქ. ბათუმის სამრეწველო საწარმოთა შემცირების გამო მუშათა დიდი ნაწილი სამუშაოს გარეშე დარჩა. მუშების რევოლუციური გამოსვლებით შეშინებული საფაბრიკო ინსპექცია ხელისუფლებას იმით ამშვიდებდა, რომ გარეთ დარჩენილ მუშებს ახალ სამუშაოს გამოუძებნიდნენ. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო სახერხი ქარხანა, რომელიც სადგურ ნატანებთან შენდებოდა. ტყეში სამუშაოებისათვის საჭირო 600—800 მუშის რაოდენობა და სახერხ ქარხანაში მომუშავე 40—50 მუშის ადგილი მხოლოდ ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების ყოფილი მუშების რიცხვით უნდა შეესებულყო!

ცხადია, მეფის ხელისუფლებას სრულიადაც არ აინტერესებდა სამუშაოს გარეთ დარჩენილი მუშების მწარე ბედი. მიზანი ერთი იყო: მუშების განცალკევების გზით დაექსაქსათ შეგნებული, მოწინავე მუშების ერთიანობა და ამით დაესუსტებინათ რევოლუციური ძალები. მათ მხედველობიდან გამორჩათ ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ რევოლუციურად განწყობილი მოწინავე მუშების გაძევებით და მათი გაგზავნით სხვა სამუშაოზე — ამჯერად ხე-ტყის დამამუშავებელ საწარმოში — რევოლუციის ნაპერწკალი ქვეყნის შიგნით უფრო ღრმად შეჰქონდათ. ისინი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ როგორც ქარხნის მუშებზე, ასევე ხე-ტყის სეზონური სამუშაოებით დაკავებულ მრავალრიცხოვან გლეხობაზე. მოწინავე იდეების უშუალო გავლენით მუშებისა და გლეხების უფრო ფართო ნაწილი აქტიურად ებმებოდა საერთო საგაფიცვო მოძრაობაში და მომავალი ბრძოლებისათვის ირახმებოდა.

რეაქციის წლებში როგორც ყველგან, ასევე ქ. ფოთის ხე-ტყის სახერხი

<sup>1</sup> უკრაინის ცსიპა, ქ. ხარკოვის ფილიალი, ფ. 834, ან. 818, საქმე 166, ფურც. 5.





ქარხნის მუშების მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. ქარხნის მეპატრონენი ხელიდან აცილდნენ მუშებს იმ მცირე უფლებებსაც კი, რაც მათ ჯერ კიდევ უერჩენოდათ. ისინი მუშებს ყოველგვარი მიზეზის გარეშე სამუშაოდან აცილებდნენ. გაზეთი „მომავალი“ ამის შესახებ წერდა: „მუშების დაქსაქსვამ და მათში გამეფებულმა დეზორგანიზაციამ ხაზინებს ფრთა შეასხა და ამრიგად მუშების მიღება-დათხოვნის უფლება ხელიდან გამოსტაცეს მუშებს. შედეგი მეტად სამწუხაროა: სრულიად შეუგნებელი მუშა იჭერს, ასე თუ ისე შეკავშირებულ მუშის ადგილს... ალებს განუზრახავთ მოსპონ სრულიად ყოველივე შეგნება მუშებში და ამ მიზნით გაზეთის წაკითხვისათვისაც კი ითხოვენ მუშებს“<sup>2</sup>.

მრეწველები და საფაბრიკო ინსპექცია ყოველ ღონეს მიმართავდნენ მუშათა ერთიანობის დასაშლელად, მაგრამ მუშათა გაერთიანებას საყოველთაო რევოლუციური ბრძოლისათვის უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა.

1910 წლიდან საქართველოში დაიწყო მრეწველობის გამოცოცხლება-აღმავლობა. ამას თან მოჰყვა მუშათა რიგების შეკვრა, შემკიდროვება და მომდევნო წლებში საგაფიცვო მოძრაობის ზრდა. მუშათა საგაფიცვო მოძრაობა, რომლის სწორად წარმართვაში დიდ როლს ასრულებდნენ ხელმძღვანელი ბოლშევიკური ორგანიზაციები, განსაკუთრებით 1912—1913 წლებში გაფართოვდა.

მუშათა მძლავრმა გაფიცებმა მრავალი მსხვილი საწარმო მოიცვა, მათ შორის ხის დამამუშავებელი სამრეწველო საწარმოები. 1913 წ. სექტემბერ-ოქტომბერში გაიფიცნენ ქ. ფოთისა და სენაკის მაზრაში მდებარე სოფ. საჭილაოს სახერხი ქარხნის მუშები. 19 სექტემბერს უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი პეტერბურგში მრეწველობის განყოფილებას დეპეშით ატყობინებდა: „გუშინ ფოთსა და საჭილაოში, სბროიავაკის სახერხ ქარხნებში გაიფიცა ყველა 558 მუშა. თხოულობენ ხელფასის 25%-ით გადიდებას, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას და მრავალ შეღავათებს. მუშები მოსალაპარაკებლად არ გამოცხადდნენ“<sup>3</sup>.

ორივე ქარხნის მუშების გაფიცვის დაწყებისთანავე საქმეში აქტიურად ჩაერია საფაბრიკო ინსპექცია, რომელიც დეპეშით უკავშირდებოდა პეტერბურგში მრეწველობის განყოფილებას და აწვდიდა ცნობებს მუშათა მოძრაობის მსვლელობისა და მდგომარეობის შესახებ. რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად რუსეთის ხელისუფლება თანდათანობით აფართოვდა საფაბრიკო ინსპექციის მოქმედების არეს. ფაქტიურად საფაბრიკო ინსპექტორი გაფიცვის ჩახშობის აქტიურ იარაღს წარმოადგენდა. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა „საფაბრიკო საწარმოებზე მეთვალყურეობის სფეროს გაფართოება მუდამ კვალდაკვალ მისდევდა მუშათა მოძრაობისა და მუშათა გაფიცვების გაფართოებას“<sup>4</sup>.

საფაბრიკო ინსპექციას ოფიციალურად ევალბოდა: ფაბრიკა-ქარხნების მუშაობაზე მეთვალყურეობა, საფაბრიკო კანონმდებლობის სწორად შესრულებისათვის თვალყურის დევნება, სამრეწველო საწარმოებში გაფიცვის მიზეზების გამოვლენა, მეფაბრიკეთა და მუშებს შორის უთანხმოების მშვიდობიან-

<sup>2</sup> გაზ. „მომავალი“, 1909 წ. № 99.  
<sup>3</sup> უკრაინის ცსია, ქ. ხარკოვის ფილიალი, ფ. 834, საქ. 346, ფ. 123.  
<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოც. IV, ტ. 2, 1954, გვ. 361.



ნად მოგვარება, ფაბრიკა-ქარხნების მოქმედების შესახებ, სტატისტიკური ცნობების შეკრება-გადასინჯვა და სხვა. ოფიციალურად მის ძირითად მოვალეობას შეადგენდა ზომების მიღება მეფაბრიკეთა და მუშებს შორის მფსალოდნელი დავისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წარმოშობილ უთანხმოების ადგილზე გამორკვევისა და ორივე მხარის მშვიდობიანად მორიგების გზით.

არსებითად საფაბრიკო ინსპექტორი პოლიციის ფუნქციებს ასრულებდა: მას არ უნდა დაეშვა გაფიცვები, მოეხდინა მათი ლიკვიდაცია, სასამართლოში მიეცა სამუშაოდან თვითნებურად წასული მუშები და ა. შ. ვ. ი. ლენინი წერდა: „საფაბრიკო ინსპექტორები სავსებით ემორჩილებიან ფინანსთა სამინისტროს, რომელიც მათ მეფაბრიკეების დამქაშებად ხდის, აიძულებს მათ პოლიციას აცნობონ ხოლმე გაფიცვებისა და მღელვარების შესახებ, აიძულებს მათ დევენონ მუშები ფაბრიკიდან წასვლისათვის... ერთი სიტყვით, საფაბრიკო ინსპექტორებს რაღაც პოლიციის მსახურებად, რაღაც საფაბრიკო ურიადნიკებად აქცევენ“<sup>5</sup>.

ზემოთ აღნიშნული სახერხი ქარხნების მუშათა გაფიცვის დაწყებისთანავე საფაბრიკო ინსპექცია ადგილზე გაჩნდა. მუშათა გაფიცვებს ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. მის სწორად წარმართვაში ბოლშევიკური ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. ინსპექტორი ახსიათებდა რა შექმნილ მდგომარეობას, აცხადებდა: „ყველა მონაცემებით გაფიცვა ძირითადად გამოწვეულია გარედან მოსული ელემენტების აგიტაციის შედეგად“<sup>6</sup>.

როგორც ქ. ფოთში, ასევე სოფელ საჭილაოში მდებარე სახერხი ქარხნები, სადაც მუშათა გაფიცვებმა ერთდროულად იფეთქეს, 1911 წლიდან იტალიის კომპანიას ეკუთვნოდა. აქ მოქმედებდა „ვენეციაში კავკასიის ტყის შემტანი ფირმა“, რომელსაც გრაფები ლუიჯი და ატილიო სბროიავაკები განაგებდნენ. კომპანია მნიშვნელოვან ფულად სახსრებს ფლობდა და მოკლე ხანში საქმიანობა ფართოდ გაშალა. ქარხნები განახლდა და ახალი ტიპის მანქანადანადგარებით შეივსო. კომპანიამ საექსპლოატაციო ტყე სვანეთში შეიძინა და შავი ზღვის სანაპიროზე ხე-ტყის გამოსატანად მნიშვნელოვანი ხარჯები გაიღო, სოფ. საჭილაოში — სბროიავაკებმა გააფართოეს ი. ლ. ოქრომჭედლიშვილის (ი. ლ. სერებრიაკოვის) ყოფილი ქარხანა და ახლებურად მოაწყეს. ქარხანა ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა: სამანქანო—სადაც 300 ცხენის ძალა მოქმედებდა; სახერხი—რომელშიც 13 დაზგა (ჩარჩოიანი) იდგა; ყუთების დამამზადებელი განყოფილება და სახელოსნო. ნორმალური მუშაობის დროს ქარხანაში უნდა ემუშავა 320 კაცს, ტყეში ხე-ტყის დამზადებაზე—დაახლოებით 1000 კაცს. ქარხანას 24 საათის განმავლობაში შეეძლო ემუშავა, რადგან საკუთარი ელექტროსადგური გააჩნდა. ქარხნის წლიური წარმოება 75000 კუბ. მეტრ მასალას შეადგენდა ანუ 150—200 ათას ცალ 6-არშინიან მორს. მდინარიდან მორების ამოსაღებად ელექტროელევატორი მოქმედებდა. ძირითადი მაგისტრალიდან ქარხანაში შედიოდა რკინიგზა<sup>7</sup>. ასეთივე უნდა ყოფილიყო ქ. ფოთის სახერხი ქარხანა, მხოლოდ შედარებით მცირე. იქ მუშათა რაოდენობაც ცოტათი ნაკლები იყო, ვიდრე ს. საჭილაოს ქარხანაში. მიუხედა-

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოც. IV, ტ. 2, 1954 წ. გვ. 362.  
<sup>6</sup> უკრაინის ცნია, ქ. ხარკოვის ფილიალი, ფ. 834, საქმე 346, ფურც. 24.  
<sup>7</sup> А. А. Долгушин, Леса Закавказья и их эксплуатация, Т. 1924г. стр. 71.



ვად მნიშვნელოვანი რაოდენობით კაპიტალის დაბანდებისა, სახერხი ქარხნების წარმოების დონე 1913 წლისათვის სახარბიელო არ იყო. ამას მრავალი მიზეზი მოეპოვებოდა. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ის საერთო მიზეზები, რაც საბოლოოდ უცხოელ კაპიტალისტთა მიერ დაწყებული წარმოების კრახს იწვევდა. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი სწრაფი მოგების სურვილით შეპყრობილნი ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ პირობებს, მხარისათვის დამახასიათებელ თვისებებს ასეთივე მდგომარეობა იყო სბროიავაკის საწარმოებშიც, გაფიცვის ადგილიდან საფაბრიკო ინსპექტორი იტყობინებოდა: „მიმდინარე წელს მარტო ფოთის ქარხანაში 15 ვაგონამდე რაოდენობის წუნდებული საქონელი დაამზადეს. ადმინისტრაციას მხოლოდ იტალიელები შეადგენენ. მათ არ იციან ადგილობრივი ენა და ჩვეულებები, რასაც მუშებთან დამოკიდებულებაში ხშირი გაუგებრობა მოსდევს...“<sup>8</sup>. ქარხნების მეპატრონე თავისი ზარალის ანაზღაურებას მუშების ექსპლოატაციის გაზრდის ხარჯზე ითვალისწინებდა. ასეთი პირობები იყო როცა 1913 წ. 17 სექტემბერს გაფიცვამ იფეთქა ქ. ფოთის სახერხ ქარხანაში. მეორე დღეს, 18 სექტემბერს გაიფიცნენ ს. საჭილაოს ქარხნის მუშებიც.

ორივე ქარხნის მუშებმა წარადგინეს დაახლოებით ერთნაირი 25 პუნქტისაგან შედგენილი მოთხოვნები. ისინი მოითხოვდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის დაწყებას, წინასწარ განსაზღვრული შესვენების საათების დაცვის გათვალისწინებით. გარდა ამისა, მუშების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს შორის მთავარი ის იყო, რომ მათ მოითხოვეს ქარხანაში მუშების მამასახლისთა ინსტიტუტის დაწყება. ქარხნის მეპატრონეს არ უნდა ჰქონოდა მუშის სამუშაოდან განთავისუფლების უფლება, თუ ამის შესახებ მუშათა მამასახლისს წინასწარ არ აცნობებდა და მისგან აღნიშნულ საკითხზე შესაბამის თანხმობას არ მიიღებდა. საყურადღებოა აგრეთვე ს. საჭილაოს ქარხნის მუშათა ერთ-ერთი მოთხოვნა. „მუშაობის დაწყება, შესვენება და დამთავრება წესრიგდება ქარხნის ადმინისტრაციის მიერ მუშათა კომისიასთან ერთად“<sup>9</sup>. იმავე ქარხნის მუშების მოთხოვნათა შემდეგი პუნქტი ასეთია:“ ვაგონებზე მომუშავეთა მოიჯარადრის გადაყენება და იმავე პირობებით, როგორც აქვთ მოიჯარადრებს, სამუშაოს გადაცემა უშუალოდ მუშებისათვის“<sup>10</sup>. მუშათა დანარჩენი მოთხოვნები ითვალისწინებდა გარდა 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებისა ხელფასის მომატებას, ქარხნის მეპატრონის ხარჯზე უფასო მკურნალობის შემოღებას, უკანონო ჯარიმების, ზედმეტი მუშაობის მოსპობას ქარხნის ადმინისტრაციისაგან ზრდილობიან მოპყრობას, მუშაობის ჰიგიენური პირობების დაცვას, მოზარდებისათვის 16 წლამდე მუშაობის აკრძალვას, დასვენებისა და წინასააღდესასწაულო სამუშაო დღის 1/2 საათით შემცირებას, თვეში ორჯერ ხელფასის დარიგებას. გაფიცვის გამო არავინ არ უნდა დასჯილიყო. ს. საჭილაოს ქარხნის მუშები მოითხოვდნენ მეტაბელე კურსკის განთავისუფლებას.

თუმცა ადგილობრივი ხელისუფალნი (ქუთაისის გუბერნატორი, საფაბრიკო ინსპექტორი...) ცდილობდნენ, რომ გაფიცვებისათვის მხოლოდ უბრალო ეკონომიური ხასიათის გამოსვლების მნიშვნელობა მიეცათ, მაგრამ სინამდვი-

<sup>8</sup> უკრაინის ცსია, ქ. ხარკოვის ფილალი..., ფ. 834, საქ. 346, გვ. 125.

<sup>9</sup> სსსია, ფ. 13, ან. 30, საქ. 77, ფურც. 4.

<sup>10</sup> იქვე.



ლეში საქმე ასე არ იყო. როგორც მუშათა მოთხოვნებიდან და გაფიცვის მიმდინარეობიდან ჩანს, გაფიცვა მხოლოდ ვიწრო ეკონომიური ხასიათს არ ჰქონდა. როგორც დავინახეთ მუშები შეეცადნენ ბრძოლით მოეპოვებინათ არა მარტო მცირედი ეკონომიური გაუმჯობესება, არამედ გარკვეულ საკითხებში შეეზღუდათ ქარხნის ადმინისტრაციის მოქმედება და იგი მუშათა კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ.

საფაბრიკო ინსპექციის ყოველგვარი ცდის მიუხედავად, სახერხ ქარხნებში მუშათა გაფიცვები არ წყდებოდა. ქარხნების მფლობელმა თავდაპირველად მოლაპარაკება დააპირა ქ. ფოთის ქარხნის მუშებთან. მუშები წამოყენებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას მოითხოვდნენ, მეპატრონეს კი მათი შესრულება არ სურდა. გაფიცვა კვლავ გრძელდებოდა.

სოფ. საჭილაოს ქარხნის მუშებმა პირველებმა შეწყვიტეს გაფიცვა 30 სექტემბერს. მუშათა მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: 1) მუშებს მოემატათ ხელფასი 15%-ით; 2) სამუშაო დღე შაბათობითა და დღესასწაულების წინა დღეს 1/2 საათით შემცირდა; 3) გარე ქარხნის სამუშაოებით დაკავებულ მუშებს დაურვიდათ საწვინძარი მოსასხამები; 4) სიით გამოძახების ნაცვლად შემოიღეს ნომრები<sup>11</sup>.

საფაბრიკო-ინსპექცია თითოეულ საწარმოზე, სადაც გაფიცვა ხდებოდა ადგენდა განსაკუთრებულ სტატისტიკურ ბარათს, რომელშიც მოცემული საწარმოს შესახებ ფრიად საყურადღებო მონაცემები შედიოდა. ამგვარი ბარათის მიხედვით ს. საჭილაოს სახერხი ქარხნის მუშათა რაოდენობა 312 კაცს შეადგენდა. გაფიცვა მთლიანად 312 მუშა. გაფიცვის ხანგრძლივობა — 9,5 დღე (18 სექტემბრიდან — 30 სექტემბრამდე), დაკარგული სამუშაო დღეების რიცხვი — 2964, ქარხნის წარმოება დაახლოებით 20 000 მანეთით შემცირდა, პოლიციამ დააპატიმრა 3 კაცი.

უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა ქ. ფოთის სახერხი ქარხნის მუშების გაფიცვა, რომელიც 23 ოქტომბრამდე გაგრძელდა. ქარხნის შესახებ შედგენილი სტატისტიკური ბარათის მიხედვით მუშათა რაოდენობა 246 კაცს შეადგენდა. გაფიცვაში ყველამ მიიღო მონაწილეობა. გაფიცვის ხანგრძლივობა შეადგენდა 29,5 სამუშაო დღეს (17 სექტემბრიდან — 23 ოქტომბრამდე) დაკარგული სამუშაო დღეების რიცხვი — 7257. ქარხნის წარმოება 40 000 მ. შემცირდა პოლიციამ დააპატიმრა 5 კაცი<sup>12</sup>.

ქ. ფოთის აღნიშნული ქარხნის მუშათა მოთხოვნები ქარხნის ადმინისტრაციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მუშებმა მიადწიეს: ხელფასის მომატებას 10—15%-დღე, ჯარიმების მოხსნას, მცირეწლოვანთა მუშაობის აკრძალვას, საექიმო დახმარებას მრეწველობის ხარჯზე, საავადმყოფო სალაროების ახალი არჩევნების მოწყობას და სხვა<sup>13</sup>.

გაფიცვის დამთავრების შემდეგ მთავრობამ დააპატიმრა რამდენიმე აქტიური მუშა, ზოგიერთ მათგანზე კი მკაცრი მეთვალყურეობა დააწესეს. პატიმარ მუშებს ჩამოართვეს პასპორტები და ეტაპის წესით გაგზავნეს იმ ადგილებში, სადაც ისინი იყვნენ მიწერილი<sup>14</sup>.

<sup>11</sup> უკრაინის ცნია, ქ. ხარკოვის ფილიალი, ფ. 834, საქ. 346, ფ. 127.

<sup>12</sup> იქვე, ფ. 128.

<sup>13</sup> ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1959 წ., გვ. 316.

<sup>14</sup> ცნია, ფ. 13, ან. 30, საქ. 77, ფურკ. 9.





აღნიშნული ქარხნების მუშათა გაფიცვებს გამოეხმაურა გაზეთი „პრავდა“, რომელიც პერიოდულად აქვეყნებდა ცნობებს გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ. გაზეთმა მთლიანად გამოაქვეყნა გაფიცული მუშების მიერ წამოყენებული მოთხოვნები, გაფიცულ მუშებს სოლიდარობა გამოუცხადეს ფოთის ნავსადგურის მანგანუმის მტკირთავმა მუშებმა, რომლებმაც გაფიცულთა დასახმარებლად გარკვეული ფულადი თანხა შეაგროვეს<sup>15</sup>.

ამგვარად, ქ. ფოთისა და ს. საჭილაოს სახერხი ქარხნების მუშათა საგაფიცო მოძრაობა მტკიცე, შეტევით ხასიათს ატარებდა. მუშებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს და მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს. 1913 წლის ოქტომბერ-დეკემბერში საგაფიცო მოძრაობა თანდათან ფართოვდებოდა და სამრეწველო საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. ხის დამამუშავებელ მრეწველობაში გაერთიანებული მუშები საერთო რევოლუციურ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ. მათი საგაფიცო მოძრაობა, რომელიც მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა, წლების განმავლობაში მეტ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდა. საგაფიცო ბრძოლებში ნაწრთობი მუშათა კლასი მომავალი საყოველთაო რევოლუციისათვის ირახმებოდა.

К. Д. МУШКУДИАНИ

СТАЧЕЧНЫЕ ДВИЖЕНИЯ РАБОЧИХ НА ЛЕСОПИЛЬНЫХ ЗАВОДАХ г. ПОТИ и с. САЧИЛАО В 1913 г.

Резюме

С 1910 г. наблюдается подъем промышленного производства в Грузии и рост забастовочных движений.

С развитием всеобщего революционного движения в Российской империй, забастовочное движение в Грузии особенно возросло в 1912—1913 гг., охватив целый ряд промышленных объектов, в том числе и лесобрабатывающие заводы.

В сентябре-октябре 1913 г. из бастующих заводов наиболее выделяются забастовки лесопильных заводов в г. Поти и с. Сачилао. В результате выступлений была удовлетворена часть требований, что можно считать серьезной победой рабочих.

Забастовки рабочих лесопильных заводов г. Поти и с. Сачилао нашли отражение и поддержку в газете «Правда», освещающей ход забастовок, требования рабочих и результаты движения. Бастующим объявили солидарность и оказали материальную помощь рабочие Потийского порта.

Рабочие лесопильных заводов вместе со всем пролетариатом Грузии готовились к решающей революционной борьбе.

<sup>15</sup> „მაცნე“ № 6, 1970, გვ. 15.

ლ. ემგვირაძე

## პროფესიულ-ტექნიკური განათლება საქართველოში რევოლუციის შემდგომ ხანაში

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ცხოვრებაში დიდი ეკონომიური ძვრებით აღინიშნა.

სავლეთ რეფორმამ ძირეულად გარდაქმნა ქართული საზოგადოების ყოფა, ხელი შეუწყო ახალი სასაქონლო ურთიერთობის — კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი ტემპით განვითარებასა და გაღრმავებას. ეს პროცესი მცურნეობის ყველა დარგს შეეხო — საქალაქო წარმოებასა თუ სოფლის მეურნეობას.

ახალი ფორმაციის გაჩენამ ქართველ საზოგადოებაში ახალი სოციალური ფენების ჩამოყალიბება გამოიწვია. წინ წამოსწია ახალი კლასი — ბურჟუაზია, გაჩნდა მშრომელი პროლეტარიატი, მუშათა კლასი.


სასაქონლო ურთიერთობათა გაღრმავებას, უეჭველად, თან სდევს თავისუფალი კონკურენციის ზრდა, რის შედეგადაც იმარჯვებს კაპიტალი. ხდება წერილ სავაჭროთა კონცენტრაცია, ანუ წარმოების გამსხვილება, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება. ეს პროცესები განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება XIX საუკუნის ბოლოსათვის.

ამრიგად, XIX საუკუნის 80—90-იანი წლები როგორც თბილისის, ისე საქართველოს სხვა ეკონომიური ცენტრებისათვის წარმოადგენს კაპიტალიზმის დამკვიდრებისა და მუშათა კლასის ფორმირების პერიოდს.

კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრება, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ზრდა მოითხოვდა კვალიფიციური მუშახელის გამრავლებას; ევროპული ცივილიზაციის შემოჭრამ, სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობების გაღრმავებამ, ამასთან დაკავშირებით ტექნიკურ სიახლეთა დანერგვამ, საჭირო გახდა ახალი ხელოსნური დარგების გაჩენა. გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა ისედაც გადაგვარების გზაზე მდგარი ხელოსნური წარმოება. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიაში პროფესიული განათლების შემოღების აუცილებლობა.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, მეფის ხელისუფლება თავის მხრივ დასაშვებად მიიჩნევდა ზოგიერთი პროფესიული დარგის სპეციალისტების გამრავლებას. მთავრობა იმედოვნებდა, რომ ასეთი ღონისძიება ხელს შეუწყობდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან უკვე საბოლოოდ დამორჩილებული ამ მდიდარი მხარის ბუნებრივი რესურსების ათვისებაში, რაც სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერის განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი იქნებოდა. ამ მიზნის განხორციელებაში მეფის რუსეთს ხელს





უშლიდა ამიერკავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, რთული საგზაო-სამიმოსვლო საშუალებები, პრიმიტიული ადგილობრივი ტრანსპორტი<sup>1</sup> და სხვა-რის გამოც რუსეთიდან მუშახელისა და ახალი ტექნიკის შემოზიდვე დიდად ფერხდებოდა, ამიტომ ხელისუფლების ვარაუდით ა/კავკასიის მდიდარი რესურსების დამუშავება და მისი გამოყენება ადგილობრივი ძალებით უნდა მომხდარიყო, რასაც თავის მხრივ ხელოსან-სპეციალისტთა კადრების ნაკლებობა აფერხებდა.

მწარმოებელი მოსახლეობა ძირეულად იყო დანტერესებული საკუთარი ეკონომიური პირობების გაუმჯობესებით, კაპიტალისტური ურთიერთობების გავრცელებამ ღარიბ მოსახლეობას ფულის შოვნის ახალი პერსპექტივები გადაუშალა. იგი ცდილობს თავის შთამომავლობას შესაფერისი განათლება მიაღებინოს, რაიმე ხელობა შეასწავლოს.

ქალაქის დაბალი ფენის წარმომადგენლები — ვაჭარ-ხელოსნები, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების გაბატონების გამო. კაპიტალიზმის შემოჭრამ, სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებამ გაზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება მოღურ საგნებზე. ამ მზარდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა შემოტანილი უცხოური ან რუსული ფაბრიკული ნაწარმი, რაც დღის წესრიგში აყენებდა ახალი დარგის ხელოსანთა გაჩენას.

ჯერ კიდევ 1840-იანი წლების დასაწყისში მთავარმართებელ ნეიდჰარდტის ინიციატივით რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, განსაკუთრებით, მოსკოვას, პეტერბურგისა და ოდესის ხელოსანთა საზოგადოებებიდან გამოიწვიეს ხელოსანი ოსტატები და ქვეოსტატები, რომელთაც უნდა შეევსოთ იმ დროს უკვე საკმაოდ შესამჩნევი ნაკლოვანება ხელოსნობის ზოგიერთ დარგში. მოწვეულ ხელოსნებს მთავრობა გარკვეულ დახმარებას უწევდა ფულადი სახსრებით და ბინით უზრუნველყოფდა პირველ ხანებში, სანამ ისინი მყარად მოიკიდებდნენ ფეხს და ვაშლიდნენ წარმოებას მათთვის უცხო მხარეში. ამ ხელოსნებს ევალებოდათ დაემზადებინათ საჭირო პროდუქცია და ამასთან ერთად აღეზარდათ ადგილობრივი კადრები.

მთავრობის პოლიტიკა იმ დროს ორ მიზანს ემსახურებოდა: დაენერგა ახალი და საჭირო დარგები ხელოსნობაში, ვინაიდან რუსი ვაჭარ-მრეწველებისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო ეს მხარე და მეორეც, ჩამოსული თავისუფალი მწარმოებელი ხელოსანი დაეპირისპირებინა ადგილზე არსებული ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ფეოდალურ-ამქრული კარჩაკეტილი მეურნეობისათვის. მთავრობის მიერ გატარებულმა ამ ღონისძიებამ მძიმე ლახვარი ჩასცა ამქრული რეგლამენტაციით შებოჭილ ხელოსნობას. ამქრის შეივნით უკვე კარგახანია შეიმჩნეოდა ფარული წინააღმდეგობანი, რომელიც სასაქონლო ურთიერთობების გაჩენას მოჰყვა, მაგრამ ამ ახალმა მოვლენამ — ამქარგარეშე ხელოსნობის გაჩენამ და რაც მთავარია მისმა გამრავლებამ კიდევ უფრო გაამწვავა და აშკარა გახადა ეს წინააღმდეგობა. ამ უჩვეულო მოვლენამ ადგილობრივი ხელოსნების აღშფოთება გამოიწვია.

40-იან წლებში ჩამოსახლებული ხელოსნების უმეტესობა არაკვალიფიციური აღმოჩნდა, ამიტომ მათ ჩამოსახლებას ხელოსნური წარმოების წინსვ-

<sup>1</sup> Записки Кавказского Отделения Русского Технического Общества, т. I, 1868—69 гг. Тиф., 1869, стр. 15.





ლისათვის დიდად არ შეუწყვია ხელი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თანდათან სასაქონლო ურთიერთობათა გაღრმავების შედეგად საერთოდ ხელისუფალი წარმოება საქართველოში კრიზისის განიცდიდა. გახშირდა უვიცი და კეთილსინდისიერ ოსტატ ხელოსანთა რიცხვი. კონკურენციის ზრდამ დაძაბა ურთიერთობა ოსტატსა და შევირდს შორის. ოსტატი ხელოვნურად აფერხებდა შევირდის გაოსტატების პროცესს.

ტექნიკური პროცესი, რომელიც ფეხს იკიდებდა 80-იანი წლებიდან საქართველოში დღის წესრიგში აყენებდა ზოგად ტექნიკური განათლების გავრცელების აუცილებლობას—განსაკუთრებით საჭირო ხდება არითმეტიკის, ხატვა-ხაზვის, გეომეტრიის საფუძვლების შესწავლა და სხვა.

ამრიგად 60—70-იანი წლებისათვის საკვებით მომწიფდა ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოში პროფესიულ-ხელოსნური სწავლების აუცილებლად შემოღების საკითხი.

სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური განათლების გავრცელება ისევე როგორც სხვაგან, საქართველოშიც ოსტატ ხელოსანთა სახელოსნოებში ხდებოდა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების გაღრმავებამ მოითხოვა სპეციალური კადრების უფრო სწრაფი და ხარისხიანი მომზადება. ამიტომ ჯერ კიდევ 1869 წელს მოსკოველმა „გუბერნსკი სეკრეტარმა“ ლაზარინმა კავკასიის მთავრობას მიაწოდა აზრი, რათა კავკასიის მკვიდრთა შვილები — რამდენიმე ბავშვი მამრობითი სქესისა გაეგზავნათ მოსკოველ ფაბრიკანტებთან და ხელოსნებთან სპეციალობის შესასწავლად. თავის მხრივ მოსკოველებს თანხმობა განუცხადებიათ უსასყიდლოდ, რამდენიმე წლის განმავლობაში აეყვანათ შევირდებად კავკასიიდან ჩამოსული ბავშვები. ამ საქმის ორგანიზაცია იკისრა თბილისის გუბერნატორმა. მან შუამდგომლობაც აღძრა უმაღლეს ინსტანციებში და მოითხოვა რეგულარული ხასიათი მისცემოდა ამ შესანიშნავ წამოწყებას. ნებადართულ იქნა, მაგრამ ბავშვების მშობლებმა წამოაყენეს პრეტენზიები — ხაზინას თავისი ხარჯები უნდა გაეღო, ამასთან დაენიშნა სანდო პირი — მეთვალყურე, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ამ ყმაწვილთა მშობლების წინაშე. საქმის მსვლელობა პირველ ხანებში შეჩერდა.

1863 წელს ისევ იჩინა თავი სახელოსნო სკოლის დაარსების საჭიროებამ ქ. თბილისში «в виду неудовлетворительного состояния ремесленной промышленности на Кавказе, заявлена была начальством мысль о пользе учреждения в Тифлисе ремесленной школы»<sup>2</sup>. სკოლის გახსნას დიდი თანხები ესაჭიროებოდა, რაც ადგილობრივ მთავრობას ჯერ არ გააჩნდა, ამიტომ ლაზარინის წინადადება ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩინეს და 1864 წელს კიდევ გაიგზავნა 15 ვაჟი მოსკოვში. ორი მათგანი ოქრომჭედელს მიაბარეს 7 წლის ვადით, სამი — ტანსაცმლის მკერავს, კონდიტერს და აგრეთვე ოქრომჭედელს 6 წლის ვადით, 4 კი მღებავსა და კონდიტერს 5 წლის ვადით. მეათე ბავშვი გაიგზავნა რიგაში ავეჯის სახელოსნოში, რადგან რიგის ხელოსნები საუკეთესონი იყვნენ მთელს რუსეთში. ამ ღონისძიებას შედეგი არ მოჰყოლია; ერთი ბავშვი დაიღუპა რიგაში, დანარჩენების შემდგომი ბედი უცნობია. ამის შემდეგ კერძო პირები ხსნიან პროფესიულ სკოლებს, აქა-იქ ზოგიერთ დაწყებით სასწავლებლებთან იხსნება სპეცი-

<sup>2</sup> ЗКОРТО, т. I, 1868—69гг. Тиф., 1869, стр. 23.



ალური სახელოსნო განყოფილებები. ასეთი იყო მაგალითად 1869 წ. 13 ნოემბერს/ ავლაბრის ნიკოლოზის სახელობის დაწყებით სკოლასთან მოწყობილი სახელოსნო განყოფილება<sup>3</sup>.

გარკვეული ნაბიჯები გადადგა ამ მხრივ თბილისის საქალაქო მმართველობამაც. 60-იანი წლების ბოლოსთვის განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს მიაქცია ამ დროს თბილისში გახსნილმა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ. იგი თავის სხდომებზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გამუდმებით იხილავდა კავკასიაში სპეციალურ-პროფესიული სწავლების საკითხებს და სახავდა გზებსა და საშუალებებს მათი ქსელის გასაფართოებლად.

რეფორმის შემდგომ ხანაში ისე აწრაფად იწყო განვითარება კაპიტალისტურმა წარმოებამ, ისეთი მასშტაბები მიიღო ტექნიკურმა სახელებმა მთელ რუსეთში რომ 1869 წლის 29 აგვისტოს მინისტრთა კომიტეტმა გამოსცა იმპერატორის მიერ დამტკიცებული დებულება დამოუკიდებელი სახელოსნო და მსგავსი ტექნიკური სასწავლებლების გახსნის შესახებ<sup>4</sup>.

ამ დებულებამ გზა გაუხსნა დაინტერესებულ პირებს უფრო აქტიურად ებრძოლათ მოსახლეობაში პროფესიული განათლების გავრცელებისათვის. ამ საქმით დიდად იყვნენ დაინტერესებული საქალაქო მმართველობა, სახელოსნო „უპრავა“ და სხვა საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული საზოგადოებანი.

ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა 1870-იან წლებში. ტექნიკური საზოგადოების მუდმივმოქმედი კომისია მამაცაშვილის ხელმძღვანელობით ამოწმებდა და სწავლობდა საკითხს თუ როგორ უნდა გაეუმჯობესებინათ კადრების მომზადების საქმე. მაგ., მან გამოავლინა ავლაბრის სკოლასთან არსებული სახელოსნო განყოფილებაში სწავლების დროს დაშვებული ხარვეზები, დაახუსტა ხელისშემშლელი პირობები და მათი გათვალისწინებით მოითხოვა ახლებურად მოეწყოთ სახელოსნოები, რომელსაც უხელმძღვანელებდა ინსპექტორი ი. ა. ვანდერ-ნონე. მართლაც 1871 წელს კუკიაზე, ზუბალაშვილის სახლში 11 ნოემბერს გაიხსნა ეს სასწავლო-სახელოსნო. ამ საქმისთვის საზოგადოებამ 1000 მან. წელიწადში მიიღო მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილის მიერ თბილისისადმი შეწირული თანხიდან. საერთოდ ტექნიკურ საზოგადოებას მეტად მცირე სახსრები გააჩნდა, რაც საქმის შემდგომ წინსვლას აფერხებდა.

უკვე 1871 წლის ბოლოსთვის რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება ეჭვს გამოთქვამდა ამ სახელოსნოს შემდგომი არსებობის შესაძლებლობის გამო — „... для продолжения образования ремесленников в крае необходимо испросить поддержки от Правительства, так как мастерская в настоящем своем объеме и при настоящих своих средствах не скоро может сделаться производительною на столько, чтобы собственными своими средствами и уже имеющимися могла с успехом достигнуть своей цели“<sup>5</sup>.

ტექნიკურმა საზოგადოებამ არ დაჰყარა ფარხმალი, ამ სკოლის შესანარჩუნებლად მრავალ საშუალებას მიმართა და 1874 წლისათვის უკვე მთავრობამ ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებას 10 წლის ვადით სარ-

<sup>3</sup> ЗКОРТО, т. I, 1868—69 гг. Тиф., 1869, стр. 15.

<sup>4</sup> სსიპ, ფ. 733, აღწ. 160, საქმე 334, გვ. 10.

<sup>5</sup> Кавказский календарь на 1872 год, стр. 95.



გებლობაში გადასცა ხაზინის კუთვნილი ყოფილი რაისის სახეობი ქარხნის ადგილი თბილისში, თავისი შენობებით. ხის მასალით, მანქანა-დანადგარების მიწის ფართობი 2250 კვადრატული საყენის რაოდენობით. მეფისნაცვლის ბრძანებით ტექნიკურ საზოგადოებას გადაეცა აგრეთვე ურთიერთდამხმარე საკრედიტო საზოგადოების 1873 წლის 2%-იანი სუფთა მოგება 1423 მან. რაოდენობით, რამაც საშუალება მისცა შეეკეთებინა და სახელოსნოსთვის შესაფერი იერი მიეცა რაისის მიერ დატოვებული შენობებისთვის. მიუხედავად ყოველივე ამისა, სახელოსნოს შენახვა საზოგადოებას მაინც გაუჭირდა და 1875 წელს გადაწყვიტა გადაეცა იგი ფოთი-თბილისის რკინიგზის სამმართველოს უწყებისათვის.

ამავე ხანებში პეტერბურგში სამპეონის სამაზრო სასწავლებელთან მუშებისა და მათი შეილებსათვის გაიხსნა საღამოსა და საკვირაო კურსები. ტექნიკური საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე რუსეთის იმპერატორი მიესალმა აღნიშნულ ფაქტს და გამოსთქვა სურვილი, რომ ტექნიკურ საზოგადოებას პროფესიული განათლების გავრცელების საქმეში თბილისშიც ისეთივე წარმატებანი ჰქონდა, როგორც პეტერბურგში. ამიტომ რუსების ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრმა სიმონსონმა შემოიტანა წინადადება თბილისშიც ჩამოეყალიბებინათ საკვირაო კლასები მუშებისათვის, იმისათვის, რომ ესწავლათ ნახაზებში გარკვევა. ეს კლასები უნდა გახსნილიყო თბილისის კლასიკურ გიმნაზიისთან. გიმნაზიის დირექტორმა ჟელიხოვსკიმ კიდევ შეადგინა პროექტი «о воскресных классах для ремесленников при классической гимназий»<sup>6</sup>, სადაც გათვალისწინებული იყო ხელოსანთათვის მიეცათ ზოგადი განათლება, ესწავლებინათ წერა-კითხვა, ანგარიში და ხაზვა. მართლაც, ამ დროს ქართველ ხელოსნობაში იშვიათი იყო წერა-კითხვის მცოდნე, რადგან ბავშვის სწავლა-აღზრდის ხერხები ხელოსნის ოჯახში, სასტიკი და სავსებით მიუღებელი იყო<sup>7</sup>.

საკვირაო სკოლების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის 1872 წლის კავკასიის კალენდარი, სადაც ყოველწლიურად იბეჭდებოდა ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიშები.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექციისა და გუბერნატორის თაოსნობით საკვირაო კლასების გასახსნელად მოიწვიეს პედაგოგები: ნიკოლოზის სახელობის ავლაბრის სასწავლებლიდან ა. ო. მირაკოვი, კოლუჩებალსკის სკოლიდან ნ. ვ. ლევიცი, რომელთაც უნდა ესწავლებინათ წერა-კითხვა და მათემატიკა, ხოლო თბილისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგი კ. ი. ხოდოროვიჩი — ხატვასა და ხაზვას ასწავლიდა.

ტექნიკური საზოგადოების წევრმა ო. ი. სიმონსონმა თხოვნით მიმართა ადგილობრივ ოსტატ-ხელოსნებს გამოეგზავნათ შეგირდები საღამო და საკვირაო კლასებში.

აღნიშნულ საღამო და საკვირაო კურსებზე სწავლა დაიწყო 1871 წლის 14 მარტს და 25 აპრილამდე ჩატარდა 7 გაკვეთილი. საკვირაო კურსებზე დასწრების სურვილი 40 კაცმა გამოთქვა, მაგრამ ფაქტურად 25 მოსწავლეზე მეტი არასოდეს დასწრებია. საკვირაო კურსები დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა.

<sup>6</sup> ЗКОРТО, т. I, 1868—69 гг. Тиф. 1869, стр. 35.  
<sup>7</sup> გაზ. „დროება“, 1883 წ., № 153.





პირველი და სერიოზული დაბრკოლება იყო ის, რომ დამსწრეთა უმრავლესობამ არ იცოდა რუსული ენა და მისი შესწავლა კი ასეთ პირობებში შეუძლებელი შეიქნა. შევირდთა ნაციონალური და სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის ხელს უშლიდა მათ ერთდროულ შეკრებას. ამასთან ერთად, ოსტატები არც თუ დიდი ხალხით უშვებდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს ამ კურსებზე (მათ განაცხადეს, რომ შევირდს უფლება აქვს სკოლაში წავიდეს კვირას დღის 7 საათიდან 10 საათამდე). ამიტომ სწავლება უმეტესად კვირა დღეს მიმდინარეობდა და 82 დღის ნაცვლად მეცადინეობა ტარდებოდა მხოლოდ 52 დღის განმავლობაში.

მოსწავლეთა კონტინგენტი ამავე დროს წლოვანებითაც შეუსაბამო იყო. ნაცვლად საჭირო სამი განყოფილებისა უსახსრობის გამო კურსები შედგებოდა ორი განყოფილებისაგან. შევირდებს კვირიდან კვირამდე სახლში მეცადინეობის საშუალება არ ჰქონდათ. საკვირაო კურსებზე დასწრებისთვის თითოეულ მათგანს უნდა გადაეხადა თვეში 65 კაპ<sup>8</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საკვირაო სკოლები დიდხანს არსებობდნენ საქართველოში, ზემოაღნიშნული პირობების გამო მათ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება დაინტერესებული იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ხელოსნების მომზადებაში.

რამდენადაც კაპიტალიზმი XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში სოფლის მეურნეობაში პირველ ნაბიჯებს დგამდა, ის-ის იყო იწყებოდა სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო დარგების გამოკვეთა — მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა, ამდენად ტექნიკური საზოგადოების საზრუნავს წარმოადგენდა არა ზოგადად სასოფლო-სამეურნეო პროფესიონალური განათლების გავრცელება სოფლად, არამედ უშუალოდ მწარმოებელი გლეხისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ხელოსნების მომზადება.

ჯერ კიდევ 1862 წელს საზოგადოების სახელმწიფო სწავლების სპეციალური კომისიის თავჯდომარემ კ. მამაცაშვილმა გაამახვილა ყურადღება სოფლად პროფესიულ და განსაკუთრებით ხელოსნური სწავლების გავრცელების საჭიროებაზე და 1869 წელს ამ საკითხისადმი მიძღვნილ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ «Действительно, для развития сельского хозяйства и для благосостояния сельских жителей является настоятельная необходимость распространить в крае, и именно, в селах, ремесла и преимущественно плотничное, колесное и бондарное. И первобытные плуги, употребляемые здешними крестьянами, и неудобные бурдюки, в которых возится вино и нефть и неуклюжие арбы чуть чуть не с многоугольными колесами, убеждают ежедневно в необходимости плотничного, кузнечного, бондарного и колесного мастерства в селениях Закавказского края».<sup>9</sup> მამაცაშვილის გულისტკივილი გასაგები იყო, რადგან სოფლად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების შემოჭრამ გამოიწვია სოფლის პროდუქტებით ვაჭრობის აუცილებლობა. განსაკუთრებით ღვინით ვაჭრობა, რასაც აფერხებდა ტრანსპორტირების საშუალებათა სიმცირე.

1870 წელს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების

<sup>8</sup> Кавказский календарь на 1872 год, стр. 105.

<sup>9</sup> ЗКОРТО, т. I, 1868—69гг. Тиф., 1869, стр. 36.



სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მოიწვიეს საზოგადოების საპატიო წევრი თბილისის გუბერნატორი კ. ი. ორლოვსკი. მან მხარი დაუჭირა საზოგადოების წევრებს მაზრებში სახელოსნო სკოლების დაარსების საკითხში და თავისი აზრიც მიაწოდა: დაეარსებინათ მთელი მაზრისთვის ერთი სასოფლო სახელოსნო სკოლა გათვალისწინებული 50 მოსწავლეზე, რომელსაც დააფინანსებდა მაზრის მოსახლეობა.

გუბერნატორმა მოითხოვა დასაარსებელი სკოლის ხარჯთაღრიცხვა, შენობის პროექტი და სწავლების წინასწარი პროგრამა, რაც საზოგადოებამ დაუყოვნებლივ შეასრულა. მაგრამ ეს წამოწყება მარცხით დამთავრდა<sup>10</sup>.

1872 წელს ქალაქის თვითმმართველობამ განიზრახა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მეფისნაცვლობის 10 წლისთავთან დაკავშირებით ქ. თბილისში დაეარსებინა მისივე სახელობის სახელოსნო სასწავლებელი. ამ ფაქტმა დიდი გამოხმაურება პოვა ხელოსანთა საზოგადოებაშიც. თბილისის საზოგადოებამ სკოლისთვის შეაგროვა შეწირულებები, თბილისის ამქრებმა სკოლის შენობის ასაგებად გამგეობას გადასცეს 6 ათასი მანეთი და გამოთქვეს სურვილი უსასყიდლოდ ემუშავათ მშენებლობაზე, ისევე, როგორც ეკლესიებისა და წმინდა შენობების აგების დროს იქცეოდნენ<sup>11</sup>.

მიხეილის სახელოსნო სასწავლებელი გაიხსნა 1880 წელს და დაექვემდებარა ქალაქის თვითმმართველობის უწყებას. ამ სახელოსნო სასწავლებელში ყველა წოდებისა და წრის წარმომადგენლებს შეეძლოთ სწავლა. ამ დროს განსაკუთრებით აღინიშნება თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდების დაინტერესებაც პროფესიული განათლებით.

ამრიგად, 80-იან წლებამდე დამოუკიდებელი სახელოსნო-პროფესიული სკოლების მოწყობა ჯერ კიდევ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. სამაგიეროდ შედარებით პრაქტიკული ხდება ორკლასიან და ერთკლასიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან სახელოსნო კლასების გახსნა. ეს ღონისძიებაც ვერ აღწევდა სათანადო მიზანს, რადგან თავისუფალი და მცოდნე ხელოსანი-პედაგოგების შოვნა ძნელდებოდა, ამას თან ერთვოდა აგრეთვე რუსულ ენაზე სწავლება.

საქართველოში პროფესიულ განათლებას ავრცელებდა კავკასიის სამხატვრო საზოგადოება. ამ საზოგადოების მიზანი იყო გაეგრძელებინა სამხატვრო საქმიანობა კავკასიაში და დახმარებოდნენ საზოგადოების იმ წევრებს, რომელნიც საფუძველს უყრიდნენ ამ ახალი დარგის განვითარებას.

სამხატვრო საზოგადოებამ თავისი სახსრებით გახსნა ე. წ. სამხატვრო კლასი, რომელიც მიზნად ისახავდა «Необходимую подготовку учеников к усвоению ими специальных родов живописи, а так-же архитектурного черчения и орнаментного искусства»<sup>12</sup>. ამ საზოგადოების მიზნები დაკავშირებული იყო საქართველოში ახალი ტიპის ქალაქების მშენებლობასთან, გამდიდრებული მეფახმე-მრეწველთა გემოვნების გადახალისებით. სწავლება სამხატვრო კლასებში საკმაოდ სერიოზულად მიმდინარეობდა. ასწავლიდნენ ხაზვას, ხატვას ორიგინალიდან, მოდელიდან, თაბაშირის ქანდაკებებიდან და ნატურიდან, პერს-

<sup>10</sup> Кавказский календарь на 1872 год, стр. 100.

<sup>11</sup> სსიპ, ფ. 199, საქ. 14.

<sup>12</sup> Кавказский календарь на 1875 год, стр. 96.



პეტიციაში აგებას და სანთლიდან და თიხიდან ძერწვას. სწავლება ორგანიზაცი-  
ლებიანი იყო. სასწავლებელში ღებულობდნენ ორივე სქესის წარმომადგენ-  
ლებს. სწავლის ქირას საზოგადოებას უხდიდნენ მშობლები — ორსაბინიან გარე-  
ვეთილში 15 კაპ. ხოლო მთელ სასწავლო წელში 5 მან. და 40 კაპ. იყო შემოსევები.  
ვეები უფასო სწავლებისა, რომელიც მთელი კონტინგენტის 10% შეადგენდა.  
ქირას იხდიდნენ წინასწარ — წელიწადში ორჯერ. აღსანიშნავი და საინტერესო  
მომენტი ის, რომ ამ სასწავლებელში იღებდნენ რუსული ენის მცოდნე ბავშვ-  
ებს.

თავისი წვლილი შეიტანა სახელოსნო-პროფესიული განათლების დანერგვის  
საქმეში თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებამ. იგი დაარსდა 1859 წელს და  
მისი მთავარი მიზანი იყო «*бесплатное обучение детей неимущих родителей*  
*грамоте, рукоделию, некоторым ремеслам и домашнему хозяйству...*»<sup>13</sup>. ამ  
საზოგადოებას მფარველობდა დიდი იმპერატორის მეუღლე ოღლა თევდორეს  
ასული.

1872 წელს საქველმოქმედო საზოგადოების მზრუნველობის ქვეშ იმყოფე-  
ბოდა 8 უფასო სკოლა, 7 ქალთა და 1 ვაჟთა სკოლა, სადაც სწავლობდა 413 ორივე  
სქესის ახალგაზრდა, 8 ობოლი ბავშვი სრულ პანსიონზე, ერთიც საზოგადოების  
სტიპენდიით სწავლობდა თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში, ე. ი. სულ  
422 ბავშვი. საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში ბავშვებს ასწავლიდნენ:  
ღვთისმეტყველებას სარწმუნოების მიხედვით, წერა-კითხვას: რუსულს ყველას,  
ხოლო ეროვნებების მიხედვით თითოეულს თავის მშობლიურ ენაზე, არითმეტიკის  
საფუძვლებს, ხელსაქმეს, გუნდურ სიმღერებს და საოჯახო საქმეს. ამას გარდა  
ბავშვებს ასწავლიდნენ ხელოსნობას: «*переплетному в школах Колючебалкин-  
ский и Могнинской — в Харпугской и столярному в школе мальчиков.*»<sup>14</sup>  
ხელსაქმის უკეთ შესასწავლად სკოლა ღებულობდა შეკვეთებს შეღავათიან ფასებ-  
ში. აღებული ფულის ნაწილი ხმარდებოდა ზედამხედველებსა და შეგირდებს,  
ნაწილი ემატებოდა სკოლის დანაზოგს, რომელიც საზოგადოების თანხმობით თვით  
სკოლის საჭიროებისათვის იხარჯებოდა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, საქველმოქმედო სასწავლებლებში სწავ-  
ლება შედარებით უკეთ იყო დაყენებული. ადგილობრივი ენის სწავლება დი-  
დად ეხმარებოდა ბავშვებს ჯერ ერთი შეესწავლათ რუსული ენა და რაც მთა-  
ვარია, უკეთ შეეთვისებინათ მათთვის უცხო და რთული საგნები.

1873 წლის გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით კავკასიის სასწავლო  
ოკრუგის უწყებაში შემავალ სასწავლებლებში შეიმჩნოდა მოსწავლეთა რაოდენობის  
ზრდა, ჩვენ აქ მოვიტანთ ცნობებს მხოლოდ იმ სასწავლებლებზე, სა-  
დაც მეტ-ნაკლებად ვგულისხმობთ პროფესიულ-ხელოსნურ სწავლების არსე-  
ბობას.

ვაჟთა სასწავლებლები: 1. ქალაქად 33 ორკლასიან და ერთკლასიან სას-  
წავლებლებში 236 მოსწავლე წინა წლებთან შედარებით 141 ბავშვით მეტი.

2. კერძო პანსიონებსა და სკოლებში — 1006 მოსწავლე — 44 მოსწავლით  
მეტი.

<sup>13</sup> Кавказский календарь на 1875 год, стр. 96.

<sup>14</sup> Кавказский календарь на 1875 год.

ქალთა სასწავლებლებში: 1. ქალაქის სკოლებში — 672 მოსწავლე წინა წლებთან შედარებით 24-ით მეტი.

2. წმინდა ნინოს სასწავლებელში — 490 — 2-ით ნაკლები.

3. საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში—534—39-ით მეტი.

4. კერძო პანსიონებსა და სკოლებში — 381 — 28 მოსწავლით მეტი<sup>15</sup>.

ამ ცნობაში საყურადღებოა, რომ კერძო პანსიონერთა უმეტესი წილი ქართულ მოსახლეობაზე მოდიოდა.

XIX ს. 90-იანი წლებიდან, კაპიტალიზმის განვითარების მკვეთრ აღმავლობასთან დაკავშირებით, მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა მეტად გაეწია ანგარიში მოსახლეობის მოთხოვნილებებისათვის. სპეციალური დადგენილებებით იგი გარკვეულ თანხასაც კი გამოჰყოფდა სპეციალური სკოლების დასაარსებლად.

1882 წელს თბილისის თვითმმართველობამ თავისი სახსრებით თბილისში გახსნა ქალთა პროფესიული სასწავლებელი, სადაც მხოლოდ ხელსაქმე ისწავლებოდა და მას სახელოსნოს უწოდებდნენ. მაგრამ 1888 წელს ხელოსან-მასწავლებელთა დაყენებითი მოთხოვნით სახელოსნოსთან დამატებით გაიხსნა საღამოს კურსები, სადაც მოსწავლე ქალები ზოგად საგანმანათლებლო საგნებს გადიოდნენ. ამ კურსებზე 18 წლისა და მეტი ასაკის მოსწავლე ქალებს ღებულობდნენ<sup>16</sup>.

1887 წელს ქ. ბათუმში მთავრობის ნებართვით გაიხსნა მამაკაცთა ოთხკლასიანი პროფესიული სასწავლებელი. მის დაარსებას საინტერესო არგუმენტი უძღოდა წინ. მთავრობა შეშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ ბუნებრივად ამ მდიდარი მხარიდან საზღვარგარეთ იაფად გადიოდა ძვირფასი ნედლეული, ხოლო იქიდან, შედარებით ძვირად, მოსახლეობას უკანვე უბრუნდებოდა ფაბრიკული სახით დამზადებული ნაწარმი. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ბათუმში გაიხსნა საცდელ-საჩვენებელი პროფესიული სასწავლებელი, სადაც უნდა მოემზადებინათ საჭირო პროფესიის ახალგაზრდობა. სასწავლებელი მოემსახურებოდა ამ ახლადშემოერთებული მხარის მოსახლეობას.

სწავლის ვადა 4 წელი იყო. ისწავლებოდა: 1. საღვთო სჯული, ქრისტიანებისთვის, 2. რუსული ენა, 3. ხატვა-ხაზვა, გეომეტრიის საფუძვლები და მიწის ზომვის უადვილესი მეთოდები, ბუნებისმცოდნეობის საკითხები მიწის მეურნეობისთვის. ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიდან: რუსეთის გეოგრაფია და ისტორია, სიმღერა და ვაკვეთილებს შორის ვარჯიში. მოსწავლეები სწავლობდნენ მეზაღვობასა და ხელოსნობას. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ კი ამ სკოლის კურსდამთავრებულები მე-3 თანრიგის სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს უტოლდებოდნენ თავიანთი უფლებებით<sup>17</sup>.

ბათუმშივე 1889 წ. 8 ოქტომბერს სახელმწიფო ხაზინის სახსრებით გაიხსნა საჩვენებელი სანიმუშო სახელოსნო-სასწავლებელი.

აღნიშნული სახელოსნო აღჭურვილი იყო ტექნიკის ახალი სიტყვის მიხედვით, ორთქლის ქვაბითა და მანქანა-დანადგარებით. სახელოსნოში სწავლობდა 25 მოსწავლე, რომელთაგან 19 სწავლობდა ზეინკლობას, 6 — საღურ-

<sup>15</sup> Кавказский календарь на 1875 год, стр. 170; სსიპ, ფ. 17, საქმე 1247.

<sup>16</sup> ЛЦИА, ф. 733, оп. 191, д. 1018.

<sup>17</sup> ЛЦИА, ф. 1152, оп. 2, д. III, стр. 8.



გლო-სახარატო საქმეს<sup>18</sup>. მოსწავლეთა შემადგენლობა მრავალფეროვანი იყო — 12 ქართველი, 6 რუსი, 1 სომეხი, 2 პოლონელი, 1 ბერძენი, 1 ფრანგი და 1 ებრაელი.

სახელოსნოს აღჭურვილობა შემდეგი იყო: 1. ორთქლის მანქანა, 2. ხელის საარანდავი მანქანა, რომელიც ადვილად გადაკეთდებოდა საჭიროების შემთხვევაში ამძრავ მანქანად. 3. ბურღი, 4. ამძრავი თვითმჩარხავი, 5. ორი სახარატო დაზვა ლითონისათვის, 6. ხის სახერხი ლენტური ხერხი.

შევირდებს ასწავლიდნენ ხის და ლითონის ტექნოლოგიას კვირაში ერთ-ხელ ორ-ორი საათის განმავლობაში. იყენებდნენ თვალსაჩინოების მეთოდს, აჩვენებდნენ ლითონისა და ხის ჯიშების ნიმუშებს.

ქალაქის თვითმმართველობის სათათბირო საბჭომ საკუთარი სახსრებით ამ სახელოსნო სასწავლებელთან მოაწყო 5 უღარიბესი მოსწავლისათვის პანსიონი ინტერნატი.

ორივე ზემოჩამოთვლილი სასწავლებელი ფაქტიურად მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურებოდა. აღნიშნული პროფესიული და სახელოსნო სასწავლებლები ჯერ კიდევ არ იყვნენ ტიპიური ამიერკავკასიისათვის. მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ასეთი სახელოსნო-სასწავლებლის გაჩენა, რაც კიდევ ერთი დადასტურებდა იმისა, რომ პროფესიული განათლების განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიურ წინსვლასთან და განვითარების ტემპები აშკარა გამოხატულებას პოულობდნენ მასში.

ამასვე ადასტურებს დაბა ხონში სახელოსნო სასწავლებლის გახსნა რამდენიმე სოფლის საზოგადოების სახსრებით<sup>20</sup>. საზოგადოება ასე ასაბუთებდა დაბა ხონში სახელოსნო სკოლის გახსნის აუცილებლობას „დაბა ხონი მდებარეობს სადგურ სამტრედიიდან 18 ვერსიის მანძილზე, სადაც (სამტრედიაში) თავმოყრილია ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოები, ხოლო ამასთან იგი ორი ეთნოგრაფიული მხარის — იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარზე მდებარე სავაჭრო და სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს. მოსახლეობა შრომისუნარიანი და საკმაოდ ფხიანია. უმეტესობა ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევს. ხელოსნური დარგებიდან განსაკუთრებით ზეინკლობა და დურგლობაა გავრცელებული<sup>21</sup>.

ხონის სახელოსნო სასწავლებელი გაიხსნა 1898 წ. 1 ივლისს, ჭანტური-შვილების მიწაზე სპეციალურად აგებულ შენობაში, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინამ გამოჰყო 2867 მან. 50 კაპ. ამას გარდა სასწავლებელს დაენიშნა ხაზინიდან ყოველწლიური დახმარება 5735 მან. რაოდენობით.

სახელოსნო სკოლა შედგებოდა სამი განყოფილებისაგან: 1) საზეინკლო-სამჭედლო, 2) სადურგლო-სახარატო და 3) აბრეშუმსაქსოვი. სკოლაში სწავლობდა 30 მოსწავლე.

სტატისტიკური მონაცემებით 90-იანი წლებიდან სახელოსნო და საერთოდ პროფესიული სასწავლებლების ქსელი შესამჩნევად ფართოვდებოდა. განსაკუთ-

<sup>18</sup> ЛЦИА, ф. 733, оп. 160, д. 334, стр. 18—21.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> ЛЦИА, ф. 741, оп. 1, д. 60.

<sup>21</sup> იქვე.



რებით, სოფლად ზოგადსაგანმანათლებლო ორკლასიანი სასწავლებლების დიდ ნაწილს ხშირად დამატებით ამ სოფლისთვის შესაფერისი ხელობის შემსწავლელი კურსებიც ემატებოდა. ასეთი სახით პროფტექნიკური სწავლების გავრცელებას უფრო მთავრობას იაფი უჯდებოდა. ხელისუფლების წარმომადგენელი ერთ-ერთ სხდომაზე აღნიშნავდა: «один из наиболее удобных способов распространения технического образования является профессиональные курсы не требующие больших затрат на свое содержание»<sup>22</sup>.

მართლაც, ქართველი საზოგადოებრიობა იმდენად იყო დაინტერესებული თავიანთ შვილებს სწავლა-განათლება მიეღო, და რაიმე ხელობა შეესწავლა, რომ არ იშურებდა სახსრებს ასეთი სკოლების გასახსნელად, ამიტომ პირველდაწყებითი სასწავლებლების ქსელიც შედარებით ფართო გავრცელებას პოულობდა.

სახალხო განათლების სამინისტრო აქტიურად ჰკიდებს ხელს ახალი ტიპის დაწყებითი სასწავლებლების დანერგვა-გავრცელების საქმეს. მთავრობის მიზანი ამ საქმეში გარკვეული იყო. იგი ყოველ ღონისძიებას თავისი კოლონიური ზრახვების განხორციელებას უკავშირებდა. იგი ხელს უწყობდა პროფესიული სკოლების ქსელის გაფართოებას, რადგან ეს სკოლები ამიერკავკასიის მოსახლეობის ფართო მასებში რუსიფიკატორული პოლიტიკის გავრცელებაში ეხმარებოდა მას. ადგილობრივი ბავშვებისათვის რუსული ენა გაუგებარი იყო, მოკლე დროში მის შეთვისებას ვერ ასწრებდნენ, და ამიტომ ამ პროფესიულ სასწავლებლებს საჭირო შედეგი არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა და არც მოჰყოლია. ამის გამო იაკობ გოგებაშვილმა შესანიშნავი წერილიც კი დაწერა, რომელიც 1902 წლის საქართველოს კალენდარში გამოაქვეყნეს სათაურით „ბრმა წინამძღოლობა“ ხალხის განათლებაში<sup>23</sup>.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოში ქართველი მწარმოებელი საზოგადოება დიდად დაინტერესდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების გავრცელებით, მეტყველებს იმ დიდ ტექნიკურ ძვრებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ დროს საერთოდ კაპიტალისტურ სამყაროში და რაც მთავარია უკვე საფუძვლიანად იკიდებს ფეხს საქართველოშიც.

სამრეწველო აღმავლობა დაკავშირებულია ტექნიკურ პროგრესთან, რომლის გავრცელება უეჭველად მოითხოვს კვალიფიციური მუშახელის გამრავლებას.

ამ პერიოდში შეიმჩნევა სახელოსნო-პროფესიული სასწავლებლების ქსელის გაფართოება, რაც მთავარია დადასტურებულია ტექნიკის სიახლეთა შემოღება ზოგიერთი ახალი ტიპის სახელოსნო-სასწავლებლებში. რუსეთის მთავრობაც აშკარად ხელს უწყობდა და ქმედით დახმარებასაც უწევდა ამ წამოწყებებს, მაგრამ სინამდვილეში ის ფაქტი, რომ სწავლა ამ სასწავლებლებში რუსულ ენაზე წარმოებდა და კოლონიური მიზნებით იყო ნაკარნახევი ყოველი მისი ნაბიჯი, შესამჩნევად აფერხებდა ქართველი საზოგადოების ფართო მასებში კვალიფიციური ცოდნის გავრცელებას.

<sup>22</sup> ЛЦИА, ф. 1158. оп. I, д. 134.

<sup>23</sup> საქართველოს კალენდარი 1902 წ., გვ. 85 — იაკობ ვარიანელი.



ПРОФЕССИОНАЛЬНО-ТЕХНИЧЕСКОЕ ОБРАЗОВАНИЕ  
В ПОРЕФОРМЕННЫЙ ПЕРИОД ГРУЗИИ



Резюме

В рассматриваемый период товарные отношения все глубже вторгались во все отрасли народного хозяйства. Коренные изменения происходят и в ремесленно-цеховой организации, где к 30—40-м годам XIX века намечаются процесс распада и тенденция освобождения от феодальных регламентаций. С развитием капитализма ремесленная промышленность к концу XIX века переживает кризис.

Расширение фабричнозаводской промышленности и отраслевая специализация сельского хозяйства нуждались в квалифицированных кадрах.

В статье рассмотрен вопрос о распространении профессионально-технического образования в Грузии во второй половине XIX века; и отношения к этому представителей власти и всего грузинского народа, а также деятельность в этом направлении разных обществ: Кавказского отделения русского технического общества, сельских обществ, особая заинтересованность ремесленной управы.

Поскольку Грузия являлась колониальной страной, идея распространения профтехнического образования сталкивалась с определенными трудностями.

В условиях царского самодержавия она осталась почти неосуществленной.

---

ლ. ჭვარიანი

## სახელოსნო სკოლები რევოლუციამდე საქართველოში

სირმა-აბაზიანები იმდენად მაღალი სინჯის ვერცხლისაგან იჭრებოდა, რომ მათმა გარეგნულმა სახეობამ, როგორც ირკვევა, გიულდენშტედტი შეცდომაში შეიყვანა. იგი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ქართველები მონეტებს წმინდა და ლითონიდან, ესე იგი წმინდა ვერცხლიდან, ჭრიანო<sup>13</sup>. ეს ცნობა აშკარად

<sup>9</sup> რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 53, № 3, 1969, თბილისი.

<sup>10</sup> დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, მითითებული ნაშრომი, გვ. 158.

<sup>11</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სადასეს ისტორიისათვის საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფილისი, 1925, გვ. 34.

<sup>12</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ვ. გელაშვილის თარგმანი, თბილისი, 1962, გვ. 235.

<sup>13</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 237.





მცდარია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სირმა-ვერცხლი მართლაც მალალოს-რისხოვანი და მალალსინჯიანი (94%) ვერცხლისაგან იჭრებოდა.

ლითონის მაღალი ხარისხის გამო სირმა-აბაზიანებმა ფართო გავრცელება პოვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ნუმისმატიკური ძეგლების აღმოჩენათა შემთხვევები დღევანდელი აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებზე მიუთითებენ იმაზე, რომ ამ ქვეყნების სამონეტო მიმოქცევაში სირმა-ვერცხლს გარკვეული ადგილი ეკავა<sup>14</sup>.

ამიერკავკასიაში სირმა-აბაზიანების ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ამ უკანასკნელის მინაბაძების გაჩენის ფაქტიც. ნუმისმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით ეს მინაბაძები ნუხის სახანოში უნდა მოექმრათ<sup>15</sup>. ცნობილია აგრეთვე, რომ ერეკლე II-ის მიერ განჯის ალბის შემდეგ 1786—1791 წლებში აქ სირმა-აბაზიანების მსგავსი მონეტები იჭრებოდა.

გადავიდეთ განძის მეორე ნაწილს — რუსული მონეტების განხილვაზე. ფხოველის განძის რუსული მონეტები, თავისთავად, ორ ჯგუფად ნაწილდება. ესენია: ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე მოჭრილი ეკატერინე II-ისა და პავლე I-ის მანეთიანები და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გამოშვებული ალექსანდრე I-ისა და ნიკოლოზ I-ის მანეთიანები, პოლტინები ოცდახუთკაპიკიანები, ოცკაპიკიანები და ათკაპიკიანები. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბუნებრივია, რომ ჩვენში რუსული მონეტები იქნებოდა ბრუნვაში. რაც შეეხება ამ მონეტების მიმოქცევას 1801 წლის მანიფესტამდე, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მიუხედავად, რუსული ფულის გავრცელება, საქართველოში XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება.

XVII საუკუნის რუსეთის ელჩები თავიანთი მოგზაურობის აღწერილობებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოში რუსულ მონეტებს არ ღებულობენ<sup>16</sup>, აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ XVIII საუკუნის დასაწყისის ქართული კანონმდებლობის ძეგლის „თეთრის გარიგების კარში“ რუსული საფასვები არ იხსენიება<sup>17</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი ყველაზე ადრინდელი რუსული მონეტა 1731 წლით თარიღდება<sup>18</sup>. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი ნუმისმატიკური მასალის მიხედვით საქართველოში შემდეგი რუსული მონეტები იყო ბრუნვაში: სპილენძის — პოლუმეკები, დენგები, კაპიკიანები, ორკაპიკიანები და ხუთკაპიკიანები, ვერცხლის—ხუთკაპიკიანები, თხუთმეტკაპიკიანები, ოცკაპიკიანები და მანეთიანები<sup>19</sup>.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების წერილობითი წყაროებიდან ირკვევა,

<sup>14</sup> Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. III, Баку, 1940, стр. 64—65, 77, вып. IV, 1949, стр. 57—58; вып. VIII, 1959, стр. 132—133.

<sup>15</sup> დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 159.

<sup>16</sup> М. А. Полиектов, Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию 1650—1652, Тифлис, 1926, стр. 110.

<sup>17</sup> ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 53.

<sup>18</sup> Р. Кебуладзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным, «Мацне», т. 4, 1969, Тбилиси, стр. 95.

<sup>19</sup> Р. Кебуладзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным, «Мацне», т. 4, 1969, Тбилиси, стр. 100.



რომ ჩვენში, ზემოთ ჩამოთვლილი მონეტების გარდა, მიმოქცევაში იყო რუსული ოქროს მონეტებიც, კერძოდ — იმპერიალები, რომლის ღირებულებაც ერთ თუმანს, ე. ი. 50 აბაზს, შეადგენდა<sup>20</sup>.

ფხოველის განძის შემადგენლობიდან ირკვევა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში რუსული მონეტების გვერდით მიმოქცევაში იყო რუსულ-პოლონური მონეტებიც. ცნობილია, რომ 1815 წელს, რეჩი-პოსპოლიტას მესამედ დაყოფიდან 20 წლის შემდეგ, პოლონეთში დაიწყეს რუსულ-პოლონური მონეტების გამოშვება, რომლებიც 1841 წლის ჩათვლით იჭრებოდა.

საქართველოში რუსულ-ქართული მონეტების გამოშვება შედარებით ადრე დაიწყეს. 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შედეგად თბილისის ზარაფხანა დროებით გაუქმდა. მაგრამ მალე, იგი კვლავ ამოქმედდა და 1804 წელს დაიწყო რუსულ-ქართული მონეტების გამოშვება. ამ სერიის ფული შემდეგ ნომინალებად იჭრებოდა: ვერცხლის — ორაბაზიანი (40 კაპ), აბაზიანი (20 კაპ.) და ნახევარაბაზიანი (10 კაპ.), სპილენძის — ოცი, ათი და ხუთფულიანი, შესაბამისად 2,1 და 1/2-კაპიკიანები. რუსულ-ქართული ვერცხლის მონეტების სინჯი სირმა-აბაზიანებზე დაბალი იყო და 88% უდრიდა<sup>21</sup>. მიუხედავად ამისა, ამ მონეტების ნომინალური ღირებულება თანაბარი იყო; კერძოდ, ძველი და ახალი აბაზიანი უდრიდა 200 ფულს, ხოლო ნახევარაბაზიანი — 100 ფულს.

ლითონის მალალი შემადგენლობისა და ახალ მონეტებთან ნომინალური ღირებულებათა თანაფარდობის გამო სირმა-ვერცხლი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც საკმაო ხანს დარჩა ბრუნვაში.

აღნიშნული მოსაზრება დასტურდება სათანადო წყაროებით. 1836 წლის 11 ივლისს კავკასიის მთავარმართებელი ბარონი როზენი ქართული მონეტების ნაცვლად რუსული ფულის შემოღების თაობაზე გრაფ კანკრინს წერდა: „საქართველოში ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი ძველი მონეტების გარდა მიმოქცევაშია 1804—1834 წლებში გამოშვებული 1059743 მან. 76 კაპ. ორაბაზიანები, აბაზიანები და ნახევარაბაზიანები<sup>22</sup>.

1834 წლის 29 დეკემბრის იმავე ხასიათის დოკუმენტში ბარონი როზენი იტყობინება, რომ საქართველოში მიმოქცევაშია ქართველ მეფეთა 71650 მან. და განჯის ზანის 2365 მან. ვერცხლის მონეტები. მთავარმართებელი ასახელებს აგრეთვე ირანულ და ოსმალურ მონეტებს და აღნიშნავს, რომ ქართველ მეფეთა და ამიერკავკასიის სახანოების მონეტების მიმოქცევიდან ამოღება-შესყიდვის გზით არ არის დაკავშირებული დიდ სიძნელებთან. ხოლო დაბალი ხარისხის ირანული და ოსმალური ფულის შესყიდვა გამოიწვევს სასაზღვრო რაიონებიდან ამ მონეტების დიდი რაოდენობით შემოსვლას, რაც საგრძნობ ზარალს მიაყენებს სახელმწიფო ხაზინას. ამიტომ უნდა დაწესდეს რუსეთისათვის მისაღები მტკიცე კურსი ოსმალურ და ირანულ მონეტებზე და ზუსტად განი-

<sup>20</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 283—287.  
<sup>21</sup> П. фон. В и н к л е р, Из истории монетного дела в России, чеканка монеты для Грузии (1804—1833), СПб., 1898, стр. 6.  
<sup>22</sup> Вел. кн. Г е о р г и й, М и х а н л о в и ч, Русские монеты чеканенные для Пруссии, Грузии, Польши, Финляндии, т. V, С.-Петербург, 1893, стр. 69.



საზღვროს სახელმწიფო ხაზინაში მათი ამოცვლის ვადები<sup>23</sup>. ამავე დროს ბარონი როზენი რუსულ-ქართული მონეტების ბრუნვიდან ამოღების დეგია და მოითხოვს ხურდა ფულის მნიშვნელობით მიმოქცევაში ვებას<sup>24</sup>.

რუსულ-ქართული მონეტების გადახურდავება მართლაც გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მილიონ მანეთზე მეტი თანხის ერთბაშად გაღება, რაც საჭირო იყო ამ მონეტების ამოსაცვლელად, უპრყოფით გავლენას მოახდენდა იმპერიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამიტომ, რუსულ-ქართული მონეტები, თბილისის ზარაფხანის გაუქმების მიუხედავად (1834 წ.), თითქმის XIX საუკუნის დასასრულამდე დარჩა ბრუნვაში.

რაც შეეხება „ქართველ მეფეთა მონეტებს“, ე. ი. სირმა-ვერცხლს, მეფის მთავრობა ორჯერ 1848—1849 წლებში შეეცადა შესყიდვის გზით, ამ მონეტების მიმოქცევიდან ამოღებას, მაგრამ, როგორც ირკვევა, ხურდა ფულის საჭირო რაოდენობით უქონლობის გამო, სახელმწიფო ხაზინამ ვერ შეძლო ამ ღონისძიების განხორციელება<sup>25</sup>.

საბოლოოდ სირმა-ვერცხლის შესყიდვა დაიწყო 1852 წლიდან, როდესაც დამტკიცდა კავკასიის კომიტეტის დადგენილება გაცვეთილი ძველი ქართული მონეტების გადახურდავების შესახებ ორი წლის განმავლობაში, ხოლო გაუცვეთავისა — განუსაზღვრელ ვადაში<sup>26</sup>.

გასული საუკუნის 50-იან წლებში სირმა-ვერცხლისა და რუსულ-ქართული მონეტების მიმოქცევის ცნობას იძლევა პროფ. დ. კაპანაძის მიერ ჩვენს განკარგულებაში თავაზიანად გამოცემული ნასყიდობის ორი სიგელი.

პირველი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც შედგენილია 1851 წელს, სოფ. წინსოფლის მცხოვრებს, საბატონო ყმას, ოსიკ ხიხაძეს სოფ. დოღელაურას მცხოვრებლებსაგან, აზნაურების გიგა და სპირიდონ წერეთლებისაგან შეუძენია ადგილ-მამული შვიდ თუმნად ქართული თეთრითა და სირმა-ვერცხლით. მეორე დოკუმენტში საუბარია იმავე ოსიკ ხიხაძის მიერ 1853 წელს სოფ. კოლბეურას მცხოვრებლებსაგან გრიგოლ და გიორგი მაჭარაშვილებისა და მათი ბიძაშვილის ნანია პეტრეს ძისაგან ოცდაათ მანეთად ქალაქის (თბილისის-რ. ქ.) სირმა-ვერცხლით საპარტახო მამულის ყიდვის შესახებ.

ამრიგად, ზემოთ განხილული საბუთების მიხედვით, საქართველოში სირმა-ვერცხლი და რუსულ-ქართული მონეტები ხმარებაში ყოფილა XIX საუკუნის 50-იან წლებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსულ-ქართული მონეტების გვერდით სირმა-ვერცხლის მიმოქცევა, წერილობითი წყაროების ვარდა, დასტურდება ადგილობრივ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური განძების შემადგენლობითაც.

ზემოთ განხილული ფხოველის განძის ყველაზე გვიანდელი მონეტა, რუსული მანეთიანი, 1842 წლით თარიღდება. ამ მონეტის მოჭრის დროიდან საქართველოში მის ჩამოტანას და მიწაში ჩაფლას ათიოდე წელი მაინც დასჭირდებოდა. ამიტომ, სოფ. ფხოველში აღმოჩენილი მონეტების განძად დააქცევა, ჩვენი ვარაუდით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო.

<sup>23</sup> Акты собранные Кавказской археологической комиссией, т. VIII, Тифлис, 1881, стр. 30—31.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> ვ. გ. უ. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ. VI, თბილისი, 1938, გვ. 53.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 55.



ამრიგად, ფხოველის განძის კომპლექსი სირმა-აბაზიანებისა და რუსულ-ქართული მონეტების ბრუნვის ხანგრძლივობის ილუსტრაციას იძლევა და უდავო ქეზმარტებად ხდის მათ მიმოქცევას XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასაწყისში მაინც.

ფხოველის განძი დამუშავების პროცესში იყო, როდესაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა ფასანაურის მიდამოებში ნადირობის დროს აღმოჩენილი ვერცხლის 576 მონეტა და ორი თასი. ეს განძი, ფხოველის განძის ანალოგიურად, შერეული ხასიათისაა და შედგება ქართული, რუსული, ოსმალური, ირანული, რუსულ-ქართული და რუსულ-პოლონური მონეტებისაგან. ფასანაურის განძის ყველაზე ადრინდელი მონეტებია XVIII საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში მოჭრილი ერეკლე II-ის სირმა-აბაზიანები და ეკატერინე II-ის მანეთიანები, ხოლო ყველაზე გვიანდელი ალექსანდრე II-ის 1878 წლის ოცკაპიკიანი. მასშტაბამე განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი, დაახლოებით, 125 წლით განისაზღვრება, რაც შეეხება ამ განძის ჩაფლობის სავარაუდო თარიღს, ყველაზე გვიანდელი მონეტის მიხედვით, გასული საუკუნის 80—90-იან წლებში უნდა მომხდარიყო. ამრიგად ფასანაურის განძის შემადგენლობიდან ირკვევა, რომ საქართველოში სირმა-ვერცხლი და რუსულ-ქართული მონეტები XIX საუკუნის დასასრულამდე ყოფილა ბრუნვაში. ზემოაღნიშნულის გარდა, ფასანაურის განძის კომპლექსის მეცნიერული მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ იგი სირმა-ვერცხლის გამოშვების თარიღს აზუსტებს.

ჩვენს მიზნით მოგვყავს ამ განძის შემადგენლობის სათანადო ცხრილი:

მონეტების განსაზღვრა	ნომინალი	მოჭრის თარიღი	რაოდენობა
ქართული სირმა-ვერცხლი	აბაზიანება	1166—1213 ჰიჯრით (1752—1799 წწ.)	136
	ნახ. მარჩილიანები	1182—1192 ჰიჯრით (1768—1778 წწ.)	9
	უზალ თუნები	1213 ჰიჯრით (1798—1799 წწ.)	4
	შაურიანი	თარიღი არ იკითხება 1143 ჰიჯრით <sup>27</sup>	1
თურქული ირანული	ფარა	(1730—1731 წწ.)	1
	აბაზიანი	1209 ჰიჯრით (1794—1795 წწ.)	1
რუსული	მანეთიანები	1764—1842 წწ.	11
	პოლტინა	1818 წ.	1
	ნახ. პოლტინა	1786 წ.	1
	გრიფენიკები	1770—1795 წწ.	22
	25 კაპიკ.	1829—1858 წწ.	14
	20 კაპ.	1784—1787 წწ.	167
	15 კაპ.	1788—1877 წწ.	32
	10 კაპ.	1813—1877 წწ.	138
რუსულ-ქართ.	ორაბაზიანები	1812—1833 წწ.	13
	აბაზიანი	1812 წ.	1
რუს.-პოლონ.	2 ზლოტი	1835—1836 წწ.	3
	50 გროში	1816 წ.	1
	1 ზლოტი	1835—1840 წწ.	20

<sup>27</sup> ეს თარიღი ინციდენტურია და სულთანის გამეფებას აღნიშნავს.



Р. В. КЕБУЛАДЗЕ

## КЛАД ИЗ ПХОВЕЛИ



### Резюме

В 1955 году в селе Пховели Гурджаанского р-на Груз. ССР был найден клад серебряных монет. В Государственный Музей Грузии отсюда поступило III экземпляров. Клад состоит из четырех основных групп: грузинских, русских, русско-грузинских и русско-польских монет. Грузинские монеты датируются 1776—1795 годами, русские — 1786—1842 годами, русско-грузинские — 1807—1832 годами и русско-польские — 1835—1840-ыми годами. В статье описаны все монеты клада, причем каждая группа монет изучена отдельно.

Изучение монет этого клада дает возможность установить некоторые вопросы монетного обращения в Грузии. В частности, состав клада дает новые данные о распространении русских монет в Грузии до ее присоединения к России. Выясняется, например, что кроме монет Российской Империи в Грузии после ее присоединения к России обращались и русско-польские монеты.

После изучения состава клада и соответствующих письменных источников установлено, что грузинские сирма-абазы конца XVIII в., равно как и русско-грузинские монеты 1804—1833 годов, обращались в Грузии до конца XIX века наряду с монетами Российской Империи.

---

### ხატისოფლის აღრეპრისტინაული ხანის ძეგლები

ბოლნისის მახლობლად, ფოლადაურის ხეობაში მდებარეობს წითელსოფელი, რომელსაც ძველად ხატისოფელი ერქვა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ხატისოფელი ქართველებით ყოფილა დასახლებული. ახლა აქ ბევრი სომეხია<sup>1</sup>.

სოფელში სამი ეკლესია დგას. ერთი, წმ. ნიკოლოზის სახელობისა, ქვით ნაშენი, მხედრული წარწერებით, რომელთა მიხედვით ეკლესია მე-17 ს. შეორე ნახევრით თარიღდება (სურ. 1). ეს წარწერები თავის დროზე გამოქვეყნებული აქვთ მ. ბროსეს და ექ. თაყაიშვილს<sup>2</sup>.

ეკლესიას ჰქონია სამრეკლო, რომლის არც აღწერილობა და არც ფოტო გამოქვეყნებული არ არის (ჩვენ ვნახეთ სოფელში გადაღებული ფოტო, რომელზედაც სამრეკლო არის. ის ერთი შეხედვით, ჰგავს წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლოს).

მეორე ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა, პატარა, ერთნავიანი. ნათალი ქვით ნაგები და ორნამენტიანი ლორწინით დახურული. ეკლესიას ზედ ადგას გვიანდელი სამრეკლო (სურ. 2).

ეკლესიის მახლობლად, მის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით შენობების ნანგრევებია. სოფელთა გადმოცემით, ეკლესიის დღეობაზე შორიდან ჩამოსული მლოცველები აქ ათევდნენ ღამეს. შესაძლებელია ეს შენობები აქ ადრე არსებულ სამონასტრო კომპლექსის ნაშთს წარმოადგენენ.


სოფლის განაპირას სასაფლაოა. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია. ეკლესია ერთნავიანია დარბაზული, ისეთი როგორც მრავლად გვხვდება ქართლში თითქმის ყველა სოფელში და რომელთა საგანგებო შესწავლა, სამწუხაროდ, ჯერ მოხერხდა.

ეკლესია ნათალი ქვით ყოფილა ნაგები. მისი სახურავი და კედლების ნაწილი ჩამონგრეულია. შედარებით კარგად არის შერჩენილი დასავლეთი, ჩრდილო და სამხრეთი კედლები: აფსიდა გარღვეულია, თალი ჩამოქცეული. ჩრდილო კედელში შემორჩენილია კაპიტელიანი პილასტრი.

<sup>1</sup> სოფლის მცხოვრებთა ცნობით ხატისოფელი დაუსახლებიათ ასი წლის წინათ სოფ. ქვეშიდან გადმოსახლებულეს. სოფელში მოსახლე გვარებია: ადამაშვილები, ბადალაშვილები, ინაძეები, კახელაშვილები, მასისურაძეები, მალრაძეები, მამულაშვილები, სააკოები, პეტრიაშვილები, ქუქუნაშვილები, ჭალაურები და სხვ.

<sup>2</sup> M. B r o s s e t, *Mélange Asiatiques*. t. II, p. 333—4. როგორც ექ. თაყაიშვილი აღნიშნავს, ბროსეს გამოცემაში მრავალი შეცდომაა. ამ ეკლესიის ესა და სხვა მოკლე წარწერები გამოაქვეყნა ექ. თაყაიშვილმა (ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, *სომხეთ-საორბელის ძეგლების წარწერები*, ნაწილი, I, პარიზი, 1929, გვ. 93).





სურ. 1. წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, დასავლეთი ფასადი.



ქართული  
ენების  
სამეცნიერო  
ცენტრი



სურ. 2. წმინდა გიორგის ეკლესია, სამხრეთი ფასადი.



ეკლესიის შიგნით დასავლეთი კედლის ძირას ცენტრში ჩამწებულა დაწვნილი სვეტის თუ პილასტრის ნაწილი ორნამენტირებული კაპიტელით. სვეტი და კაპიტელი ქვის ერთი ბლოკისაგან არის დამზადებული. ჩაჭრილი ორი ხაზით სვეტის ზედაპირი დანაწევრებულია ისე, რომ ზე მიდგმული სამი მრგვალი პატარა სვეტის შთაბეჭდილება იქმნება, რომელთაგან შუა უფრო ვიწროა ორ დანარჩენზე. კაპიტელზე გამოსახულია სამკუთხედებით შევსებული წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის რელიეფი. ცერადკვეთილი ჯვრის მკლავებში თითო რელიეფური ბურთულა ზის. ასეთივე თითო ბურთულაა მოთავსებული მკლავებს შორის დარჩენილ თავისუფალ არეში<sup>3</sup>. კაპიტელს ქვემოთ შემოუყვება ცერადკვეთილი სამკუთხედების არშია, ზემოთ დარჩენილი არე შევსებულია ერთმანეთის გადამკვეთი თევზიფხური ხაზებით, რომლებიც ერთიან ხალიჩისებურ სახეს ქმნიან (სურ. 3).

ეკლესიის კედლებში შეიმჩნევა ამოვარდნილი ქვების ბუდეები. ზოგი მათგანი იქვე გდია, ზოგიც, როგორც ჩანს, დაკარგულია. საყურადღებოა ზოგიერთი ქვა, რომლებიც ჩვენ ვნახეთ ეკლესიის ინტერიერში. ერთი მათგანი წარმოადგენს ოთხკუთხა ბრტყელ ხაჩკარს ბაზაში ჩასადგმელი შვერილით (სურ. 3) ხაჩკარს ზემოთ კარნიზი აქვს, წინაპირს გარშემო შემოუყვება გრეხილი რელიეფი. შუაში ორღეროიანი გრეხილი ჯვრის რელიეფია. გამოსახულების მკლავები გაორებულია. ჯვარი აყვავებულია: ქვედა მკლავის ბოლოდან გამოდის ღერო, ორად განტოტებული ოთხ-ოთხი გრძელი ფოთლის სახით. ასეთი ხაჩკარები ხშირად გვხვდება ქვემო ქართლში მე-16 ს-დან მოყოლებული, როგორც ჩანს, ისინი დაკავშირებული არიან სომხურ მოსახლეობის გაჩენასთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესიის ჩრდილო კედელში შემორჩენილია სვეტი კაპიტელით, რომელზედაც დაყრდნობილი უნდა ყოფილიყო ტრიუმფალური თაღი (სურ. 4—5). სვეტის ზედაპირზე დაბალი რელიეფით გამოყვანილია ურთიერთგადამკვეთი ორმაგი ხაზებით შემოვლებული წრეები (რელიეფი ძლიერ გადასულია). ასეთივე რელიეფი ამკობს ხანდისის სტელას უკანა პირს (მხოლოდ ხატისოფლის რელიეფისაგან განსხვავებით წრეები აქ არათანაბარია<sup>4</sup>). ერთმანეთზე გადაწული წრეები გვხვდება ბაშქიჩეთის სტელის ზურგზეც<sup>5</sup>. საყურადღებოა, რომ ხატისოფლის რელიეფის მოჩარჩოებაც წვრილად დაშტრიხული ხაზები, რომელსაც სვეტის კუთხეებში მოსდევს ცერადკვეთით გამოყვანილი და თავშექცევით დაყენებული პატარ-პატარა სამკუთხედების რიგი, იმეორებს ხანდისის სტელის მოჩარჩოებას. საერთოდ კი ხატისოფლის სვეტის რელიეფი, ხანდისის სტელასთან შედარებით, სიფაქიზისა და გეომეტრიული სიზუსტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ხატისოფლის სვეტი თავდაპირველად წარმოადგენდა სტელას, რომელიც შემდეგ გამოიყენეს თაღის საყრდენად. ამ

<sup>3</sup> რელიეფი ჯვრის გამოსახულების სახითა და საერთო სტილით ძლიერ უახლოვდება გიულბაღის რელიეფს, რომელიც თარიღდება V ს. მეორე ნახევრიდან VI-ს I ნახევრამდე. Н. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972., სურ. 40. ჯვრის ასეთივე გამოსახულება ბურთულების გარეშე გვხვდება ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის წარწერიდან აფსიდის ჩრ. პილასტრის რელიეფზე და სხვ. ძეგლებზე, რომლებიც ამავე ხანით თარიღდება, იქვე, სურ. 31, 1—2.

<sup>4</sup> შეად. Н. Чубинашвили, Хандиси, სურ. 1.

<sup>5</sup> აღ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ადრექრისტიანული ხანის საკულტო მემორიალური ძეგლები საქანდიდატო დისერტაცია, თბ., 1949, ტაბ. XI, 1.



სურ 3. „სასაფლავის ეკლესია“, ინტერიერი, ხაჩკარი და დასავლეთ კედელში ჩაშენებული სვეტი.





სურ. 4. ჩრდილო კედლის პლასტრი და კაპიტელი





სურ. 5. ჩრდილო კედლის პილასტრი და კაპიტელი



მოსაზრებას შეიძლება ასახულებდეს აგრეთვე თავ-ბოლოში ორნამენტის გადაჭრის ფაქტიც (ხანდისის სტელის რელიეფზე რგოლები თუმცა ასევე გადაჭრილია, მაგრამ თავში არშით არის გარშემოვლებული).

სვეტს ადგას კაპიტელი, რომლის რელიეფი არა მარტო გადასულთ, არამედ ბევრგან ამოტეხილია კიდევ. როგორც ერთ კუთხეში შერჩენილი ნაწილის მიხედვით ჩანს, მასზე ორრიგად გამოსახული ყოფილა გრძელფეხრცელა შროშანების სახეები. კაპიტელს ზემოთ შემოყოლებული აქვს კარნიზი ვაზის რტოსა და ფოთლების რელიეფით. კაპიტელი და კარნიზი პროფილის მიხედვით დაახლოებით ისეთივეა, როგორც ბოლნისის სიონის კაპიტელები. მათგან განსხვავებით ეს კაპიტელი უფრო ვიწროა.

დასავლეთ კედელში ჩაშენებული ყოფილა კიდევ ერთი ქვა, რომელიც სტელის ფრაგმენტს წარმოადგენს. იგი ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმის ქვის ფონდში.

სტელა თითქმის კვადრატულია (ზომ. 22×22×21,5 სმ). მხოლოდ კუთხეები აქვს ჩამოჭრილი 5 სმ სიგანეზე. ცალ გვერდს ორივე მხარეზე სიგრიძე გასდევს ქაცვებიანი ორნამენტული არშია.

სტელები ჩამოჭრილი კუთხეებით ადრეფეოდალურ ხანაში ძლიერ გავრცელებულია. ეს კუთხეები ხშირად ორნამენტით არის შემკული. გვხვდება სამკუთხედების, ქაცვების და სხვ. სახეები.

სტელის კუთხეების გაფორმება ზუსტად იმავე წესით (ჩამოჭრილია და ორნამენტით) როგორც ხატისსოფლის სტელაზე, გვხვდება დავით-გარეჯის ნათლისმცემლის სტელაზე, რომელიც VI ს. მეორე ნახევრით და VII ს. პირველი ნახევრით თარიღდება<sup>6</sup>. ქაცვებით არის შემკული აგრეთვე კატაულის გრივოლ ერისთავ-იუპატოსის სტელის (VII ს.) ჩამოჭრილი კუთხეები და ბოლნისის ერთი სტელა, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით (VI ს.), ამრიგად, ეს ორნამენტული სახე და მისი მოხმარების ამგვარი წესი გვხვდება VI—VII სს.

აღნიშნულ გვერდზე გამოსახულია ორ ერთმანეთზე შეყენებული კვარცხლბეკზე ამართული წიწვის სამი ტოტი. კვარცხლბეკები ოთხკუთხაა, ქვედა შედარებით დიდაა, ორივე გადაკვეთილია დიაგონალებით. მათ შორის ოთხოთხი ცერადკვეთილი სამკუთხედი იქმნება (სურ. 6).

დიაგონალებით გადაკვეთილი ასეთივე ოთხკუთხა საყრდენი გვხვდება ხანდისის სტელის უკანაპირზე და ეძანის სტელის რელიეფზე<sup>7</sup>. ორივეგან ეს ოთხკუთხედი მოთავსებულია სტელის ბოლოში. ეძანის სტელაზე კი მასზე აღმართულია ჯერ არკატურა და შემდეგ ჯვარი. მსგავსი გამოსახულება გვხვდება აგრეთვე გველდის სტელაზე<sup>8</sup>, ამრიგად, ეს გამოსახულება ჯვრის ბაზას თუ საკუროთხეველს წარმოგვიდგენს.

კვარცხლბეკებზე მოთავსებულ წიწვის თუ სხვა ხის ტოტების გამოსახულებას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ მასალაში უშუალო ანალოგი არ მოეძებნება. ის ფორმალურად თითქოს შეიძლება დაგუალოთ სტელებზე გამოსახულ ჯვრით დამთავრებულ შტანდარტებს, რომლებიც ჩვეულებრივ ერთ-ორ ან სამ ოთხკუთხა საყრდენზე არის ხოლმე შეყენებული (მაგ.,


<sup>6</sup> Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб. 1948, стр. 31; Н. Г. Чубинашвили, Хандиси, стр. 91.

<sup>7</sup> Н. Г. Чубинашвили, Хандиси, рис. I и 33 —1.

<sup>8</sup> იქვე, სურ. 85.



ზედა თმოგვის სტელა VI ს.<sup>9</sup> დემირბულადის სტელა VI—VII სს<sup>10</sup>. ბოლნისის ამავე დროის და VIII—IX სს. რამდენიმე სტელა<sup>11</sup>, ტნუსის თეკენების კლასიკური სიაში ჩაშენებული ორი სტელა<sup>12</sup>, კაზრეთის სტელები და სხვ.



სურ. 6. წარწერიანი სტელა წიწვის ტოტების გამოსახულებით.

რაც შეეხება ტოტების გამოსახულებას, როგორც ცნობილია, ხის მწვანე ტოტები ქრისტიანულ ხელოვნებაში წარმოადგენდა სამოთხის სიმბოლოს<sup>13</sup>. ზოგადად ასეთ მნიშვნელობას ატარებდნენ ღაფნის, ზეთისხილის, კვიპაროსის

<sup>9</sup> Н. Г. Чубинашвили, Хандиси. სურ. 79

<sup>10</sup> იქვე, სურ. 74.

<sup>11</sup> იქვე, სურ. 90.


<sup>12</sup> ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, თბილისი, 1941, სურ. 15, 16.

<sup>13</sup> А. С. Уваров, Христианская символика, Москва, 1903, стр. 192.




და წიწვიანი სხვა ხეების ტოტების გამოსახულებანი. ცალკეული ხის ჯიშები გარკვეულ ელფერს ანიჭებდნენ სიმბოლოს, მაგრამ მისი ძირითადი მნიშვნელობა არ იცვლებოდა. მაგ. დაფნის ტოტების გამოსახულება რომელიც ძველ საბერძნეთში და რომში გამარჯვების სიმბოლოს წარმოადგენდა, ქრისტიანულ ხელოვნებაში მიენიჭა იმქვეყნიურ, სულიერ გამარჯვებათა მნიშვნელობა. ეს გამოსახულება ხშირად გვხვდება ფორმულა *in pace aeterna* — საუკუნო სასუფეველთან ერთად. წიწვიანი ტოტების გამოსახულებაც დაკავშირებულია საუკუნო სასუფეველის სიმბოლოსთან. მაგრამ რადგანაც ეს გამოსახულება ძველებზე ნაკლებად გვხვდება, და მას არ ახლავს ფორმულა, გაუჩვენებელია, თუ კონკრეტულად რას აღნიშნავს ეს სიმბოლო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ხატისსოფლის სტელის ტოტების გამოსახულებაც რელიგიურ სიმბოლოს წარმოადგენდა და აღნიშნავდა იმქვეყნიურ სულიერ გამარჯვებათა და საუკუნო სასუფეველის იდეას. თითქოს ამის მანიშნებელია აგრეთვე ტოტების აღმართვა საგანგებო საკუთხეველებზე.




სურ. 7. სტელის წარწერა (ნახატი).

სტელის მომიჯნავე გვერდზე ამოჭრილია 1,5—2 სმ სიგრძის ასომთავრული ასოებით შესრულებული წარწერა. წარწერა ოთხსტრიქონიანია, ნაკლული. მას არა აქვს დასაწყისი. ზემოდან პირველ სტრიქონზე შემორჩენილია პირველი სამი ასო, რომელთაგან მესამე ნაკლულია. სრულიად დაცულია მომდევნო სამი სტრიქონი (სურ. 7, 8).



სურ. 8. იგივე სტელა წარწერით.





მეოთხე სტრიქონის ქვემოთ სტელა გათლილია. მომიჯნავე ვვერდზეც წარწერის ამ სტრიქონის გასწვრივ ორნამენტი თავდება და გარკვევით ჩანს. ჩასადგმელი ნაწილი. მამასადამე, წარწერა ამ სტრიქონით მთავრდება.

პირველი სტრიქონის დასაწყისში შერჩენილი ასოებიდან პირველი ლასი უნდა იყოს, თუმცა იგი განსხვავდება წარწერის ორი ლას-ისაგან, რომელთა ქვედა ნაწილი უფრო მომრგვალებულია. მეორე ასო ანი-ვით არის მოხაზული, მხოლოდ არა აქვს გასწვრივი ზედა ხაზი. თვით წარწერაში ექვსი ანია და ექვსივე წესიერად მოხაზული. შესაძლოა, აქ სხვა ასო იკითხებოდეს, მაგ., ცანი.

მესამე ასო ნაკლებია, მაგრამ მას ისეთი მოხაზულობა აქვს, რომ მხოლოდ დონ-ს შეიძლება წარმოადგენდეს. შემდეგ ქვა ჩამოტეხილია. აქ შეიძლება ყოფილიყო კიდევ ორი ან მაქსიმუმ სამი ასო. ამრიგად, პირველ სტრიქონში შეიძლება ვივარაუდოთ ლ ა დ ა ნ ლ ც დ ასოთა ჯგუფები პლუს ორი ან სამი უცნობი ასო.

მეორე სტრიქონში იკითხება ლ პ ა მ ა ა ნ ლ ს ა მ ა. მეორე ასო უფრო სანია უნდა იყოს. ასეთი ფეხაწეული სანი გვხვდება აგრეთვე წარწერის მესამე სტრიქონში.

მესამე სტრიქონში იკითხება მ ა მ ა ს და მეოთხეში ს ა ხ ლ ს ა. რაც ვფიქრობთ, იძლევა სიტყვას „მამასახლისისა“. ფაქტიურად სტელის მთელი ფრაგმენტიდან ჩვენ სრულად ამოვიკითხეთ მხოლოდ ეს სიტყვა.

დავუბრუნდეთ წინა სტრიქონებს. ჩვენის აზრით, სიტყვა „მამასახლისისა“ წინ მოსალოდნელია მისი საკუთარი სახელი ან ვინაობა. მაგრამ ვინაიდან წინა (პირველი) სტრიქონის დაბოლება არ არის შერჩენილი, ძნელი სათქმელია, სად იწყება იგი, სავარაუდოა თუ არა კიდევ სიტყვა მის წინ და კონკრეტულად რა სახელთან გვაქვს საქმე.

ვარაუდის სახით შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ პირველ სტრიქონში იკითხება სიტყვა „მოსაქსენებლად“, „სალოცველად“, „შესავედრებლად“ და სხვ. ამავე სტრიქონის ორი (ან სამი) ასო, რომელიც ჩამოტეხილია, მეორე სტრიქონის სამ ასოსთან ლას-თან ერთად შეიძლება აღვადგინოთ როგორც „ლ“-ზე დამთავრებულ ფუძიანი სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში, მაგ., „სულისა“ ან „სახლისა“. მაშინ წარწერა ასე წაიკითხებოდა: „...მოსაქსენებლად (შესავედრებლად და სხვ.) სულისა მა მამასახლისისა“ ან „სალოცველად სახლისა მა მამასახლისისა“.

ვფიქრობთ, რომ არც ვავითვალისწინოთ ჩვენ მიერ პირველი ორი სტრიქონის სავარაუდო აღდგენა, მარტო იმის მიხედვით, თუ როგორ მთავრდება წარწერა, იგი საფიქრებელია იყოს შეწირულებითი ხასიათის და ატენის, წრომის, დავით-გარეჯის ნათლისმცემლის, უკანგორისა და სხვ. სტელების წარწერების მსგავსად ასეთი სახისა იყოს:

[ესე ჯუარი ქრისტესი... მე... აღჰუმართე... სალოცველად ჩუენდა და მოსაქსენებ]ლად სულისა მა მამასახლისისასა.

განვიხილოთ წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით. ტექსტში გვხვდება ხუთი სრული ასო (ა, ლ, მ, ს, ხ, ც?) და ერთი ნაკლები (დ). ამ ასოთაგან ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენება ლასი. იგი მუცელგახსნილია სამივე შემთხვევაში სხვადასხვანაირად მოხაზული. პირველ სტრიქონში ის სრულიად გახსნილია, მეორეში — წელში მკვეთრად გახნეკილი და ზომიერად მუცელგახს-





ნილი. მესამეში იგი შედარებით დიდი, ბუნი სწორი აქვს, მუცელი—ოდნავ განსნილი. ასეთი ლასი გვხვდება VI—VII სს. ეპიგრაფიკულ ძეგლებზე (მცხეთის ჯგრის ბაზის ორი ლასი)<sup>14</sup>.

თავისებური მოხაზულობა აქვს სან-ს, რომელიც იმდენად ფეხაწეულია, რომ სამიდან ორ შემთხვევაში თითქმის პარ-ს ემსგავსება. წარწერაში არსებული სამი მანი განსხვავდება ერთმანეთისაგან ზედა გასწვრივი ხაზის სიგრძე-სისწორით, ქვედა ნაწილის წრიულობით და სხვ. საერთოდ კი, მანი დიდად არ განსხვავდება როგორც VI—VII სს., ისე შემდგომი ხანის მოხაზულობათაგან<sup>15</sup>. ხარ-ს თითქოს ჩვეულებრივი მოხაზულობა აქვს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შესაძარბელი მასალა მეტად მცირეა.

ანი ექვს შემთხვევაში წარმოადგენს ღრმა ნახევარკალს, რომელსაც ზემოდან მჭიდროდ ადგას გასწვრივი ხაზი. ქვემოთ მას არა აქვს ფეხისებური პატარა შევილი, როგორც გვხვდება VI—VII სს. ზოგიერთ წარწერებში. (საყურადღებოა, რომ წრომის მთავარ წარწერაში გვხვდება როგორც ფეხიანი, ისე უფეხო ანი. მეორე წარწერაში კი, რომელიც შედარებით გაკრული ხელით არის შესრულებული — მხოლოდ ფეხიანი ანი).

როგორც აღვნიშნეთ, წარწერის პირველ სტრიქონში არის ერთი ასო ნახევარკალის სახისა, გახსნილი მარჯვენა გვერდით. ჩვენ ის წავიკითხეთ როგორც ანი, თუმცა დავუშვით ცანი-ს ვარიანტიც (გვინდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი მოხაზულობის ასო—რკალი, რომელსაც გასწვრივი ხაზი არა აქვს, არის აგრეთვე წრომის გრიგოლ მამასახლისის მთავარ წარწერაში და მას კითხულობენ (მეორე) ანა-დ სიტყვაში „მამასახლისიმან“). ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ასოს მოხაზულობის სხვადასხვა ვარიანტია გამოკენებული, რაც როგორც ზემოთ დავინახეთ, საერთოდ ხატისოფლის წარწერის დამახასიათებელი ნიშანია.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ წარწერა ამოკაწრულია სუფთად, დაკულია სტრიქონების სისწორე, ასოებს არ აკლიათ სიმრგვალე, თუმცა ზოგიერთი მათგანი ოდნავ დაგროვებულია. წარწერა არა მარტო ცალკეულ ასოთა მოხაზულობით, არამედ ამოკაწრვის ტექნიკის საერთო იერიითაც ძლიერ ემსგავსება VI—VII სს. ამოკაწრვით შესრულებულ ერთი რიგის ძეგლებს. მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნათლისმცემლის, კატაულის, წრომის (მთავარ) და სხვ. წარწერებთან.<sup>16</sup>

ზემოთ ჩვენ ხატისოფლის სტელის ძირითად გამოსახულებას და ორნამენტულ სახეებს ანალოგები მოვუძებნეთ VI—VII სს. ძეგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თარიღს ყველაზე მეტად მხარს უჭერს გამოსახულების საერთო სტილი: ზომიერად დაბალი, შტრიხული მანერით შესრულებული, მაგრამ ცოცხალი და გამომსახველი რელიეფი. ამავე ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებს უახლოვდება წარწერა როგორც პალეოგრაფიულად, ისე ტექსტის სავარაუდო

<sup>14</sup> Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, т. 31.

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, ტფილისი, 1926 გვ. 207, სურ. 69.

<sup>16</sup> წრომის წარწერას მკვლევართა უმრავლესობა VI—VII სს. აკუთვნებს. თ. ბარნაველი ამ წარწერას Xს. ათარიღებს. თ. ბარნაველი, უსანეთისა და წრომის სტელების თარიღისათვის, „მაცნე“, 1969, 1, გვ. 205.



ფორმულებით, ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ხატისსოფლის სტელა ყველა ნიმუშების მიხედვით VII ს. უნდა დათარიღდეს.

ხატისოფლის წარწერაში მოხსენიებული მამასახლისი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს იგივე მოხელე, რომელიც ცნობილია ადრეფეოდალური ხანის ლიტურგიული და ეპიგრაფიული ძეგლების მიხედვით. VI—VII სს. ძეგლებიდან იგი გვხვდება მხოლოდ ევსტატე მცხეთელის მარტილობაში<sup>17</sup> და ატენისა<sup>18</sup> და წრომის სტელების წარწერებში<sup>19</sup>. ტერმინ „მამასახლისის“ დადასტურება ქართულ ეპიგრაფიკის კიდევ ერთ ძეგლზე ხატისსოფლის სტელას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

М. И. СИНАУРИДЗЕ

## РАННЕХРИСТИАНСКИЕ ПАМЯТНИКИ ХАТИССОПЕЛИ

Резюме

В статье изучены памятники Хатиссопели (ныне с. Цителисопели Болнисского района) обнаруженные казретской археологической экспедицией 1972 г.

Еще в прошлом столетии М. Броссе и затем Е. Такаишвили были описаны две церкви с. Хатиссопели и опубликованы надписи, имевшиеся на одной из них.

Неизвестные до сих пор памятники обнаружены на окраине села, в находившейся на кладбище небольшой полуразрушенной церкви зального типа. В стены церкви было встроено несколько стел и рельефных камней раннехристианского времени VI—VII вв. Один из них, с изображением равноконечного креста, обнаружен в западной стене. Другой, с непрерывным орнаментом пересекающихся кругов, служит пилестром.

В церкви же находился «хачкар», высеченный на плоской плите в виде креста с проросшими листьями, с перевитым стеблем и в концах раздвоенными рукавами. Этот крест, датирующийся значительно поздним временем (XVI—XVII вв.), по-видимому, был воздвигнут где-то поблизости появившимся здесь армянским населением.

Особо следует отметить фрагмент усеченной по бокам и окаймленной чешуйчатым орнаментом, квадратной в сечении стелы. На одной ее стороне имеется рельеф, изображающий двухступенчатый постамент с тремя хвойными ветками. На другой — вырезана древнегру-

<sup>17</sup> ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, „მარტილობა ევსტატე მცხეთელისა“, თბ., 1964.

<sup>18</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 167.

<sup>19</sup> X-XI სს. ეს ტერმინი გვხვდება არადეთის სტელაზე და ოპიზის სიგელში ამ ტერმინის შესატყვისი „ტანუტერი“ მოხსენიებულია აგრეთვე ატენის მცირე ეკლესიის სტელაზე ს. ბარნაველი, ატენის ახალი წარწერები, საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. VI, 1—2, თბ., 1946.

зинская надпись в четыре строки. Первая строка неполная, содержит три буквы. Вторая-четыре. Эти строки не поддаются определенному чтению. В третьей и четвертой строках читается слово «мамасахлиса».

Сравнение сохранившейся на стеле Хатиссопели надписи с текстами других стел Грузии дает возможность предположить, что надпись стелы — votивного характера. На такое же назначение стелы указывает и символика имеющегося на ней изображения.

Художественно-стилистический анализ рельефов, как и характер письма, датируют памятник VI—VII вв. С этой датой согласуется и наличие термина «мамасахлиси», известного по грузинским литературным и эпиграфическим памятникам раннефеодального времени.

---



მ. საყვარელიძე

სამეფო კოსტიუმი (ლევან კახთა მეფის მიხედვით)

გვიანფეოდალური ხანის ქართული ჩაცმულობის ისტორიის შესწავლისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ამ ხანის მონუმენტური მხატვრობის ძეგლებში დაცული საერო პირთა გამოსახულებები, შემორჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყველა ეს გამოსახულება უნდა იქცეს კომპლექსური კვლევის საგნად. ამჯერად ჩვენ ვიხილავთ სამეფო კოსტიუმს გვიანფეოდალური ხანის საქართველოში, კახეთის ძეგლების მიხედვით.

სამეფო კოსტიუმის განხილვისას შემდეგი საინტერესო საკითხი წამოიჭრება: შემორჩა თუ არა გვიანფეოდალურ ხანაში წინა პერიოდის სამეფო კოსტიუმს ტრადიციული სახე და თუ არ შემორჩა, როგორ შეიცვალა, რა იყო ამ ცვლილებების მიზეზი; მოხდა თუ არა ერთნაირი ცვლილებები კოსტიუმის დეტალებში საქართველოს ყველა კუთხეში, თუ სამოსის ტიპი მხოლოდ ამა თუ იმ მხარის ხასიათს ატარებს. ამ საკითხებზე პასუხის გასაცემად საჭიროა გვიანი პერიოდის კედლის მხატვრობაში დაცული სამოსის თითოეული დეტალის ზედმიწევნითი შესწავლა.

ჩვენი კვლევის საგანს ამჟამად წარმოადგენს ლევან კახთა მეფის (1520—1574 წწ.) ჩაცმულობა — ალვანის ნათლისმცემლის, ნეკრესის და გრემის მთავარანგელოზის ეკლესიებში დაცულ ფრესკულ გამოსახულებათა მიხედვით<sup>1</sup>.

ფეოდალური ხანის საქართველოს კედლის მხატვრობისათვის უჩვეულო არ არის ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკლესიის კედლებზე გამოსახვა, რაც აიხსნება მათი როლით ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში და აგრეთვე მათი უშუალო წვლილით ამ ძეგლების აგება-მოხატვის საქმეში<sup>2</sup>.

ლევან კახთა მეფე წარმოადგენს მნიშვნელოვან ფიგურას საქართველოს ისტორიაში. მისი მმართველობის წლებში კახეთის სამეფო სხვა სამეფო-სამთავროთა შორის პოლიტიკურად და ეკონომიურად ერთ-ერთი უძლიერესი ერთეული იყო<sup>3</sup>. თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე ლევანი საგანგებო

<sup>1</sup> მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ლევანის მეოთხე პორტრეტი წარმოდგენილია ახალი შუამთის ეკლესიის დასავლეთ კედელზე მის მეუღლე თინათინთან და ვაჟთან ერთად (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბილისი, 1948, გვ. 238; Г. Чубинашвили, Архитектура Кахетини, Тб., 1959, გვ. 446). ხელოვნებათმცოდნე მ. ვაჩანაძე თვლის, რომ ეს სამეფო, გამოსახული ახალ შუამთაში ღვთისმშობლის აკათისტოს სცენის მონაწილეობა. ჯერ-ჯერობით არც ჩვენ ვეხებით მას.

<sup>2</sup> თამარ მეფე გამოსახულია — ვარძიაში, ბეთანიაში, ყინცვისში, ბერთუბანში, ვამეყ დადიანი — ხობში, წალენჯიხაში, ბელიაში; ლევან დადიანა — ხობში, წალენჯიხაში, კორცხელში.

<sup>3</sup> Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений Грузии (XIII-XIV вв.), საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965, გვ. 94.

ყურადღებას აქცევდა ეკლესია-მონასტრების მოვლა-შეკეთების საქმეს. კერძოდ, მან შეაკეთა და მოახატინა ალვანისა და ნეკრესის ეკლესიები. იგი გრემის ეკლესიის მშენებელი და მოხატვის დამკვეთი. თითოეულ ამ ეკლესიაში დღემდე შემორჩა ლევან მეფის გამოსახულებები. ამ გამოსახულებათა შორის უადრესია ალვანში დაცული პორტრეტი, ვინაიდან აქ ლევანი წარმოდგენილია მხოლოდ მეუღლესთან ერთად, ხოლო ნეკრესში ლევან მეფისა და დედოფალ თინათინის გვერდით ვხედავთ უკვე მათ ვაჟს, ახალგაზრდა ჭაბუკს. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალვანის პორტრეტი შესრულებულია XVI საუკუნის 30-იან წლებში, ხოლო ნეკრესისა — ამავე საუკუნის 60-იან წლებში. გრემის მოხატულობა კი ზუსტად თარიღდება აქ შემორჩენილი ბერძნული წარწერით, რომელიც ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის თავზეა მოთავსებული. წარწერა გადმოგვცემს: „ქ. აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლად წმინდა ტაძარი ყოველთა უდიდესთა მიქაელისა და გაბრიელისა, სახელოვანი მეფის ლეონის შეწევნით, ხარჯით, გულსმოდგინებითა და შრომით, მაშინ, როდესაც მღვდელმთავარი იყო ნიკოლოზი, 7085 წელს აგვისტოს თვის 29-ს, მეოთხე დღეს საბას წინამძღორობის დროს... ქართულარიოსი ბერმონაზონი და პროტოსეინგელოზი სალონიკელი“<sup>4</sup>. ე. ი. გრემის ტაძარი ლევანს აუგია 1565 წ. და მოუხატვინებია 1577 წლამდე<sup>5</sup>.

ალვანის ბაზილიკა აგებული VIII-IX სს. მიჯნაზე<sup>6</sup>, დგას მაღალ ბორცვზე, რომელიც სოფ. ალვანს გადმოჰყურებს (ახმეტის რაიონი). ეკლესიის დასავლეთ კედლის ქვედა რეგისტრის თითქმის მთელ სიგრძეზე მოთავსებულია ისტორიულ პირთა პორტრეტები (ტაბ. I). ფრესკაზე წარმოდგენილია ხუთი პირი: მარჯვნიდან — წმ. ელენე, კონსტანტინე, ლევან კახთა მეფე, მისი მეუღლე დედოფალი თინათინი და წმ. ნინო. გამოსახულებათა შორის ცენტრალური ადგილი კომპოზიციურადაც და სიუჟეტურად უკავია ლევან მეფეს. ეს მხატვრობა საერთოდ ძალიან ცუდად არის დაცული. ყველაზე მეტად კი დედოფალ თინათინისა და ლევან მეფის პორტრეტებია დაზიანებული. თავის დროზე მხატვრობას ჰქონია წარწერა, ასომთავრული, დაქარაგმებული. გ. ჩუბინაშვილი ამ მხატვრობისა და წარწერის შესახებ წერს: «На западной стене изображен Леон (по надписи) и его жена держащие на руках модель церкви»<sup>7</sup>.

ამ წარწერის უფრო გვიან მნახველი თ. ბარნაველი აღნიშნავს, რომ „შემჩნევა მხოლოდ **ლ** და **რ** — ლეონ“<sup>8</sup>. დღეს წარწერები გადასულია.

ლევან მეფე დგას en face-ში. მარცხენა ხელი მოხრილი და გაწვდილია ჩრდილოეთისაკენ. მარჯვენა ხელის არე თავიდან მხრის ჩათვლით ჩამორეცხილია.

ლევანს აცვია თხელი, მუქი ლურჯი ფერის ქსოვილის ბისონი. განიერი და სწორი ბისონი ქვემოთ მძიმედ ეშვება და მთავრდება ნაწიბურებიანი ფართო საოლეელით. ბისონის სახელო გრძელია, მაჯასთან მომდგარი და მთავრდება ოქროქსოვილის ყოშით. მისი ქსოვილი სახიანია — აგურისფერ ფონზე მცენარეული ორნამენტია გამოსახული. ყოშის თავი და ბოლო ნაპირები ერთმწყობრია

<sup>4</sup> თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951, გვ. 335.


<sup>5</sup> Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, 1959, გვ. 97.

<sup>6</sup> Г. Ч у б и н а ш в и л ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 447.

<sup>7</sup> Г. Ч у б и н а ш в и л ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

<sup>8</sup> თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 32.





მარგალიტებითაა შემკული, შუა არე კი შევსებულია მსხვილი მარგალიტებით. ბისონის საოლველიც ოქროქსოვილისაა მარგალიტებით ნაქარგი. სახე ნაქარგობისა არ გაირჩევა. ლევანის ბისონის ყელს ფარავს მკერდამდე, ოქროქსოვილის ძვირფასი თვლებით შემკული მანიაკი. კარგად შეიმჩნევა მანიაკის ქვედა კიდე — პარალელურ ხაზებში ჩასმული ჰორიზონტალურად განლაგებული თვლები. მანიაკის ცენტრიდან ვერტიკალურად ეშვება იმავე ფერისა და ქსოვილის დიადემა, რომლის ბოლო ბისონის საოლველს უერთდება. დიადემის კიდეებს ამკობს ერთმწკრივია, ვერტიკალურად განლაგებული თვლები; ცენტრალურ ნაწილს კი — წვრილი თვლებით შემდგარი ოთხკუთხედები, შუაში მოზრდილი ოვალური ფორმის თვლებით.

ლევანის თავსამკაულს გვირგვინი წარმოადგენს. ეს არის დაკბილული, შუაში ამდლებული გვირგვინი, რომელიც ძვირფასი თვლებით, ყოფილა მოოჭვილი. ახლა შემკულობა ძნელად იკითხება.

ლევან მეფეს ფეხზე აცვია ბანდულები. ტერფს, შუაში მთელ სიგრძეზე გასდევს ტყავის ვიწრო თასმა. მას გვერდებიდან ვიწრო თასმები უერთდება. ტერფის დასაწყისში, კოჭთან, დილისმაგვარი შესაკრავი მოჩანს.

ალვანის მხატვრობაში ლევან მეფის ვარცხნილობა სადაა. თმები ყურებს ზემოთ მოკლდებაა შეკრეჭილი; უღვაშები ვიწროდ, ოდნავ ქვემოთ მოშვებული; წვერი — მოკლე, ოვალური ფორმისაა.


ლევან მეფის მეორე პორტრეტი შემორჩენილია ნეკრესის ეკლესიაში, რომელიც მდებარეობს თელავ-ყვარლის გზასთან ახლოს, ყვარელიდან 7 კმ დაშორებით მაღალ მთაზე. ძეგლი აგებულია VI—VII სს.<sup>9</sup>

ამ ძეგლის კედლის მხატვრობას ქართული წარწერები არ შემორჩა. არის მხოლოდ ბერძნული წარწერები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ტაძარი განუახლებია და მოუხატვინებია ლევან მეფეს<sup>10</sup>. ბერძნული წარწერა მეტისმეტად დაზიანებულია.

ეკლესიის სამხრეთ კედლის დასავლეთ კუთხეში, ქვედა რეგისტრზე, სამი საერო პირის გამოსახულებაა. შუაში დგას ლევან მეფე, მარჯვნივ — ვაჟი, მარცხნივ, — მეუღლე, დედოფალი თინათინი (ტაბ. II). მხატვრობა თავისთავად ძალიან საინტერესოა. შესანიშნავია მისი საერთო კოლორიტი, საზეიმო განწყობა, სამივე პირის ტანსაცმლის თარგი და ქსოვილთა ფერთა შეხამება. ქტიტორთა ჯგუფი ერთ ჩარჩოშია მოთავსებული. ფიგურათა დაყენება ორიგინალურია, არ მისდევს ტრადიციას. ფიგურებიდან ლევან მეფესა და დედოფალ თინათინს აქვთ ერთნაირი პოზა: ისინი ტანისა და ხელების მოძრაობით მიმართული არიან საკურთხეველისაკენ, ხოლო სახით — დასავლეთისაკენ, ვაჟისაკენ. სამხეთხედში გამოსახული ჭაბუკი მთლიანად საკურთხეველისაკენაა მიმართული. მათი ასეთი განლაგება მთელ ჯგუფს დინამიკურ ხასიათს აძლევს.

ლევან მეფის ტანსაცმელი აქ ორი, შიდა და ზედა ნაწილისაგან შედგება. შინდისფერი, მძიმე ქსოვილის ზედა სამოსი გრძელია, იგი თითქმის ტერფებსაც ფარავს. შუაში ყელიდან ბოლომდე ჩახსნილია. შესაკრავები არ ჩანს. საყელო სამკუთხედადაა გადაფენილი. საყელოს ღია ცისფერი, თითქოს ზოლიანი ქსოვილის საჩრჭული მოუჩანს. სამოსი მთავრდება ფართო ნაწიბურე-

<sup>9</sup> Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 173.  
<sup>10</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 350.



ბიანი ოქროქსოვილის საოლველით. ზედა ტანსაცმელი ცრუსახელოიანია, მასში ლეონს ხელები არა აქვს გაყრილი და ეს შეუძლებელიცაა, რადგან იგი მეტად გრძელია. მხრებიდან მოკიდებული, ზურგის მხრიდან ეშვება მთელს გრძეზე. ამ ტანსაცმლის ქსოვილი მდიდრული და რთული ორნამენტითაა დაფარული. როზეტებში ორთავიანი არწივებია გამოსახული. წრეები ერთმანეთს ებმის მცენარეული ორნამენტის ხლაროვით. ეს ორნამენტი ქსოვილზე ვერტიკალურადაა განლაგებული. შიგადაშიგ, პროპორციულად, გირჩებისა და სამმწკრივა ვარდულების გამოსახულებაა ჩართული. ორნამენტის კონტურები მუქი შინდისფერია, არწივების, გირჩებისა და ვარდულების გამოსახულება ოქროითაა შესრულებული. ყოველივე ეს ქსოვილს ძვირფას და მდიდრულ ელფერს აძლევს.

ლევან მეფეს ზედა ტანსაცმლის ქვეშ აცვია სახიანი ქსოვილის „ფესუედი“, ანუ შიდა სამოსი, ინტერულა. მისი ფონი ცისფერია. ორნამენტი აღარ გაირჩევა. ინტერულა ყელთან მრგვლად არის ამოჭრილი და ზედა სამოსიდან სამკუთხედად მოჩანს. მკლავები ვიწროა, სადა ოქროქსოვილის ყოშებით ინტერულას მკლავებს. მხრიდან მოკიდებულს, ზედა სამოსი ვერ ფარავს (ტაბ. III).

ლევან მეფეს თავზე გვირგვინი ადგას. გვირგვინი მაღალია დაუკბილავი. სხვა დეტალები მასზე არ შეიმჩნევა. ლევანის ფეხსაცმლის მხოლოდ ცხვირები მოჩანს. იგი წითელი ფერისაა და უქუთლო.

ნეკრესის ფრესკაზე ლევანს თმები ყურებს ქვემოთ, გრძლად აქვს ჩამოშვებული. უღვაშები მოკლეა, განზე გაშვებული. წვერი აქაც ოვალური ფორმისაა.

ლევან მეფის ოჯახის წევრებიც იმავე თარგის კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი, მხოლოდ ქსოვილის სახითა და ფერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ლევან მეფის შემდეგი გამოსახულება გრემის მთავარანგელოზთა ტაძარშია. იგი მდებარეობს თელავ-ყვარლის გზაზე, თელავიდან ოციოდე კმ-ზე, მდ. ინწობას მარჯვენა ნაპირზე, ნაქალაქარის ცენტრში, გორაზე. ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანია. თავდაპირველად ძეგლი მთლიანად ყოფილა მოხატული. ახლა მხოლოდ მისი ნაწილია შერჩენილი. ეკლესიის დასავლეთ კედლის მარცხენა მონაკვეთში, ქვედა რევისტრზე გამოსახულია ლევან მეფე. მისი სამარხიც იქვეა<sup>11</sup>. „გრემი ქალაქი ესე არს საბუე გრემის წყალსა ზედა, რომელიცა იქმნა ქალაქად ქსსა 1466 და ოდეს მოაოხრა შაჰაბაზ კახეთი წელსა ქსსა 1616 მიერით არს დაბა დაჰშთა უმრავად ეკკლესია გუმბათიანი მთავარანგელოზთა რლს-ა შინა დაფლულ არს 5 მეფე (მეხუთე — მ. ს.) კახეთისა ლეონ“<sup>12</sup>.

ლევან მეფე გრემის ფრესკაზე წარმოდგენილია ტაძრის მოდელით ხელში (ტაბ. IV). იგი ანფასითაა. თავის მარჯვენა მხარეს მოთავსებულია დაქარაგმებული, ასომთავრული წარწერა: „მეფე ლეონ აღმშენებელი“. ლევანის მარჯვენა მხარეს ღეთისწმობელია სავარძელში, ყრმით მუხლებზე — „ყოვლად წმინდა მარიამი“ — მარცხენა მხარეს — „წმ. მხედარი“.

ლევან მეფის ტანსაცმელი ზედა და შიდა ნაწილისაგან შედგება. შიდა სა-

<sup>11</sup> Г. Н. Чубинашвили, *დსახ. ნაშრ.*, გვ. 447.

<sup>12</sup> П. Иоселиани, *Историческое и географическое описание древней Грузии 1838 года июня 23 дня, г. Тифлис, ЛОВИАН Н-17, стр. 120.*



მოსი წარმოადგენს გრძელ, წელში გადაუჭრელ კაბას. მისი ძვირფასი მსუბუქი ქსოვილი წითელი ფერისაა, უსახო. მუხლებს ქვემოთ იგი ძლიერ ნაკეცებს იკეთებს. ბოლო არა ჩანს დათვლილია თუ არა. ამ ტანსაცმლის დაფარულია ზედა სამოსით, სახელო კი ვიწროა. მის ყოფს მხოლოდ სწორი ლურჯი ფერის ზოლები დაუყვება. ლევანს ამ ტანსაცმლის ზემოდან აცვია სხვა სამოსი, რომლის სიგრძე მუხლებამდე აღწევს და მთავრდება ოქროქსოვილის ვიწრო, სწორი საოლველით. საოლველი შემკულია რომბისებრი ორნამენტით. ეს სამოსი წელში დაწვრილებულია, ქვემოთ კი ფართოვდება, სარტყელის არეს ფარავს მარჯვენა ხელი და ეკლესიის მოდელი. ზედა სამოსს მკერდიდან ყელისაკენ ოქროქსოვილის გულისპირი აქვს ჩადგმული. მაგრამ მას მხრების არეში მოსასხამი ფარავს. ამდენად გულისპირი არც შიდა, არც ზედა სამოსისა არ მოჩანს. ზედა სამოსის ქსოვილი სახიანია: ლურჯ ფონზე ისრისებრი ორნამენტია შესრულებული, შუაში მოგრძო ხაზებით. ამ ტანსაცმლის მკლავებსა და მხრებს მოსასხამი ფარავს, ამიტომ ძნელია ითქვას — იგი მოკლესახელოებიანია, თუ მკლავები საერთოდ არა აქვს. სახელო, რომელიც მოჩანს, შიდა ტანსაცმლის ქსოვილისა და ფერისაა.

ლევან მეფეს მხრებზე მოგდებული აქვს მოკლე, თხელი, ძვირფასი ქსოვილის მოსასხამი, რომელიც მარცხენა მხარეს მოზრდილი აგრაფით იკვრება. მოსასხამი უსაყელოა, ოთხკუთხედი ფორმის. მისი ქსოვილის ზედაპირი ყავისფერია, სარჩული — სალათისფერი, რომლის ორნამენტს პარალელური ტალღისებრი ხაზები წარმოადგენს. ამ ხაზებში კი წვრილი სამკუთხედებია მოთავსებული. ორნამენტი შესრულებულია შავი ფერით. მოსასხამის ბოლოსა და კიდეების საოლველი იმეორებს ზედა, მოკლე სამოსის საოლველის სახეს.

ლევანის თავს ამკობს გვირგვინი იგი, სამქიმიანია და სამნაწილიანია. გვერდითი ნაწილები შემკულია მარგალიტებით და მსხვილი ქვებით. რომბისებრი ფორმის თვლები ქმნიან ოთხკუთხედს, შუაში მოზრდილი რომბისებრი თვალია. გვირგვინის საფუძველს წარმოადგენს შუალედების დაცვით ორი პარალელური წვრილი ღარი, რომელშიც ჰორიზონტალურად განლაგებულია მარგალიტები. შუა არეზე ერთმანეთს ენაცვლება მარგალიტები მსხვილი რომბისებრი თვლებით.

ლევან მეფეს აქაც ბანდულები აცვია. ფეხსაცმელი შეკერილია ორი ფერის ტყავისაგან. ამ უქუსლო ბანდულს კოკის არეში, ტერფის დასაწყისთან ტყავის სალტე აქვს შემოჭვრილი. ორი ფერის ტყავის ვიწრო თასმა ფალანგების დასაწყისთან სამკუთხედადაა მოხრილი და ისევ სწორდება.

ლევან მეფეს ამ პორტრეტზე თმები ყურებს ქვემოთ აქვს შეკრებილი. შუბლთან თმის ქვედა ერთი ნაწილი დახვეულია. უღვაშები მოზრდილია, ოდნავ დახრილი. მუქი ფერის მოზრდილი წვერი ოვალურადაა და საფეთქლიდან მოკიდებული ფარავს თითქმის მთელი ყბების არეს.

ლევანს არც ერთ ზემომოყვანილ გამოსახულებებზე სამკაული — ბეჭედი, სამაჯური, საყურე და არც რაიმე ყელსახამი არა აქვს.

გამოსახულებათა დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებულ სამეფო კოსტიუმთან. ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რამდენად ტრადიციულია თითოეული მათგანი და

როგორ აგრძელებს კედლის მხატვრობაში დაკანონებულ ქართველ მეფეთა ბიზანტიურ სამოსში გამოსახვას<sup>13</sup>.

ქართველ მეფეთა ბიზანტიური ტიპის ტრადიციული ტანსაცმელი ობიექტურად წილისაგან შედგება: ზედა — ბისონი და შიდა — ინტერულა. ბისონს ძვირფასი მანიაკი და დიადემა. კოსტიუმის მთლიან სახეს ავსებს სამეფო გვირგვინი.

ქართველ მეფეთა ბისონის ძირითადი თარგი და ქსოვილის სახეები დადგენილია<sup>14</sup>. ბისონი იკერებოდა ძვირფასი სახიანი, ან უსახო ქსოვილისაგან. იგი იყო ვიწრო, გრძელი, სწორი, უკალთებო, ყელთან სხვადასხვაგვარად ამოჭრილი და ჩამოიციმოდა თავიდან. ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერატორებისაგან განსხვავებით ბისონს უსარტყელოდ ატარებდნენ.

ბისონის ყელსა და მხრებს ფარავდა ოქროქსოვილის, ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით ნაქარგი გულისპირი — მანიაკი. თვით მანიაკები ფორმით ორ ჯგუფად იყოფა: პირველი იყო დაკავშირებული სამეფო დიადემებთან. მეორე — სამხედრო და საერო პირთა სამოსთან<sup>15</sup>. ბისონსა და მანიაკს სამღვდელთა პირნიც ატარებდნენ. მაგრამ ძირითადი სამკაული სამეფო კოსტიუმში, რომლის ტარების უფლებაც მხოლოდ მეფე-მთავრებს ჰქონდათ, იყო დიადემა. დიადემა წარმოადგენდა ძვირფასი ქსოვილის არც თუ ისე ფართო ნაჭერს, რომელიც ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით იყო შემკული. საქართველოს მეფეთა დიადემა მრავალი სახისაა. ტარებისა და შემკულობის მიხედვით კი, ძირითადად ორი ტიპი გამოიყოფა: პირველი, როდესაც დიადემის ვერტიკალური ბოლო მანიაკიდანაა დაშვებული, მეორე — გულზე გადაჯვარედინებული ნაწილებზეა დამაგრებული<sup>16</sup>.

საქართველოს მეფე-მთავრები ქართულ ფრესკებზე სხვადასხვა ფორმისა და სახის გვირგვინებით არიან წარმოდგენილნი. ისე კი „დროისა და გარემოების მიხედვით საქართველოს მეფის გვირგვინის სახეობა იცვლებოდა. თითოეული მათგანი სხვადასხვა შემთხვევის დროს ხან თავს იხურავდა, ხან გვირგვინს და ხან სტემმას“<sup>17</sup>. ჩვენი დაკვირვებით კი, ძირითადად მაინც, მათ თავსამკაულს გვირგვინი წარმოადგენდა.

გვხვდება სხვადასხვა ფორმის გვირგვინი: დაბალი მოყვანილობის დაუკბილავი, მაღალი, სადა ფორმისა, ზოგჯერ დაკბილული და სამტოტა. ყოველი მათგანი შემკულია ძვირფასი თვლებით.

ასეთ სამეფო კოსტიუმთან გვაქვს საქმე ალვანის მხატვრობაში. იგი ამ სამი გამოსახულებიდან ყველაზე ტრადიციულია (სურ. 1). აქ ტანსაცმლით სამეფო ხელისუფლების ყველა ნიშანია წარმოდგენილი. მეფეს აცვია ბისო-

<sup>13</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 28—39; ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (V-XIV სს.), თბილისი, 1964, გვ. 74; ივ. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბილისი, გვ. 78, 79.


<sup>14</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 37; ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 75.

<sup>15</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 104—105.

<sup>16</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.


<sup>17</sup> ივ. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბილისი, 1954, გვ. 91.





სურ. 1.

ნი<sup>18</sup>, აქვს მანიაკი<sup>19</sup>, დიადემა<sup>20</sup>, და ახურავს სამეფო გვირგვინი<sup>21</sup> (სურ. 2). ე. ი. XVI ს. 30-იან წლებში ჯერ კიდევ გრძელდება ძველი მეფის ბიზანტიურ სამოსის ტრადიცია. მაგრამ აღსანიშნავია ის სიახლე, რომელიც ჩნდება ალვანის მხატვრობის მიხედვით მეფის ტანსაცმლის დეტალებში. სიახლე შეტანილია ბისონის თარგში. ბისონი უსახელოა. ლევანს უსახელო ბისონის ქვემოთ აცვია ინტერულა, და სწორედ ინტერულას ვიწრო სახელო მოჩანს. ამიტომაც, რომ ფრესკაზე ბისონის ქსოვილი და ინტერულას სახელოს ქსოვილის სახე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საერთოდ კი



სურ. 2.

„ფესუედი სამოსელი (კვართი, პოდირი) ძლიერ განიერი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მის ბოლოს ღრმა ნაკეციები აქვს... სახელოები გრძელია და ვიწრო, ოღვილი ყოშებით, ყელთან მრგვლად ან ოთხკუთხედადაა ამოჭრილი, ღია ფერისაა, ბისონის ფერთან შეხამებული“<sup>22</sup>.

ჩვენს შემთხვევაში ახლებურადაა გადაწყვეტილი ბისონისა და ინტერულას ქსოვილთა შეხამების საკითხიც. ბისონის ქსოვილი სრულიად განსხვავდება და არ შეესაბამება ინტერულას ქსოვილს. დ. აბუანდაძეს დადგენილი აქვს ლევანის ტანსაცმლის ქსოვილის ორნამენტის სახე. იგი აღნიშნავს, რომ „სამყურა ფოთლების გამოსახულება არც თუ ისე იშვიათია საქართველოს სინამდვილეში. იგი გვხვდება ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლზე, მათ შორის

<sup>18</sup> განსხვავებული დეტალებით, მაგრამ ალვანის ბისონის ანალოგიურია: თამარ მეფისა (ბეთანია), ბაგრატ III (ბელია). მეფეებისა გელათის მთავარ ტაძარში და წმ. გიორგის ეკლესიაში და სხვ.


<sup>19</sup> ლევანის მანიაკის ანალოგიები გვხვდება: ვარძიაში, ბეთანიაში (თამარ მეფე), ბელიაში (ბაგრატ III, მარეხი), გელათში და სხვ.

<sup>20</sup> ჩვენი შემთხვევის პირველი ტიპის დიადემა გვხვდება როგორც ადრეული (ვარძია, ბეთანია, ყინციხი, ბერთუბანი), ისე მოგვიანო ხანის ძეგლებზე (გელათი).

<sup>21</sup> ალვანის ლევან მეფის გვირგვინის სახე გვხვდება გელათში და იქვე ალვანში კონსტანტინეს გამოსახულებაზე.

<sup>22</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.





















დაჩითულ ქსოვილებზე (11—3061). ასეთია წმინდა გიორგის მოსახსამის სა-  
ხე ალავერდის ფრესკაზე (XVI ს.), ლევან კახთა მეფის კაბის ქსოვილი ალვანის  
ფრესკაზე (XVI ს.) და სხვ.<sup>23</sup> მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ-  
ვანილი განმარტება სინამდვილეში ეხება არა ლეონის კაბის ქსოვილს, არამედ  
შიდა სამოსის, ინტერულას ქსოვილს, რომლის ზემოთ ლევანს უსახელო ბი-  
სონი აცვია.

ლევანი ალვანის ფრესკაზე წარმოდგენილია განსხვავებული ფეხსამოსით.  
ეს არ არის სხვადასხვა ფერის ტყავისაგან შეკერილი, მაღალი ან დაბალყე-  
ლიანი, უქუთლო მოგვები, რომელსაც ქართველი მეფეები ადრე ატარებდნენ.  
მართალია, ფეხსაცმელი აქაც უქუთლოა, მაგრამ სულ სხვა სახისაა. იგი მთლი-  
ანად ღიაა, ტყავის თასმებით შეკერილი, რომელსაც ბანდულებს უწოდებენ.  
მის პარალელს ვხვდებით გრემის ფრესკაზე, სადაც ასეთივე ბანდულები აც-  
ვიათ ლევანს და მარცხნივ მდგარ წმ. მხედარს. უფრო კი, როგორც ჩანს, ასე-  
თი ტიპის ფეხსაცმელებში წმინდანებს და სასულიერო პირებს გამოსახავდ-  
ნენ<sup>24</sup>.

ლევან მეფის ვარცხნილობა (თმის, უღვაშებისა და წვერის დაყენების წე-  
სი) სამივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია — მცირედი განსხვავებაა თმის ან  
წვერის სიგრძეში.

საქართველოში ადრე შუა საუკუნეებიდან მოკიდებული მამაკაცის თმის  
ვარცხნილობა მრავალნაირია. ატარებდნენ თმას მოკლედ შეკრეჭილსა და და-  
ხვეულს, მოკლედ შეკრილ სწორ თმას, შუბლზე ჩამოფენილს, უკან მოკლედ  
შეკრილს ყურებს ზემოთ ან ყურებს ქვემოთ, სახის ორივე მხარეს გრძელ ხვე-  
ულებად ჩამოშვებულს<sup>25</sup>.

როგორც ვხედავთ, საკვლევ პერიოდში თმის დაყენების წესი დიდად არ  
შეცვლილა.

ლევან მეფეს არც ერთ გამოსახულებაზე სამკაული არა აქვს. ძნელია ით-  
ქვას, თუ რით იყო ეს გამოწვეული — პირადი განწყობით სამკაულების მი-  
მართ, თუ კოსტიუმის ხასიათით. საერთოდ კი, გვიანი საუკუნეების ფრესკებზე  
ხშირად ვხვდებით მეფე-მთავართა გამოსახულებებს სამკაულებით, ძირითადად  
საყურეებით (საფარა, ჭულე, გელათი, წალენჯიხა და სხვ.).

ნეკრესში ლევანი წარმოდგენილია უჩვეულო თარგის სამოსში. ეს ტან-  
საცმელი მკვეთრად განსხვავდება საერთოდ სამეფო კოსტიუმისაგან. ლევანს  
აქ არა აქვს სამეფო ხელისუფლების დამადასტურებელი არც ერთი ნიშანი,  
არც მანიაკი, არც დიადემა, არც პოდირი; გვირგვინიც კი სადა ფორმისაა (სურ.  
3). ამასთან დაკავშირებით ივ. ციციშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ  
შეიძლება ეს არ არის სამეფო ტანსაცმელი, არამედ იგი ბიზანტიის საკარისკა-  
ცო სამოსელი შეიძლება იყოს, მით უმეტეს, რომ მისი ბისონი ორთავიანი არ-  
წიფებით არის მორთული, ეს კი, როგორც ცნობილია, ბიზანტიის საიმპერატო-  
რო ნიშანი იყო<sup>26</sup>.

<sup>23</sup> დ. ა ბ ჯ ა ნ დ ა ძ ე. XV—XVIII სს. ქსოვილია ორნამენტი ქართული მინიატურების მიხედვით, „მაცნე“, 3, 1972, გვ. 84.


<sup>24</sup> ატენი, ანგელოზი „ხარებიდან“ (XI ს.), გელათი მთავარანგელოზი მიქელი და გაბრიელი, მოზაიკა (XII ს.), ჯრუჭის სახარება, მახარებელი იოანე (X ს.) და სხვ.

<sup>25</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

<sup>26</sup> ივ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 92.



ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება გვაქვს. ლევანის მოღვაწეობის ხანა ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზანტია აღარ არსებობს. თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ კახეთი ექცევა აღმოსავლეთის, ანუ აღმოსავლეთის კახეთის მეფე, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა, შემოსილიყო ბიზანტიის საკარისკაცო სამოსელით. რაც შეეხება ქსოვილს, შეიძლება დავუშვათ, რომ ამ პერიოდისათვის ასეთი სახის ქსოვილები ადგილობრივად მზადდებოდა.



სურ. 3

ნეკრესის სამეფო სამოსი არ წარმოადგენს არც ბიზანტიური არც სპარსული კოსტიუმის განმეორებას. ის სიახლე, რასაც მინიშნებით ვხედავდით აღვანში, აქ უკვე ჩამოყალიბებულია. ლევან მეფის ზედა სამოსი ახალი თარგისაა და იმდენად შეცვლილი სახით, რომ ძნელია მას ბისონი ეწოდოს. ფაქტიურად ეს უკვე აღარ არის ბისონი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი ძველის საფუძველზეა შექმნილი. შემორჩენილია ძირითადი თარგი ბისონისა (გრძელია, აქვს საოლველი), მაგრამ ტრადიციული სახე ირღვევა იმით, რომ ეს ტანსაცმელი კალთებიანია, წინ ჩახსნილი, ყელთან სამკუთხედად ამოჭრილი და, რაც მთავარია, იგი ცრუსახელოიანია.


ცრუსახელოიანი ტანსაცმელი წარმოშობით აღმოსავლურია<sup>27</sup>, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე შესისხლხორცებულია საქართველოში. ნეკრესისაგან განსხვავებით, თითქმის ყველა შემთხვევაში<sup>28</sup> საქმე გვაქვს მხოლოდ ცრუსახელოიან მოსასხამებთან, რომლებიც მეფე-მთავრებს სხვადასხვა ხერხით მოგდებული აქვთ მხრებზე. ნეკრესში კი ცრუსახელოიანი ტანსაცმელი მოსასხამს კი არ წარმოადგენს, არამედ ზედა სამოსია (სურ. 4), რომელიც ლევანს აცვია, მხოლოდ ხელები არა აქვს გაყრილი სახელოებში. ეს ტანსაცმელი არ არის კაბა, არც ხალათი შეიძლება ეწოდოს მას. იგი უფრო ბისონის ტიპის, ახალი თარგის ტანსაცმელია. ე. ი. XVI ს. 60-იანი წლებიდან ხდება აშკარა გარდატეხა მეფის კოსტიუმში. როგორც ვხედავთ, ეს არ არის სხვა ქვეყნის კოსტიუმის სახის გადმოღება ან გადამუშავება, არამედ ესაა ახლის ძიება, მისადმი შემოქმედებითი მიდგომა. შესაძლოა ეს იყოს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შედეგი, ანარეკლი იმ საერთო ცვლილებებისა, რასაც განიცდის საერთოდ საქართველო და კერძოდ კახეთი XVI ს.

<sup>27</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

<sup>28</sup> მცხეთის, ჯვრის, ტბეთის, ქოროლოს რელიეფებზე, ზარადი, ქალა, ხობი, მარტვილი წალენჯიხა და სხვა ფრესკებზე.



სურ. 4



სურ. 5

ნეკრესის ფრესკაზე ლევან მეფეს ახურავს დაბალი დაუკბილავი გვირგვინი. ასეთ გვირგვინებს ქართველი მეფეები ატარებდნენ როგორც ადრეულ, ისე მოგვიანო ხანაშიც<sup>29</sup>. მაგრამ საკვლევი პერიოდისათვის უფრო დამახასიათებელია ის სახე გვირგვინისა, რომელიც ლევანს გრემის ფრესკაზე ახურავს. ეს არის მაღალი, სამწვერა გვირგვინი (სურ. 5). ასეთი გვირგვინები გვხვდება ამ ხანის როგორც კედლის მხატვრობაში<sup>30</sup>, ასევე ოქრომჭედლობის ნიმუშებზე<sup>31</sup>. თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე პიროვნება

სამ შემთხვევაში სხვადასხვა სახის გვირგვინით არის წარმოდგენილი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამეფო ტანსაცმელს, რომელიც იყო საზეიმო, საყოველღეო სატარებელი და სხვა, შეესაბამებოდა შესატყვისი გვირგვინი. ასევე შეესაბამებოდა სამეფო ტანსაცმელს ფეხსამოსი. ჩვენ ორ შემთხვევაში სრული ანალოგია გვაქვს (ალვანი, გრემი), სადაც ლევანს ბანდულები აცვია, მხოლოდ ნეკრესში ვხედავთ ძველი ტიპის ფეხსაცმელს, მოგვებს.

გრემის ფრესკაზე ლევანი წარმოდგენილია განსხვავებული სამოსით. ამ განსხვავებაში ჩვენ ვგულისხმობთ არა კოსტიუმის დეტალებს, არამედ თვით სამოსის ხასიათს. ქართულ კედლის მხატვრობაში არ ვხვდებით საერო პირთა მსგავს სამოსში გამოსახვის მაგალითს. ლევან მეფის ძლიერაქეცებიანი, ჰაეროვანი შიდა და ზედა სამოსი ანალოგიებს მხოლოდ წმინდანებისა და სასულიერო პირთა სამოსთან პოულობს<sup>32</sup>. მხოლოდ მსგავს, ძვირფასი ქსოვილის, უსახელო მოსასხამებს ხშირად ვხედავთ როგორც საერო პირთა<sup>33</sup>, ასევე სასულიერო პირთა გამოსახულებებზე<sup>34</sup>.

<sup>29</sup> მაცხვარიში, დემეტრე II, ვარძია — გიორგი III, თამარ მეფე, გელათი — მთ. ტაძრის ჩრდილო მიწაში, მეფე.

<sup>30</sup> გელათი, ახალი შუამთა, წალენჯიხა.

<sup>31</sup> შემოქმედის, ჯუმათის ხატი და სხვა.

<sup>32</sup> მხერის ეკლესია (XIV—XV სს.) ჯვრის ამბლებს სცენა. III. Амиранашвили, Грузинская миниатюра, Москва, 1966 г., таб. 42. Беседа Христа с богатым юношей. Второе Джручское четвероевангелие. Конец XII в. Ангелы, Гулани, 1681 г., таб. 85; Благовещение, Гулани, таб. 86.

<sup>33</sup> ახალი შუამთა, სადავო პორტრეტი; წალენჯიხა, გელათი, მთ. ტაძარი, ჩრდ. აღმ. ეკვდერი, ჩრდ. კედელი — კონსტანტინე მეფე და სხვ.

<sup>34</sup> ახალი შუამთა, სამღვდლო პირი, გრემი, წმ. მხედარი და სხვ.



ვარაუდით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ გრემის კედლის მხატვრობაში მოცემული ლევანის კოსტიუმი არ უნდა წარმოადგენდეს არსებულ სახელის მისის რეალურ ასახვას; იგი უფრო მხატვრის ჩანაფიქრად უნდა ჩაითვალოს.

XVI საუკუნეში სულ სხვა სურათი გვაქვს დასავლეთ საქართველოში. ამ დროს აქ ისევ დაცულია სამეფო კოსტიუმის ტრადიციული სახე. კოსტიუმი რჩება ძირითადად იგივე, რაც ადრეულ საუკუნეებშია<sup>35</sup>. იგივე ბისონი, დიადემა, მანიაკი, გვირგვინი, მაგრამ მიდგომა ტანსაცმლის დეტალებისადმი მაინც ახლებურია. სამოსი წელში ვიწროვდება და ქვემოთ ფართოვდება, გვაქვს ქსოვილთა სიჭრელე, კოსტიუმის საერთო დაწვრილმანება და დეკორატიულობა. იგივე არ შეიძლება ითქვას მომდევნო ხანაზე XVII—XVIII სს. მეფეთა კოსტიუმი, მთელ საქართველოში აღმოსავლურ იერს ატარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ არ ჩანს სამეფო კოსტიუმის ერთიანი სახე, მეტი მრავალფეროვნებაა. მაგრამ ამ მრავალფეროვნებაში არ იკარგება ერთიანი ხაზი; ყველგან, ყველგან გამოსჭვივის ადგილობრივი, ტრადიციული.

М. Д. САКВАРЕЛИДЗЕ

## ЦАРСКИЙ КОСТЮМ (ПО ФРЕСКОВЫМ ИЗОБРАЖЕНИЯМ КАХЕТИНСКОГО ЦАРЯ ЛЕВАНА)

Резюме

Богатый материал для изучения истории грузинского костюма восточнофеодальной эпохи дает стенная живопись этого периода.

Мы рассматриваем костюм кахетинского царя Левана (1520—1574 гг.) по сохранившимся фресковым изображениям в трех храмах — Алвани, Некреси и Греми. Тщательное изучение этих памятников дает возможность проследить изменения в разных деталях царского одеяния, связанные с требованиями эпохи. В каждом отдельном случае мы имеем дело с определенным царским костюмом. Из этих трех изображений самым традиционным является царский костюм на Алванской фреске. Очевидно, что в 30-х годах XVI в. все еще продолжается традиция изображать грузинских царей в византийском одеянии.

На Некресской фреске царь Леван изображен в костюме необычного покроя. Это обстоятельство должно указывать на то, что к 60-ым годам XVI в. уже намечаются некоторые изменения в деталях царского одеяния. Но это не слепое подражание или переработка иностранного костюма, а поиски нового.

В Греми Леван представлен в совершенно ином одеянии, более напоминающем костюм святого.

Таким образом, в XVI веке в Грузии нет единообразного царского костюма.

Явные изменения в царском одеянии намечаются в последующие годы, когда по всей Грузии распространяется одежда восточного типа.

<sup>35</sup> ველათი, წალენჯიხა.

ც. პარაშლავშილი

ქსოვილების დამზადების ხალხური წესები აღმოსავლეთ  
საპართიველოში

(„ჯეჯიმური ქსოვა“)

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოწმდება ქსოვილების ნა-  
ირსახეობა, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი ხელოსნური, ან საოჯახო  
წარმოების პროდუქციას წარმოადგენს. ეთნოგრაფიული მასალების შესწავ-  
ლის შედეგად გარკვეულია, რომ ოჯახში მზადდებოდა სხვადასხვა სახისა და  
დანიშნულების ქსოვილები (სასამოსლე, კოსტიუმის ცალკეული ელემენტები,  
აგრეთვე საოჯახო, საყოფაცხოვრებო, დეკორაციული და სამეურნეო საქმიანო-  
ბასთან დაკავშირებული ქსოვილები), რომელთა დამზადება სხვადასხვა წე-  
სებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს მოიცავს. ამჟამად შეეცხებით მხოლოდ  
ჯეჯიმური ქსოვილების დამზადების საკითხს და მათ დანიშნულებას ჩვენი ხალ-  
ხის საოჯახო და სამეურნეო საქმიანობაში.

ჯეჯიმი უხაო, ფერადზოლიანი საფენია, რომელზეც ზოლები მთელ სიგრძე-  
ზეა განლაგებული. საჯეჯიმე ქსოვილისათვის ქსელი სხვადასხვა ფერადი ნარ-  
თისაგან მზადდებოდა, რაც ქსოვილზე ფერადი ზოლების სპექტრს იძლეოდა.  
ჯეჯიმური ქსოვილის ზედაპირს ქმნიდა ქსელი, ვინაიდან საზედაო ანუ მისაქსე-  
ლი მასში მთლიანად იფარებოდა<sup>1</sup>; ამის გამო, საზედაოდ ერთი ფერის ნართს  
იყენებდნენ. ქსელის ძაფებზე საზედაოს ძაფები, თითოს გამოშვებით თანმიმ-  
დევრულად იყო გადახლართული. სპეციალურ ლიტერატურაში<sup>2</sup> მიღებული  
ქსოვის ტექნიკური წესების მიხედვით საჯეჯიმე ქსოვილის ხლართი შეიძლება  
განხილული იქნას, როგორც ტილოს წარმოებულ — „ქსელის რეფსის  
ხლართი“.

ქართულ განმარტებით ლექსიკონში ჯეჯიმი შემდეგნაირად არის განმარ-  
ტებული: „ჯეჯიმი (ჯეჯიმისა) (სპარს. ჯჯიმ). 1. ფარდაგული ნაქსოვი ზოლი-  
ანი ქსოვილი.... 2. ამგვარი ქსოვილის საფენი“.

<sup>1</sup> რასაც ქსელის სიხშირითა და ბეჭვის საშუალებით აღწევდნენ. ჯეჯიმურ ქსოვილში ქსლის  
სიხშირე 3-ჯერ აღემატება საზედაოს. მაგალითად, ერთ-ერთ შალის ჯეჯიმის ქსლისა და საზედაოს  
შეფარდება შემდეგია. ქსლის რაოდენობა I კვ. სმ-ზე-11, საზედაოსი—4. აღნიშნული ჯეჯიმი „ად-  
ვილის დაზგაზეა“ დამზადებული. მისი დეტალი იხ. ტაბ. III, სურ. 8).

<sup>2</sup> თ. როზანოვა, ნ. ცაგარელი, ლ. ცერცვაძე, ქსოვილის ხლართები,  
თბილისი, 1964, გვ. 98; А. Лайго, Тканье и плетение поясов и тесьмы, Эстонская народ-  
ная одежда, Таллин, 1960, стр. 194.

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი, 1964, გვ. 1580.



მართებულად არ მიგვაჩნია ლექსიკონში მოცემული ჯეჯიმის განმარტების პირველი პუნქტი: „ფარდაგულად ნაქსოვი ზოლიანი ქსოვილი“<sup>4</sup> (ქართული ლექსიკონი, ტ. 1, გვ. 100). ფარდაგული ქსოვისას ქსლისა და საზედაოს ძაფების შექსოვას ნიშნავს სებური ხლართით ხდება, მაგრამ ქსოვილის ზედაპირს, ამ შემთხვევაში, მხოლოდ საზედაო ძაფი ქმნის. ქსელი მთლიანად იფარება. საზედაოს ძაფები უფრო ხშირია, ვიდრე ქსლისა, ხოლო ქსოვის პროცესში სათანადო ბეჭვის შედეგად (საჭიროა მკაარი ბეჭვა) ქსელი მთლიანად იფარება საზედაოს ნართით. ქსოვილის ხლართი „მისაქსელის რეფსს“ შეესატყვისება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ფარდაგიც იქსოვებოდა ფერადზოლიანი, მხოლოდ მისი ზოლები სიგანეზე იყო განლაგებული. ზოლებს ქსოვილის ზედაპირზე ისევ საზედაო ძაფი ქმნიდა, ქსელი, კი მთლიანად იყო დაფარული. ამის გამო, ფარდაგის ქსელი ერთი ფერის — თეთრი მზადდებოდა, საზედაო ნართად კი სხვადასხვა ფერი იყო. ზოლიანი ფარდაგის ქსოვისას საზედაოს ერთიანად ატარებდნენ მთელ სიგანეში, მხოლოდ თუ ზოლებში სახეები გამოჰყავდათ, ამ შემთხვევაში მას სათვალავით ქსოვდნენ და ფერები ერთმანეთზე „კბილებით“ გადადიოდა. სახიან ფარდაგებს მთლიანად სათვალავით ქსოვენ და მას „ფარდაგული ქსოვა“ ეწოდება (შდრ. რუსულში «паласовое переплетение»)<sup>4</sup>.

ამდენად ჯეჯიმური ქსოვილი სრულიად განსხვავებულია ფარდაგული ქსოვილისაგან. ჯეჯიმების დამზადებას ახასიათებს გარკვეული სპეციფიკური ნიშნები, რაც ქსოვილის გარკვეულ სახეობას ქმნის. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მას „ჯეჯიმური ქსოვა“ ეწოდოთ, ხოლო ქსოვილს — „ჯეჯიმური“. ამ წესით, გარდა საფენებისა, სხვა საგნებსაც ამზადებდნენ, სახელობბრ მუთაქისა და საბნის პირებს, ხურჯინებს, ყაჯრებს, ჩანთებს და სხვა. (ტაბ. I, II, III).

მართალია, ჯეჯიმური ქსოვილის მსგავსად სხვადასხვა მასალისაგან (მატყელი, აბრეშუმი, ბამბა) ფერადზოლიან სასამოსლე ქსოვილებსაც ამზადებდნენ, რასაც ისევ ქსლის დამზადებისას სხვადასხვა ფერადი ნართების დაჯგუფებით აღწევდნენ; მაგრამ ჯეჯიმურ და სასამოსლე ქსოვილებს შორის განსხვავება მაინც არსებობდა. მათ შორის არსებული სხვაობა, ქსოვილების დამზადების წესების ნაირსახეობაზე მეტყველებს.

<sup>4</sup> ფარდაგული ქსოვის წესით, ჩვენში მხოლოდ ფარდაგები, ხურჯინები, მადრაშები, საცალო, ყაჯარი მზადდებოდა. სხვა ხალხებში (რუსები, ბელორუსები, უკრაინელები, ჩინელები და სხვა) ეს წესი ფართოდ იყო გამოყენებული ფეიქრობაში სახიანი ქსოვილების (როგორც სასამოსლე ქსოვილების, ისე საოჯახო დანიშნულების დეკორატიული საგნების: სუფრების, პირსახოცების, არშიებისა და სხვა) დამზადებისას.

<sup>5</sup> ფერადზოლიანი ქსოვილების დამზადება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოწოდება: კახეთი, თუშეთი, ხევსურეთი, ქსნის ხეობა, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო აჭარა, მესხეთი, და სხვა.

ფერადზოლიანი ქსოვილების დამზადება საქართველოში ჩანს ძველთაგანვე იყო ცნობილი, რასაც მოწმობს არქეოლოგიური მასალა, ფერადსახიანი შალის ქსოვილის ფრაგმენტი, რომელიც არმაზისხევიში იქნა აღმოჩენილი, მართალია მასზე გეომეტრიული სახეებია წარმოდგენილი, მაგრამ მისი ქსელი დამზადებულია ორი ფერით — ყვითელი და ყავისფერი. ფერები განლაგებული ერთმანეთის მონაცვლეობით, მისაქსელა კი ერთა ფერისაა — ყავისფერი (ქ. ი. ს. ა. ძ. ე. საფეიქრო საქმე საქართველოში, თბილისი, 1970, გვ. 80, ნახ. 24), აღნიშნულის მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი ჯეჯიმური ქსოვის ანალოგიურია, მაგრამ ქსოვილის ზედაპირზე წარმოდგენილი გეომეტრიული სახეები, მეტყველებს ქსოვის წესების სპეციფიკურ თავისებურებაზე, რომელიც ცალკე შესწავლას მოითხოვს.



ჯეჯიმური ქსოვილის დამზადება, რომ განსაკუთრებულ წესს მოითხოვდა ამას აღასტურებს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ჯეჯიმურის“ განმარტებისას მოტანილი ხალხური ლექსის „...შემდეგი სტრიქონები: ორხაულად მოქსოვილო, ჯეჯიმურად დადგიმულო“<sup>6</sup>.

ამრიგად, საფენის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც ჯეჯიმი ეწოდებოდა განსაკუთრებული წესით მზადდებოდა. ქსოვილზე სახეების გამოსახვა ხდებოდა ქსლის საშუალებით, ამის გამო ქსელი განსაკუთრებული წესით მზადდებოდა და იდგომებოდა, რასაც, ეთნოგრაფიული მასალის გარდა, ზემოაღნიშნული ხალხური ლექსიც<sup>7</sup> მოწმობს.

ამ ლექსის შესახებ თ. ოქროშიძე საყურადღებო შენიშვნას იძლევა „ლექსის ვარიანტში პირველი სტრიქონის მეორე ნახევარში გვაქვს „ადგინულად დადგიმულო“. ჩვენი აზრით, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „ჯეჯიმურად დადგიმულო“. ჯეჯიმი ხალიჩის სახესხვაობაა. ხოლო „დადგიმულო“ კი დგიმში გატარებას ნიშნავს-ო<sup>8</sup>“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჯეჯიმი საერთოდ ხალიჩის სახესხვაობა კი არ არის არამედ იგი საფენის სახესხვაობაა. თუმცა ზოგიერთი ნიმუშების მიხედვით, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ, შეიძლება ასედაც გავიგოთ, მაგრამ თ. ოქროშიძის განმარტება „ჯეჯიმი ხალიჩის სახესხვაობააო“, ეს არის რუსული ტერმინის „ковры“-ის (რაც მოიცავს ხაოიან და უხაო საფენებს) გადმოქართულება. ქართულში ჩვენ ამისი შესაბამისი ზოგადი სახელი „საფენი“ გავაჩნია. სულხან-საბა ორბელიანი საფენელ საგებელთა ზოგად სახელად „ტერს“ ასახელებს<sup>9</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ თუშებში (თელავის რაიონის ს. ლალისყურსა და ქვ. ალვანში) ჩვენ მიერ დამოწმებულ იქნა ფერადზოლიანი საფენი, რომელსაც ალაგ-ალაგ სახეებში და უფრო მეტად სახეების კონტურებზე, ხაო ჰქონდა ჩაქსოვილი, საინტერესოა, რომ მთხრობელმა „ჯეჯიმი“ სწორედ ამ ხაოს უწოდა. აღნიშნულ საფენზე ქსელი ჯეჯიმივით სხვადასხვა ფერადი ნართებით ზოლებად იყო დამზადებული (განსხვავებით ხაოიანი და უხაო ფარდავული ქსოვილებისა) და სახეები (გეომეტრიული) კი ალაგ-ალაგ ხაოიანად იყო ჩაქსოვილი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქსოვის ორი წესის შერწყმასთან, „ჯეჯიმური“ და „ხაოიანი“ (ტაბ. II, სურ. 3).

შესაძლებელია ძველად ამგვარი ქსოვილები არა იშვიათად მზადდებოდა, რაც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც აისახა. ვფიქრობთ ზემოაღნიშნული ხალხური ლექსი სწორედ ასეთ ქსოვილზე უნდა იყოს ნათქვამი: („ორხაულად მოქსოვილო, ჯეჯიმურად დადგიმულო“) თუმცა იგი, როგორც ითქვა მთლიანად ორხაულად არ არის ნაქსოვი. ხალიჩის სახესხვაობას შეიძლება მივაკუთვნოთ, მხოლოდ ამგვარად ნაქსოვი ჯეჯიმი (ე. ი. ალაგ-ალაგ ხაოიანი ნაქსოვი) და არა საერთოდ ფერადზოლიანი ჯეჯიმები.

ორხაული, იგივე ხაოიანი ქსოვილია, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში „ხალიჩის“ სახელწოდებით არის შემორჩენილი. ამის შესახებ ჩვენ

<sup>6</sup> ქართული ენის განმარტებითა ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964.  
<sup>7</sup> აღნიშნული ხალხური ლექსის სრული ტექსტი იხ. თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, თბ., 1963, გვ. 121.  
<sup>8</sup> თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, თბ., 1963, გვ. 121.  
<sup>9</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თბ., ტ. IV, 1966.





აღნიშნული გვაქვს შრომაში — „სახელი, ნოხი და ორხაული ვეფხისტყაოსანში“ და მისი პარალელები ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში“<sup>10</sup>.

ორხაული ქსოვილისათვის რომ ქსელი სხვაგვარად მზადდებოდა ამას ხისტყაოსანში აღნიშნული შემდეგი კონტექსტიც მეტყველებს:

„არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად“ (503)<sup>11</sup>.

ამრიგად, სხვადასხვა სახის ქსოვილების დამზადებისას ქსელი სხვადასხვაგვარად იყო გაწყობილი და დაგებული, ანუ დაქსელილი და გამართულ-გამბმული დაზგაში, მაგ. „ჭეჯიმურად“, „ორხაულად“, „ლარულად“ და სხვა.

როგორც ზემოთაც ითქვა, ჭეჯიმური ქსოვილისათვის ქსელი ფერადი ნართებით ზოლებად იყო „გადგმული“, რაც ქსოვილის ზედაპირზე ფერადი ზოლების მწკრივ განლაგებას ქმნიდა. ზოლები სხვადასხვა სიგანისა იყო. ეს დამოკიდებული იყო მქსოველის, ან დამკვეთის სურვილზე.

ქსელის დამზადებისას წინასწარ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, როგორც ფერების განლაგება, ისე თითოეული ზოლის სიგანე (ე. ი. ქსლის ძაფთა რაოდენობა), ამის გამო ქსელს სათვალავით ამზადებდნენ.

საყურადღებოა, რომ ჭეჯიმური ქსოვისას სიგრძის ზოლებში ზოგჯერ სიგანის ზოლებსაც ჩაურთავდნენ, რასაც ისევ ქსლის საშუალებით აღწევდნენ, ეს გარემოება წინასწარ დაქსელვისას უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, ასეთი ზოლების ადგილი და ზომა. ამის გამო, ქსელს განსაკუთრებული წესით ამზადებდნენ, რაც შემდეგში მდგომარეობდა: განსაზღვრული რაოდენობის თითოეულ „სათვალავს“ ორი ფერის ნართით ქსელავდნენ (ქსლის ერთი წვერის მაგიერ) ორივე წყვილად მიდიოდა რომელთაგან ერთი დგიმში გადიოდა, მეორე თავისუფალი იყო. ქსოვისას, ერთხელ ერთი ფერის ნართი ამოვიდოდა ზევით (ეს დამოკიდებული იყო ამგვარად ქსლის რამდენი სათვალავი იყო დამზადებული), ხოლო მეორეჯერ მეორე ფერის, ამგვარად, ორი ფერის მონაცვლეობით ქსოვილის ზედაპირზე სიგანის ზოლები იქმნებოდა. დანარჩენი კი რადგან (თითოეული ზოლი სხვადასხვა ფერის ნართებით) იყო დაქსელილი, ამის გამო, ყოველ გავლაზე ერთი და იგივე ფერის ნართი ამოვიდოდა და ზედაპირზე სიგრძის ზოლები იქმნებოდა. ზემო აღნიშნული წესით სიგანის ზოლებს, უკეთებდნენ ზოგიერთ სიგრძის ვიწრო ზოლებს, ორივე მხრიდან, სამი-ოთხი სათვალავით. ქსოვილზე სიგრძის ზოლებს შორის მოქცეული სიგანის ზოლები გარკვეულ სახეს ჰქმნიდა, ასეთ სახეს კახეთში „ხერხის პირს“//„კბილებს“ უწოდებდნენ, მესხეთში „კბილებსა“ და „ნიკბებს“ (ტაბ. III, სურ. 7, 8, 10).

საჭეჯიმე ქსოვილს სიგრძის ფართო ზოლებში ზოგჯერ სხვა სახეებსაც ჩააქსოვდნენ. როგორცაა, „ორთვალა ყვაილი“, „ჯაჭვი“ (როცა სიგრძის ზოლებში რომბებია განლაგებული, ასეთ სახიან ჭეჯიმს „ჯაჭვიან ჭეჯიმს“ უწოდებდნენ), „ყვაილი ქოთნით“ და სხვა. ამგვარი სახეების ჩაქსოვა ისევ ქსლის

<sup>10</sup> ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული „ნოხი“ და „ორხაული“ არის ერთი და იგივე ხაოიანი ქსოვლის, აღნიშნული სახელი, რომლის სახელწოდება შეცვლილი სახით „ხალი“ და „ხალიჩა“ — ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩა... სახელი „ორხაული“ ჩვენ მიგვაჩნია ქართულ ნიადაგზე, კერძოდ „ხაოიანი ქსოვილების დამზადების ტექნოლოგიური წესიდან გამომდინარე ცნების აღმნიშვნელ სიტყვად, რომელიც შინაარსობრივად შეიცავს „ხაოს“ შექმნის დასრულებულ პროცესს. ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, სახელი „ნოხი“ და „ორხაული“ ვეფხისტყაოსანში და მისი პარალელები ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში, ყურნ. „მაიკე“, 1966, № 5.

<sup>11</sup> შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით (უთარბლოდ). 1934 წ.

საშუალებით ხდებოდა. ქსლის გარკვეულ ნაწილს ზემო აღნიშნული წესით ამზადებდნენ (ე. ი. როცა თითოეულ სათვალავს ორი ფერით ქსელავდნენ). გარდა, აღნიშნული სახეების ჩაქსოვის მიზნით შემდეგ ხერხს მიმართავდნენ: სახის მიხედვით ორ-ორ, ან სამ-სამ „თვალს“ (ქსლის წვერს) თითებით ამოკრეფდნენ, იმავე რაოდენობის „თვლებს“ (ორ-ორს, ან სამ-სამს) ჩაუშვებდნენ, ამოკრეფილ „თვლებს“ „წინდის ჩხირით“, ან ხის ჩხირით დაიჭვრდნენ და საზედაოს ისე გაატარებდნენ. ჩხირზე ამოკრეფილი თვლები ქსოვილის ზედაპირზე ზევდან მოექცეოდა. შემდეგ პირიქით, ჩხირზე მხოლოდ იმ „თვლებს“ ამოკრეფდნენ, რომელიც ქვემოთ იყო ჩაშვებული. ამ დროს ამოკრეფილი თვლები ქვემოთ ჩავიდოდა. ამგვარად, ჩხირზე მდგომი თვლები ქსოვილის ზედაპირზე გათვალისწინებულ სახეს ქმნიდა. ისე, რომ ამოკრეფილი თვლები და დატოვებული თვლები ჭადრაკულად განლაგდებოდა. ერთ ყვავილს, ერთი ფერით ქსოვდნენ (ე. ი. სახის მიხედვით ერთი ფერის ძაფებს ამოკრეფდნენ ჩხირზე), მეორე ყვავილს მეორე ფერით, ამავე ზოლის დანარჩენი ადგილი კი ორივე ფერის მონაცვლეობით იქსოვებოდა, და სიგანის ზოლებს ქმნიდა (იმგვარად, როგორც ეს „ხერხისპირის“ სახის ქსოვისას კეთდებოდა). ქსოვილზე სახეები მთელ სიგრძეზე განლაგდებოდა, ხოლო სიგანის ზოლები მის (სახის) ფონს ქმნიდა. ამგვარი ხერხით ჯეჯიმებს ქსოვდნენ კახეთში, ქიზიყში, ფშავში და მთიულეთში.

ჯეჯიმური ქსოვილი ორპირია, ამ შემთხვევაში ფერადი ზოლები ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება.

საჯეჯიმე ქსოვილებს ამზადებდნენ ვერტიკალური ტიპის საქსოვ დაზგებზე — „ყდებზე“ (კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ქართლი, თუშეთი, ფშავი, მთიულეთი, ხევსურეთი) და ჰორიზონტალური ტიპის საქსოვზე — „ადგილის დაზგაზე“ (კახეთი, ქიზიყი, მესხეთ-ჯავახეთი). ამასთან ერთად „საფეიქრო“ დაზგაზე ქსოვდნენ „კუბოკრულ“ სახიან საფენებს. ამ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ ქსელიცა და საზედაოც სხვადასხვა ფერადი ნართისა იყო გამოყენებული, რომლის ზედაპირზე ორივე ერთნაირად ჩანდა (ქსლისა და საზედაოს ძაფები).

„საფეიქროს ჯეჯიმი“ ორი წესით მზადდებოდა: კახეთსა და აჭარაში — დიდასაფარებელი — „ორთუქი“//„ყაჯარი“<sup>12</sup>, (ტაბ. I, სურ. 1, 2), რომელიც შექმნილია სოფ. ძვ. ანაგაში.

კახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ჯეჯიმების საქსოვად მეტწილად სამწვერად „დაძახულ“ მატყლის ნართს ხმარობდნენ; მასთან ერთად არაიშვიათად აბრეშუმის ძაფსაც იყენებდნენ (1962 წ. ს. მატანში, აბრეშუმის ჯეჯიმები დავამოწმეთ, ტაბ. II სურ. 1). ამასვე ადასტურებს საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული კოლ. № 61—58/91 აბრეშუმის ჯეჯიმური ქსოვილისაგან დამზადებული ცხენის გადასაფარებელი — „ორთუქი“//„ყაჯარი“<sup>12</sup> (ტაბ. I, სურ. 1, 2), რომელიც შექმნილია სოფ. ძვ. ანაგაში.

მესხეთ-ჯავახეთში ჯეჯიმის საქსოვად, გარდა მატყლის ნართისა, ზოგჯერ თხის ბალანსა და ბამბის ნართსაც ხმარობდნენ. თითო წვერს თხის ბალანის ნართსა და მატყლის ნართს ერთად ამოახვევდნენ და ისე შეძახავდნენ; ასევე,

<sup>12</sup> ყაჯარი-ორთუქი; ორთუქი ცხენის გავაზედ გადასაფარებელი ყაჯარი, ყყყყ. გ. ჩუბი-ნაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბლისი, 1961.



ბამბისა და მატყლის ნართს თითო წვერს ერთად დაძახებდნენ; ზოგჯერ ბამბის, თხის ბალნის, ან მატყლის ნართს ცალ-ცალკე ზოლებად დაქსელებდნენ. მესხეთში ჯეჯიმის საქსოვად მატყლის „კვირტსაც“ იყენებდნენ. მისგან დამზადებულ ჯეჯიმებს — „კვირტის ჯეჯიმს“ უწოდებდნენ, ხოლო ბალნისგან დამზადებულს — „ბალნის ჯეჯიმს“<sup>13</sup>.

ზოლიანი საფენების დასამზადებლად თხის ბალანს ქსნის ხეობის მოსახლეობაც იყენებდა. მხოლოდ იქ, თხის ბალნის საფენს „ფიჩვს“ უწოდებდნენ, მატყლის ნართისას კი „ჯეჯიმს“<sup>14</sup>.

ჯეჯიმის საქსოვი მასალა — ნართი ორნაირი მზადდებოდა. მართალია, საზედაო და საქსლე ნართის სიმსხო (ნომერი) ერთნაირი იყო მსხვილი (დაბალი), მაგრამ საქსლე ნართი მაგარი იყო, საზედაო — კი რბილი. ვინაიდან ნართი სიმაგრეს გრეხვის საშუალებით იძენდა; ამიტომ საქსლე ნართს მეტად გრეხდნენ (რომ ბეჭვისას არ ჩაწყვეტილიყო), საზედაოს კი შედარებით ნაკლებად.

როგორც ითქვა, ჯეჯიმის ზედაპირს მხოლოდ ქსელი ქმნიდა, საზედაო კი იფარებოდა. ამის გამო საქსლე ნართს წინასწარ ლეზავდნენ სხვადასხვა ფერად, საზედაოს ფერს კი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთი ფერისას ხმარობდნენ, მას მეტწილად კაკლის „წინგოში“ ლეზავდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯეჯიმის დასამზადებლად საქსლე ნართი უფრო მეტი იყო საჭირო, ვიდრე საზედაო, რადგანაც ჯეჯიმური ქსოვილების დასამზადებლად: ანუ „ჯეჯიმური ქსოვისას“ მთავარი იყო ქსლის სისწირე. ეთნოგრაფიული მასალებით. ამგვარი ქსოვილის დასამზადებლად ქსლისა და მი-საქსელის, შემდეგი შეფარდება მოწმდება; მაგალითად: ოთხ გირვანქა ნართის ქსელი და ორი მისაქსელი ე. ი. ორი წილი საქსლე ნართი და ერთი წილი მი-საქსელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საჯეჯიმე ქსოვილების დასამზადებლად სხვადასხვა სახის დაზგებს იყენებდნენ: „ყლებსა“ და „ადგილის დაზგას“. ამას გარდა, კუბოვარულ სახიან საფენებს „საფეიქროთი“ ქსოვდნენ.

ჯეჯიმს „ადგილის დაზგაზე“ შემდეგნაირად ქსოვდნენ. ამისათვის „ადგილის დაზგას“ შემდეგნაირად მართავდნენ — ოთხ ბოძს მართკუთხედის მსგავსად დაარჭობდნენ, ორს ერთ მხარეს (თითო მეტრის დაცილებით), ორს მეორე მხარეს. მათ შორის მანძილი სიგრძის მიმართულებით ნებისმიერი იყო. დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ზომის (სიგრძის) ქსოვილის დამზადება ჰქონდათ გამიზნული და ამისათვის რა რაოდენობის ნართი ჰქონდათ შემზადებული. ჯეჯიმისათვის მანძილს 5, 6 მეტრს იჭერდნენ; მანძილს ნაბიჯებით ზომავდნენ. ბოძებზე „ხიდებს“, მაჯის სიმსხო ხეებს მოსდებდნენ (მიამაგრებდნენ) და მასზე როგორც ითქვა, სხვადასხვა ფერადი ნართებით ზოლებდ ქსელავ-

<sup>13</sup> ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, ხელნაწერი, 1967. თუშები კვირტისას ფარდავებსაც ამზადებდნენ, რომელსაც — „კვირტულას“ უწოდებდნენ. ვ. ჯ ა ლ ბ ა ძ ე, „კვირტულა“, ჟურნ. „ქველის მეგობარი“, № 21.

<sup>14</sup> „ფიჩვსა“ და ჯეჯიმს შორის განსხვავება სხვა მხრივაც არსებობდა — „ფიჩვი“, „საფეიქრო“ დაზგაზე იქსოვებოდა „ტილოსებური ხლართით“, ჯეჯიმი „ყლებზე“, „ჯეჯიმური ქსოვის წესით. ამის გამო, ქსოვილის ზედაპირი სხვადასხვანაირი იყო. ფიჩვი თხელი ნაქსოვი იყო და ნაკლებად იყო აფერადებული. მისი ძირითადი ფერი, ე. ი. ადგილი თეთრი იყო და მხოლოდ რამდენიმე (ერთი, ან ორი) ფერადი ზოლი (წითელი, ყავისფერი, ან შავი) უკეთდებოდა. ჯეჯიმი შედარებით მტკიცე ნაქსოვი იყო და სხვადასხვა ფერადზოლიანი. ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, ხელნაწერი, 1969.



დენს; შემდეგ ქსელს დგიმავდნენ და მას „დგიმის ხეზე“ ამაგრებდნენ. დგი-  
მის ხეს თოყებით ზემოთ თავხეზე ჩამოაბამდნენ, ანდა სამ ჯოხზე, რომ-  
მლის თავები ერთად იყო შეკრული და ფეხები კი ქსელზე აქებნიყობო  
ჰქონდა გადადგმული. მესხეთში მას „სამყეველა ხე“ ეწოდებოდა.  
„დგიმი“ იყო და უკან „საგორავი“, რომელიც მეორე დგიმის როლს ასრუ-  
ლებდა. ამოკრეფილი თვლები „დგიმზე“ იდგა და „თავისუფალი“ საგო-  
რავზე“. ქსლის ერთი ძაფი „დგიმში“ გადიოდა და მეორე „თავისუფა-  
ლი“ „საგორავზე“ იდგა (მესხეთში მას „წყალი“ ეწოდებოდა). დგი-  
მის წინ ქსელში „დამნას“<sup>16</sup> გაუყრიდნენ. დამნა საბეჭავის როლს ასრულებდა  
იგი ერთიანად მობეჭავდა.

მქსოველი — „ქსლის მბეჭველი“<sup>17</sup> ქსელზე იჯდა (ქსლის ქვეშ სკამი ედ-  
გა) და საგორავს ხელით ამოძრავებდა, რაც „ქსლის პირის“ გახსნას იწვევდა.  
ყოველი ქსლის პირის გახსნისას ქსელში გაყრილ „დამნას ააყენებდა“ (ე. ი.  
როცა დამნას სიბრტყით, ქსლის პერპენდიკულარულად დააყენებდა)<sup>18</sup>. საზე-  
დაო ნართი მცირე ზომის ჯოხზე ჰქონდა დახვეული და მას ქსელში ხელით  
გაატარებდა. როგორც კი საზედაო ნართს ქსელში გაატარებდა, „დამნას“ ის-  
ევ სიბრტყით ათავსებდა ქსლის მიმართულებით (ისე რომ დამნის პირი ნაქ-  
სოვისაკენ იყო მოქცეული) და თან ამავე დამნით მობეჭავდა. ჯეჯიმის ქსო-  
ვისას სათვალავი არ უნდოდა, როგორც ამას ხალიჩა-ფარდაგების ქსოვა სა-  
ჭიროებდა. მას სასამოსლე შალის ქსოვილებივით პირდაპირ ქსოვდნენ. რო-

<sup>15</sup> ბოლო დროს „სამყეველა ხეს“ აღარ ხმარობდნენ. მის მაგიერ ქსლის ორივე მხარეს დაბალ  
სკამებს, ან გადაჭრილ ხეებს დგამდნენ და დგიმის ხეს ზედ დებდნენ. ამგვარად გამართულ „დგი-  
მის დაზვავზე“ ჯეჯიმის ქსოვა 1967 წელს ს. ნაჭალაქეშვი (ასპინძის რ.) დაუამოწმეთ.

<sup>16</sup> „დამნა“ ერთი არშინი, ან ერთი მეტრის სიგრძის ბრტყელი ფიცარია, რომლის ცალი  
გვერდი უფრო თხელია საიდანაც ბეჭავენ, მეორე კი — ყუა — უფრო შესქელებულია. საბა.,  
დამნის შესახებ ისეთივე განმარტებას იძლევა, როგორც ეს კახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში იქნა  
დაფიქსირებული — „დამნა ქსლის საბეჭავი“. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV<sub>1</sub>,  
1965.


სტ. მენთეშვილი „დამნას“ შემდგენიარად განმარტავს: „დამნა ჯეჯიმის ქსოვის დროს  
სახმარი ხის იარაღი: სწორი ბრტყელი ფიცარი, ცალ მხარეს პირი აქვს, მეორე მხარეს — ყუა;  
ქსელში შიგაა გაყრილი და მქსოველი ორივე ხელით ბეჭავს. ჩახსაკრავის საქსოვი დამნა კი გლთ-  
ნის საკვეთსა ჰვავს, ამასაც ცალ მხარეს პირი აქვს, მეორე მხარეს — ყუა. ერთი ბოლო წვერიანია.  
მეორე — მრგვალი; ტარივით არის; ამაზე მქსოველს ხელი უკვლია და ცალი ხელით ბეჭავს (ნ.  
საბა)“, სტ. მენთეშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

<sup>17</sup> შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, გეფხისტყაოსანი.

<sup>18</sup> მესხეთში „დამნას“, „ხმალი“, ეწოდებოდა, ხოლო ამ პროცესს „ხმლის აღმართვა“ ერ-  
თხელ „საგორავს“ წინ მოსწევდა, მეორეთ „საგორავს“ უკან მოსწევდა და ქსელს ხელით „ჩაქე-  
ლავდა“, ორივე შემთხვევაში ამგვარი მოქმედება „ქსლის პირის“ გახსნას იწვევდა. ეს კი თავის  
მხრივ საზედაო ნართის ქსელში გატარების საშუალებას იძლეოდა. ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი,  
ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1972,

„დგილის დაზვავზე“ შალის ქსოვილების დამზადება კავკასიის სხვა ხალხებშიც მოწმდება  
(დაღესტნელები, სომხები, აზერბაიჯანელები, შემახი (ერმაკოვის ალბომი № 63, სურ. 745), აგრეთ-  
ვე შუა აზიაში (ყაზახეთში), პაკისტანში და ეგვიპტეში. ამავე წესით ჭილობების ქსოვა დადასტურე-  
ბული გვაქვს ქსნის ხეობაში (ს. ლამისყანა). ხოლო ერმაკოვის ალბომის (№ 48, სურ. 1536, გვ.  
27) მიხედვით არკვევა, რომ ჭილობების დამზადებისას ამგვარ საქსოვ დაზვავს სპარსელებიც იყენ-  
ებდნენ. აღნიშნული მასალის ექსკურსებით ზედენას აკლდამაში აღმოჩენილი ჭილობიც ამგვარ  
დაზვავზე დამზადებულად მიგვაჩნია (იხ. ჩვენი შრომა — „ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში“,  
კრ. მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1975.





გორც უკვე აღნიშნული იყო, სათვალავი მხოლოდ დაქსელვის დროს სჭირდება.

„ადგილის დაზგაზე“ ჯეჯიმის ქსოვა ისევე მიმდინარეობდა, რამდენადაც სამოსლე შალისა, ე. წ. „ადგილის შალისა“<sup>19</sup>, მხოლოდ, როგორც ითქვა ჯეჯიმისათვის ქსელი სხვადასხვა ფერადი ნართებით ზოლებად მზადდებოდა, შალისა კი ერთფერი იყო.

„ადგილის დაზგას“ არ გააჩნია ნაქსოვის დასახვევი მოწყობილობა, როგორც ეს ჰორიზონტალური ტიპის დაზგებს „საფეიქროს“ აქვს (შდრ. „თუნალაჲ“ — ხევი, „ფართლის სახვევი“ — კახეთი, „ღერძი“ — მესხეთი, „მახლახი“ — ქსნის ხეობა და სხვა). ამ გარემოების გამო ერთ ნაწილს, რომ მოქსოვდა, მქსოველი თავისი სკამით (რომელიც ქსელს ქვეშ ჰქონდა შემოდგმული და ქსელზე ზედ ისე იჯდა), წინ მიიწევდა და თან დეჯიმის ჩამოსაბმელ ჯოხებს დეჯიმთან ერთად გადაადგილებდა და ქსოვას გააგრძელებდა. ბოლოში, რომ გავიდოდა, ქსელს მხოლოდ მაშინ დააბრუნებდა, რომ ახლა ქვემოთ მოქცეული ნაწილი მოექსოვა. ამისათვის ჯერ ქსელს მოადუნებდა და შემდეგ მას ორი, ან სამი ქალი დააბრუნებდა. ქსელს ისევე გაამაგრებდა და ქსოვას ისე გააგრძელებდა. „ადგილის დაზგაზე“ ქსლის დაბრუნება ვერტიკალური ტიპის დაზგის — „ყდებზე“ ქსლის დაბრუნების წესს ემთხვევა. ორივე დაზგაზე ამ შემთხვევაში ქსელი სიგრძეზე გარშემოა დახვეული და ისე ბრუნავს, რაც სხვა სახის ჰორიზონტალურ დაზგებზე ამგვარ გარემოებას არა აქვს ადგილი. ბოლოს, როცა „დამნა“ ველარ „აიმართებოდა“ (ველარ იმოძრავებდა), ქსელს გაჭრიდნენ და ნაქსოვს აკეცავდნენ ქსლის ნაწილი დაახლოებით სამი მტკაველი მოუქსოველი რჩებოდა.

საჯეჯიმე ქსოვილს ვიწრო განისას ქსოვდნენ დაახლოებით 2 მტკაველს (52 სმ); სამაგიეროდ სიგრძე დიდი ჰქონდა, ქსლის სიგრძეს 6, 8, 10 მეტრს იჭერდნენ, ეს დამოკიდებული იყო ნართის წონაზე. ჯეჯიმს საშუალოდ 6, 7, 9 გირვანქა ნართისას ქსოვდნენ. მოქსოვილს სამ-ოთხ თანატოლ ნაწილად სჭრიდნენ და განებს ერთმანეთს სიგრძეზე ჩააკერებდნენ დიდი ნემსითა და თავისივე „ბაწრით“ — ნართით თავსა და ბოლოსაც გადაუკეცავდნენ და „ბაწრითვე“ ამოუხვევდნენ.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჯეჯიმს ვერტიკალური ტიპის საქსოვ დაზგებზე „ყდებზეც“ ქსოვდნენ. ამისათვის სხვადასხვა ფერადი ნართებით, სათვალავით, ზოლებად ქსელავდნენ და შემდეგ სასამოსლე შალივით ქსოვდნენ, (სურ. 1) ე. ი. სახედაო ნართს ქსელში ერთიანად გაატარებდნენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიგრძის ზოლებში სახეებს აქსოვდნენ ამისათვის ქსლის თითოეულ წვერს ორი ფერით ქსელავდნენ და ქსოვის პროცესში, სახის, მიხედვით, ზოგიერთი „თვლები“ ჩხირზე ამოჰყავდათ, ორ-ორ თვალს ზევით ამოკრეფდნენ ორს კი ჩაუშვებდნენ, ამოკრეფილ თვლებში ჩხირს გაუყრიდნენ და სახედაო ნართს ქსელში — „ქსლის პირში“ ერთიანად გაატარებდნენ ჩხირზე ამოკრეფილი თვლები ზემოდან მოექცეოდა. შემდეგ იმ თვლებს ამოკრეფდნენ რომელიც ქვემოთ იყო ჩაშვებული. ამგვარი წესით სახეებს (როგორცაა „ორთვალა ყვაილი“, „ჯაჭვიანი სახე“, ყვაილი ქოთნით და სხვა), ზოგიერთ ფარ-

<sup>19</sup> „ადგილის შალის“ ქსოვის შესახებ, იხ. ჩვენი შრომები: „ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში“, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, 1972 და „ხალხური ფეიქრობა, კახეთში“, ხელნაწერი, 1962.



სურ. 1





თო ზოლებში ჩააქსოვდნენ მას აქეთ-იქიდან სადა სხვადასხვა ფერის წვრილი ზოლები მიჰყვებოდა, ანდა სიგანის ზოლებით შექმნილი „ხერხისპირის“ ხე“<sup>20</sup>. ჯეჯიმის სახეები გეომეტრიული ფორმით იყო წარმოდგენილი, შემთხვევაში მცენარეული სახეების სტილიზაცია (ყვავილი ქოთნით და სხვა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კახეთში საჯეჯიმე ქსოვილებს ძირითადად მატყლის ნართისაგან ამზადებდნენ. ამავე დანიშნულებით აბრეშუმის ძაფსაც იყენებდნენ. აბრეშუმის ჯეჯიმური ქსოვილებისაგან, გარდა ჯეჯიმებისა ყაჯრებსა და მუთაქის პირებსაც კერავდნენ<sup>20</sup>.

როგორც ითქვა, საჯეჯიმე ქსოვილებს ფერადზოლიანს ამზადებდნენ, ზოჯერ კი ზოლებში სახეებიც ჰქონდა ჩაქსოვილი. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა რომ მასთან ერთად, საფენ ჯეჯიმებს „უჯრიან“ (კუმბოკრულ სახიან) ქსოვილისაგანაც კერავდნენ. ამ უკანასკნელს ჰორიზონტალური ტიპის დაზგაზე — „საფეიქროთი“ ქსოვდნენ, ოთხი „დგიმით“, „სარყული ხლართით“. კახეთში ამგვარ ნაქსოვს „დიაგონალურს“ უწოდებდნენ. ხოლო თვითონ საფენებს (ე. ი. კუმბოკრულ სახიან ჯეჯიმებს) „ფარდაგასაც“ უწოდებდნენ, თუმცა მის პარალელურად სახიანი ფარდაგების ქსოვა ფართოდ იყო გავრცელებული.

კუმბოკრულ სახიანი საფენისათვის (საჯეჯიმე ქსოვილის) ქსელი და საზედაო სხვადასხვა ფერადი ნართისა იყო, 1962 წელს, ჩვენ მიერ, ს. საბუეში დამოწმებული „საფეიქროს ჯეჯიმი“//„ფარდაგი“ წითელი და მწვანე ფერით „დიაგონალური“, ანუ „სარყული“, ქსოვის წესით იყო დამზადებული, რომლის „უჯრები“ მწვანე და წითელი ფერით იყო ნაქსოვი, ხოლო ნაწიბური — მწვანე ფერით, ე. ი. აღნიშნული ქსოვილის ქსელი წითელი და მწვანე ნართით ზოლებად იყო დამზადებული, [გარკვეული სათვალავით; ამის შესაბამისად საზედაოც აღნიშნული ფერის ნართით (წითელი და მწვანე) სათვალავით ზოლებად ჰქონდა შექსოვილი. (იხ. ტაბ. IV, სურ. 5) „საფეიქროთი“ ჯეჯიმების ქსოვას XX საუკუნის დასაწყისში ქ. თელავშიც აწარმოებდნენ.

საფეიქროთი, მატყლის ფერადზოლიან ჯეჯიმურ საფენებს (იატაკის, ტახტის) აჭარაშიც ამზადებდნენ, სარყული ხლართით დიაგონალურად ქსოვდნენ (ტაბ. IV, სურ. 3).

ჯეჯიმები ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენდა. მას ძირითადად საფენად ხმარობდნენ (ტახტზე, ლოგინის ქვეშ გასაშლელად, მარცვლის და სხვ.) იგი, ამავე დროს სახლის მორთულობის საგანსაც წარმოადგენდა; მას კედელზე აკრავდნენ. იგი ხალაჩა-ფარდაგთან ერთად, ქალის მზითვის შემადგენლობაშიც შედიოდა, რაც ეთნოგრაფიული მასალის გარდა, მზითვის სიები-თაც დასტურდება<sup>21</sup>.

<sup>20</sup> აბრეშუმის ჯეჯიმები და მუთაქის საპირე 1966 წ. ს. მატანში (ახმეტის რ.) დავამოწმეთ, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ორთუქის//ყაჯრის (კოლ. № 61—58—91) მიხედვით ირკვევა, რომ აბრეშუმის ჯეჯიმური ქსოვილებისაგან ყაჯრებიც უმზადებიათ. აღნიშნული ყაჯარი შექმნილია ქიზიყში ს. ძვ. ანაგაში, იგი ფერადი აბრეშუმის ძაფებით (თეთრი, წითელი, შავი, ლურჯი, ყვითელი), ზოლიანად არის ნაქსოვი, ზოგიერთ ზოლებში წვრილი სახეები აქვს მოთავსებული. სახეები ფერადი ძაფებით არის ნაჭარგი (ტაბ. I, სურ. 1.).

<sup>21</sup> ნ. ბ. გ. მ. დ. ნ. ვ. ი. ლ. ი., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, 1955, გვ. 410, 411, 259, 290; საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910, გვ. 496, 499-500.



ჯეჯიმური შალის ქსოვილისაგან ხურჯინებსაც ამზადებდნენ. ხოლო აბრეშუმის ჯეჯიმური ქსოვილისაგან როგორც ითქვა მუთაქის პირებს, ყაჯრებს აგრეთვე მცირე ზომის ჩანთებსაც კერავდნენ (იხ. საქ. სახ. მუზეუმის გამოფენაზე წარმოდგენილი ჯეჯიმის ნიმუშები და ჯეჯიმური ქსოვილები); ხოლო კუბოკრული სახიანი ჯეჯიმური ქსოვილი მაფრამის დასამზადებლადაც გამოუყენებიათ<sup>22</sup>.

ამრიგად, ირკვევა, რომ ფერადზოლიანი „ჯეჯიმური“ ქსოვილები, ფართოდ იყო გამოყენებული ჩვენი ხალხის საოჯახო და სამეურნეო საქმიანობაში და იგი ამ ნიადაგზე არა იშვიათად სავაჭრო სავაგნსაც წარმოადგენდა. მას ხშირ შემთხვევაში დაკვეთითაც ქსოვდნენ (XX ს-ის დასაწყისში, ჯეჯიმის მოქსოვა მეტრი 3, 4, 6, 8 მანეთი ღირდა) და მზა პროდუქციის სახითაც ყიდიდნენ.

ჯეჯიმისა და ჯეჯიმური ქსოვილების დამზადება, გარდა კახეთისა აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული: ქართლში, ფშავში, მთიულეთში, მესხეთ-ჯავახეთში, თუშეთში, ხევსურეთში და სხვა.

მესხეთ-ჯავახეთში, ისე როგორც კახეთში, ჯეჯიმს სამი სახის დაზგაზე ქსოვდნენ: „ადგილის დაზგაზე“, „ხანებზე“ (შრდ. „ყდები“) და „საფეიქროზე“; ამ უკანასკნელზე კუბოკრულ სახიან ჯეჯიმებს ქსოვდნენ ხოლო პირველ ორ დაზგაზე ფერადზოლიან „ჭრელ ჯეჯიმებს“, „ადგილის დაზგაზე“ მოქსოვილს „ადგილის ჯეჯიმს“ უწოდებდნენ; საფეიქროზე მოქსოვილს კი — „საფეიქროს ჯეჯიმს“.

აღსანიშნავია, რომ მესხეთ-ჯავახეთში „ადგილის დაზგაზე“ „ჯეჯიმურად“ ქსოვდნენ ფერადზოლიან ხურჯინებს. მას განსაკუთრებით დიდი ზომისას ამზადებდნენ (რომელშიც 8,9 ფუთი მარცვალი ჩადიოდა). დიდი ზომის ხურჯინებს მხოლოდ ხარებს ჰკიდებდნენ, ჩანს ამის გამო მას „ხარის ხურჯინს“ უწოდებდნენ<sup>23</sup>.

„ჯეჯიმურად“, სახურჯინე ქსოვილებს საქართველოს სხვა კუთხეებშიც ამზადებდნენ (კახეთი, ქართლი, თუშეთი, ფშავი და სხვა), მხოლოდ „ხარის ხურჯინთან“ შედარებით მცირე ზომისა იყო.

ფერადზოლიან ჯეჯიმებს ქართლში, ფშავში, მთიულეთში, ხევსურეთში და თუშეთში მხოლოდ ვერტიკალური ტიპის საქსოვ დაზგებზე — „ყდებზე“ ქსოვდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუშები ზოგიერთ ზოლიან საფენებს ალაგ-ალაგ (სახის კონტურებში) ხაოსაც აქსოვდნენ. ამას გარდა თუშები ჯეჯიმურად სარტყელებსაც ქსოვდნენ.

ხევსურები ჯეჯიმურად ქსოვდნენ ფერადზოლიან „სარტყლებს“, „ჭრელას“, „ქოქომოს“ და სხვა (რომლითაც ქალის ტანსაცმელს ამკობდნენ). მოხვევები წყლის ჭურჭლის — „ტავანაის“ მოსაკიდ ბრტყელ ზონრებსაც ამზადებდნენ. (ტაბ. III. სურ. 6, 7, 8, 9).

<sup>22</sup> ერთი ასეთი მაფრამა დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის გან-ში; იხ. ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ქსოვის ისტორიიდან (გულაავი/მაფრამა), კურნ. „მაცნე“, 1970, № 3, ტაბ. II, სურ. 2).

<sup>23</sup> ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, „ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში“, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1972, გვ. 235.



ჯეჯიმების ქსოვა კავკასიის სხვა ხალხებშიც ფართოდ იყო გავრცელებული: აზერბაიჯანში, სომხეთში, დაღესტანში და სხვა. საქართველოს ქვეყნის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცულია ქართული და ჯეჯიმების ნიმუშები (ნაწილი ექსპოზიციაშიცაა წარმოდგენილი). ეს ნიმუშები მატყლის და აბრეშუმის ნართის სხვადასხვა ფერადზოლიანი ქსოვილებია. ზოგიერთ მათგანს ზოლებში კიდევ სხვა წვრილი სახეები აქვს ჩაქსოვილი.

აზერბაიჯანში ჯეჯიმს ჰორიზონტალური ტიპის საქსოვზე — „ადგილის დაზგაზე“ ქსოვდნენ, ამგვარი დაზგის ფოტოსურათი შემახიდან ერმაკოვის ალბომშიც არის დაცული (ალბომი № 63, სურ. 745) და აგრეთვე ლენინგრადის საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმის ფოტოტექაში. იგი ასახავს აზერბაიჯანის ეთნოგრაფიულ ყოფაში ჯეჯიმების დამზადების პროცესს „ადგილის დაზგაზე“ (ფოტოსურათი გადაღებულია 1961 წელს ეთნოგრაფ ე. ტარჩინსკაიას მიერ).

აზერბაიჯანის რაიონები (კარაბახი, შირვანი, აგდაშა, ხალდა, სამუხა) განთქმული იყო აბრეშუმის სახიანი ზოლიანი ქსოვილების — ჯეჯიმების, წარმოებით, რომელსაც ხმარობდნენ: «для чехлов матраца, мутак и одеял»<sup>24</sup>.

\* \* \*

ქართულ ისტორიულ საბუთებში ჯეჯიმი არაერთხელ არის მოხსენიებული, რომელთა მიხედვით ჯეჯიმის შესახებ მრავალი საყურადღებო საკითხები ირკვევა. საბუთებში დაცული ცნობები, ზოგი თუ ეთნოგრაფიულ მასალებს შეესატყვისება და მას მეტ საბუთიანობას მატებს, ზოგიერთი მათგანი დამატებით მასალებს იძლევა. საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ ჯეჯიმები და ჯეჯიმური ქსოვილები ფართოდ იყო გამოყენებული ჩვენი ხალხის საოჯახო და სამეურნეო საქმიანობაში. ეს ცნობები მეტყველებს ჯეჯიმების და ჯეჯიმური ქსოვილების მასალაზე, რაოდენობაზე, ზომაზე, ღირებულებაზე, დანიშნულებაზე და სხვა.

ამ მხრივ საინტერესოა დ. ბარათაშვილის მეუღლის — თამარის ქონების ანდერძის ნუსხა (1828 წ.), სადაც იხსენიება „სამი აბრეშუმის ჯეჯიმი, ერთი ჯეჯიმი მატყლისა... აბრეშუმის ჯეჯიმი ოთხი, მატყლის ჯეჯიმი ორი“<sup>25</sup>.

საფენები, მათ შორის ჯეჯიმური, ძველად დიდი რაოდენობით ჰქონიათ განსაკუთრებით მაღალი წრის შეძლებულ ოჯახებს. ამას მოწმობს თარხნიშვილის ერთ-ერთი საბუთი (დანახარჯის ნუსხა, 1835 წ. ივლისი). „რ (100 თუმანი) ქ. მამიჩემისივე დანარჩენი საფენი, ორხოები, ქეჩები, იანქეჩები, ჯეჯიმები, აბრეშუმის ჯეჯიმები, შალისა ხალიჩები, ფარდაგები ვიდრე სამას ნაჭრამდინ სრულად უხმარებელი დაყიდა, სრულიად მცირედი ვიტყვი ფასსა ას თუმანს“<sup>26</sup>.

საბუთებში აღნიშნული ცნობებით ირკვევა, რომ ჯეჯიმები იყო დიდი და მცირე ზომის: „აბრეშუმის ჯეჯიმი, პატარა შეკერილი; ა დიდი აბრეშუმისა-ვე ჯეჯიმი“<sup>27</sup>.

ჯეჯიმის საფენს ზოგს შილის სარჩულიც ჰქონია გამოკერებული; რაც მა-


<sup>24</sup> Народы Кавказа, т. II, ИМ., 1962, стр. 91.

<sup>25</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., წ. III, გვ. 500, 504.



<sup>26</sup> იქვე, გვ. 519.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 500, 504.

















1000







ნუხარ თუმანიშვილის ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით ირკვევა... „...აბრეშუმის ჯეჯიმი შილის სარჩულით“<sup>28</sup>.

ეგნატე თუმანიშვილის ასულის ელისაბედის მზითვის წიგნის (1807 წ.) მიხედვით ირკვევა, რომ ზოგიერთი აბრეშუმის ჯეჯიმი შეკერილი და ნაბადზე გადაკრულიც ყოფილა. ამავე საბუთში მისი ღირებულებაც არის აღნიშნული: „(12 მინალთუნი) ქ. ა. აბრეშუმის ჯეჯიმი, ნაბადზე გადაკრული, შეკერილი“<sup>29</sup>, ხოლო სამეფო საფარეშოს აღწერის სიაში (1799 წ.) აღნიშნულია „ერთი უნაბლო ჯეჯიმის პირი“<sup>30</sup>.

ჯეჯიმების ღირებულება ირკვევა ეგნატე თუმანიშვილის დანახარჯის ნუსხის (1795 წ.) მიხედვით: „(რვა მინალთუნი). ქ. ახალი და ნახმარი ჯეჯიმი ორი“<sup>31</sup>.

ჯეჯიმები სხვა საფენებთან ერთად, ქალს მზითევში მიჰქონდა, რასაც მოწმობს შემდეგი მზითვის სიები: მანუხარ თუმანიშვილის ასულ ბარბარეს მზითვის წიგნში საფენების ჩამოთვლისას აღნიშნულია: „ქ. ორხუა დიდი ერთი. ქ. იანქეჩა ერთი წყვილი. ქ. დიდი ქეჩა ერთი წყვილი. ქ. ჯეჯიმი აბრეშუმისა ერთი. ქ. ხალიჩა ორი. ქ. ფარდაგი ორი. ქ. მაფრაშა“<sup>32</sup>.

ღავით ქსნის ერისთავის ასულ ელენეს მზითვის წიგნში (1713 წ.) აღნიშნულია სხვადასხვა სახის საფენები და მათ შორის ჯეჯიმები, ამას გარდა გამდელსა და მხლებლებსაც ყველას თავთავისი წილი საფენი და მათ შორის ჯეჯიმი მიჰყვებოდა: „გამდელი... ოთხის მაფრაშითა, ხალიჩებითა, ჯეჯიმებითა, ფარდაგებითა... პირისფარეში... ხალიჩითა, ჯეჯიმითა, ფარდაგითა, მაფრაშითა... მოლარე... მაფრაშითა, ჯეჯიმებითა, მაფრაშითა... მეღოშაყე... მაფრაშითა... ჯეჯიმებითა, ფარდაგითა...“<sup>33</sup>.

ამავე მზითვის წიგნის მიხედვით ირკვევა, რომ ჯეჯიმი მაფრაშის გადასაფარებლადაც უხმარიათ. „ერთის ჯუფთის საქლემოს (sic!) მაფრაშითა... ქვემოურის გარდასაფარებლის ჯეჯიმითა“<sup>34</sup>.

ზოგიერთი საბუთის (XVIII ს. დასასრულის და მანუხარ მდივნის სახლიდან წაღებული ნივთების სია, 1793 წ.) მიხედვით ირკვევა, რომ აბრეშუმის ჯეჯიმური ქსოვილისაგან საბნის პირებიც უკერიათ: „საბნის პირი აბრეშუმის ჯეჯიმისა“<sup>35</sup>, „საბნის პირი ჯეჯიმისა“<sup>36</sup>. ერთ საბუთში მისი ღირებულებაც არის აღნიშნული: “ (3 მინალთუნი და 6 შაური) ქ. ა. ჯეჯიმის პირი“<sup>37</sup>.

საინტერესოა 1789 წლის სალევო თეთრის ნუსხა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სალევო გადასახადის თეთრის მაგიერ ცხვარი, სურსათი და სხვადასხვა სახის ქსოვილები: ტომარა, შალი, ლეინი, ჩოხა, შარვალი და მათ შორის ჯეჯიმებიც აუკრეფიათ: ქ. ციხის თავისა ერთო ლიტრა ც. კლიტე დიდი ა. ჯეჯიმი“<sup>38</sup>.

<sup>28</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 229; შილა (შილისა) ძე. „წითელი სამოსელი“ (საბა); წითელი ფერის ქსოვილი (ბამბულისა)... ქართ. ენის განმარ. ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 401.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 290.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 259.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 410.

<sup>33</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910, გვ. 196, 499, 500.

<sup>34</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, წ. III, გვ. 498.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 315.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 242.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 66.





საყურადღებოა ისტორიულ საბუთებში დაცული შემდეგი ცნობა: „ყაჯარი ჩაქსული, ძველი შალისა... და ყაჯარი ყაზახური, ახალი შალისა“<sup>39</sup> სიტყვა „ნაქსული“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით იგივეა, რაც ზოლი „ზოლიანი ქსოვილი“<sup>40</sup>.

ამრიგად, აღნიშნული ცნობით (ჩაქსული, ძველი შალისა) ირკვევა, რომ ყაჯარი ფერადზოლიანი შალისა ყოფილა, ე. ი. ჯეჯიმურად ნაქსოვი შალისა ყაჯრებიც უყერიათ, რაც ზემოაღნიშნულ ეთნოგრაფიულ მასალას მეტ საბუთიანობას მატებს.

ე. ზომტარიამ საარქივო მასალების მიხედვით გამოავლინა, რომ ჯეჯიმების დამზადებას საქართველოში (თიანეთის, დუშეთის, გორის, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში) სამრეწველო ხასიათი ჰქონია (ე. ი. საბაზრო დანიშნულებით მზადდებოდა). ამ საქმიანობას მისდევდა მხოლოდ ქართველი მოსახლეობა და აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მცხოვრები სექტანტები. ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებში შალის ქსოვილებს შედარებით მცირე რაოდენობით ამზადებდნენ. თბილისის გუბერნიაში ჯეჯიმებისა და შალის ქსოვილების წარმოებაში სამი ათასამდე ქალი ყოფილა ჩაბმული. თითოეული მათგანის საშუალო დღიური გამომუშავება უდრიდა 20-დან 30 კაპიკამდე წელიწადში მზადდებოდა დაახლოებით 350 ათასი მანეთის პროდუქტია<sup>41</sup>.

ამრიგად, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ „ჯეჯიმური“ ქსოვის წესით დამზადებული ქსოვილები (ჯეჯიმი-საფენი, ხურჯინი, ყაჯარი, საბნისა და მუთაქის საპირე და სხვა) ფართოდ ყოფილა გამოყენებული ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხთა ყოფაში ზოგჯერ მის დამზადებას სამრეწველო ხასიათი ჰქონია (ე. ი. საბაზრო დანიშნულებითაც მზადდებოდა).

Ц. Г. КАРАУЛАШВИЛИ

НАРОДНЫЕ СПОСОБЫ ИЗГОТОВЛЕНИЯ ТКАНЕЙ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

«Тканье джеджимури»

Резюме


Грузинский этнографический быт свидетельствует о разнообразии видов тканей, основная часть которых представляет собой продукцию домашней промышленности и ремесленного производства. В условиях домашней промышленности производились ткани для одежды, отдельные элементы костюма, предметы домашнего обихода, ткани декоративные и хозяйственного назначения.

Изготовление тканей происходило различными способами. Здесь нами рассмотрен один из них, называемый «ჯეჯიმური».

<sup>39</sup> ნ. ბ. რ. ძ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრომი, წ. III, გვ. 493.

<sup>40</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964, გვ. 418.

<sup>41</sup> ე. ზ. ო. შ. ტ. ა. რ. ი. ა., მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 70.



«Джеджими» — это безворсовый, цветной, полосатый ковер. Основу для тканья джеджими изготавливали из разноцветной пряжи, что создавало на ткани цветной полосатый спектр. Поверхность этой ткани создает основа. Ввиду того, что уток полностью скрывался в основе, он был одноцветным. В соответствии с техническими способами тканья переплетения такой ткани можно отнести полотнянообразному виду тканья с репсовой основой.

Изготовление джеджими характеризуется определенными специфическими особенностями, что создает определенный вид ткани, поэтому считаем целесообразным назвать этот вид тканья «тканье джеджимури», ткань — «*žezimuri*» «джеджимури». Этим же способом изготавливают разные предметы (ткань для «*mutak*» и одеял, переметные сумки, чепраки, сумки и т. д.).

Ткани джеджимури изготавливались из различного материала (козьей и бараньей шерсти, шелка, хлопка). Тканье происходило на ткацких станках «*qdebi*», «*adgilis dazga*» «станок на земле» а также «*Sapeikro*».

Для ткани джеджимури характерно расположение различных цветных линий рядами, что достигается цветами, ниток основы. Но кроме этого в некоторых полосах вытканы узоры («зубцы пилы», «цветы», «цепи», «цветы в горшках»), которые выводились различными способами: а) чередованием двух цветов — в этом случае во время приготовления в основу брали определенное количество нитей, попарно двух цветов, из которых одна идет в ремиз, а вторая остается свободной; во время тканья на поверхности ткани появляется то один цвет, то другой. В результате этого на поверхности ткани появляются поперечные линии, которые по краям некоторых продольных полос продолжаются до самого конца. Эти поперечные линии называются «зубцами пилы» и «зубцами»; б) чередованием двух цветов. В этом случае известную часть основы приготовляли вышеописанным способом. При этом в процессе тканья, в соответствии с узором, выбирали пальцами по две, три нити одного цвета, оставляя после них такое же количество нитей. В выбранные нити основы продевали палочки, а затем проводили уток. Выбранные на палочку нити основы появляются на поверхности ткани затем наоборот — выбирают пальцами те нити, которые ранее остались внизу, так что выбранные и оставленные нити основы располагаются в шахматном порядке. Так ткали один цветной узор, второй узор — вторым цветом. Остальные места той же полосы заполнялись чередованием двух цветов. Оставшаяся часть ткани покрывалась продольными линиями. Этим способом удавалось выткать разные узоры (стилизованные цветы, ромбы и т. д.) на широких полосах; в) на контурах узоров некоторых джеджими встречается ворс. В этом случае применяются два способа тканья: «джеджимури» и «ворсовые», что создает различные виды «тканей джеджимури». Такие ткани выделялись и в раннюю эпоху, это нашло свое отражение в народной поэзии.

Вышеуказанным способом изготавливают «тканье джеджими» на ткацких станках как вертикального типа — «*кдеби*», так и горизонтального — «*ad-*



gisil dazga». Вместе с тем, на ткацких станках «сапейкро» изготавливали джеджими с клетчатым узором (Кахети, Месхети, Джавахети). В этом случае основа и уток состояли из разноцветной пряжи и на поверхности ткани были видны обе нитки — основы и утка. «Клетчатые джеджими» приготавливаются двумя способами: «Диагональным» («саржевая» — в Кахети) и «полотняным» (Месхети) переплетениями.

На основе исторически и этнографического материала установлено, что ткани, изготовленные по способу «джеджимури», широко использовались в семейной и в хозяйственной деятельности как в Грузии, так и у других кавказских народов. Эти ткани изготавливались также для сбыта.

На основе архивных материалов установлено, что изготовление «ткани джеджими» в Грузии (в Тианетском, Душетском, Горийском, Ахалкалакском и Ахалцихском уездах) носило промышленный характер.

#### ტაბულაჲის აღწერილობა

- ტაბულა I. სურ. 1) აბრეშუმის ყაჯარი // ორთქეი (ჯეჯიმური ნაქსოვი, კახეთი, სოფ. მგ. ანაგა. საქართველოს სახ. მუზეუმის კოლ. № 61—58/91).  
სურ. 2) აბრეშუმის ორთქეის დეტალი.
- ტაბულა II. სურ. 1) აბრეშუმის ჯეჯიმი (კახეთი, სოფ. მატანი).  
სურ. 2) ჯეჯიმი (მატყლის, „ყდაზე“ ნაქსოვი, ქსნის ხეობა, სოფ. ცხავატი).  
სურ. 3) ჯეჯიმი (სახეები ხაოიანი ნაქსოვი, ქვ. ალვანი).
- ტაბულა III. სურ. 1—2) ხურჯანი (ჯეჯიმური ნაქსოვი, ქვ. ალვანი).  
სურ. 3) ხურჯანი (ჯეჯიმური ნაქსოვი, საქ. სახ. მუზეუმის კოლ.).  
სურ. 4) ყაჯარი (ჯეჯიმური ნაქსოვი, საქ. სახ. მუზეუმის კოლ.).  
სურ. 5) ჩანთა (ჯეჯიმური ნაქსოვი).  
სურ. 6) წყლის ქურჭლის — „ტავანის“ მოსაკიდი სარტყელი (ხევი, საქ. სახ. მუზეუმის კოლ.).  
სურ. 7, 8, 9) „ჭრელა“ (ხევსურეთი, საქ. სახ. მუზეუმის კოლ.).  
სურ. 10) „ადგილის ჯეჯიმი“-ს დეტალი („ადგილის დაზვაზე“ ნაქსოვი, მესხეთი, სოფ. ნაჭალაქევი).  
სურ. 11) ხურჯანი („ყდაზე“ ნაქსოვი, ქვ. ალვანი).
- ტაბულა IV. სურ. 1) „საფეიქროს ჯეჯიმის“ დეტალი („ტილოსებური ნაქსოვი“, მესხეთი, სოფ. მუსხი).  
სურ. 2) „სამირგვალაჲ“ („ყდაზე“ ჯეჯიმური ნაქსოვი, ხევსურეთი, საქ. სახ. მუზეუმის კოლ.).  
სურ. 3) იატაკის საფენის დეტალი („საფეიქროში“, „სარტყელი ხლართით“ „დიავონალური ნაქსოვი“, აჭარა, სოფ. ჭვანთა).  
სურ. 4) ჯეჯიმური ნაქსოვის დეტალი („ყდაზე“ ნაქსოვი, ხევსურეთი).  
სურ. 5) საფენის დეტალი („საფეიქროში“, „სარტყელი ხლართით“ „დიავონალური ნაქსოვი“, კახეთი, სოფ. საბუე).

მ. ჩართოლანი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972 წლის სვანეთის  
 სამეცნიერო კომპლექსური მასპედიციის ანგარიში

1972 წლის 22 ივლისიდან 20 სექტემბრამდე ზემო სვანეთში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიცია, რომლის მიზანს შეადგენდა სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის მდგომარეობის შესწავლა. მიზანმა განსაზღვრა ექსპედიციის შემადგენლობაც. მასში მონაწილეობა უნდა მიეღო სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს კერძოდ, ეთნოგრაფებს, ხელოვნებათმცოდნეებს, არქიტექტორებს, არქეოლოგებს და პალეოგრაფებს. 1972 წლის 14 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან აკად. ირ. აბაშიძესთან შედგა თათბირი შესაბამისი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად. თათბირმა საჭიროდ ცნო 1972 წლის ზაფხულისათვის სვანეთში კომპლექსური ექსპედიციის გავზავნა. ექსპედიციის შედგენა, მასთან დაკავშირებული საფინანსო ხარჯების გაღება და ხელმძღვანელობა დაეკისრა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებების უკეთ შესრულებისა და ადგილზე ორგანიზაციული საკითხების მოგვარების მიზნით, ვიდრე ექსპედიცია შეუდგებოდა მუშაობას, სვანეთში გაემგზავრა საკითხით დაინტერესებული ამხანაგების მცირე ჯგუფი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ნ. ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით. სვანეთში ჩასულმა ჯგუფმა დაათვალიერა რაიონის ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი, კერძოდ, უშგულის, კალის და მესტიის სოფლებში მდებარე ეკლესიები, ციხეები, კოშკები, ძველი საცხოვრებელი კომპლექსები (ტაბ. I, II,) და მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ადგილზე ძეგლების დათვალიერებამ კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ სვანეთის ძეგლები მძიმე მდგომარეობაშია: ბევრი მათგანი, განსაკუთრებით საერო ნაგებობანი, ისპობა და ინგრევა, ძეგლთა დაცვის სისტემა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც აყენებს ძეგლთა დაცვის ეროვნული და მეცნიერული ინტერესები. საჭიროა საქმის იმდაგვარად წარმართვა, რომ შენარჩუნებული იქნეს მნიშვნელოვანი ძეგლების გარეგნული სახე, ზოგიერთი ძველი სოფლის არქიტექტონიკა, ფრესკებიანი და წარწერებიანი ეკლესიები და გაუმჯობესდეს მათში არსებული ნივთების აღრიცხვის, მოვლის, დაცვისა და მეცნიერული შესწავლის საქმე.

ექსპედიცია ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უფრ. მეცნ. თანამშრ. ისტორიის მეცნ. კანდიდატი მ. ჩართოლანი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ქართული ხელოვნების ისტო-



რიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრ., ხელოვნებათმცოდნეობის მეცნ. კანდ. რ. ყენია (ექსპ. ხელმძღვანელის მოადგილე), საქართველოს სახ. მუზეუმის უფრ. მეცნ. თანამშრ. ისტორიის მეცნ. კან. ლ. ბედუკიძე, ეთნოგრაფიის განყ. უმცრ. მეცნ. თანამშრ. მ. მაკალათია, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყ. უმცრ. მეცნ. თანამშრ. შ. ჩართოლანი და ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი, პალეოგრაფი ვ. სილოგავა.

ექსპედიცია სამუშაოდ იმთავითვე გაემგზავრა უშგულის სასოფლო საბჭოში. უშგულიდან საქმის დაწყებას ის გამართლება ჰქონდა, რომ უშგული მდიდარია, როგორც საერო, ისე საეკლესიო ნაგებობებით, აგრეთვე ეკლესიებში დაცული ნივთებით. თუ როგორ წარიმართებოდა საქმის ვითარება უშგულში, ამის მიხედვით შეიძლებოდა ექსპედიციის სამუშაო გეგმის განსაზღვრა და სხვა სოფლებში სამარშრუტო გეგმის შედგენა. იმთავითვე გაირკვა, რომ უშგულში ბევრი სამუშაო იყო ჩასატარებელი. ექსპედიცია უშგულში ძეგლების აღწერას მოუხდა სამი კვირა. ვარაუდით ამდენივე დრო იქნებოდა საჭირო კალაშიც. კალაში ექსპედიციამ იმუშავა ორ კვირას — 15 აგვისტოდან 30 აგვისტომდე. დანარჩენ დროს მანძილზე ჩატარდა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები სხვა სოფლებში.

უშგულის ეკლესიების ნივთების დიდი ნაწილი, მათი უკეთ დაცვის მიზნით თავმოყრილია ჩაყამის მაცხოვრის (მაცხეარ) ეკლესიაში. იგივე მდგომარეობა იყო კალაშიც, აქაც ყველა ნივთი შენახულია კვირიკესა და ივლიტეს სახელობის (ლაგურკა) ეკლესიაში. ამან ნაწილობრივ მაინც გააადვილა ექსპედიციის მუშაობა. ექსპედიციამ მაინც შეამოწმა აგრეთვე სხვა ეკლესიებიც, სადაც მცირე რაოდენობის ნივთები აღმოჩნდა. აქტებში ისინი ცალკეა შეტანილი.

მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ ეკლესიებში დიდი რაოდენობით იყო სრულიად ხელუხლებელი და დღემდე აღურიცხავი ნივთები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ხალხს შემოუწირავს ეკლესიისათვის. ჩაბარების აქტებში, რომელიც წინა წლებში შეუდგენიათ, შეტანილი იყო ხატებთან ერთად ყუთები და სკივრები. მათში შენახული ნივთების დაცულობაც კი არავის შეუმოწმებია.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: უშგულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ღვაჩლიანმა, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა აკ. კვიციანიმა, ეკლესიის მცველმა ნ. დავითულიანიმა, კალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ქ. ავალიანიმა, სკოლის დირექტორმა შ. მარგველიანიმა, ეკლესიის მცველმა ი. გულბანიმა, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნ. თანამშრომელმა დ. ნიჟარაძემ. ნივთების აღრიცხვას ესწრებოდნენ აგრეთვე სოფლის წარმომადგენლები: ფ. კაკრიაშვილი, გ. ნიჟარაძე, ლ. ნიჟარაძე, ვ. ღვაჩლიანი და სხვები.

სამუშაო, რომელიც ექსპედიციას უხდა შეესრულებინა, რთული და მრავალფეროვანი აღმოჩნდა. ექსპედიციის წევრებს უხდებოდათ ყველა სახის სამუშაოს შესრულება: ნივთების გაწმენდა, გარეცხვა, კლასიფიკაცია სახეების მიხედვით, დანომრვა, დალაგება, ეკლესიის დასუფთავება და სხვა. მაგრამ ძირითადი სამუშაო მაინც ნივთების აღწერა და სადავთრო ჩანაწერების შედგენა იყო. ეს სამუშაო განაწილდა ექსპედიციის წევრებს შორის სპეციალობის



მიხედვით: ხატებისა და ჯვრების აღწერილობას აკეთებდა რ. ყენია. ხატებზე, ჯვრებზე და ეკლესიის კედლებზე წარწერებს კითხულობდა პალეოგრაფი ვ. სილოგავა. შეწირულ ნივთებს ამუშავებდნენ და მოკლე აღწერილობებს ადგენდნენ: ლ. ბედუიძე, მ. მაკალათია, შ. ჩართოლანი და მ. ჩართოლანი, ფოტოსურათებს იღებდნენ, სპეციალობის მიხედვით, ექსპედიციის თითქმის ყველა წევრი.

მუშაობის პირველ დღესვე დაისვა საკითხი ნივთების დანომვრის შესახებ. გადაწყდა, რომ ნივთებისათვის მიგვეცა რიგითი ნომრები ობიექტების მიხედვით, უმგულისათვის ცალკე, კალისათვის ცალკე. გარკვეული მოსაზრების გამო, ექსპედიციამ საჭიროდ ცნო, რომ ნომრები მიეცა ცალკე ჯვარ-ხატებისათვის და ცალკე შეწირულ ნივთებისათვის. ამასთან ერთად, აღწერილობაში შეძლებისდაგვარად ვუთითებდით ნივთის წარმომავლობას, თუ რომელ ეკლესიიდან იყო გადმოტანილი. შეწირული ნივთების კლასიფიკაცია საკმაოდ რთულ პირობებში მიმდინარეობდა. საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი, სხვადასხვა პერიოდის, ნაირსახის, ფორმის, დანიშნულების ნივთები სკივრებსა და ყუთებში იყო ჩაყრილი ერთმანეთში არეული, მღრღნელების მიერ დაზიანებული ქსოვილებისა და ძაფების ნაგლეჯებში, მტვერსა და ნაგავში ჩაფლული. საჭირო გახდა თითოეული ნივთის გულდასმით ამოკრეფა, მძივებისა და სამკაულების ძაფებზე აცმა. სხვადასხვა ნივთების სახეების მიხედვით დახარისხება და ყუთებში ჩალაგება. ყველა ეს სამუშაო მიმდინარეობდა ეკლესიის ეზოში. აქვე მიმდინარეობდა სურათების გადაღებაც, სულ უმგულსა და კალაში გადაღებული იქნა ათასზე მეტი სურათი. აღრიცხვის სიებში არ შეგვიტანია უახლოეს წლებში შეწირული ზოგიერთი ნივთი, რაც ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ზოგიერთი ძველი ნივთის სახელწოდება ჩაწერილია ადგილობრივი ტერმინით, რომელსაც თან ახლავს სათანადო განმარტებაც. ჩაწერილია აგრეთვე მოკლე ცნობები მათი დანიშნულების შესახებაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მძივები და მონეტები შეწირული იყო ძაფგაყრილი ან ნაჭერში გახვეული. ქსოვილის ნაწილები დაზიანებული აღმოჩნდა, მაგრამ სადაც ისინი სალად იყო შერჩენილი ხელუხლებლად დავტოვეთ.

ამრიგად, ეკლესიებში დაცული ნივთების აღრიცხვისა და დაცვის მდგომარეობის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა შემდეგი:

### უ შ გ უ ლ ი

1. ხატები და ჯვრები 118 ერთეული. აქედან ჩაქაშის მაცხოვრის ეკლესიაში ინახება 110, ხოლო ყიბიანის ლამარიას ეკლესიაში — 3, ჩვიბიანის ფუსდის ეკლესიაში — 2 და მურყმელის მაცხოვრის ეკლესიაში — 3 ცალი.
2. რუსული ხატები და ჯვრები XX საუკუნის — 23 ცალი.
3. საეკლესიო ინვენტარი (ქვაბები, სკივრები, ყუთები) და სხვადასხვა პირების მიერ საუკუნეების განმავლობაში შეწირული სხვადასხვა ხასიათის ნივთები რიგითი ნომრით 1032 დასახელებისა, საერთო რაოდენობით 2870 ერთეული. აქედან ორი ნივთი ინახება ყიბიანის წმინდა გიორგის ეკლესიაში, სამი ნივთი ამავე სოფლის ლამარიას ეკლესიაში, ხოლო 31 ნივთი ჩვიბიანის ფუსდის ეკლესიაში. დანარჩენი 2834 ერთეული ინახება ჩაქაშის წმ. მაცხოვრის ეკლესიაში.





1. ხატები და ჯვრები — 120 ცალი.
2. რუსული ხატები და ჯვრები — 10 ცალი.

3. საეკლესიო ინვენტარი (ქვაბები, სკივრები, ყუთები) და სხვადასხვა პირების მიერ საუკუნეების განმავლობაში შეწირული სხვადასხვა ხასიათის და მასალის, ნომრით 1282 დასახელების ნივთი. საერთო რაოდენობით 1344 ერთეული. ამ ნივთების ძირითადი ნაწილი 1336 ერთეული დაცულია კვირიკეს ეკლესიაში (ლავრა), ხოლო დანარჩენი 5 ერთეული იფარის მთავარანგელოზის ეკლესიაში, 3 ერთეული — წმინდა ბარბარეს ეკლესიაში.

საეკლესიო ნივთებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხატებსა და ჯვრებს. ამ ნივთების ძირითადი ნაწილის აღწერილობა, წარწერები და მათი ჰედვის ხელოვნება ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა ექსპედიციამ მოახდინა მათი ხელახალი აღრიცხვა და აღწერა, რის შედეგადაც აღმოჩნდა შემდეგი: უშგულისა და კალის ეკლესიებმა დიდი რაოდენობით შემოგვინახა განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები, განსაკუთრებით XI—XII—XIII საუკუნეებისა, გვიანფეოდალური ხანის ძეგლები გაცილებით ნაკლებია. მაგრამ მრავალი ძეგლი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და დაუთარიღებელი, მათ შორის ახლად გამოვლენილი ძეგლებიც, რომლებიც ადრეული პერიოდის XI—XII სს. უნდა მიეკუთვნებოდეს. მათი შესწავლა შეავსებს და სრულ სურათს შექმნის ქართულ ოქრომჭედლობაზე, კერძოდ სვანეთში დაცულ ჰედურ ხელოვნებაზე (ტაბ. III, IV).

ჰედურ ხატებთან ერთად უშგულისა და კალის ეკლესიებში ვხვდებით ფერწერულ ხატებსაც, რომლებიც XII—XIII საუკ. ფერწერის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ, ხოლო იფარის ეკლესიის უცნობი ხატი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ექსპედიციამ დეტალურად აღწერა უშგულისა და კალის ეკლესიებში დაცული შუა საუკუნეების ჰედური ხელოვნების ძეგლები, ფერწერული ხატები და ჯვრები, სულ 238 ერთეული დაინომრა, შეძლებისდაგვარად გაიწმინდა. გადაღებული იქნა ფოტოსურათები, შედგა ზუსტი სიები და ხატების დიდი ნაწილი შელავდა რკინის კარადებში.

აღწერამ გამოავლინა, რომ უშგულისა და კალის ეკლესიებში ხატების ერთი ნაწილი ჩაყრილი იყო სკივრებში ხოლო დიდი ზომის ხატები და ჯვრები ეკლესიაში იყო უწესრიგოდ მიმოფანტული. ჰედური ხატები და ჯვრები, მცირედი გამოწკლისის გარდა, დაზიანებულია (ტაბ. V); ფერწერული ხატების უმეტესობაზე მთლიანად ჩამორეცხილია ფერწერა, ხოლო მცირე ნაწილზე შერჩენილი მხატვრობაც დაზიანებულია (ტაბ. VI), მაგალითად, მურყმელის მაცხოვრის ეკლესიის XII—XIII სს. ფერწერულ ხატებზე მართალია, ფერწერა შემორჩა, სამაგიეროდ სამივე ხატი შუაზეა გადატეხილი, რაც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი ფაქტია. მაცხოვრის ხატი კი სულ ახლო ხანებშია გატეხილი. ლამაზი ეკლესიაში ფერწერული ხატები პირდაპირ მიწაზე ეყარა, რის გამოც ზედწერა იმდენად დაზიანდა, რომ ახლა მათზე კომპოზიციის ამოკითხვა ჭირს.

ე. თაყაიშვილის, ერმაკოვის, ბ. ჩუბინაშვილის მიერ ჩატარებულ აღწერებთან და ფოტოსურათებთან შედარებამ გამოავლინა, რომ რიგი ხატებისა





დღემდე მხოლოდ ფრაგმენტებადღა შემოგვრჩა (ტაბ. VII), მაგალითად, იოანე ნათლისმცემლის ხატი ლამარის ეკლესიიდან ამჟამად თითქმის აღარ არსებობს, რადგან ხატის ფერწერა მთლიანად დაზიანებულია, ხოლო მოჭედობა ფრაგმენტებადაა ქცეული. ასევე დაზიანებულია წმ. თევდორეს, მთავარანგელოზის, იოანე ნათლისმცემლის მაცხოვრის, ღვთისმშობლის და რიგი ხატებისა წმ. ბარბარეს, ჩაჟამისა და მურყმელის ეკლესიებიდან. კალის კვირიკეს ეკლესიის 120 ხატიდან უმეტესი ნაწილი დაზიანებულია, ბევრ მათგანს აკლია ნაწილები, ზოგიერთზე გამოსახულებებია ჩაჭეჭვილი.

საეკლესიო განძეულობათა დაზიანების მთავარი მიზეზი, გარდა წელთა სიმრავლისა, განსაკუთრებით დაცვისა და მოვლის დაბალი დონე: მცირე ზომის ეკლესიები ნივთების ნორმალური შენახვის საშუალებას არ იძლევა, მათ არა აქვთ ნივთების შესანახი შესაფერისი ინვენტარი. მოუცლევლობისა და უყურადღებობის გამო ეკლესიების უმეტესობა დაზიანებულია, სახურავიდან წყალი ჩამოდის, რის გამოც ზიანდება არა მარტო შენობა, არამედ მასში მოთავსებული ნივთებიც. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავიდანვე ამ შესანიშნავი ძეგლების დაცვის საკითხი ყოველთვის დიდი საფრთხის ქვეშ იდგა, სვანეთის ზოგიერთი ეკლესია წარსულში, განსაკუთრებით ოცდაათიან წლებში, არაერთგზის გაიძარცვა, როგორც ცალკეული პირების მიერ ასევე ორგანიზებული თავდასხმის შედეგად. მძარცველებმა ხატები, რომელთა წაღებაც ვერ მოასწრეს, დაამტკრიეს. ხატების მოპარვისა და გატაცების შემთხვევები ახლაც გრძელდება და მოსალოდნელია, რომ იგი მომავალში კიდევ უფრო გახშირდება, თუ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული. ძეგლების დაზიანების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ რელიგიური წეს-ჩვეულებათა შესრულების დროს ეკლესიის შემოსასვლელში ცეცხლს ანთებდნენ შესაწირი კვებების გამოსაცხობად, რის შედეგადაც მოჭვარტლულია შიგნითა კედლები და მასში მოთავსებული ნივთებიც.

ხატების დაზიანების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ეკლესიები, სადაც ეს ნივთებია დაცული, ჯერ კიდევ მორწმუნეთა ხელშია და ხშირად ამ ხატებს იყენებენ დაფიცებისა თუ სხვა წეს-ჩვეულებათა შესრულების დროს. (მაგ., ხატის წყალში ჩადება, ერთი ეკლესიიდან მეორეში გადატანა, ხატზე ანთებული სანთლის მიკვრა და სხვა). ხოლო სხვადასხვა ეკლესიებში გაფანტული ნივთები მიუწვდომელია ფართო მეცნიერული საზოგადოებისათვის, რის გამოც ძნელდება კონტროლი და მათი მოვლა-დაცვის ღონისძიებათა გატარება უკვე დროა, რომ ჩვენი კულტურის ეს მრავალსაუკუნოვანი ძეგლები, მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური საგანძური ჩავაყენოთ მეცნიერებისა და კულტურის სამსახურში და მისაწვდომი გავხადოთ ყველა დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევრისათვის. ამისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, ამ ძეგლების მეცნიერული შესწავლა და მათი მოვლა-დაცვის სისტემის დაყენება ახალ თანამედროვე მეცნიერულ დონეზე.

აღწერამ გამოავლინა, რომ თითქმის ყველა ძეგლი, მცირედი გამონაკლისის გარდა, მოითხოვს აღდგენა-გამაგრებას. უკანასკნელ აღწერასთან შედარებით დანაკლისი თითქმის არ აღინიშნება, მაგრამ ფაქტიურად გარკვეული ძეგლების მხოლოდ ფრაგმენტებია შემოგვრჩა. ეკლესიების სახურავების მოუწესრიგებლობის გამო ზიანდება ფრესკები, თითქმის მთლიანად დაღუპულია ფასადური ფრესკები მათ შორის აღრინდელი X—XIII სს., რაც იშვიათია საერთოდ შუა საუკუნეების ხელოვნებისათვის; ვაღ-



აშლილია ლადამისა და ჩაქაშის გარეგანი მოხატულობა, იფარაში კი, სადაც ამ ათიოდე წლის წინათ კარგად იყო შემორჩენილი ფასადის ფრესკები, ამჟამად მთლიანად ჩამორეცხილია, მაშინ, როდესაც ფასადური ფრესკების დატანა იქნებოდა თუ ისეთ სირთულეს წარმოადგენს. გადასახურავია ლამარიას ნაგებობათა კომპლექსი, ჩაქაშის ეკლესია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იფარის ეკლესიას, სადაც ახლახან გაიწმინდა და გამაგრდა ფრესკები. იფარის გარეგანი მოხატულობის ფრამენტების შერჩენის მიზნით უნდა გასწორდეს მისი გადახურვა.

პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს და გამაგრდეს ლაგურკისა და მურყმელის მაცხოვრის ეკლესიების ფრესკები, რომლებიც ზოგან მთლიანად ჩამოშლილია, ზოგან კი გაბზარული. ლამარიას ეკლესიაში ფრესკები იშლება და ცვივა.

საჭიროა რაიონში გაძლიერდეს პროპაგანდა მოსახლეობაში ისტორიულ ძეგლთა მნიშვნელობისა და მათი დაცვის შესახებ, რომ არ გამეორდეს ისეთი ფაქტები, როგორსაც ადგილი ჰქონდა ამ რამდენიმე წლის წინათ კალაში. ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით, ძეგლთა დაცვის კომიტეტის ნებართვის გარეშე, ლაგურკაში დანგრეულ იქნა ფეოდალური ხანის კოშკი და აშენდა ახალი სამრეკლო. აქვე აშენდა ცემენტის უხეში კედელი, რომელიც ამახინგებს საერთო ანსამბლს.

ექსპედიციამ განახორციელა აგრეთვე ძნელი, მაგრამ მეტად საჭირო სამუშაო; გადმოწერილი იქნა ყველა ხატის წარწერა. როგორც გამოირკვა, დღემდე ცნობილი წარწერებიდან ზოგიერთი მოითხოვს ხელახლა შესწავლასა და გამოკვლევას. გარდა ამისა, პირველად ჩატარდა ყველა სახის წარწერის არქეოგრაფიული აღწერა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი წინასწარი მეცნიერული დამუშავებაც. გადაღებულ იქნა ყველა ხატისა და ჯვრის წარწერის ფოტოსურათი. ასეთი დეტალური აღწერის შედეგად აღმოჩნდა სრულიად ახალი, დღემდე გამოუქვეყნებელი წარწერებიც, მაგალითად: უშგულში ჩვიბიანის უფლის ეკლესიის (ფუსტ//ფუსდ) წმ. ნიკოლოზის ხატის გამოცემული წარწერის ხელახლა გადმოღებასთან ერთად შესწავლილ იქნა წმ. გიორგის ფერწერული ხატის (გვიან შუა საუკუნეებისა) გამოუცემელი საკმაოდ ვრცელი, ხუთსტრიქონიანი, წარწერა, შესრულებული ხატის არშიებზე შავი საღებავით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშგულის ეკლესიების ხატები და ჯვრები თავმოყრილია ჩაქაშის წმ. მაცხოვრის ეკლესიაში. ამ ძეგლებზე მოცემული წარწერები, წარმოადგენენ ქართული ეპიგრაფიკის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს და მათი ხელახალი გამოცემა (მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი გამოცემულია აღრინდელი მკვლევრების, განსაკუთრებით ექვ. თაყაიშვილის მიერ) აუცილებელი საქმეა. ეს წარწერები მოთავსებულია ჰედური ხატების გამოსახულებათა გვერდით, ხატის არშიებზე და ხატის ზურგზე (ტაბ. VI, სურ. 4).

ჩაქაშის მაცხოვრის ეკლესიაში თავმოყრილი და დაცული 120 ხატიდან, არქეოგრაფიული აღწერით და ყველა მათგანის ფოტოგრაფირებით გადმოღებული იქნა 210 ჰედური წარწერა. მათი ერთი ნაწილი მოკლე წარწერებია და გამოსახულებათა თანხმლებ წარწერებს წარმოადგენს. წარწერების მეორე ნაწილი უფრო ფართო შინაარსისაა და გადმოგვცემენ როგორც ისტორიუ-





ლი, ისე სოციალური და საერთოდ კულტურულ ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო საკითხებს. წინა წლების გამოცემებთან და აღწერებთან ლობებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ უშუალოში დაცული ხატებისა და ჯვრების წარწერები ძირითადად სრული და დაუზიანებელი სახითაა მოღწეული, მაგრამ ამავე დროს მათი ერთი ნაწილი და განსაკუთრებით ისეთი საყურადღებო წარწერა, როგორცაა შერგილ დადიანის ვრცელი ქტიტორული წარწერა (XIII ს.) დღეს დაზიანებულია, ვერცხლის ნაწილები მოშორებულია და ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. საჭიროა ამ წარწერების გამოცემა ექსპედიციის მიერ მოპოვებულ სხვა მასალებთან ერთად.

კალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ეკლესიებიდან ხატებისა და ჯვრების დიდი ნაწილი თავმოყრილია წმ. კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიაში (ლაგურკა). აქ დაცული 115 ხატიდან და სხვა ჭედური შემოქმედების ძეგლიდან, დაწერილებითი არქეოგრაფიული აღწერით და ფოტოგრაფირებით (ე. ი. იმავე წესით, როგორც ეს ჩატარდა უშუალოში) გადმოღებული იქნა 196 წარწერა. ახლად აღმოჩენილ წარწერათა შორის აღსანიშნავია XII საუკუნის კანდელის ჩასადგმელი ჭურჭლის ჭედური ბუდის წარწერა, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებოა. წარწერის ტექსტი ასეთია: „ქ მუხარისა მთავარ ანგელოზს, მეოხ და მფარველ იქმენ მოსავესა შენისასა ყოშთელიანს აყსას“.

მაგრამ ექსპედიციის ყველაზე საყურადღებო აღმოჩენას მაინც ლაგურკის საყურთხვეველში დაყრილი ხეზე შესრულებული სვანური ისტორიული დოკუმენტების მიკვლევა წარმოადგენს. ასეთი წარწერიანი ჯოხი აღმოჩნდა სხვადასხვა სიგრძისა და ფორმის, სულ 20 ცალი. აქედან 16 ცალი დაუზიანებლადაა მოღწეული (ტაბ. VIII,) ხოლო 4 ცალი ნატეხებად — ფრაგმენტების სახით (სურ. 5). ყოველი მათგანი გამზადებულია ტექსტისათვის ფორმით სამწახნაგოვანი, ოთხწახნაგოვანი, ხუთწახნაგოვანი, ექვს და შვიდწახნაგოვანი, რომელზედაც დაწერილია შავი მელნით, მხედრული ასოებით ქართული ტექსტი<sup>1</sup>.

წარწერიანი ჯოხები სვანეთიდან დღემდე ცნობილი იყო რვა ცალი. აქედან ექვსი ინახება მესტიის მუზეუმში, ხოლო ორი — თბილისში ხელნაწერთა ინსტიტუტში. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ჯოხები წამოღებულია კვირიკეს ეკლესიიდან 1931 წელს პ. ინგოროყვას მიერ, რაც იქიდან ჩანს, რომ მის მიერ 1941 წელს გამოცემულ წიგნში „სვანეთის საისტორიო ძეგლები“<sup>2</sup>, დაბეჭდილია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული 4 ჯოხის წარწერა, ისინი და მუზეუმის 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის მიერ მიკვლეული ჯოხებზე დაწერილი ტექსტები თარიღდება XIV—XV საუკუნეებით. ეს დოკუმენტები უაღრესად საყურადღებოა, როგორც საისტორიო წყარო აღნიშნული პერიოდის სვანეთის სოციალურ-ეკონომიური საკითხების შესასწავლად. დოკუმენტები წარმოადგენს პირობის წიგნებს, სათემო ხელშეკრულებებს, მი-

<sup>1</sup> ტექსტები ამოკითხა, დაათარიღა და გამოსაცემად მოამზადა პალეოგრაფმა ვ. სილოგავამ. მისი წერილი „ისტორიული საბუთები ლაგურკიდან“, დაბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროს „მაცნეში“, ისტორიის სერია, 1973, № 3, გვ. 167. მანვე წაიკითხა მოხსენება თემაზე — „ისტორიული საბუთები წმ. კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიიდან“, საქ. მუზეუმის საანგარიშო სამეცნიერო სესიაზე, მიძღვნილი სვანეთის 1972 წ. კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი (იხ. მოხსენებათა ანოტაციები, თბილისი, 1973, გვ. 9).

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბილისი, 1941, გვ. 70.





წების გაცვლა-გაყიდვისა თუ სხვა სახის საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ-  
სახველ უნიკალურ მასალას. ჯონებზე ტექსტები ამოკითხულ იქნა ექსპედიციის წევრის ვ. სილოგავას მიერ. საჭირო იყო ამ ჯონების გასუფთავება მათი ნეთა მანძილზე მათზე დაყრილი მტვრისა და ჭუჭყისაგან, მათი პრეპარირება და გამაგრება<sup>3</sup>, ხოლო შემდეგ ზუსტი ანაზომებისა და წარწერების გადმოხატვა ფოტოფიქსაციით და მეცნიერული პუბლიკაცია სათანადო მეცნიერული და ტექნიკური აპარატით.

ეკლესიებში შეწირული ნივთები სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი, კერძოდ, აქ გვხვდება: ბრინჯაოს ნაჯახები და სატეხები, ნამგლები, მძივები: მარგალიტის, მინის, ლითონის, ქვისა და ქარვის, მინის სამაჯურები (ტაბ. XIV, ს. 3) ვერცხლისა და ლითონის ბურთულეები, ლითონის მედალიონები, ფრინველის გამოსახულებანი, მწვანე მინის გემა, სხვადასხვა ზომის ზარები (ტაბ. IX, ს. 4) ქამრები, ჩაფრასტები, სხვადასხვა ფორმისა და სახის ბალთები (ტაბ. XV, ს. 2, 3), საყურეები, სადაფის ფირფიტები, ქინძისთავეები, სამაჯურები მკერდის სამკაულები (ასლ<sup>3</sup>რ) ელარუნები (როყენ), ბეჭდები, ძეწკვები, სასაფეთქლე რგოლები და სხვა სამკაულები, ავეარონები. მაგიური დანიშნულების ნივთები: ნატვრის თვალი (მანადანა, ლახვარი) (ტაბ. XIII, სურ. 1, 4, 6). მთის ბროლის მრგვალი ქვები (სურ. 2, 3), მონადირის ნატვრის თვალი (ჰაჯ); თხის თვალი (დაქლა თე, სურ. 7), თევზის ყური (დაჭი-სასაფეთქლე), ე. წ. სამკურნალო ქვები (ტაბ. XIV), ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭელი: აზარფეშები, ლანგრები, ჯამ-თასები, სასმისები (ტაბ. IX, X, სარიტუალო დანიშნულების ქვებები; ორნამენტირებული სკივრები (ტაბ. XI), ყუთები, კოლოფები, (სურ. 2, 3), კათედრა ხისა (სურ. 1) სანაწილეები (პეშმ), ბორკილები (ტაბ. XII, სურ. 1).

უზგულსა და კალაში დაცული ვერცხლის 111 ჭურჭლიდან წარწერიანია 10. როგორც წარწერები ნათელყოფს, ისინი შეწირვის გზით არის მოხვედრილი ეკლესიაში. წარწერები ასე იკითხება:

- № 82. თასი ევრცხლისა, ძირზე აქვს წარწერა“ ქ ეას:.  
თასი: სისნია მეიფარიანის: არის: (19 საუკ.).
  - № 85 თასი ვერცხლისა, წარწერით:  
„ქ: ღოლაბერიძის როსტომის: არის:“. (18 საუკ. II ნახევ.) № 94 ვერცხლის თასი წარწერით: სილაგაძეს მამუკას:.
  - № 96 ვერცხლის თასი „ქ: წმიდის: გიორგის ილორის: არის“ (ძირზე ლევან დადიანის ხელრთვით).
  - № 98 ვერცხლის ჯამი „ქ: ეს: ჯამი: ბეჟან ლორთქიფანიძის“
  - № 116 ვერცხლის თასი „ქ: ლორთქიფანისი ქალის დარეჯანის“ (18 საუკ.).
  - № 669 კათხა ევროპული. პირზე აქვს წარწერა. „შემომიწირავს ეს ვერცხლის კათხე: მე ერისთავს შოშიტას: დედაღმრთისათვის ჩვენად: სად“
  - № 671 სპილენძის ჯამი „ქ: ბატონის: შვილის: თამარის“.
- კალის კვირიკეს ეკლესიაში ამავე სახის ჭურჭელი 56 ცალია. აქედან წარწერა აქვს 4 ჭურჭელს. ასე მაგალითად:
- № 349 ყანწი რქისა წარწერით: „დიდაბ ლაგურკას I გიძღვნით ამ მცირედს შენ, ძალა და სიკეთე

<sup>3</sup> ეს სამუშაო წარმატებით შეასრულა საქართველოს სახ. მუზეუმის ქიმ. სარესტავრაციო ლაბორატორიის თანამშრომელი ნ. იაშვილმა.



ჩვენს გვერდებს ნოდარი (კახა) 13 მაისი 1970 წ.“.

№ 1343 სპილენძის ჯამი რუსული ასოებით აწერია: «Ислам Хангани Диният-ინჟინერი  
Иосеб Шамокцира цминда Квирикე М. Яралов г. Тифлис». № 343 და № 343 ხის კათხა, ერთს აწერია „ზურაბ გივანი“.

მეორეს „დიდვანი დოდო დავითის ასული“.

კანდელის ვერცხლის ჩასადგმელის ტედური ბუდის წარწერა XII საუკუნისა აწერია: „ქ. მუხარისა მთავარ ანგელოზს, მეოხ და მფარველ ექმენ მოსაესა შენისასა ყოშთელიანს აყსას“.

არის სხვა ჭურჭლის წარწერებიც, რომელთა ამოკითხვაც, ჭურჭლის სათანადო გაწმენდის გარეშე არ მოხერხდა. ეს კი მომავლის საქმეა.


სპილენძის ქვაბები საეკლესიო ქონების საინტერესო კოლექციაა. უშუალოდ და კალაში ეკლესიებში შეიძლება დაცული. აქედან 3 ქვაბი ინახება უშუალოდ, ჩაყაშის მაცხოვრის ეკლესიაში, 1 ყიბიანის ლამარიას ეკლესიის გარემომოსასვლელში, ხოლო 3 ცალი—კალის კვირიკეს ეკლესიაში. ლამარიას ქვაბი, რომელსაც სვანეთში დღეს უწოდებენ, წარმოადგენს სპილენძის ნაჭრებისაგან დამოქლონებულ დიდი ზომის (105×80 სმ) სარიტუალო ხასიათის ჭურჭელს, რომელშიც დღეობებზე ხორცს ხარშავდნენ<sup>4</sup>. ამ ქვაბის მოხვედრა ეკლესიის გარემომოსასვლელში ორი გზით შეიძლებოდა: პირველი, იგი შეიძლება ეკლესიის აშენების შემდეგ, მოგვიანებით შეიგნით მოეჭედათ, ან ამ ეკლესიის აშენების მომენტში მოჭედელი ქვაბი ჩაედგათ. სხვა გზით მისი იქ შეტანა არ შეიძლებოდა, რადგანაც ეკლესიის შესასვლელი კარი ქვაბის დიამეტრზე უფრო ვიწროა. ხოლო ეკლესიის და გარემომოსასვლელის ტერიტორიაზე დაბინათა შეკრული. თუ ეს ასეა, მაშინ ამ ქვაბის დამზადების დროც ეკლესიის აშენების თარიღს ემთხვევა. ეკლესიის, მისი გარემომოსასვლელის შეღებვისას მოთავსებული ლაპიდარული წარწერები და გრაფიტები დათარიღებულია XII—XIV საუკუნეებით. მაშასადამე, ეკლესიაში ქვაბის დადგმის თარიღიც შეიძლება XII საუკუნით განისაზღვროს. ასეთი ქვაბები, როგორც სარიტუალო ჭურჭელი, სვანეთის ზოგიერთი სოფელში დღესაც გვხვდება. ერთი მათგანი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (შეძენილია ლენჯერში 1964 წელს), ხოლო მეორე — მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ვინაიდან ამ ქვაბების ფორმა უშუალოდ ლამარიას ქვაბის ფორმის იდენტურია, მათი დამზადების დრო შესაძლებელია შემომოტანილი თარიღის სინქრონულად ჩავთვალოთ.

როგორც უშუალოდ, ისე კალის ეკლესიებში, დიდი რაოდენობით არის თავმოყრილი ნაირსახის ქვები: მრგვალი, გალესილი, ვახვრეტილი და ქვის მძივსაკიდები (ტაბ. XIV), აქ ქვის ნივთების დანიშნულება ქართულ ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაწილობრივ დღემდეც იყო ცნობილი. მაგალითად, თეთრი მარმარილოს ბურთი (ქუთი ყუაბ-ხაჭაპურის გუნდა), რომელიც უშუალოდ წმ. მარიაშის სახელობის ეკლესიაში ინახებოდა და ამჟამად ჩაყაშის წმ. მაცხოვრის ეკლესიაშია დაცული, ასახვდა მზეს... სხივოსნობას და ელვარებას<sup>5</sup> „წმინდა“ და სათაყვანებელი საგანი — ქუთი ყუაბი დამოწმებულია

<sup>4</sup> ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, თბილისი, გვ. 230.

<sup>5</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (დვთაბა ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 111.





უმჯობესო დღეობა მუხუარწენში, ხოლო ეს ნივთი სხვა საეკლესიო განხილვებთან ერთად უნახავთ 1931 წელს საქართველოს მუზეუმის კომპლექსურ ექსპედიციას<sup>6</sup>. მართლაც, ეს ქვა ხალხის რწმენით დღესაც განსაკუთრებული პატივით მქონედ ითვლება და დიდის მოწიწებით ინახავენ მას აბრეშუმში გახვეულს ხატებთან ერთად (ტაბ. XIII, ს. 2)

1972 წლის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსური ექსპედიციის მიერ ფიქსირებული უამრავი ქვები პირველად იქნა დამოწმებული და აღრიცხული. ამ ქვების ერთი ნაწილი რიტუალური დანიშნულებისათვის იყო გამოყენებული, ხოლო მეორე ნაწილი—სამკურნალოდ. ქვების მაგიურ-სარიტუალურ დანიშნულებისათვის გამოყენება, ხალხში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით, ადრეც იყო ცნობილი<sup>7</sup>, მაგრამ ამის ნივთიერი საბუთი სვანეთის ეკლესიებიდან დღემდე არ იყო ცნობილი. ეკლესიებში შეწირულ სხვა ქვებთან ერთად საინტერესოა ექსპედიციის მიერ ს. კალაში გ. ხარძიანის ოჯახიდან წამოღებული გახვრეტილი ქვა, რომელსაც სვანურად „ცოდა ლახვაშინა“ (ცოდვის საკითხავი) ეწოდება (ტაბ. XIII, ს. 5) ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურდა, რომ ამგვარ ქვას მამაკაცი ატარებდა მის მიერ ჩადენილი ცოდვის მოსანანიებლად. ჩვენი აზრით, ეს მასალა გამოდგება ზოგიერთი მსგავსი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების დანიშნულების ასახსნელადაც.

ცნობილი იყო აგრეთვე ხალხში სამკურნალო ქვების არსებობის ფაქტიც. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს ბ. ნიჟარაძე გაზეთ „ივერიაში“ წერდა ხალხურ მკურნალობაში ქვების გამოყენების შესახებ<sup>8</sup>, ხოლო ამ ბოლო წლებში ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა მედიცინის მეცნ. კანდიდატმა პ. ფირფილაშვილმა და საქ. სახ. მუზეუმში დაცული ქვის კოლექციის მიხედვით დადასტურდა ქვის სამკურნალოდ გამოყენების ფაქტის არსებობა უძველესი ხანიდან<sup>9</sup>. მაგრამ სამეცნიერო გამოკვლევებშიც არ არის გამოყენებული ის მდიდარი კოლექცია, რომელიც დაცულია სვანეთის ეკლესიებში (ტაბ. XIII, XIV).

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ ახლახან მიკვლეული ქვის მდიდარი კოლექციები სვანეთის ეკლესიებიდან საინტერესო მონაპოვარია არა მარტო ჩვენი ხალხის იდეოლოგიური მსოფლმხედველობის ისტორიისათვის, არამედ წმინდა პრაქტიკული, ხალხური მკურნალობის ძველი წესების შესწავლის თვალსაზრისითაც.

ამავე მასალაში არის ფიქსირებული ბრინჯაოს ნივთები: ხვითოები (ცხოველის, ფრინველის ქანდაკებები), ცულები, სატეხი, ნამგლები, მძივები და სხვ. ბრინჯაოს ამ ნივთებს ვხვდებით აგრეთვე ხალხის ყოფაში. განსაკუთრებით საინტერესოა ხვითოს შესახებ არსებული რწმენა-წარმოდგენები. ხვითოს სვანურად „ლახვარი“, „მახადანა“ ეწოდება. ლახვარი//მუხვარი სიტყვასიტყვით ნიშნავს მკრეფავს (ლიხვრი-კრეფა). ხალხის წარმოდგენით „მუხვა-

<sup>6</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 62.

<sup>7</sup> მ. მართლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1941, გვ. 162.

<sup>8</sup> ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები (1, გვ. 194).

<sup>9</sup> პ. ფირფილაშვილი, ქვა „ხვითოს“ ქართულ ხალხურ მკურნალობაში გამოყენების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მომავლ“ XXXIV: 1, 1969, გვ. 227; მისივე, ქვის გამოყენება სამკურნალო მიზნით ქართულ ხალხურ მედიცინაში, „მცენე“, ტომი II, 1972, გვ. 81.

რის“ შეეძლო მარცვლის მოხვეტა, მოგროვება. ოჯახი, რომელსაც ასეთი ნივთი ჰქონდა, მდიდარი იყო სწორედ იმის გამო, რომ, ხალხის რწმენით, ლახვარიზმის სხვის კალოდან მისი პატრონის კალოში შეუქმნევლად ეზიდებოდა ვალს. ლახვარიზმე ასეთი წარმოდგენის გამო ფიცით სწყევლიდნენ იმ ოჯახს, რომელსაც ლახვარი ჰქონდა. ფიცისა და წყევლის შიშით ზოგიერთი ოჯახი მუხვარის სპობდა ან ეკლესიაში სწირავდა. ამ გზით უნდა იყოს ჩაქაშის ეკლესიაში მოხვედრილი ხვითოების კოლექციაც.

ხალხის ყოფამ დღემდე შემოგვინახა ბრინჯაოს ცულის, სატეხის თუ სხვა მინიატურული ნივთის რიტუალური დანიშნულებით გამოყენების რამდენიმე ფაქტი, კერძოდ ვისაც ასეთი ნივთი ჰქონდა, მთელი წლის განმავლობაში მარცვლელის კიდობანში ინახავდა. შემოდგომაზე იგი კალოზე გაჰქონდა და გალექილი მოსავლის განიავების დროს მარცვლის ხვავში ავდებდნენ. ხალხს ღრმად სწამდა, რომ იგი სიუხვეს მიანიჭებდა ოჯახს. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა ოჯახს რაიმე მარცხი შეხვდებოდა (ავადმყოფობა, სიკვდილიანობა, საქონლის დაკარგვა თუ კლდეზე გადაჩეხვა, მოუსავლიანობა და სხვ.) ზემოხსენებული ნივთი შეიძლება შეეწირათ ეკლესიისათვის, რათა ამ უკანასკნელს მათთვის მოულოდნელი უბედურება აეცდინა. ეს ფაქტი ზემოაღნიშნული ნივთების ეკლესიაში მოხვედრის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება გამოდგეს. მაგრამ იმთავითვე იზადება კითხვა, საიდან მოხვდა ბრინჯაოს ნივთი ოჯახში? რაკი ხალხში არსებობდა რწმენა ბრინჯაოს ნივთის მაგიური ძალის შესახებ, იგი დიდი მოწიწებით ინახავდა მას და მემკვიდრეობითაც კი გადასცემდა ოჯახს. ადრე ამგვარი ნივთები, როგორც წესი, რომელიმე კულტის სახელზე იწერებოდა, ხოლო როცა ეს კულტი ეკლესიამ შეცვალა, ხალხს ეკლესიაში მიჰქონდა ისინი. ამდენად, ზემოაღნიშნული ნივთების არსებობა, როგორც ოჯახში, ასევე საკულტო სალოცავებთან და ეკლესიებთან უძველესი ხანიდან უნდა ვივარაუდოთ. სწორედ ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბრინჯაოსა და რკინისაგან ნაკეთები ცხოველთა მინიატურული გამოსახულებები, რომლებიც არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება<sup>10</sup>.

ექსპედიციამ პირველად მოიხილა და დაამუშავა უშგულისა და კალის ეკლესიებში თავმოყრილი, მეცნიერებისათვის დღემდე თითქმის უცნობი მდიდარი არქეოლოგიური მასალა: ბრინჯაოსა და რკინის იარაღები და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მრავალფეროვანი სამკაული, რომელთა საერთო რაოდენობა 2000 ცალს აღემატება. ხოლო ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავენ ხანგრძლივ პერიოდს — ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან დაწყებული გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით.

ამ მასალების სრული მეცნიერული გამოკვლევა საგანგებო კვლევა-ძიებას მოითხოვს, რაც ჩვენი ექსპედიციის უახლოესი მომავლის ამოცანაა: სადღეისოდ კი გაკეთებულია მათი ზოგადი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია (შ. ჩართლანი), რის შედეგადაც გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

I. გვიან ბრინჯაოს ხანის საბრძოლო, სამეურნეო იარაღები და სამკაული.

II. ადრერკინისა და ანტიკური ხანის ნივთიერი მასალები, რკინის იარაღები, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული სამკაულის მდიდარი კოლექციები, მათ შორის განსაკუთრებით მდიდრულადაა წარმოდგენილი მძივ-სამკაუ-

<sup>10</sup> რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფ. შენაქოდან, თბილისი, გვ. 30, 1973. ტაბ. IV, იხ. ავრეთვე, დასახლებული ლიტერატურა.





ლი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზე ჩანს დამზადებული. ხოლო მეორე ნაწილი დამზადებული და შემოტანილია აქამენიდური ირანის, სპარსის, ეგვიპტის, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს სხვადასხვა კულტურული ცენტრებიდან. ამ რიგის მასალებიდან ბევრია უნიკალური. აქვე აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბაძი.

III. ფეოდალური ხანის ნივთები წარმოდგენილია რკინის იარაღებთან, სამკაულითა და ნუმისმატიკური მასალებით. რკინის ნაკეთობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ადრე-, შუა- და გვიანფეოდალური ხანის სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ისრისპირები (ტაბ. XVI).

მიცე-სამკაულთან ერთად აღმოჩნდა დიდი მნიშვნელობის მქონე სათითებ ბეჭდები და საბეჭდავები, შუაფეოდალური ხანის ფერადი მინის სამაჯურები.

დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ნუმისმატიკური მასალა: ვერცხლის ქართული, არაბული, სპარსული, თურქული მონეტები. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეკლესიებში შემოსული ბევრი არქეოლოგიური ნივთი, რომელიც აქ, ჩვენს წინამორბედ მეცნიერებს უნახავთ (უვაროვა, თაყაიშვილი) და გამოქვეყნებულია კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში, სადღეისოდ ადგილზე არ აღმოჩნდა. ამ რიგის ნაკეთობებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს მცირე სკულპტურული ქანდაკებები, ქინძისთავეები, ცულები და სატეხები, რკინის ისრისპირები და სხვ. ნივთების ერთი ნაწილი აღმოჩნდა ნაგავში. ასეთ პირობებში მოიძებნა ბრინჯაოს ნამგლები, ისრისპირები, ქვის და მინის ბევრი ნაკეთობა.

ეკლესიებში დაცული შენაწირი მასალების გარდა ექსპედიციამ მოსახლეობაში საინტერესო ნივთებს მიაკვლია. ამ ნივთების მცირე ნაწილი გადმოგვცეს და ამჟამად მიმდინარეობს მათი კამერალური დამუშავება-შესწავლა (ისრისპირები, ცულები, ამულეტები და სხვ.)

არქეოლოგიური ნივთების აღრიცხვის პარალელურად ექსპედიციამ შევაროვა საყურადღებო ნარატიული ცნობები მათი აღმოჩენის პირობებისა და ადგილის შესახებ. გაგრძელდა ზოგიერთი მათგანის ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვა, რომელიც წინა წლებში იყო დაწყებული. აღრიცხა შემდეგი პუნქტები: უშგულში — თამარ მეფის რეზიდენცია, „ლაშქდარ“-ი (სამჭედლო) და სხვ.

ამრიგად, სვანეთის ეკლესიებში შემონახული შენაწირი ნივთები მნიშვნელოვნად ავსებენ აქაური მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ამ კუთხის, არამედ კავკასიის მთიან ზოლში მოსახლე ქართველი ტომების შორეული წარსულის გასაშუქებლად. აღნიშნული ძეგლები ასევე საინტერესოა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისითაც. ამიტომ ექსპედიციის მიერ ახლად მიკვლეული მასალების მნიშვნელობა ბევრად სცილდება ადგილობრივ ფარგლებს, და რაც თავის მხრივ აყენებს საკითხს ამ მასალების პუბლიკაციის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთში უკვე აღრიცხული არქეოლოგიური ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით ზიანდება, რაც დღის წესრიგში აყენებს სვანეთში ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების საკითხს<sup>11</sup>.

<sup>11</sup> შ. ჩართლანი, სველ არქეოლოგიური ძეგლები-ძიება, 1972 წელს, თბილისი, 1973, გვ. 57.





სვანი გლეხის ძველი საცხოვრებელი — სვანური სახლი, კოშკი და სხვა დამხმარე სამეურნეო ნაგებობანი თავისებურია, ამ კუთხის სამეურნეო და ბუნებრივი პირობების შესაფერად გამართული. იგი ქართული ხალხური, როთმოდღვრების განვითარების გარკვეული დონის მაჩვენებელია. საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ნაგებობათა ძველი კომპლექსები, რომლებშიც ჩამოყალიბდა საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაირსახის სადგომები, სათაფსოები, ინტერიერის შესაფერისი ავეჯი და საოჯახო ნივთები, უტყუარი საბუთია იმისა, თუ როგორც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები ძველად.

ცხადია, რომ სვანური არქიტექტურა ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია; სვანი გლეხის საცხოვრებელი კომპლექსი თავისი კონსტრუქციით, მრავალფეროვანი ფუნქციით, ინტერიერის თავისებური გადაწყვეტით უნიკალურია.

მართალია, ამ ორი წლის მანძილზე გაძლიერდა ყურადღება სვანურ ხალხურ ნაგებობათა დაცვის მიმართ. მესტიაში დაარსდა სარემონტო-სახელოსნო ბაზა, მთავრობის დადგენილებით ნაკრძალად გამოცხადდა მესტიისა და უშგულის (ჩაყაშის) ძველი დასახლება. ამით მოსახლეობას აეკრძალა ყოველგვარი ცვლილების შეტანა ძველ ნაგებობათა ფორმებში. მესტიაში შეიძინეს ერთი ძველი სახლი და კოშკი, რომელიც ამჟამად მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განკარგულებაშია და მრავალ მნახველს იზიდავს. გადახურეს კოშკებისა და ეკლესიების გარკვეული ნაწილი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივაც ყველაფერი კარგად არ კეთდება. ძველ ნაგებობათა რესტავრაციის დროს დარღვეულია ძველი ფორმების ზუსტად შენარჩუნების წესი. მაგალითად: მესტიაში კოშკების ქონგურები (შდურ) ძველთან შედარებით დაბალია. კალაში თვითნებურად დაანგრეს და შემდეგ ააშენეს კვირიკეს ეკლესიის კოშკი და საყარაულო და სხვა მრავალი.

სრულიად არ მიმდინარეობს სვანური სახლების არც აღრიცხვა და მათადაც არც შეკეთება. მაშინ როცა იმავე კომპლექსის კოშკი საგანგებო დაცვაზე აყვანილი და ზოგიერთი მათგანი გადახურულიც. ცხადია, ეს ღონისძიება ცალმხრივია. საქმე ისაა, რომ კოშკის გადახურვა მცირე სამშენებლო მასალას მოითხოვს, კოშკის ფართობი დაახლოებით 30 კვ. მეტრს არ აღემატება. ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ სვანეთში ძველი ნაგებობებიდან მართკოშკი შემოგვრჩება, ასეთი მაგალითები ახლაც ბევრგან გვხვდება. კოშკი კი სვანური სახლის გარეშე მკვდარია და არაფერს წარმოადგენს, გარდა წმინდა არქიტექტურული ძეგლისა. ამიტომ კოშკთან ერთად აუცილებელია დავიცვათ მის გვერდით მდგარი სახლიც, რომელსაც უფრო მეტი საფრთხე მოელოა დანგრევისა, ვიდრე კოშკს.

სვანური სახლი, როგორც ვნახეთ, საცხოვრებელი კომპლექსის ძირითადი ნაწილია. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ამაზე ვამახვილებთ. ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ სვანური სახლი თავისი დიდი მოცულობის გამო მეტ დაცვასა და მოვლას მოითხოვს, ვიდრე კოშკი ან სხვა მცირეგაბარობის შენობები, რომ ნაგებობათა ამ კომპლექსს უჭირავს მიწის დიდი ფართი, რომლის სხვა მიზნით გამოყენება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მისი დაცვა, რომ მასზე მოხმარებული სამშენებლო მასალის გამოყენება ახალი მიზნებისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ახლის





შეძენა თუ მოტანა. ყოველივე ამის გამო გლხეი ნებსით თუ უნებლოთ არ  
ერიდება მათ დანგრევას.

უთუოდ ამ მიზანს ემსახურება მესტიისა და უშგულის ძველი სოფლები  
ნაკრძალად გამოცხადება. მაგრამ ფაქტიურად ჯერჯერობით არაფერი გაკეთ-  
ბულა. ნაგებობათა ნაკრძალად გამოცხადება არ კმარა, თუ მას სათანადო ლო-  
ნისძიება არ მოჰყვა. საქმე ის არის, რომ ნაკრძალად გამოცხადებული ნაგე-  
ბობების მიმართ მოსახლეობა ინტერესს კარგავს, რაკი მას იქ ახალი მშენებ-  
ლობის გაგრძელების უფლება არა აქვს, ძველებურად აღარ უვლის მას. ჩვე-  
ნი აზრით, საჭიროა სასწრაფოდ იქნეს შედგენილი შერჩეულ ძველ ნაგებო-  
ბებზე სათანადო დოკუმენტაცია, დეფექტური აქტები და ხარჯთაღრიცხვა და  
გათვალისწინებულ იქნეს მათი შესაძენი, შესაკეთებელი და შესანახი თანხა.

სვანეთში და მათ შორის ჩვენი კვლევის მიკრორაიონებშიც ოქტომბრის  
რევოლუციის შემდეგ არსებითი ცვლილება მოხდა სვანი გლეხის ცხოვრებაში.  
ეს გამსაკუთრებით საგრძნობია საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმ-  
ჯობესების მხრივ. ახლა აქ არავინ ცხოვრობს ძველებურ სახლში. ყველამ  
აიშენა ახალი ტიპის საცხოვრებელი, რომლის ერთი ნაწილი დგას სრულიად და-  
მოუკიდებლად, ახალ სამოსახლო ადგილზე, ხოლო მეორე ნაწილი ძველ სვა-  
ნური გადაკეთების გზით არის მიღებული. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელ-  
საც ახალი ტიპის სახლი ძველ საცხოვრებელ კომპლექსში უდგას, კიდევ ინ-  
არჩუნებს ძველ სახლს და შეძლებისდაგვარად უვლის და იყენებს მას სამეურ-  
ნეო დანიშნულებისათვის. სვანური სახლის ასეთი გამძლეობა მიუთითებს მის  
მონუმენტურობაზე, მაღალ სამეურნეო თვისებებზე. მაგრამ არსებითად გლეხს  
მისი შენარჩუნება, საბოლოო ჯამში, მაინც არ შეუძლია. დღეს თუ ხვალ ის-  
ინიც დაინგრევა ისე, როგორც სხვა მისი მსგავსი მრავალი სახლი დაინგრა.  
ინდივიდუალურ ოჯახს არ შეუძლია არც ფიზიკურად და არც მატერიალურად  
გამოუცვალოს დიდგაბარტიან ძველ ნაგებობას, თუნდაც მხოლოდ ზის ნა-  
წილები, რომ არაფერი ვთქვათ დაზიანებულ კედლებზე.

საერო-სახალხო ნაგებობებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს  
ეკლესიების დაცვის საქმეში. ამ უკანასკნელს მოსახლეობაც ყურადღებით ეკ-  
იდება, არაერთი მაგალითია იმის, რომ სოფელს საკუთარი ინიციატივით შეუ-  
კეთებია დაზიანებული ეკლესია. ამასთან ერთად ეს ძეგლები საგანგებო დაც-  
ვაზეა აყვანილი მთავრობის მიერ. ზოგიერთი მათგანი გადახურულია ყავრით  
და შეიძლება ითქვას მას ჯერჯერობით საფრთხე არ მოეღოს ნალექებისაგან,  
მაგრამ არსებითად ეკლესიების დაცვაც არ არის მოგვარებული თანამედროვე  
დროის შესაფერისად. რიგი ძეგლები გადაუხურავია (მაგალითად, ლამარიას  
ნაგებობათა კომპლექსი უშგულში) ზოგიერთ გადახურულ ეკლესიაში სახუ-  
რავის დაზიანების გამო წვიმა ჩამოდის და აზიანებს კედლებს (მაგალითად,  
ჩაუაშის მაცხოვრის ეკლესია უშგულში, იელის, წვირმის და სხვ. ეკლესიები).  
ზოგიერთი ეკლესიის გარეთა კედლის მოხატულობა ზიანდება იმის გამო, რომ  
იგი ცუდად არის გადახურული. მაგალითად, ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის ვა-  
რეთა მოხატულობა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ კარგად ჩანდა, ამჟამად  
თითქმის გადარცხილია ნალექების ზემოქმედების შედეგად. ასეთივე მდგომა-  
რეობაა იფრარისა და ჩაუაშის ეკლესიებში. სრულიად უყურადღებოდაა მიტო-  
ვებული საკულტო-სალოცავები (ტაბ. XII, სურ. 2, 3).

ზემოთ მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ საეკლესიო ნაგებობათა შეკე-





თება მიმდინარეობს უხარისხოდ, რაც ჩვენი აზრით იმიტად არის გამოწვეული, რომ ეს საკითხი საგანგებოდ არ არის შესწავლილი და გადაწყვეტილებების ციალისტების მიერ.

ამრიგად, 1972 წლის სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ გამოავლინა აქამდე ცნობილ ნივთიერ ძეგლებთან ერთად სრულიად ახალი, დღემდე მეცნიერებისათვის უცნობი მდიდარი ნივთიერი მასალა, რომელიც ასახავს საზოგადოების განვითარების ერთიან უწყვეტ ისტორიას, გვიან ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული მთელი ანტიკური და ფეოდალური პერიოდის ვრცელ მონაკვეთს, ვიდრე დღევანდელი დღის ჩათვლით.

ამ ნივთების გარკვეული ნაწილი უცხოური წარმომავლობისა, კულტურის სხვადასხვა ცენტრიდანაა შემოტანილი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში. ამდენად ამ კოლექციების მნიშვნელობა სცილდება ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებს და გვიჩვენებს ჩვენი ხალხის ცხოველ ურთიერთობას გარე სამყაროსთან, მაგრამ ამ ქართული ეროვნული კულტურის საგანძურის დიდი ნაწილი ადგილობრივი ჩანს. ისინი მკაფიოდ ასახავენ ადგილობრივი ხალხის ყოფას. საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალმნიშვნელოვან მხარეს და სულიერი კულტურის განვითარების ისტორიას. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო-საკულტო თუ საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთების გარკვეულ ნაწილს თავისი ფუნქციები არც დღეს დაუკარგავს. ამდენად მათი დაცვა და შენახვა ადგილზე უნდა მოწესრიგდეს, რათა მეცნიერებამ ისინი შეისწავლოს ხალხის ყოფაში, ცოცხალ სინამდვილეში.

სვანეთის ძეგლთა დაცვის გასაუმჯობესებლად საჭიროა პირველ ყოვლისა მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება, რათა მოსახლეობამ ხელი შეუწყოს ძეგლთა დაცვის ღონისძიებათა გატარებას. არ დაანგრიონ და არ გადააკეთონ ძველი ნაგებობანი. ხელი შეუწყონ მუზეუმის მუშაებს ისეთი ნივთების აღრიცხვისა და შეგროვების საქმეში, რომელთაც აქვთ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა.

უნდა გაუმჯობესდეს ძეგლთა დაცვის ორგანიზაცია, ამჟამად მოქმედი სისტემა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ეკლესიას ჰყავს ერთი მცირეხელფასიანი დარაჯი, უნდა შეიცვალოს ძეგლთა დაცვის ზონალური სისტემით. ასეთი ზონა სვანეთში შეიძლება ჩამოყალიბდეს რამდენიმე, რაც დამოკიდებულია ძეგლების მნიშვნელობაზე, მდგომარეობაზე და რაოდენობაზე. ექსპედიციის მიერ ახლახან აღრიცხული მასალა მოითხოვს დაუყოვნებლივ შეიქმნას უმჯულისა და კალის ზონა, რომლის მომსახურე პერსონალი განისაზღვროს სამი უმცროსი მეცნიერ თანამშრომლისა და არა ნაკლები ექვსი დარაჯის საშტატო ერთეულით. მათ შორის ერთი იქნება ზონის უფროსი, ხოლო ორიდან ერთი უმჯულის და მეორე კალის ეკლესიებში თავმოყრილი ფონდების პასუხისმგებელი მცველი.

სვანეთის სოფლებსა და მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ნივთიერი ძეგლების აღრიცხვა-დაცვისა და მეცნიერული შესწავლის გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაყვანილი იქნეს აკადემიის სისტემაში და დაექვემდებაროს მრავალბროფილიან სამუზეუმო სამეცნიერო დაწესებულებას — აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.





ძეგლთა დაცვის ზონას უნდა დაეკისროს უშუალო პასუხისმგებლობა იმ ნივთებზე, რომელსაც იგი ჩაიბარებს, ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია ქვემოთ დაეკისროს საერთო ზედამხედველობა ზონის ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლზე.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები მოთავსებულია ეკლესიის შენობაში და მასთან მიშენებულ ხის ფარდულში, სადაც არ არსებობს ნივთების მოვლა-დაცვის ნორმალური პირობები. მუზეუმს აქვს მდიდარი ფონდები, მათ შორის ბევრია უნიკალური, არსებობს დიდი პერსპექტივები ფონდების გამდიდრებისათვის, მაგრამ უბინაობის გამო ამ ღონისძიების განხორციელება გაძნელებულია. ამიტომ საჭიროა დაჩქარდეს მესტიის მუზეუმის ახალი შენობის აგება. გარდა ამისა მიზანშეწონილია შექმნილ იქნეს დაბა მესტიაში ზურგიანთა საცხოვრებელი კომპლექსიდან ნიკოლოზ ზურგიანის სახლი და მესტიის მუზეუმმა გადააქციოს იგი ხის ფონდის საცავად. ამით, ერთი მხრივ, გადავარჩინთ დანგრევისაგან უაღრესად საინტერესო ძეგლს და, მეორე მხრივ, მუზეუმი მასში თავს მოუყრის ისეთ ნივთებს, რომელთა გადაარჩენა და დაცვა ამჟამად უბინაობის გამო არ ხერხდება. იგი ამ მიზნით მაშინაც საჭირო იქნება, როცა მუზეუმის ახალი შენობა აშენდება.

ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ამჟამად გადაწყვეტას მოითხოვს, არის სვანური არქიტექტურული ძეგლების დაცვის საკითხი. როგორც ცნობილია, ეს ძეგლები კერძო საკუთრებაშია, სიძველისა და მოუვლელობის გამო დღემდე შემორჩენილ ძველ საცხოვრებელ კომპლექსებსაც მოვლით სწრაფი განადგურება; არც ერთი მათგანი, გარდა კოშკებისა, სახელმწიფო დაცვაზე არ არის აყვანილი. საჭიროა მათ გადასარჩენად საგანგებო ღონისძიების მიღება. უნდა გაუმჯობესდეს მესტიის სარესტავრაციო სახელოსნოს მუშაობა, გადმოტანილი იქნეს ბაზა, რომელიც ამჟამად ფოთშია, დაბა მესტიაში და მომარაგდეს იგი საჭირო აღჭურვილობით და სამშენებლო მასალებით. სარესტავრაციო სამუშაოები უნდა წარიმართოს მეცნიერ-კონსულტანტების მონაწილეობით.

სვანეთს აქვს კარგი პერსპექტივა ტურიზმის განვითარებისათვის. ამის საფუძველს იძლევა ბუნებრივ გარემოსთან შეხამებული კულტურის ძეგლები, რომლებიც ხალხს შეუქმნია საუკუნეების მანძილზე. ეს ძეგლები რომ შევიწინარჩუნოთ და ხალხის სამსახურში ჩაეყენოთ, საჭიროა დიდი სამუშაოების ჩატარება, რაც სათანადო სახსრებს მოითხოვს. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ კულტურის სამინისტროს გარდა სხვა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმაც. საჭიროა გაუმჯობესდეს მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურება, დაჩქარდეს გზების კეთილმოწყობა და რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა, ელექტროგანათება, რადიოფიკაცია და სხვა.

ახლად აღრიცხული ნივთიერი ძეგლების დიდი ნაწილი დაზიანებულია, ნაწილი კი ფრაგმენტებადაა ქცეული. საჭიროდ მიგვაჩნია შეიქმნას სპეციალური საოქრომჭედლო-სარესტავრაციო სახელოსნო, თუნდაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც პირველ რიგში აღადგენს ფრაგმენტებად ქცეულ ძველი ჭედური ხელოვნების ძეგლებს, შემდეგ კი განახორციელებს ნაკლებად დაზიანებული ნივთების რესტავრაციას. ამით გადავარჩინთ საბოლოო დაღუპვისაგან ძვირფას ძეგლებს. ასევე საჭიროა გამოიყოს მხატვართა

სპეციალური ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სვანეთის ეკლესიების ფრესკებისა და ფერწერული ხატების რესტავრაციაზე.

ეკლესიებსა და მოსახლეობაში შემორჩენილი მდიდარი ნივთიერების ტურის ძეგლები საშუალებას იძლევა მოეწყოს გამოფენები პირველ რიგში ადგილზე, შემდეგ კი საჭიროების მიხედვით დროებითი თემატური გამოფენები რაიონში და მის გარეთაც; ამასთან ერთად საჭირო იქნება შეიკრეს დამომზადდეს სამეცნიერო-სამუზეუმო კადრი, რომელიც იმუშავებს ადგილებზე ძეგლთა დაცვისა და მათი პუბლიკაციის საქმის გასაუმჯობესებლად.

М. И. ЧАРТОЛАНИ

## ОТЧЕТ СВАНЕТСКОЙ НАУЧНО-КОМПЛЕКСНОЙ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ ЗА 1972 ГОД

Резюме

Летом 1972 года в Верхней Сванетии по заданию АН ГССР производила работу научно-комплексная экспедиция Государственного музея Грузии им. С. Джанашиа в составе 6 человек. Целью экспедиции было изучение положения учета и охраны материальных духовных памятников Сванети. Экспедиция провела работу, главным образом, на территории двух сельсоветов: ушгульского и кальского.

Экспедиция пришла к выводу, что учет и охрана богатых и уникальных памятников Сванетии находится на весьма низком уровне, вследствие чего множество ценнейших памятников разрушается и уничтожается. Особенно в плачевном состоянии находятся средневековые народные архитектурные памятники — светские жилищные комплексы. Селения Кала и Ушгули богаты церковными и культовыми строениями, многие из которых построены в XI—XII веках и украшены фресками и росписями. Для сохранения этих памятников обязательно проведение ряда серьезных мероприятий.

Экспедиция, наряду с описанием памятников, выявила доселе неизвестные экспонаты являющиеся ценным приобретением для науки. Только в ушгульских и кальских церквях экспедиция провела учет 238 икон и крестов, большая часть которых изготовлена в XI—XII веках. На этих иконах было прочитано свыше 400 надписей, взятых на учет.

Большой интерес вызывают пожертвованные предметы, число которых превышает 4000. Эти предметы впервые были взяты на учет и классифицированы по типам. Из них особо следует отметить бронзовые и железные орудия, ритуальные предметы и украшения различного происхождения, лечебные камни, резной деревянный инвентарь, медную и серебряную посуду, нумизматический материал разных времен; исторические документы XIV—XV веков (письменные грамоты на гранях деревянных палочек) и др. Среди них самым значительным явля-





ется учет деревянных палочек — грамот, содержащих важные сведения для истории социально-экономических взаимоотношений.

Документы такого типа пока не обнаружены на территории Грузии, кроме кальской церкви — Квирикэ. Все эти памятники связаны с древними обрядами, остатки которых и по сей день можно встретить в быту местного народа. Поэтому лучше всего сохранение и изучение этих предметов производить на месте, что, правда, связано с трудностями и требует проведения определенных мероприятий.

Для улучшения охраны культурных памятников Сванетии необходимо, в первую очередь, провести разъяснительную работу среди населения с той целью, чтобы оно проявляло участие в принятии мер по защите памятников, т. е. не уничтожало и не переделывало древние строения, помогало работникам музея находить, собирать и описывать такие предметы, которые имеют культурно-историческую ценность и значимость.

Должна улучшиться организация защиты памятников.

Ныне действующая система, выражающаяся в том, что церковь имеет одного низкооплачиваемого сторожа, должна смениться системой зональной защиты памятников.

В Сванетии можно сформировать несколько таких зон, в зависимости от значительности памятников, их состояния и количества. Материал, выявленный и описанный экспедицией, требует создания ушгильской и кальской зон, служащий персонал которых должен составить 3 штатные единицы младших научных сотрудников и не меньше 6 штатных единиц сторожей. Один из научных сотрудников должен быть ответственным за зону в целом, а двое других — ответственными за ушгильский и кальский фонды в отдельности.

Для улучшения учета и сбережения материальных памятников и ценностей в сванетских деревнях и этнографическом музее Местии и углубления их научного изучения нам кажется необходимым перевести этнографический музей Местии в систему Академии наук Грузинской ССР, чтобы он подчинялся такому многопрофильному научному учреждению, как Гос. музей Грузии им. акад. С. Джанашиа.

В обязанность зоны охраны памятников должна входить ответственность за те вещи, которые он будет принимать но, вместе с тем, необходимо возложить на зону также обязанность надзора за всеми остальными памятниками культуры, расположенными на данной территории.

Фонды этнографического музея Местии расположены в церквях и пристроенных к ним деревянных сараях. При таких условиях, естественно, исключается возможность нормального ухода за экспонатами. Музей располагает богатыми фондами, среди них много уникальных памятников и имеются большие перспективы расширения фондов, но нет возможности осуществлять эти перспективы из-за неимения соответствующего помещения. Поэтому необходимо ускорить построение нового здания музея Местии. Кроме того, целесообразно приобрести в

Местии дом Н. Хергиани с целью использования его в качестве хранилища фонда изделий из дерева. Этим, с одной стороны, мы сохраним от разрушения очень интересный архитектурный памятник, а с другой он будет для музея Местии хранилищем таких вещей, которые в данное время гибнут из-за неимения помещения.

Самой сложной проблемой, которую сейчас необходимо решить, является вопрос сохранения памятников, принадлежащих к архитектуре Сванетии. Как известно, они находятся в частных руках, но из-за отсутствия присмотра сохранившиеся поныне старинные жилищные комплексы быстро разрушаются. Ни один из них, кроме башен, не состоит на учете учреждений государственной охраны памятников. Необходимо срочно принять меры для предотвращения их гибели. В связи с этим, должна улучшиться работа реставрационной мастерской в Местии. База этой мастерской, находящаяся сейчас в Анаклии, должна быть перенесена в Местию и ее нужно снабдить необходимым оборудованием и стройматериалом. Реставрационные работы должны проводиться с участием консультантов — научных сотрудников.

У Сванетии есть хорошая перспектива для развития туризма. Этому способствуют не только природные условия, но и культурные памятники, созданные народом на протяжении веков.

Для того, чтобы сохранить эти достопримечательности и использовать их, необходимо вести большую и длительную работу, требующую соответствующих средств. В этом деле, кроме Министерства культуры, должны принимать участие и другие организации и учреждения. Необходимо улучшить культурно-просветительное обслуживание населения, ускорить прокладку дорог, электрификацию и радиофикацию и т. д.

Большое количество описанных выше памятников повреждено, а часть разрушена и представлена лишь фрагментами. В связи с этим нам кажется необходимым создать специальную реставрационную мастерскую хотя бы в Государственном музее Грузии, которая, в первую очередь, должна восстановить древние чеканные памятники.

Кроме того, необходимо выделить специальные группы художников, которые будут работать над восстановлением фреск и росписных икон.

Сохранившиеся в церквях и у населения древние памятники культуры дают возможность организовать выставки, в первую очередь, на месте, а затем — в районном центре и за его пределами, что должно быть осуществлено в будущем.

#### ტაბულაციის ახსნა

ტაბ. I. სოფ. ჩაქაშის (უმგული) ხედი ჩრდ.-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. II. კვირიკეს (ლაგურკა) ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სოფ. კალა.

ტაბ. III. კვირიკეს ხატის ნაწილი, ლაგურკას ეკლესიიდან.

ტაბ. IV. წმ. ვიორგის ხატი, სურ. 4, 2, ლაგურკის ეკლესიიდან.





- ტაბ. V. წმ. კვირიკეს ხატი, ქტიტორის გამოსახულებით, ლავურკას ეკლესიიდან.
- ტაბ. VI. ფერწერული ხატები: 1. ღვთისმშობელი ყრმით, 2. — მაცხოვარი, 3 — წმ. გიორგი, 4 — ხატის ფრაგმენტი, წარწერა არშიაზე.
- ტაბ. VII. ხატის ფრაგმენტები ლავურკას და ჩაქაშის მაცხოვრის ეკლესიებიდან.
- ტაბ. VIII. ისტორიული საბუთები წახნავიდან ჯონხეზე დაწერილი, ლავურკას ეკლესიიდან.
- ტაბ. IX. 1 — თასები უშგულის მაცხოვრის ეკლესიიდან, 2 — თასები ლავურკას ეკლესიიდან, 3 — წარწერიანი ქურჭელი და მასრები, 4 — ხარი, ლავურკას ეკლესიიდან.
- ტაბ. X. 1 — ქვასანაყი, (ბრინჯაო), 2 — სასმისი, ვერცხლისა, ქართული წარწერით, 3 — კათხა, 4 — თუნგი ორნამენტირებული, ლავურკას ეკლესიიდან.
- ტაბ. XI. ჩუქურთმის ხის ნივთები: 1—კათედრა უშგულის წმ. გიორგის ეკლესიიდან, 2, 3— ხის კოლოფი ცხოველების და გველის გამოსახულებით და 4, 5 — სკივრი, უშგულის მაცხოვრის ეკლესიიდან.
- ტაბ. XII. 1 — ჯაჭვი უშგულის ჯგრაგის ეკლესიიდან. 2, 3—წარბართული სალოცავი—ვიტინი,
- ტაბ. XIII. 1, 4, 6 — ხვითო (ლახვარი, მახადანა), 2 — სარიტუალო წმინდა ქვები (ქუთი ყვავი), ლამარიას ეკლესიიდან, 3 — ქვის გული (ბაჩა გვიგვი), სარიტუალო, 5 — ცოდვის საკითხავი (ცოდნ ლახვარინა), 7— ავეაროზი („თხის თვალი“), უშგულის მაცხოვრის ეკლესიიდან.
- ტაბ. XIV. 1, 2 3 — სარიტუალო ქვები, სამკურნალო ქვები, მძივები, სამაჯურები...
- ტაბ. XV. 1, 2, 3 — ძეწვები, თილისმა, ქამრები, ბალთები, ჩაფრასტები.
- ტაბ. XVI. 1, 2 — ისრისპირები.

5. ი ა შ ვ ი ლ ი

ორგანული წარმოშობის ისტორიული ექსპონატების  
სტაბილიზაციის გზები

სულ უფრო იზრდება ქიმიის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. განუწყვეტლივ მატულობს იმ დარგების რიცხვი, რომელშიც გამოიყენება ქიმიური კვლევის მეთოდები. ვითარდება და იხვეწება უკვე არსებული ქიმიის ახალი დარგები. თანდათანობით რთულდება ამ ახალი დარგების როგორც ამოცანა, ისე კვლევის მეთოდი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბევრი დარგი ნერგავს ქიმიის ახალ მიღწევებს თავის საკითხების დასამუშავებლად. ასე მაგალითად, რესტავრატორები და ის პირნი, რომლებიც აწარმოებენ სამუზეუმო ძვირფასეულობის კონსერვაცია-რესტავრაციას ფართოდ იყენებენ თავის მუშაობაში ქიმიური კვლევის მეთოდებს და თანდათანობით გამოადვენინან მექანიკური დამუშავების ხერხებს.

ახალი სახის სინთეზური მასალის გამოყენებისათვის მაღალმოლეკულური ფისია, ეს, თუ ორგანული გამხსნელი, საჭიროა მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ცოდნა აუცილებელია აგრეთვე მეცნიერულად შესწავლილი იქნას არქეოლოგიური ექსპონატის ბუნება და მექანიკური მდგრადობა.


ორგანული წარმოშობის განათხარი მასალის კონსერვაცია-რესტავრაცია ყველაზე რთული პრობლემაა სარესტავრაციო საქმეში. ჩვენთან და საზღვარგარეთ ჩატარებულია ორგანული წარმოშობის (არქეოლოგიური ხის, ქსოვილის და ტყავის) ისტორიული ექსპონატების სტაბილიზაციის ძალიან ბევრი ცდები.

არქეოლოგიური ქსოვილის კონსერვაციის არსებული მეთოდების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქსოვილის დასამუშავებლად ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი საკმაოდ უნივერსალური მეთოდი. განათხარი ქსოვილის სტაბილიზაციის არსებული ხერხები, ნივთის თუ ფრამენტის ფქვილის, ან ცნობილი სინთეზური წებოებით სტაბილიზაცია არ აკმაყოფილებს რესტავრატორებს სწორად ფუჭდება ქსოვილის ბუნებრივი ელფერი. არ არის სათანადო სიმალლეზე ექსპონატის მექანიკური მდგრადობა და მდგრადობა ბაქტერიების მოქმედებისადმი.

ჩვენ მიერ სინთეზირებულია კარგი მაკონსერვებელი თვისებების მქონე ახალი სილიციუმორგანული პოლიმერები, ამ მაღალმოლეკულური ნაერთებით დამუშავებული ქსოვილი ინარჩუნებს თავის ბუნებრივ ელფერს და ელასტიკურობას, მდგრადია ატმოსფეროს დამშლელი მოქმედებისადმი.

არქეოლოგიური ქსოვილის სტაბილიზაციამდე აუცილებელია შესწავლილი იქნას ბოჭკოს აგებულება და მექანიკური მდგრადობა.





ბოჭკოვანი აგებულების მქონე ისტორიული ექსპონატები, როგორცაა ქსოვილი, ტყავი ან პერგამენტი, ხე და ქალაღი თავისი ბუნებით და ექსპოზიციური თვისებებით ერთმანეთთან ნათესაურ კავშირშია. ისინი წარმოშობის ნივთებია და მათი დამუშავების გზებიც ხშირად ანალოგიური. სამუზეუმო საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიური ქსოვილისა და ხის საგნების შესწავლა-კონსერვაციას. ქსოვილის ნიმუშს ჩვენ შევისწავლით, როგორც გარკვეული დროის და გარკვეული კულტურის ძეგლს, როგორც ისტორიის დოკუმენტს. განათხარი ქსოვილის ტექნოლოგიის შესწავლა-წარმოდგენას გვაძლევს ამა თუ იმ ეპოქაში მეცხვარეობის, მეაბრეშუმეობისა და ზამბის წარმოების განვითარების საფეხურებზე.

სელის რთვა სამხრეთ ევროპაში ჯერ კიდევ ქვის ხანაში დაუწყიათ, ჩრდილოეთ ევროპაში სელის ქსოვილი შედარებით გვიანბრინჯაოს ხანაში გაჩნდა. აბრეშუმის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება, მისი დამზადება დაუწყიათ ხუთი ათასი წლის წინათ. ქსოვილის გაფორმება და ქარგვა ადამიანმა გაცილებით გვიან დაიწყო.

ქსოვილს ბოჭკოვანი აგებულება აქვს. ბოჭკო შეიძლება იყოს ცხოველური და მცენარეული წარმოშობის. ბოჭკოს სახეობის გარკვევა ხდება მიკროსკოპის ქვეშ ბოჭკოს განივი კვეთის დაკვირვებით. შალის ბოჭკოს განივკვეთზე გამოსახულია ცილინდრული ფორმის მილაკები შიდა არხით. ეს არხი ზოგჯერ შეუმჩნეველია, ზოგჯერ კი ძნელად შესამჩნევია. შალისათვის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მისი ცილინდრული მილაკების ზედაპირი თევზის ქერქივით ქერცლოვანი აგებულებისაა. ეს ქერცლები შეიძლება ან მჭიდროდ იყოს ერთმანეთთან განლაგებული, ან დიდად იყოს დაცილებული. შალის საწინააღმდეგოდ აბრეშუმის განივკვეთი გვაძლევს ერთგვაროვან განუწყვეტელ მილაკებს, ყოველგვარი ხორკლიანობის გარეშე. თუმცა ზოგიერთ ადგილას გვხვდება პატარა კვანძები, მაგრამ ისინი ძალიან ცოტაა. შალი და აბრეშუმი ცხოველური წარმოშობის ბოჭკოებია.

მცენარეული ბოჭკო თავისი აგებულებით საცხებით განსხვავდება ცხოველური წარმოშობის ქსოვილისაგან. სელის ბოჭკოს აუცილებლად აქვს შიდა არხი, რომელიც აგრეთვე აქვს კანაფს. მათ ქერცლოვანი აგებულების ნაცვლად აქვთ ჩაღრმავებები, რომელთა ბოლოც წაგრძელებული სამკუთხედიით მთავრდება. ზამბის ბოჭკოს არხს გადაბმული რვიანების ფორმა აქვს. ამგვარად მცენარეული წარმოშობის ბოჭკოები თავის აგებულებით ძირეულად განსხვავდება ცხოველური ბოჭკოსაგან. ქსოვილის ბოჭკოს სახეობის დასადგენად საკმარისია მისი ფერფლი, რომლის მიკროსკოპიული განხილვა გვაძლევს სასურველ შედეგს.

შალს და აბრეშუმს წყლის დიდი რაოდენობით შთანთქმის უნარი აქვთ. ამ დროს შალის და აბრეშუმის ბოჭკო არ იცვლის გარეგნულ სახეს. 30%-იანი წყლის შემცველობისას ცხოველური წარმოშობის ქსოვილი ხელით შეხებისას არ იძლევა სისველის შეგრძნებას. შალისა და აბრეშუმის ბოჭკო შედარებით კარგად იტანს მყავების მოქმედებას. ამ თვისებას ხშირად იყენებენ ბოჭკოს სახეობის დადგენისათვის. მცენარეული ბოჭკოც წყალს დიდი რაოდენობით ისრუტავს, ამ დროს ქსოვილი იჭირჭვება ისევე როგორც ცხოველური წარმოშობის ბოჭკოს დროს. მაგრამ თუ ცხოველური წარმოშობის ქსოვილი გაშრობისას კვლავ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას, მცე-



წარეულის დროს ეს ასე არ ხდება. მცენარეული ქსოვილის გაჯირჯების დროს, ხდება ბოჭკოს ძირითადი შემადგენელი ნივთიერების — ცელულოზას ჰიდრატიაცია, რის შედეგადაც მიიღება ახალი ნივთიერებები — ოქსიციტულულოზა და ჰიდროციტულულოზა. ეს უკანასკნელი გამრობისას იქცევა არამდგრად მასალად, რომელიც შეიძლება ადვილად დაიშალოს ფხვნილად. ამ მოვლენას ადგილი აქვს არქეოლოგიური ქსოვილის შემთხვევაში.

სწორად არქეოლოგიური ქსოვილი უკვე შეღებვითი სახით გვხვდება. ბუნებრივია და გვიანტერესებს, თუ რით ღებავდნენ მას და როგორ გავლენას ახდენდა საღებავი ბოჭკოზე. ცნობილია, რომ ბოჭკოს აქვს უნარი შეითვისოს მასთან შეხებაში მყოფი სითხეები. ამ სახეებს თავიანთ შედგენილობიდან შეუძლიათ გამოლექონ ესა თუ ის ნივთიერებები, რომელთაც მტკიცედ ითვისებს ბოჭკო. თუ შალის ბოჭკოს მოვათავსებთ საღებავ ხსნარში, რომელიც კოლოიდურ ხსნარს წარმოადგენს, მაშინ ბოჭკო ამ საღებავის ნაწილს შეითვისებს. მაგრამ რადგან მჟავების და ტუტეების მოქმედება ცხოველურ და მცენარეულ ბოჭკოსადმი სხვადასხვანაირია, ბუნებრივია რომ საღებავების ერთ ჯგუფს კარგად ითვისებს ცხოველური ბოჭკო, ხოლო მეორეს მცენარეული.

ბუნებრივ პირობებში ხდება ქსოვილის თანდათანობითი დაბერება მის საბოლოო დაშლამდე. დაშლის პროცესს იწვევს სინათლისა და გარემოს მოქმედება. ბოჭკო კარგავს თავის ძირითად თვისებებს — სიმტკიცეს, სირბილეს, ნორმალურ ჰივროსკოპიულობას და ელასტიკურობას. ეს იწვევს ბოჭკოს სტრუქტურის დარღვევას, ძაფის დაშლას. ქსოვილის დაშლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის სინათლე — პირდაპირ და არეკლილი.

სპეციალურ ლიტერატურაში არის ცნობები იმის შესახებ, რომ აბრეშუმის ქსოვილი 568 საათის ინსოლიაციის შემდეგ ინარჩუნებს თავის პირვანდელი სიმაგრის მხოლოდ 2%, ბამბეული ქსოვილი 61%, სელის 71%, და შალის 83,6%. შემდგომი ინსოლაციის დროს ქსოვილის სიმაგრე მკვეთრად ეცემა. მუქი ქსოვილები შვის სხივების მოქმედებით უფრო ინტენსიურად იშლება ვიდრე ღია.

სინათლის მოქმედებით ხდება შალის ბოჭკოს შემცველი ნივთიერებების დაშლა და სხვათა შორის გოგირდის გამოყოფა, რომელიც თავის მხრივ იჟანგება და საბოლოო ჯამში გვაძლევს გოგირდმჟავას რაც კიდევ მეტად შლის ბოჭკოს.

მღებავ ნივთიერებას, შეღებვის ტექნიკას და ფერმჭერის ბუნებას შეუძლიათ დააჩქარონ, ან შეაჩერონ ეს პროცესი. ჰაერის ტენიანობაც დიდ როლს ასრულებს ქსოვილის დაშლაში. დაბალი ტენიანობის შემთხვევაში, ბოჭკო ხდება მსხვრევადი, ხოლო ძალიან მაღალი ტენიანობის დროს სიმაგრე კლებულობს და ქსოვილის ზედაპირი ობით იფარება.

ქსოვილის დაშლის პირველადი სტადია შეიძლება განისაზღვროს სპეციალური ხელსაწყოთი — დინამომეტრით, ან მიკროსკოპით. შემდეგი სტადიის დროს შეიმჩნევა ქსოვილის გაკვეთა, რომელსაც უბრალო თვალთაც შევამჩნევთ. თავდაპირველად ჩნდება ცალკეული მცირე ზომის ჭრილები, რომლებიც იზრდება ჩვეულებრივ ფუძის პერპენდიკულარულად. თავის უკანასკნელ სტადიაში ქსოვილი გადაიქცევა ნაფლეთებად, რომელიც საბოლოო ჯამში ფხვნილად იშლება.





ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ბოჭკოს ერთმანეთისაგან ვარჩევა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია. მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება ზუსტად განისაზღვროს ბოჭკოს სახეობა, რადგან ფხვნილი ინახვის ამა თუ იმ ბოჭკოსათვის დამახასიათებელ თვისებებს.

არქეოლოგიური ქსოვილის ფრაგმენტები ხშირად გვხვდება სამარხებში და ძალიან იშვიათად ნაქალაქარებში. ეს სულ მარტივად აიხსნება — ნაქალაქარში ქსოვილები იმყოფებიან ტენის, მზისა და სხვა ატმოსფერული აგენტების მოქმედების ქვეშ, რის შედეგადაც ისინი უფრო ადვილად ილევინ, ვიდრე საფლავში მიცვალბულებთან ერთად ყოფნისას. მიწა ქსოვილის შესანახად უკეთესი საშუალებაა, ვიდრე ჰაერი და სინათლე, მაგრამ აქ ქსოვილი სხვა სახის დაშლას განიცდის. ქსოვილზე აქ მოქმედებს წყალი. წყალი იწვევს ქსოვილის გაჯირჯევას, რომელიც თავის მხრივ შლის ბოჭკოს — ახდენს მის ჰიდროლიზს. ქსოვილის ჰიდროლიზური დაშლა ყველაზე საშიში სახის დაშლაა, რომელიც ნიადაგში ხდება. ჰიდროლიზის პროცესში ხდება ბოჭკოდან ზოგიერთი ნივთიერების გამოყოფა, რის შედეგად ბოჭკო კარავს სიმტკიცეს. შემდეგ ხდება ქსოვილის გაჭუჭყიანება მარილებით, გვამის დაშლის შედეგად გამოყოფილი სხვადასხვა მჟავებით და ტუტეებით, აგრეთვე ისეთი ნივთიერებებით, როგორიცაა რკინა, ჰუმუსური ნივთიერებები, რომლებიც ძლიერ აჭუჭყიანებენ ქსოვილს.


ქსოვილის რესტავრაციის დასაწყისი პროცესი არის მისი გარეცხვა, მიწის, ლამისა და სხვა ჭუჭყის მოცილება. არქეოლოგიური ქსოვილი წყლით შეიძლება გაიწმინდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კარგად არის შენახული და მისი საღებავი წყლისადმი მდგრადია. ამისათვის ქსოვილის არასაპასუხისმგებლო ნაწილზე სინჯავენ წყლის მოქმედებას საღებავზე. არამდგრადი საღებავები შეიძლება დამაგრებულ იქნას სუფრის მარილის 5%-იანი ხსნარით, ან ძმარმჟავით, რომლის კონცენტრაცია შეიძლება 20%-მდე გაიზარდოს. თუ არქეოლოგიური ქსოვილის გასარეცხად ვხმარობთ წყალს, იგი უამოხდელი უნდა იყოს ან გარბილებული (მინერალური მინარევებისაგან განთავისუფლებული) იონგამოცლილი ფისების დახმარებით.

როცა არქეოლოგიური ქსოვილი საკმაოდ დაშლილია მის გასაწმენდად წყლის ორთქლს ხმარობენ.

ქსოვილი, ისევე როგორც სხვა ორგანული ბუნების მქონე მასალა ხშირად იფარება ობით. ეს საშიშროება შეიძლება აცილებულ იქნას თავიდან, თუ ქსოვილი სუფთაა და იგი ინახება მშრალ შენობაში. ამ მიზნით შენობა, სადაც ინახება არქეოლოგიური ქსოვილი ხშირად უნდა ნიავედობდეს. ქსოვილის ზედაპირიდან ობის მოცილება შეიძლება რბილი ჯაგრისით. თუ ობი ქსოვილის დიდ ნაწილს მოედო, საჭიროა ქსოვილის დამუშავება თიმოლის ორთქლით.

ქსოვილის დაშლის მიზეზი უფრო ხშირად მწერებია. ცხოველური წარმოშობის ქსოვილები ზოგჯერ წარმოადგენენ მწერებისათვის საკვებ არეს. ამ დროს ტენიანობისა და ტემპერატურის სწორი რეჟიმი ვერ იხსნის ქსოვილს დაშლისაგან. არსებობს მწერებიდან ქსოვილის დაცვის ორი გზა: პირველი — ქსოვილის მოთავსება ისეთ ყუთში სადაც მწერები ვერ შეაღწევენ, მეორე — ქსოვილის დამუშავება ინსექტიციდებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იყენებენ ნაფტალინს, მაგრამ ნაფტალინი წყალთან ბაქტერიალური დაჟანგვის შედეგად გვაძლევს მოწითალო-მოყავისფრო ლაქას შალზე, რომელიც წარმოიქ-





მნება მისი ქიმიური დაშლის შედეგად. არქეოლოგიური ქსოვილის მწერების დაშლელი მოქმედების თავიდან ასაცილებლად უფრო ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს დიქლორბენზოლი. იგი ადვილად აქროლადი მყარი ნივთიერებაა, რომლის კრისტალებს ათავსებენ მარლის პარკებში და ჰკიდებენ ქსოვილის ექსპონატის შესანახ კარადაში.

სწორად არქეოლოგიური ქსოვილის ნივთს ასხურებენ თხევად ინსექტიციდებს. ამ მიზნით იყენებენ ევლანის 1,5—2,5% კონცენტრაციის მქონე წყალხსნარს. თუ წყლის მოქმედება სასურველი არ არის მაშინ იყენებენ ევლანის ოთხქლორიან ნახშირბადის, ან ბენზინის, ან ტრიქლორეთილენის, ან ტეტრაქლორეთილენის ხსნარებს.

ქსოვილის მუდმივი სტაბილიზაცია შეიძლება ჩატარდეს პლატიკების ემულსიით ან ხსნარებით. ამ მიზნით იყენებენ ცელულოზურ ეთერებს, პოლივინილურ სპირტს მის რთულ ეთერებთან ერთად, აცეტალურ ნაწარმოებს და აკრილის ფისებს. ყველა ეს მასალა შეგვიძლია ვისმართო წყალხსნარის ან ემულსიის სახით. ემულსია ქსოვილის ზედაპირზე წარმოქმნის აფსკს, რომელიც იცავს მას მტვერისა და ბაქტერიებისაგან, ხოლო ზოგიერთი მათგანი სინათლის მოქმედებიდანაც. ამ ფისების ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მათი აფსკები ტენისაგან იმდგრევა და კარგავს ელასტიკურობას.

ქსოვილის გასამაგრებლად იყენებენ აგრეთვე წყალში უხსნად ფისების ხსნარებს. ამ შემთხვევაში წყლის მოქმედების შედეგად აფსკები არ იმდგრევა, გამხსნელის აორთქლება ზედაპირიდან ხდება გაცილებით უფრო სწრაფად, და აფსკი არ სკდება. იგი უფრო მდგრადია ატმოსფერული და ბაქტერიალური მოქმედების მიმართ, ვიდრე ზემოთ აღწერილი მასალა. ამ აფსკებსაც აქვთ უარყოფითი მხარეები ისინი ნაკლებ ელასტიკურები არიან რის გამოც ქსოვილი კარგავს თავის ბუნებრივ სახეს და ქსოვილის ბოჭკოში არ ხდება პოლიმერის დრმა გაუღუნთვა.

დამუშავებულ იქნა არქეოლოგიური ქსოვილის კონსერვაციის ახალი მეთოდი ჩვენ მიერ სინთეზირებული სილიციუმორგანული პოლიმერით. ეს ნაერთი კარგად იხსნება ბენზოლში და სხვა მთელ რიგ ორგანულ გამხსნელებში. მისი შეყვანა ბოჭკოს ფორმებში ხდება სწორედ გამხსნელის მეშვეობით. არქეოლოგიური ქსოვილის ნიმუში იქნება სილიციუმორგანული ფისის გარკვეული პროცენტული ხსნარით და გამხსნელის შემდგომი აორთქლებით მყარი პოლიმერი რჩება ბოჭკოს ფორებში.

ამ მეთოდით დამუშავებულ იქნა ასტრახანში მიძინების ტაძარში დაკრძალული თეიმურაზ II-ის საფლავიდან ამოღებული პერანგის ქსოვილის ფრაგმენტი და კუბოს გადასაფარებელი ქსოვილი. აგრეთვე ვახტანგ VI-ის აკლამიდან ამოღებული ტანსაცმლის ნიმუში.

ეს ქსოვილები თავდაპირველად გაწმენდილ იქნა წყლის ორთქლით. ამ მიზნით ქსოვილები ცალ-ცალკე მოთავსებულ იქნა ფილტრის ქაღალდზე, შემდეგ გახვეულ იქნა თეთრ მარლაში, რის შემდეგაც ისინი დამუშავებულ იქნა წყლის ორთქლის ნაკადით. წყლის ორთქლით გაწმენდისას ქსოვილის საღებავები უცვლელი რჩება, მაშინ როდესაც ჭუჭყის დიდი ნაწილი (ზოგიერთი წებოვანი ნივთიერებები, შაქრები, მყავები და ტუტეების ხსნარები) ადვილად სცილდება. ამის შემდეგ თითოეული ნიმუში დამუშავებულ იქნა ორგანული გამხსნელებით. ორგანული გამხსნელები კარგად ხსნიან ფისოვან, ცხიმოვან ნივთიერებებს და არ შლიან ქსოვილის ბოჭკოს.



არქეოლოგიური ქსოვილების ბოჭკოს სტრუქტურის მიკროსკოპით გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ისინი მიეკუთვნებიან აბრეშუმის ბოჭკოს განივკვეთი წარმოდგენს წრეებს ან ოდნავ გაწევილ ელიფსურ წრეებს, შუაში რაიმე ნახვრეტის გარეშე, ხოლო ქსოვილის ძაფი შედგება უწყვეტი ხაზებისაგან ყოველგვარი ამოზურცულობის გარეშე, რომლის ცალკეულ უბანზე შეიმჩნევა ძალიან პატარა კვანძები.

დამუშავებული ქსოვილის სინათლისადმი მდგრადობის ხარისხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული სილიციუმორგანული პოლიმერი ულტრაიისფერი სხივებს არ ატარებს.

ქსოვილის შემდგომი დამუშავება მიზნად ისახავდა მის დაკარგულ ფიზიკურ-მექანიკური თვისებების (სიმაგრის, ელასტიკურობის, ჰიგროსკოპიულობის და ა. შ.) აღდგენას და ბოჭკოს ბუნებრივი დაძველების პროცესის შეჩერებას. ამ მიზნით შემოადგინილი არქეოლოგიური ქსოვილის ნიმუშები დამუშავებულ იქნა ახლად სინთეზირებული სილიციუმორგანული პოლიმერის ხსნარით. თავდაპირველად ქსოვილი გაყდენითი იქნა საკმაოდ განზავებული ფისის ხსნარით, რომლის კონცენტრაცია თანდათანობით იქნა გაზრდილი. შემდეგ ჩატარებულ იქნა ქსოვილის დუბლირება შესაფერ ტიულზე შედარებით მაღალი კონცენტრაციის პოლიმერხსნარით. გამხსნელის აორთქლება არქეოლოგიური ქსოვილიდან წარმოებდა ამწევი კარადის ქვეშ ჰაერის მაღალი ცირკულაციის პირობებში. გამხსნელი აორთქლების შემდეგ ქსოვილის ბოჭკოს ფორმებში დარჩა მაღალმოლეკულური ფისი, რომელიც ქსოვილს ანიჭებს დიდ სიმტკიცეს.

ამრიგად სილიციუმორგანული პოლიმერით დამუშავებული ქსოვილი მთლიანად ინარჩუნებს მის ბუნებრივ სახეს — ფერს, ელასტიკურობას, ჰიგროსკოპიულობას, დიდად ზრდის მის სიმტკიცესა და სინათლისადმი მდგრადობას. პოლიმერით გაყდენითი ქსოვილზე აღარ მოქმედებენ დამყანგველი ფაქტორები, იგი ხდება მკვრივი და ღრეკადი.

ხის ნაკეთობები მუზეუმის კოლექციის დიდ ნაწილს შეადგენს, განსაკუთრებით ეს ეხება ეთნოგრაფიულ და გამოყენებითი ხელოვნების ხის ნიმუშებს. ხის ექსპონატები ჰაერის ტენის მოქმედებით ადვილად განიცდიან დეფორმაციას, ამიტომ მათ კონსერვაცია-რესტავრაციას სამუზეუმო საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. ხის ნივთების რესტავრაციამდე საჭიროა გავეცნოთ მათ ძირითად თვისებებს.

მერქნის განივკვეთზე ასხვავებენ ორ ძირითად ზონას: გულს და ნაქურთენს. ნაქურთენი მეტ წყალს შეიცავს, ვიდრე გული. გაშრობისას ხის უფრო წყლიანი ნაწილები მეტად შრება, იცვლის ზომას, რის გამოც ხე იგრიხება და სკდება. სანამ ხე შეიცავს 25—30% წყალს, იგი ინარჩუნებს თავის ფორმას და მოცულობას. შემდგომში გაშრობისას, იმ წერტილის შემდეგ, რომელიც შეესაბამება ადსორბირებული წყლის გაჯერების წერტილს, მერქნის უჯრედის კედლებში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები და მის ზედაპირზე ნაპარალები ჩნდება. ამიტომ ხის გაშრობის პროცესს კონტროლი უნდა გაეწიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მერქანს აშრობენ ნელა, გარკვეული ტენიანობის პირობებში, რათა თავიდან აიცილონ მისი დაგრეხა და დასკდომა.

გაშრობისას ხე ტენს მთლიანად არ კარგავს. მერქნის უჯრედებში ტენი რჩება მაშინაც კი, როდესაც გაშრობის პროცესი დამთავრებულია. მერქნის

ტენის შემცველობა იცვლება გარემოს შეფარდებითი ტენიანობის ცვლილებასთან დაკავშირებით.

მშრალი ხის ნაკეთობების შესანახად საჭიროა ჰაერის მუდმივი ტენიანობის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხე ხან გასცემს და ხან მიიღებს ტენს. ამ მოსფეროს ტენიანობის მერყეობა იწვევს მცირე ცვლილებებს ზოგჯერ გასწვრივ, ხოლო მის პერპენდიკულარული მიმართულებით მნიშვნელოვან ცვლილებებს.

თუ ჰაერისაგან დავიცავთ ხის ნაკეთობის მხოლოდ ერთ ნაწილს, მის მეორე ნაწილში უფრო სწრაფად მოხდება ტენის მიღება-გაცემა, რის შედეგადაც ხის ნივთის დეფორმაცია უფრო დაჩქარდება.

დეფორმირებული ხის გასწორების პროცესი ძალიან ხანგრძლივი და ხშირად უშედეგო პროცესია. მას იშვიათად მიმართავენ ხოლმე ხელოვნების ნიმუშების კონსერვაციის დროს. დეფორმირებული ხის ნიმუშის დამუშავება მდგომარეობს ჩაღრმავებული ხის თანდათანობით დასველებაში, რომლის დროსაც ხე ნელ-ნელა შეისრუტავს წყალს და მერქანი იღებს თავის პირვანდელ ფორმას, ამის შემდეგ ხის ნიმუშს აშრობენ სიძიმის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაღწერილი დამუშავების შემდეგ ხე ხშირად სწორდება, მას მაინც აქვს მიდრეკილება დეფორმირებისადმი და აუცილებელია მისი სპეციალური დამუშავება-პარკეტირება.

ხე, ისევე როგორც სხვა ორგანული წარმოშობის ექსპონატები ხშირად იფარება ობით. თუ ხის ნიმუშები ინახება მშრალ საცავში, რომელიც ხშირად ნიაველება შეიძლება ეს საშიშროება თავიდან აცილებულ იქნას, ხოლო ღია ცის ქვეშ მყოფი ხის დიდი ნივთების შემთხვევაში და ძველი ნაგებობის მოჩუქურთმებულის ხის ნაწილების სოკოებით დაზიანების დროს მათი დაცვა ამ ბიოლოგიური მავნებლებისაგან მეტად რთულია. ამ შემთხვევაში სოკოების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ დაზიანებული ნაწილის იზოლაციის გზით.

ხის უფრო საშიშ ბიოლოგიურ მტერს წარმოადგენენ მატლები (მღრღნელები და მხერხავები). ამ მავნებლებისათვის ხის ნივთები საკვები არეა და ხშირად ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის დაცვა ვერ იხსნის ხის ექსპონატს მათი მავნე მოქმედებისაგან.

ჩვენს მიერ დამუშავებულ იქნა მესტიის რაიონის ს. კალის წმინდა კვირიკესა და წმინდა ივლიტეს ეკლესია—ლაგურკას საკურთხეველში აღმოჩენილი წარწერიანი ოცი ჯოხი „ამ სავნებით გათლილ ხის ჯოხებზე მოთავსებულია მე-14—15 საუკუნეების მეტად საყურადღებო საბუთები. ეს საბუთები ეხება კალის, ან უშგულის ხეგებს, ან უშგულის ხეგების მცხოვრებლებს. კერძო პირებს შორის დადებულ აქტებთან ერთად მრავლად არის ისეთი საბუთები, რომლებშიც ერთ-ერთი იურიდიულ მხარედ მთელი თემი გვევლინება“. („მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების სერია, № 3, 167, 1973).


ხის გათლილი ჯოხები, რომელთა სიგრძე 14—58 სმ, ხოლო სიგანე 1,5—3,5 სმ ტოლია, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჩაფლული იყო მტვერსა და კუჭყში. მათი დიდი ნაწილი საგრძნობლად დეფორმირებულია ტენის ცვალებადობასთან დაკავშირებით, ხოლო ზოგიერთი მათგანი დამსკდარა კიდევც (იხ. ნახ. 1, რომელზედაც გამოსახულია ერთ-ერთი წარწერიანი ჯოხი).





საბუთები ხეზე დაწერილია ყავისფერი ან შავი ფერის მელნით. ჯოხების უმეტეს ნაწილზე წარწერები საკმაოდ კარგად ჩანდა, რამდენიმე მათგანზე მკვლევარებთან ერთად მკრთალად, ხოლო ზოგიერთი ჯოხის ზედაპირზე წარწერები მხოლოდ ნაღ დაფარული იყო შავი ფენით, რის გამოც შეუძლებელი იყო რაიმე ასოს ამოკითხვა.

საჭირო იყო ჭუჭყის მეტად მდგრადი შავი ფენის ისე მოცილება, რომ მელანი არ წაშლილიყო. ამისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ჯერ ისეთი ორგანული გამხსნელები, რომლებიც საღებავებზე არ მოქმედებენ (ბენზოლი, ოთხქლო-რიანი ნახშირბადი), ხოლო შემდეგ სპეციალური კუბის აპარატის მეშვეობით ხის ზედაპირი დამუშავდა წყლის ორთქლის ძლიერი ნაკადით მიწის გაზგამყვანი მილის გამოყენებით. ამ გზით ხის ზედაპირი განთავისუფლებულ იქნა შავი ნალექისაგან და მასზე გამოჩნდა წარწერები;



სურ. 1

ხის გაშლილი ჯოხების შემდგომი დამუშავება მიზნად ისახავდა მის დაცვას მიკროორგანიზმებისა და მწერებისაგან. ამ მიზნით სპეციალურ ბოქსში ეს ჯოხები ფრთხილად დამუშავებულ იქნა აირადი ფუნგიციდებითა და ინსექტიციდებით, ისე რომ ხის ზედაპირზე არსებული წარწერები არ წაშლილიყო.

შემდეგ საჭირო იყო ხის წარწერიანი ჯოხების კონსერვაცია-რესტავრაცია. ამ მიზნით ხის ჯოხები გაყლენთილ იქნა გამჭვირვალე სილიციუმორგანული პოლიმერის ბენზოლხსნარით. თავდაპირველად ხეები სამი დღის განმავლობაში მუშავდებოდა 5%-იანი პოლიმერის ხსნარით. შემდეგ პოლიმერის კონცენტრაცია ერთი კვირის განმავლობაში თანდათან გაზრდილ იქნა 15%-მდე. გამხსნელის აორთქლება ხდებოდა ჰაერის მაღალი ცირკულაციის პირობებში.

პოლიმერის ხსნარით დამუშავებული ხის ზედაპირზე წარწერები საგ-

რბნობლად გამუქდა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ბევრი წაუკითხავი ადგილების ამოკითხვა.

ამრიგად წარწერიანი ჯოხების მერქნის ფორები გაყენილი იქნა მცირე რი პოლიმერთ, რომელიც ხეს დიდ მექანიკურ მდგრადობას ანიჭებს. სიხვედრი დაფარულ იქნა პოლიმერის თხელი ფენით, რომელიც იცავს ხის ნაკეთობას და ხეზე არსებულ წარწერებს ატმოსფეროს დამყანგველი მოქმედებისაგან.

Н. Н. ЯШВИЛИ

## ПУТИ СТАБИЛИЗАЦИИ ИСТОРИЧЕСКИХ ЭКСПОНАТОВ ОРГАНИЧЕСКОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ

Резюме

Консервация органических материалов, найденных при раскопках, является одной из самых сложных проблем реставрационной науки. У нас и за рубежом предпринимались и предпринимаются многочисленные попытки стабилизации экспонатов органического происхождения.

Изучение всех способов стабилизации археологической ткани приводит к выводу, что все еще не найдено в достаточной мере универсального способа. Существующие методы консервации тканей путем проклеивания синтетическими или мучными клеями не удовлетворяют реставраторов: портится естественный вид ткани, не всегда сохраняется механическая прочность волокна, при проклейке мучными клеями ткань подвержена поражению плесенью.

Нами синтезированы новые кремнийорганические полимеры с хорошими консервирующими свойствами. Проницаемость кремнийорганических олигомеров в волокна археологической ткани высокая. Ткани, консервированные по предложенному нами способу сохраняют свой естественный вид, мягкие на ощупь, не подвержены плесени и действию ультрафиолетовых лучей, что является существенным обстоятельством в музейном хранении. Улучшаются также механические свойства волокон.

Установлен характер волокон на микроскопической картине продольного и поперечного среза в археологических тканях. Исследованы отдельные красители древней эпохи путем проведения химического и спектрального анализа и определен состав некоторых из них.



მ. ჩართოლანი

რეცენზია

კრებულისა — „მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული  
 შესწავლისათვის“

1972 წელს გამოვიდა ეთნოგრაფიული წერილების კრებული „მესხეთ-ჯავახეთი“, რედაქტორი გ. ჯალაბაძე. იგი რიგით მესამე წიგნია, რომელიც მსგავსად წინა წლებში გამოცემულ კრებულებისა, ეძღვნება საქართველოს მხარეების თუ ხეობების კომპლექსური შესწავლის პრობლემას. საქართველოს კუთხეების ამგვარი შესწავლა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ დაახლოებით ათიოდე წელია რაც წამოიწყო. ამის შედეგად გამოვიდა კრებულები 1967 წელს „თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, 1970 წელს „სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, 1972 წელს კი „მესხეთ-ჯავახეთი“. გადაცემულია გამოსაცემად კრებული „ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“. მსგავსი კრებულების გამოსაცემად მომზადება სხვა კუთხეების შესწავლის შედეგადაცაა მოსალოდნელი. ზემოთ დასახელებული კრებულები მოიცავს ქართული ხალხის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა მხარეს.

მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ განასორციელა 1965—67 წლებში. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ამავე განყოფილების გამგე გ. ჯალაბაძე. ველზე მოპოვებული მასალების საფუძველზე დაწერილი სტატიები, რომლებიც ამ კრებულშია მოთავსებული, ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა, მემინდვრეობა, მესაქონლეობა და შინა მრეწველობის ხალხური ტრადიციები მესხეთ-ჯავახეთში. კრებული, რომლის საერთო მოცულობა 15 თაბახს აღემატება, კარგად გაფორმებული სოლადური წიგნია. მისი შინაარსი ასეთია: შესავალი, გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში; მ. მაკალათია, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი); გ. ვასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები მესხეთ-ჯავახეთში, ლ. სოსელია, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში; ც. ყარაულაშვილი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, ლ. მოლოდინი, მღებრობა მესხეთ-ჯავახეთში; ს. ხოსიტაშვილი, ქორწინების წესები მესხეთ-ჯავახეთში (მასალები).

კრებულის შესავალ ნაწილში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ არის გადმოცემული მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის მნიშვნელობა, მისი წარსულის თავისებური და რთული ისტორიული გზები. XVII—XVIII საუკუნეების პოლიტიკური ვითარება, რომელიც ძირითადად თურქეთის მი-

ერ ამ კუთხის აოხრების შედეგად იქმნება და ქართულ ეთნიკურ წრეში უცხო მოსახლეობის გაჩენითა და კულტურის ელემენტების შემოჭრით აღინიშნება. ამ პირობებში კვლევა-ძიება, ხალხის ყოფისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადი ეროვნული კულტურის ელემენტების მიკვლევა გააზრება განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რასაც ჩვენი აზრით, ექსპედიციამ კარგად გაართვა თავი. ეს კარგად ჩანს კრებულის იმ ნაწილში, სადაც განხილულია მესხეთ-ჯავახეთის ძირითადი სამეურნეო დარგები.

გ. ჯალაბადის ნაშრომში — მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, რომლითაც იწყება კრებული, მოცემულია მემინდვრეობის, როგორც მეურნეობის მარგულირებელი და ძირითადი დარგის ზოგადი დახასიათება, აქვეა განხილული მიწის საკუთრების ფორმები, ნიადაგის დამუშავების ხალხური საშუალებანი და წესები, მინდვრის სათესი კულტურების სახეობანი, საყანე მიწის დასუღვა-დაკანჯვა, ხვნის პირობები და წესები, მკა და ლეწვა, საკალოე მიწა, მარცვლის შენახვის წესები (ორმო) და ბოლოს მემინდვრეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამეურნეო ღონისძიებები დამუშავებულია ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე და გათვალისწინებულია სპეციალური ლიტერატურის ყველა მონაცემი. ამ გზით მიღებული დასკვნები სწორი და დამაჯერებელი ჩანს. ამ გამოკვლევაში განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მიერ პირველად მიკვლეული პურეულის ჯიშები მახსნიაური და ფასენი; დამატებითი მასალეზია წარმოდგენილი დიკას ერთ-ერთი სახეობის „თოფბაში“-ს შესახებ. ავტორის აზრით, სახელწოდება თოფბაში თურქულია. ხოლო ამ მცენარეული კულტურის ადგილობრივი ენდემურობის შესახებ ნაშრომში არაფერი არ არის ნათქვამი. ეს ჯიში სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის მოხსენიებული. მახსა და ფასენის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ მრავალი მასალაა წარმოდგენილი. ავტორი ამ მოსაზრების გასამაგრებლად იმსაც იშველიებს, რომ მახსდან უნდა იყოს მთელი რიგი ქართული გვარები წარმომობილი (მახსნიაური, მახსური, მახსიაძე, მახსნაშვილი, მახსარაძე).

საყურადღებოა სახვნელი იარაღების (კავი, ჯილდა, გუთან) გენეზისთან და საყანე მიწის დასუღვა-დაკანჯვასთან დაკავშირებული ავტორისეული მოსაზრებებიც. სამეურნეო კულტურების ადგილობრივი წარმოშობის იდეას მესხეთ-ჯავახეთის ხელსაყრელი ისტორიული, კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები და ამ კულტურებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ამაგრებს.

მ. მკალათიას ნაშრომი — მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი). — ძირითადად ემყარება საკვლევ რაიონში ავტორის მიერ ექსპედიციის მუშაობის დროს შეკრებილ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას. საინტერესოა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ მესაქონლეობა მესხეთში უძველესი ხანიდან მომდინარე მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო, რასაც ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად არქეოლოგიური მონაპოვარიც ადასტურებს. სათანადო კვლევა-ძიების შემდეგ ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამცხე-ჯავახეთში საქონლის მოშენების მაღალი კულტურა არსებობდა. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა აქ ერთმანეთთან იყო შერწყმული. ვერტიკალური ზონების გამოყენება, როგორც მიწათმოქმედებაში, ასევე მესაქონლეობის ინტერესებისათვის ტრადიციული ჩანს არა მარ-





ტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. ხალხი საუკუნეების მანძილზე შემუშავებული პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე მესხეთის ტერიტორიაზე გამოყოფს ოთხ ზონას: ხრამი, მდინარის ხეობა, ტყის ქვედა სარტყელი, ქვეშა მთა ანუ ტყის ზედა სარტყელი და ზედა მთა.

ავტორის მიერ ველზე მოპოვებული მასალები დამუშავებული და გაანალიზებულია არა მარტო საკვლევი რაიონის ვიწრო ჩარჩოში, არამედ იგი მარჯვედ იყენებს, პირველ ყოვლისა, მეზობელი აჭარის და შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეების შესადარებელ მასალებს. კერძოდ, საინტერესოდ გვეჩვენება ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქერი საქართველოს მთიან რაიონებში ერთ-ერთ ძირეულ პურეულ კულტურას წარმოადგენდა, რაზედაც ენობრივი მონაცემები მეტყველებენ (მესხეთსა და აჭარაში გაზაფხულის ხვნა-თესვას „ქერობა“ ეწოდება, ასევე ხარის ასაკის განმსაზღვრელი ტერმინოლოგია ქერობასთან იყო დაკავშირებული და სხვა).

ნაშრომში განხილულია მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, რომელთაგან აღსანიშნავია ყველიერში საქანელას ჩამობმის ჩვეულება, რომელიც საქონლის გამრავლებისკენ იყო მიმართული. ეს ჩვეულება ანალოგიას პოულობს, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ასევე მსოფლიოს სხვა ხალხებშიც.

ამასთანავე ფიქსირებული და გაანალიზებულია წყალთან დაკავშირებული ცხოველთა კულტის ამსახველი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა („ტბის//წყლის ცხოველები, ღვთაება ჭაბუჯი) და ნაყოფიერების მომნიჭებელი კულტის ნივთიერი ძეგლები (ფალოსისა და კტეისის გამოსახულებანი სალოცავი „ძიქვა“, რომლის პარალელურ მასალას ურარტულ წარწერიან სვეტებში ვხვდებით). ყველა ეს რწმენა-წარმოდგენები, დაკავშირებული მეურნეობის წამყვან დარგებთან, შერწყმულია ქრისტიანულ რელიგიურ დღესასწაულებთან, მათი წარმოშობა ოფიციალურ რელიგიასთან შედარებით ადრეა სავარაუდებელი. ყოველივე ეს კი მესხურ რწმენა-წარმოდგენებში ასახული მეურნეობის ფორმების ტრადიციულობასა და სიძველეზე მეტყველებს.

როგორც ცნობილია, მესხეთ-ჯავახეთი საკუთარი ტყეების სიმცირეს განიცდიდა. მას ხე-ტყით მეზობელი რაიონებიც ამარაგებდნენ. ამის გამო ადგილობრივი მოსახლეობა მომჭირნეობით ხარჯავდა ტყის რესურსებს და თავისებურ ღონისძიებებს მიმართავდა საოჯახო თუ სამეურნეო ინვენტარით საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. სამეურნეო დარგების განვითარებული ფორმები მოითხოვდა ადგილობრივ მოთხოვნილებათა შესაბამის სამეურნეო იარაღებს. ღრმა ემპირიული ცოდნა, რომელიც საუკუნეების მანძილზეა ხალხის მიერ შემუშავებული, მტკიცედ განსაზღვრავდა ხე-ტყის მოვლა-პატრონობის, სამასალე ხის შერჩევისა და დამუშავების ხალხური ტრადიციების არსებობას. მართლაც, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობამ ბოლო დრომდე შემოინახა ხის მოხელებების ისეთი ძველი დარგები, როგორიცაა: მეკვერეობა, მეურმეობა, სახენელი, სალეწი და სხვა სამეურნეო იარაღების დამზადების მოხელება. ამ საკითხების ფართო განხილვაა გ. გასიტაშვილის ნაშრომში „ხის დამუშავების ხალხური წესები მესხეთ-ჯავახეთში“. ნაშრომში მოტანილი ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ მესხეთ-ჯავახეთში დამზადებული სახენელი, სალეწი და სატრანსპორტო-საზიდი საშუალებები გამოირჩეოდა თავისი ტექნიკური და შრომის მაღალი თვისებებით. ცნობილი იყო აქაური დიდი ზომის ბჯისა და თავდორა ტიპის ურმები. ამ უკანასკნელს ფიცრის





ნაჭრებისაგან შედგენილი ბორბლები ჰქონდა. მათი დეტალური აღწერის შემდეგ ავტორი იძლევა ურემების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას, ადარებს მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ ურემებს და მათი წარმოშობის ფესვებს ეძებს განათხარ მასალაში.

ნაშრომში საკვლევი ნივთების აღწერისას ძირითადი ყურადღება გამახვილებულია არა მარტო მათ კონსტრუქციაზე, არამედ ყოველი მათგანის დამზადების სპეციფიკაზე; სახენელი იარაღის მკეთებელმა მარტო ხის მოხელობა კი არ იცის, არამედ იგი ღრმად არის ჩახედული მის სამეურნეო თვისებებში. ამას ისიც უწყობდა ხელს, ამბობს ავტორი, რომ „გლეხური საქმიანათვის საჭირო საგლეხო იარაღის გაკეთებაში ბევრი მეურნე თვითონ იღებდა მონაწილეობას“. აქედან გამომდინარეობს შინამრეწველობის ისეთი დარგების დაწინაურება, როგორცაა მეკვერეობა, მეურმეობა, მეჯილღეობა და სხვ.

თანამედროვე ტექნიკის სწრაფი განვითარების პირობებში ზოგიერთმა სამეურნეო იარაღმა დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა. მოისპო მისი დამზადების ტრადიციებიც, ზოგი იარაღი დღესაც განავრძობს არსებობას, მაგრამ ადრე თუ გვიან მათაც ქარხნებში დამზადებული იარაღები შეცვლის. ასეთ პირობებში ძველ სამეურნეო თუ საოჯახო ხივთების მეცნიერულ შესწავლას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.

ნაშრომში მხოლოდ ოთხი სურათია დაბეჭდილი აქედან ორი საქ. სახ. მუზეუმის ფონდიდან (ხის კუტალი და კოკა) და ერთი კვერის ორი სურათი. ნამდვილად კი საჭირო იყო ნაშრომს დართოდა მდიდარი საილუსტრაციო მასალა.

ლ. სოსელიას ნაშრომი „ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში“ იწყება ფერხულის სასიძღრო ტექსტის ანალიზით. ირკვევა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ოქრომჭედლობასთან დაკავშირებულ ლეგენდებში გვლინდება ოქრომჭედლის პროფესიის სიძველის მანიშნებელი ფაქტები. ავტორის აზრით, „სარიტუალო სიძღრაში ოქრომჭედლის საქმიანობის ასახვა პირველად მესხეთ-ჯავახეთში გვხვდება“ (გვ. 90). ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ეს მხარე ზაერთოდ მჭედლობის და კერძოდ ოქრომჭედლობის უძველესი მხარეა, სადაც იშვა და ჩამოყალიბდა ოპიზარის სახელმძღვანელო ჭედური ხელოვნების ძეგლები, რომელიც შემთხვევითი მოვლენა არაა, მის წარმოშობას ღრმა ფესვები აქვს გადგმული. ამას ცხადყოფს ამ მხარეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოებული მასალა, სადაც ლითონის სხვა ნივთებთან ერთად ვერცხლის სამკაულებიცაა წარმოდგენილი.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ავტორის მიერ არჩეული გზა, ახსნა მოუპოვოს ხალხის ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილ გადმოცემებს, პირველ რიგში, განათხარი მასალის საშუალებით. ძველი საოქრომჭედლო ხელოვნების დონის საჩვენებლად ეს აუცილებელი და ერთადერთი სწორი გზაა, მით უფრო მაშინ, როცა საქმე გვაქვს ისეთ დარგთან, რომელმაც კარგი ხანია დაჰკარგა თავისი ბრწყინვალეობა და მისგან მხოლოდ ნამსხვრევებიღაა შემორჩენილი. ასეთ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა ძველი კულტურის ელემენტების ძიება, როგორც ნივთიერი, ისე ზეპირსიტყვიერი მონაცემების ხაზით. სარიტუალო სიძღრებში, სადაც ფერხულში ჩაბმული გუნდი პირველად ღმერთს ახსენებს და მერე მჭედელს სთხოვს ჩიტის ნალისაგან ერთი გუთანნი გამოკეთეო, „რაც იმას გადარჩება ერთი სახნისიც გამოკეთეო, რაც რომ იმას გადარჩება.





ერთი ჩეკიც გამიკეთეო, რაც რო იმას გადარჩება, ერთი თოხიც გამიკეთეო. მჭედლო, ჩემო მჭედლო, ოქროს მჭედლოო!“ ამ ტექსტის სწორად გასაზრებლის შედეგად ავტორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ წარმოდგენილია რკინის ყარგი მჭედელი, რომელმაც უნდა გაუკეთოს ხალხს სამიწათმოქმედო იარაღები და მას „ხოტბას ასხამს, ოქრომჭედლად აღიღებს“ (გვ. 100). ე. ი. ხალხის წარმოდგენით ოქრომჭედელი ეს უმაღლესი ხელობის მქონე პირია და მისი მოხსენიება ამ სახელით ღირსების საქმეა. ნაშრომში დამაჯერებლად არის დასაბუთებული ამ სარიტუალო ფერხულის კავშირი ბერიკაობასთან, რომლითაც იწყებოდა აგრარული დღესასწაულთა ციკლი.

არქეოლოგიური მასალის და ისტორიული წყაროების მონაცემების საფუძველზე ავტორი ვარაუდობს, რომ „ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი სპეციალიზაცია: ოქრომჭედელი, ვერცხლის მუშაკი, მინანქრის ოსტატი, სირმის ოსტატი... და ოქრომქანდაკებელი, ძველთაგანვე უნდა მომდინარეობდეს“ (გვ. 101).

გარდა ზემოთ დასახელებული წყაროებისა, ნაშრომში შეძლებისდაგვარად არის წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ავტორს შეუფროვებია ძირითადად ოქრომჭედლობით სახელგანთქმულ ქ. ახალციხეში. ამ ქალაქის აყვავების ხანა IX საუკუნეში იწყება და მისი, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრის არსებობა XIII—XIV ს-მდე გრძელდება. ხოლო XVII საუკუნიდან 200 წლის მანძილზე იგი ოსმალთა ბატონობის ქვეშ ექცევა. ამ დროიდან, ვიდრე XIX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე აქ ხდება უცხო ეთნიკური ერთეულის მოჭარბება, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა აქამდე არსებული ქართულ ოქრომჭედლობის ტრადიციებზე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც ნივთების დამზადების პროცესებია აღწერილი. აქ აშკარად უცხოური ტერმინები ჭარბობს, რასაც ავტორი თურქეთიდან დევნილ ხელოსანთა მომძლავრებით ხსნის. მაგრამ ეს არ ნიშნავს ტექნიკის უცხოურობას. ნაშრომში დამაჯერებლად არის დასაბუთებული მესხეთის ძველი ხელოსნობის ტრადიციების არსებობა XX საუკუნის პირველ ნახევრამდე. განსაკუთრებით წინაა წამოწეული ფილიგრანული ხელოვნება. გრესილი და ცვარვა, რომელიც ქართული ოქრომჭედლობის ძველი ტექნიკური პროცესია და რომელიც ძველად უფრო მაღალ დონეზე მდგარა. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, მას უკანასკნელ დრომდე ეფექტურად იყენებდნენ ქართველი ოქრომჭედლები (ძაძამიძე, ჯიქია და სხვები, გვ. 106). ნაშრომში საინტერესო მასალებია წარმოდგენილი ახალციხის ხელოსანთა საქმიანობაზე, ნივთების დამზადების ტექნიკურ ხერხებზე. სევადის და კავშირის შეზავების თავისებურ მეთოდებზე, ფილიგრანული ნივთების დამზადებაზე. მოოქროვების, მოვერცხლისა და მოსევალების წესებზე და ბოლოს განხილულია ნაირსახის შრომის იარაღებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმები.

ც. ყარაულაშვილის ნაშრომი „ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში“ დაწერილია ადგილზე. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე. ამ მასალების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მესხეთ-ჯავახეთი საუკუნეების მანძილზე დაწინაურებულ შინამრეწველობის კუთხეს წარმოადგენდა. საფეიქრო წარმოების მაღალ დონეს მოწმობს მაღალხარისხოვანი შალის ნაწარმი („ადვილის შალი“), საოჯახო სახმარი ნივთები ფიჩვი, ჯეჯიმი, ხალიჩა, ხურჯინი, ჯვა-





ლო), რომლებიც სხვადასხვა ტექნიკით მზადდებოდა (ჯეჯიმური, ფარდაგული). ცნობილია, რომ შალეული ქსოვილის დამზადებას აპირებდნენ ადგილობრივი ხეივანების მდიდარი წყარო (მეცხვარეობა, მცენარეები). მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეებისა, აქაც განვითარებული იყო მათი შესაბამისი სამუშაო იარაღები: მატყლისა და ნართის დასამუშავებელი ხელსაწყოები, საქსოვი დაზგები (საფეიქრო ადგილის დაზგა, ხანები), აგრეთვე ფერისა და ტონის მიმცემი საღებავები და რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები.

ეს საკითხები ნაშრომში მეტ-ნაკლები სისრულითაა წარმოდგენილი. ამ მასალიდან მესხეთ-ჯავახეთისათვის საინტერესო და ორიგინალური ჩანს ჯარაზე რთვის პროცესი (გვ. 120). ასევე, აქ პირველად არის წარმოდგენილი ჰორიზონტალური საქსოვი დაზგებიდან „ადგილის დაზგა“, რომელსაც პარალელი მოუპოვება როგორც საქართველოში (ქართლ-კახეთი) ისე სხვა ქვეყნებშიც. აქ წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე გამოთქმული ავტორისეული მოსაზრებებიდან ზოგიერთი მართებული და ყურადსაღებია. ზოგიერთი კი სადავოდ მიგვაჩნია.

მართებულია ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ შრომისნაყოფიერების გაზრდის მიზნით ჯარა თითისტართან შედარებით გვიან უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოთქმა „გვიან უნდა ყოფილიყო გამოყენებული“ არაა ზუსტი. ღვედის საშუალებით მოქმედი ბორბლიანი ხელის მანქანა რომ თითისტარზე გვიან არის შექმნილი, ეს ცნობილია. რაკი ავტორი იმასაც ამბობს, რომ კვირისტავთან შედარებით ჯარას ბორბალი ბრუნვის სიჩქარეს ზრდის, რაც თავისთავად შრომისნაყოფიერების მაჩვენებელი... და... წინ ვადადგმული ნაბიჯია (გვ. 121), ეს ჯარას სირთულეზე მიუთითებს და ამდენად ჯარას შედარებით გვიან გამოყენება სართავად საეჭვო არ უნდა გამხდარიყო.

ავტორის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ხელის ჯარას//ჯახრაკის საშუალებით დართვის დადგენა. თუმცა ნაშრომის მიხედვით ეჭვს იწვევს თვით ფაქტის არსებობა შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, ნაშრომში არ არის მითითებული ჯარათი რთვის მაჩვენებელი მასალა. მეორე, ავტორი წერს, რომ ნართის დამზადების ასეთი წესი (ე. ი. ჯარათი რთვა) გავრცელებული იყო უკანასკნელ დრომდე საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობაში. ნამდვილად კი ეს ასე არ იყო. ასეთ ჯარას საქართველოს მთაში და ბარში უკანასკნელ დროს მატყლის დასართავად კი არ იყენებდნენ, არამედ ძაფის დასამზავად. ავტორის მიერ ჯარას საშუალებით რთვის წესის აღწერის სისწორეში ეჭვს ისიც ბადებს, რომ ნაშრომში მითითებული ჯარას სურათი (ტაბ. VI, 2), რთვის პროცესის მაჩვენებელი კი არაა, როგორც ამას ავტორი წერს: „მარცხენათი ფთილა უჭირავს“ (გვ. 120), არამედ მასზე ძახვია გამოსახული, რასაც ტაბულების აღწერილობაში თვითონ ავტორიც განმარტავს, როგორც — „ძახვას ჯარაზე“.

სადავოა ც. ყარაულაშვილის მტკიცება, რომ „თავიბარუნებული ხელტარით ფეხზე დგომით რთვა და ძახვა არქაული ფორმით, გადმონაშთის სახით დღემდე შემორჩა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, განსაკუთრებით იქ, სადაც მეცხვარეობას მისდევენ (ხევი, თრუსოს ხეობა, მესხეთი, ჯავახეთი, ქსნის ხეობის მთიანეთი და სხვა). „ზოგან ორივე ფორმაა ცნობილი, მაგ. მესხეთ-ჯავახეთში ართავდნენ ხეტარით დამჯღარ მდგომარეობაში და ძახვად-





ნენ არქაული ფორმით — ფეხზე მდგომნი თავაბრუნებული ტარით (გვ. 120). ავტორის აზრით, იგი მაშინ შემუშავდა, როცა ადამიანი „ბინადარ ცხოვრებას არ ეწეოდა“. ამის გადმოსაზრთად იგი მიიჩნევა რთვისა და ძახვის აღნიშნულ წესს. როგორც აღნიშნავს ავტორი ბინადარ ცხოვრებაზე გადასულ ადამიანს „უკვე აღარ სჭირდებოდა ფეხზე მდგომს (სიარულის დროს) ეწარმოებინა რთვა და ძახვა, ის უკვე დამჯდარ მდგომარეობაში აკეთებს ამ საქმეს“ ამის შესაბამისად, განაგრძობს ავტორი. „შრომის იარაღიც განიცდის ცვლილებას: ძაფის გამოსადები კავი//თავკაპი, ყიპჭო უჭრება, როგორც ამას ბარის მოსახლეობაში ვხვდებით, ხოლო უფრო ძველი ფორმა (კავიანი თითისტარი) მეცხვარეობის ცნობილ რაიონებშია შემორჩენილი (გვ. 120).

ჩვენი აზრით, ავტორის პირიქით უნდა დაესვა საკითხი, ე. ი. ჯერ განვიხილო თითისტარ-კვირისტავით რთვა და ემსჯელა მასთან ერთად საძახავი იარაღის განვითარების შესახებ, რასაც მხარს უჭერს არქეოლოგიური მასალაც. ავტორმა არქაულად გამოაცხადა განვითარებული სართავ-საძახავი იარაღი და აქედან გამომდინარე მესხეთ-ჯავახეთიც ჩამორჩენილი არქაული ფორმის იარაღის მატარებლად წარმოედგინა. არა მეცხვარეობის რაიონებში (ქართლ-კახეთი) ავტორის აზრით, თითისტარს უჭრება კავი//ყიპჭო.

შეცდომის წყარო ისაა, რომ ავტორმა ხერტარი უფრო არქაულად გამოაცხადა ვიდრე თითისტარი. პირველს აუცილებლად აქვს კავი, ხოლო მეორეს ზოგჯერ აქვს და ზოგჯერ არა. რაკი ხერტარი არქაულია, ავტორი იძულებულია, მისი ჭდეც გააარქაულოს. არქაულია აგრეთვე „რთვის დროს ქალი ფთის მაგიერ „ბურმაჯს“ რომ იკეთებს“ (გვ. 120).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის, რასაც ც. ყარაულაშვილი არქაულ ფორმად მიიჩნევს, კერძოდ, დგომით რთვა და ძახვა, ფთის მაგიერ „ბურმაჯის“ ხმარება, ხერტარით რთვა, თითისტარზე ჭდის გაჩენა რთვისა და ნართის დამუშავების განვითარებული ფორმებია. ყოველი მათგანის ისტორია უძველესი პერიოდისა და არქაული ნიშნები შეიძლება ყველა მათგანში ვეძებოთ, მაგრამ არა ისე, როგორც ეს სარეცენზიო ნაშრომშია.

ც. ყარაულაშვილის ნაშრომის მიმართ გვაქვს სხვა ხასიათის შენიშვნებიც. ნაშრომი დაწერილია გარკვეული გეგმით, რომელიც შიგნით დასათაურებულია შემდეგი თანმიმდევრობით: „საქსოვი მასალა და მისი დამუშავება, მატყლის დამუშავება, დაზგაზე ქსოვა, საფეიქრო დაზგაზე ქსოვა, ქსლის გაბმა, ქსოვა, ღებვა, თელვა, „საფეიქრო შალი“ „საფეიქრო ჯეჯიმი“; „ადგილის დაზგაზე“ ქსოვა, „ადგილის დაზგა“, ქსელვა, „ჯეჯიმის ქსოვა“, ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ქვესათაურის სახელწოდება შინაარსს არ შეესაბამება. ასე მაგალითად, პარაგრაფში „დაზგაზე ქსოვა“, რომელიც ორ აბზაცს შეიცავს დაზგაზე ქსოვაზე არაფერია ნათქვამი. ასეა დაწერილი „საფეიქრო დაზგაზე ქსოვაც“ (გვ. 122).

ღებვაზე (კაკლის წვენი სარეცავის დამზადება) დაწერილია რამდენიმე სტრიქონი. რადგანაც ამავე კრებულში ცალკე ნაშრომი ეძღვნება ღებვის საკითხებს მესხეთ-ჯავახეთში, დასახელებულ სტატიაში ამ საკითხზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია.

მიუხედავად ამ შეცდომებისა ნაშრომი საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს, რომელიც გამოადგება სპეციალისტებს.

ლ. მოლოდინის სტატია ეხება შინამრეწველობის ერთ-ერთ უძველეს დარგს — მღებრობას მესხეთ-ჯავახეთში. გამოკვლევას საფუძვლად უდევს



მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ავტორს ველზე მუშაობის დროს შეუგროვებია. შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედ, მაგრამ გამოკვეთილად ასახავს მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას. აქედან მომდინარე სამღებრო საქმიანობის დაწინაურებას ავტორი საფარის სიუხვით ხსნის. მიუხედავად თანამედროვე ქიმიური მრეწველობის უდიდესი მიღწევებისა, ხალხური ღებვის ზოგიერთ წესებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით გამოკვლევას წმინდა მეცნიერულ ინტერესებთან ერთად აქვს უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ნაშრომში დამაჯერებლად არის დასაბუთებული საქართველოში უძველეს დროიდანვე არსებული საფეიქრო ნაწარმის დამზადების მაღალი ხელოვნება. ამის დასამტკიცებლად ნაშრომში მოტანილია მზითვის წიგნებისა და სხვა ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები. ამ ცნობებისა და ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჯერების გზით ლ. მოლოდინი საკვლევ რაიონში ეძებს „სამეურნეო საქმიანობის ამ დარგის (ღებვის) თვითმყოფად თავისებურებებს“. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებაში ღებვის ხალხური წესები სპეციალურად არ არის შესწავლილი, ავტორმა შეძლო შინამრეწველობის ამ დარგის ღრმამეცნიერული დამუშავება.


ნაშრომში განხილული საკითხები სცილდება საკვლევი რაიონის ჩარჩოებს. საქართველოს სხვა კუთხეების და კავკასიის მეზობელი ხალხების ყოფიდან აღებულ პარალელური მასალების ფონზე გაანალიზებული. ღებვის მაღალი ხვედრითი წონა მესხეთ-ჯავახეთის ხალხის ყოფაში, ავტორის მართებული შენიშვნით, იმან განსაზღვრა, რომ აქაურ შინამრეწველურ შალეულს ამიერკავკასიის ბაზრებზე დიდი გასავალი ჰქონდა. უხუნები, გამძლე და მიმზიდველი ფერების მქონე აქაური შინამრეწველური ნაწარმი ყველგან მოწონებით სარგებლობდა.

ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი ღებვის ტექნოლოგია, მატყლის წინასწარი მომზადება, საქსოვი საგნის დანიშნულება, მასთან ფერთა მიკენება და სხვა. ამ რიგის მასალების საფუძველზე მიღებული დასკვნა, რომ ქსოვილთა შეფერილობა „ლოკალური ტრადიციების მატარებელი უნდა იყოს“, ემყარება საკვლევ რაიონში გავრცელებული საღებავი მცენარეების სიუხვეს და მათ თვისებათა ხალხურ ემპირიულ ცოდნას. ამასვე ემყარება ღებვის ტექნოლოგიური პროცესების ვარიანტებიც.

შავი ფერის სიჭარბე არა მარტო ტანსაცმლის შავად შეღებვაში გამოიხატება, არამედ იგი ჭარბობს ფიჩვ-ფარდავების ფერებშიც. ამიტომ ავტორი ყურადღებას ამახვილებს შავად ღებვაზე. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში მოტანილია ეთნოგრაფიული მასალა შავბალახას საღებავად გამოყენების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მისი ამ დანიშნულებისათვის გამოყენება სპეციალურ ლიტერატურაში არ აღინიშნება, ნაშრომში დამაჯერებლად არის დამტკიცებული ამ მცენარის შავ საღებავად გამოყენების პროცესები. შავი ფერის საღებავი მზადდებოდა აგრეთვე მურყნის, კაკლისა, მუხისა და თრიმლისაგან. ყოველი მათგანის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი დეტალურადაა განხილული.

შავი ფერის შემდეგ დიდი მოთხოვნილება ყოფილა წითელ ფერზე, რომელსაც ენდროსაგან ამზადებდნენ. ენდროს მაღალი სამღებრო თვისებების





გამო იგი საქართველოში სპეციალური აგროლონისძიების ობიექტი ყოფილა და საზღვარგარეთაც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ. ხოლო მესხეთის ახალციხის ბაზარზე იყიდებოდა. ენდროს საღებავის დამზადებისა და ხალხური წესების შესწავლის შედეგად ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „მესხეთ-ჯავახეთში წითლად ღებვა ძველთაგან ცნობილ სამეურნეო საქმიანობად იქნეს აღიარებული“.

ნაშრომში მდიდარი ეთნოგრაფიული მასალებია მოტანილი სხვა მცენარეული საღებავების დამზადების შესახებ. კერძოდ, ნაშრომში აღწერილია შავბალახათი ლურჯად ღებვის ტექნოლოგიური პროცესი. სხვადასხვა ტონის ყვითელი ფერის მისაღებად ფოლიოს, ბოს, კოწახურს, რძიანას, ქარაგოზს, ხახვის ფურცელსა და ბუეს ხმარობდნენ. საინტერესო მასალაა წარმოდგენილი რძიანას წვენი საშუალებით ყვითლად ღებვაზე, ქარაგოზით და ჭვარტლით ნარინჯის ფერის მიღებაზე; ჭვარტლით ღებვა ავტორს ღებვის უძველეს ფორმად მიაჩნია და მისი საწყისები ავტორის აზრით „პირველყოფილი ადამიანის მიერ სხეულის შეღებვის პრაქტიკაშია საძიებელი“ (გვ. 163).

ზემოთ ნაჩვენები მასალები საღებავი მცენარეული კულტურების სახეებს ეხება. ნაშრომში კი ამასთან ერთად გადმოცემულია საღებავის დადგენის მრავალი სახე. განსაკუთრებით ამ პროცესში დიდი გამოყენება ჰქონდა შარდს, ტყემალს, ჟანგიან რკინებს და შაბს. ავტორის მტკიცებით, შაბის გამოყენება ღებვაში ახლო წარსულის მიღწევადაა მიჩნეული საერთოდ და კერძოდ მესხეთ-ჯავახეთშიც მისი დანერგვა მღებრობაში ძველი არ უნდა იყოს.

მესხეთ-ჯავახეთში ღებვის მაღალ კულტურაზე მეტყველებს აგრეთვე დაჩითვის ხელოვნების არსებობაც. ამასთან დაკავშირებით ადგილზე შეკრებილ ძუნწ მასალებს ავსებს საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული საჩითავი კოლექციები (60 ერთეული). ეს მასალები აღრმავენ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გამოტყვემულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ხელოსნობის ეს დარგი, როგორც დამოუკიდებელი, საქართველოში ძველიდანვე არსებობდა. მის წარმოშობას და განვითარებას აპირობებდა მესხეთ-ჯავახეთის მრავალფეროვანი ფლორის საღებავი და სადღეო საშუალებანი — და აგრეთვე დაჩითვისათვის საჭირო ცხიმის — სელის ზეთის წარმოება (გვ. 165). ამასთან ერთად სამღებრო საქმის განვითარების გარკვეული დონის მაჩვენებლები უნდა იყოს ამ საქმიანობის გამომსახველი გვარის — „მღებრიშვილი“ არსებობაც. ამ გვარის დაწინაურებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ ჩვენს დრომდე სამღებრო სახელოსნო ჰქონიათ ახალციხეში.

ნაშრომში მოტანილი ფაქტების მიხედვით დადგენილია, რომ ღებვას საკვლევ რაიონში აწარმოებდნენ როგორც კერძო ოჯახები, აგრეთვე სამღებრო სახელოსნოებიც. ამ უკანასკნელში ღებვა კვლავ ხალხური წესით მიმდინარეობდა.

ნაშრომიდან ჩანს, რომ ლ. მოლოდინის მიერ ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება ველზე მიმდინარეობდა იმ პერიოდში, როცა ხალხური მღებრობის ძველი ტრადიციები ხალხის ყოფაში მოშლილი იყო და სამღებრო საქმიანობაში გაბატონებული ადგილი ხელოვნურ საღებავებს ეკავა. ასეთ პირობებში შეკრებილი მასალები ყოველთვის არ არის სრული და ამომწურავი. მიუხედავად ამისა, ნაშრომში წარმოდგენილი მასალები და ავტორის მიერ გამოტყვემული მოსაზრებები ნათელ სურათს იძლევა შინამრეწველობის ამ დარგის დაწინაურებაზე მესხეთ-ჯავახეთში.





კრებულის ბოლოს მოთავსებულია ს. ხოსიტაშვილის წერილი: „ქორწინების წესები მესხეთ-ჯავახეთში (მასალები)“. წერილში გამოყენებულია მარტო ავტორის მიერ ხალხში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა, აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ხელნაწერები და სათანადო ლიტერატურა.

წერილი იწყება ქორწინების სავალდებულო წინაპირობებით; აქ აღწერილია ნათესაური ურთიერთობის ნიშნები: სისხლით ნათესაობა და ნათელმირონობა, დაძმობილება და სხვ. საქორწინო ურთიერთობაში შესვლის გზები, შუაკაცის შერჩევა, ჯიმ-ჯილაგის შემოწმება, შუამავლობა, ბეი-ს გაცვლის ცერემონია, პურის ჭამა და სხვა. ამას მოსდევს „მოსაკითხი“, რომელიც ბეის გაცვლის შემდეგ ხდებოდა. იგი გულისხმობს ვაჟის მხრიდან ორი კაცის გაგზავნას, რათა ქალისათვის მიერთმიათ ერთი ხელი ტანისამოსი, ქადა-ნამცხვარი და სხვა.

მოსაკითხიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ იმართებოდა „ნიშნობა“ (დიდი ნიშნობა). ნიშნობაზე ქალის ოჯახში მიჰქონდათ პურ-მარილი „სამი ხელი ტანისამოსი“, ნიშნობის ბეი (ძვირფასეულობა). აღწერილია დაპურებისა და ნიშნობის წესის ცერემონიალი.

ნიშნობის შემდეგ, შეთანხმების მიხედვით, იმართებოდა ქორწილი. აქ დეტალურად არის აღწერილი ქორწილის მოსამზადებელი პერიოდი; მაყრიონის შერჩევა და დაპატივება; ვაჟის მაყრიონის მომზადება და გაგზავნა ქალის მოსაყვანად. ქალის მომზადება სადედოფლო, საპატარძლო „სახლის ტყევე“, „ქალთა შეყრა“, ქალის დაბანა, ნეფე-მაყრების გამგზავრება ქალის მოსაყვანად. ქალის სახლში შესვლა: დაკეტილი კარების გაღება, ხანჯლების დარტყმა კარებზე, ხანჯლების ქვეშ ნეფისა და მაყრების გატარება, ნეფე-დედოფლის შეხვედრის მომენტი და მათი მიყვანა აჯილაკზე, „პატარძლის ჩაბარება“ და სხვა.

ქალის ოჯახში გამართული სახელდახელო ქორწილისა და პატარძლის ჩაბარების შემდეგ წერილში მოცემულია „ჯვარის წერის“ აღწერა, ეკლესიაში მისვლა, ჯვრისწერის ცერემონიალი და ისევ ქალის ოჯახში დაბრუნება. ამის შემდეგ იწყებოდა პურობა, „სუფრის დაძახება“, ქალის დასაჩუქრება, თამადის სადღეგრძელოები, საქორწინო სიმღერები. აღწერილია: „მზითვის“ ჩამოთვლა და მისი დახსნა და ვაჟის მაყრებისათვის ჩაბარება. ქალის გაცილება, მახარობლის გაგზავნა „ბალიშით“ ან ქაღალთ ხელში. ვაჟის სოფელში მაყრიონის შესვლა და სიმღერა, ფერხული, პატარძლის გადმოყვანა ცხენიდან და ორყურა ქვაბზე ფეხის დადგმა. დედოფლის ცხენზე ვაჟის ძმის სამჯერ შეჯდომა-გადმოხტომა. საპატარძლოს მიერ ქვაბის გადმობრუნება ხელით. ცხვრის ან ძროხის „ფეხქვეშ დაკვლა“, ვაჟის დედის შეხვედრა შაქრის ნატეხით ნეფე-დედოფალთან. მოხუცების მიერ სიმღერები და კარებთან მისვლა. კარებში შესვლა და თეფშის ან ჯამის პატარძლის მიერ ფეხით დამტკრევა. დედამთილის შეხვედრა პატარძალთან ერბოთი და თაფლით, ნეფე-დედოფლის სამჯერ შემოტარება ქოთნების გარშემო, „ქორწილის ნადიმზე დასხდომა“, დედოფლის „პირის ახსნა“, „პატარძლის ენის მოჭრა“, ნეფის კარში გაგდება. ქალის მაყრების დაჭერა და „ფეხით ჩამოკიდება“, „ნეფე-დედოფლის აჯილაკიდან განთავისუფლება“ და მათი ცალკე ოთახში გასვლა პურის საჭმელად.



ქორწილის მეორე დღეს იცოდნენ „სანიჰარის“ დაძახება, რაც სახუჭების შეგროვებას ნიშნავდა მექორწილეთა შორის. მესამე დღეს „გვირგვინის მოხდა, ნეფის განადირება“, ნათლიას და პატარძლის საცეკვაოდ გასვლა. შვიდი წყვილი ცოლ-ქმრის და ნეფე-დედოფლის მიერ ფერხულის გამართვა, დედოფლის კიდობნის გახსნა და დედოფლის მაყრების დაფა-ზურნით გაცილება. პატარძლის ორ-სამ წელიწადს „უმძრახად“ ყოფნა ქმრის ოჯახში.

წერილში აღწერილია აგრეთვე ქალ-ვაჟის ოჯახების ურთიერთობის ამსახველი საინტერესო მომენტები. პატარძლის ერთი წლის შემდეგ ქალის მშობლებთან წასვლა და სიმამრის ოჯახში სიძის მისვლა — „ფენის ბრუნება“. აქვეა ზედსიძედ მისვლის რამდენიმე ფაქტობრივი მასალა. ზემოთ ჩამოთვლილ ქორწინების ძირითად წესჩვეულებებთან ერთად აღწერილია ქალის მოტაცებისა და ქვრივის გათხოვების შემთხვევებიც. ოჯახის ღირსების შელახვისა და ქალის შეურაცხყოფის წინააღმდეგ ბრძოლის მკაცრი ხალხური წესების ამსახველი მასალების გვერდით წერილში მოტანილია შუა საუკუნეების წერილობითი წყაროებიც. ს. ხოსიტაშვილის მასალებს „ქორწინების წესები მესხეთ-ჯავახეთში“, დართული აქვს „პირობის წერილი“, რომელიც შეუდგენიათ 1881 წელს სს. უდეს, არალის და ვალეს სოფლის წარმომადგენლებს ქართველ კათოლიკე მოსახლეობისათვის. იგი შეიცავს ქორწინების წესებს 14 მუხლად და შენიშვნებს 5 მუხლად, რომელიც სოფ. არალის წარმომადგენლებს დამატებით შეუდგენიათ. ორივე ეს დოკუმენტი საინტერესო მასალებს შეიცავს ქორწინების წესების შესახებ.

ს. ხოსიტაშვილის მიერ მიკვლეული ეს საბუთი მის მიერ შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებთან და სხვა წყაროებთან ერთად, რომელიც ამ კრებულშია წარმოდგენილი, ახალ და მრავალისმთქმელ საკითხებს მოიცავს და იგი დიდ დახმარებას გაუწევს სოციალური ურთიერთობით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

### გამოცემული ნაშრომები

მუზეუმმა 1973 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოსცა:

1. „საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.)“ „მეცნიერება“, 12 თაბ.
2. ი. ნანობაშვილი — „ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში“, „მეცნიერება“, 11 თაბ.
3. ლ. ბედუციძე — „ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, „მეცნიერება“, 10 თაბ.
4. რ. დოლაბერიძე — „არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან“, „მეცნიერება“, 6 თაბ.
5. ა. ჯავახიშვილი — «Стронтельное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н. э.», „მეცნიერება“, 25 თაბ.
6. შ. მეგრელიძე, შ. ხანთაძე — „გიორგი წერეთელი“ (პუბლიცისტიკა), „საბჭოთა საქართველო“, 9 თაბ.

### სამეცნიერო სესიები

1973 წლის 11, 12, და 13 აპრილს მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) ჩატარდა მუზეუმის მორიგი XXI სამეცნიერო სესია, რომელზეც საზოგადოებრივი მეცნიერების ხაზით წაკითხულ იქნა 12 მოხსენება:

1. მ. საგინაშვილი, ი. გაგოშიძე — „მინის ფიალების წარმოების ისტორიისათვის აქემენიდურ ხანაში“.
2. ნ. ლომოური — „ევრისის სამეფოს და ბიზანტიის ურთიერთობის საკითხისათვის ახ. წ. V საუკუნეში“.
3. რ. დოლაბერიძე — „ჯვარცმის გამოსახულებიანი ჯვრები სოფ. შენაქოდან“.
4. თ. ბერიძე — „ძველი თბილისის შემოგარენის ისტორიიდან (სეიდაბადი)“.
5. ა. ვართაგავა — „მასალები ყვირილის აუზის გამოქვაბულთა შესასწავლად“.
6. გ. კიციანიძე — „მალრანის განძი“.
7. ლ. ჭილაშვილი — „ბაზარ-ზაგემის ლოკალიზაციისათვის“.
8. ა. სოსხაძე — „ცხოვრების ხის იდეა მცხეთის პატრიოსანი ჯვრის აღმართვის მათწყებელ თქმულებაში“.
9. ც. კაკაბაძე — „თიხის ნაწარმის გამოსაწვავი ქურები იმერეთიდან“ (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).
10. მ. მიქაძე — „ღმანური ფაიანსი“.
11. დ. აბჯანდაძე — „ქსოვილის მხატვრული დეკორი ქედური ხელოვნების ძეგლების მიხედვით“.



12. ი. ჩხარტიშვილი — „გაზეთი „ივერიის“ ანტირელიგიური ბრძოლის ისტორიიდან“. მოხსენებათა ანოტაციები დაიბეჭდა.



### გამსვლელი სესია ჭიათურაში

28 მაისს განხორციელდა გამსვლელი სესია ჭიათურაში, მიძღვნილი ქალაქისა და რაიონის წარსული და თანამედროვე ყოფის შესწავლის საკითხებისადმი. სესია მოეწყო საქალაქო კომიტეტთან ერთად. წაკითხული იქნა 6 მოხსენება:

1. დ. თუშაბრამიშვილი — „ჭიათურის რაიონის ქვისხანის უძველესი ძეგლები“.
2. ლ. ზვედელიძე — „ჭიათურის მატერიალური კულტურის ძეგლები“.
3. ვ. ჯალაბაძე — „მემინდვრეობის კულტურა ზემო იმერეთში“.
4. დ. ცინცაძე — „ჭიათურის მარგანეცის დამუშავების ისტორიიდან“.
5. მ. ხუციშვილი — „ძველი და ახალი სარიტუალო დღესასწაულები საქართველოში“ (კინოფილმების ჩვენებით).
6. გ. გაფრინდაშვილი — „მეუღაბნოეთა მოღვაწეობის ძეგლები ჭიათურის რაიონიდან“.

სესიის პროგრამები დაიბეჭდა.

### გამსვლელი სესია სვანეთში

23 აგვისტოს ჩატარდა გამსვლელი საანგარიშო სესია მესტიაში, მიძღვნილი სვანეთის 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი. სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. ი. ვეკუამ. მან დამსწრეთ გააცნო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დადგენილებანი სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადასვლის შესახებ. აკად. ი. ვეკუამ აღნიშნა, რომ მომავალში უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა სვანეთის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას. რასაც უხელმძღვანელებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომლის ფილიალადაც დამტკიცდა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

სესიაზე მოსმენილ იქნა 6 მოხსენება:

1. მ. ჩართოლანი — „სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები“.
2. რ. ყენია — „უმგულისა და კალის ეკლესიებში დაცული საკუთრებების წინამდებარე ჯვრები“.
3. ვ. სილოგავა — „ისტორიული საბუთები წმ. კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიიდან“.
4. შ. ჩართოლანი — „უმგულისა და კალის ეკლესიებში დაცული არქეოლოგიური მასალა“.
5. ლ. ბუღუკიძე — „ზეზე კვეთილობის ზოგიერთი ნიმუში სვანეთიდან“.
6. მ. მაკალათია — „წარმართული ხასიათის ზოგიერთი ძეგლი სვანეთში“.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ძიძიგურმა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, პროფ. ლ. ჭილაშვილმა.

მოხსენებათა ანოტაციები დაბეჭდილია.

მ. წ. 20—21 დეკემბერს მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელადის ქ. 10) ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის V სამეცნიერო სესია, მიძღვნილი მუზეუმის 1973 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებები წაიკითხეს:

1. ისტ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. თ. ჯაფარიძემ — „სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში“.
2. ისტ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. ლ. ჭილაშვილმა — „არეშის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები“.
3. ხელოვნებათმცოდნ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. პ. ზაქარიამ — „ნოქალაქევის ექსპედიციის შედეგები“.
4. ისტ. მეცნ. კანდიდატმა დ. თუშაბრამიშვილმა — „ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“.
5. ხელოვნებათმცოდნ. კანდიდატმა ალ. ჯავახიშვილმა — „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში“.
6. ისტ. მეცნ. კანდიდატმა მ. სინაურიძემ — „კაზრეთის ექსპედიციის ანგარიში“.
7. ისტ. მეცნ. კანდიდატმა ე. გოგაძემ — „არქეოლოგიური გათხრები ნოსირში“.
8. ისტ. მეცნ. კანდიდატმა ი. გაგოშიძემ — „არქეოლოგიური გათხრები სამაღლოზე და „დედოფლის მინდორზე“.

სესიაზე გამოყოფილ იქნა ექსპედიციების მიერ 1973 წელს მოპოვებული უმთავრესი მასალები. სესიის პროგრამები დაიბეჭდა. მოეწყო მუზეუმის მიერ 1972 წელს გამოცემული ნაშრომების განხილვა.

### სამეცნიერო მასპაღიციები

საზოგადოებრივი მეცნიერების ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა შემდეგი ექსპედიციები:

1. ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი დ. თუშაბრამიშვილი, წევრები: მ. კეცხოველი, ლ. ჟორჯიკაშვილი, ქ. დვალი, გ. ჯიქურიშვილი, ჯ. ხუციშვილი) აგრძელებდა სტაციონარულ გათხრებს ძუძუანას მღვიმეში. ისევე, როგორც წინა წლებში, მასალის სიუხვის თვალსაზრისით ყველაზე მძლავრი აღმოჩნდა მეხუთე პალეოლითური ფენა და ნაკერალი შრე. ექსპედიციამ ჩატარა აგრეთვე დაზვერვითი სამუშაოები ტოლონ კლდეში.

2. ქსნის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი ი. გაგოშიძე, წევრები: თ. ჩიქოვანი, ნ. ჯიქია, უ. ჩაგუნავა) გათხრებს აწარმოებდა ელინისტური ხანის ნამოსახლარ სამაღლოზე, მაგრამ ძირითადი სამუშაოები ჩატარდა ქარელის რაიონში, ე. წ. „დედოფლის მინდორზე“, სადაც მიკვლეულია ანტიკური ხანის მნიშვნელოვანი სატაძრო კომპლექსი. დედოფლის მინდორზე ფართო არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება განაპირობა ძეგლის განადგურების საშიშროებამ, მისი სასოფლო-სამეურნეო ობიექტად გამოცხადების გამო.

3. ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კან-




დიდატი ე. გოვაძე, წევრები: მ. საგინაშვილი, გ. ჯავახიშვილი, მ. დარისპანაშვილი, რ. ბარკალაია) აგრძელებდა სტაციონარულ გათხრებს ცხაკაიას რაიონის სოფ. მესამე ნოსირის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე. შესაძლებელი გახდა ნამოსახლარის დაგეგმარების თავისებურებათა გარკვევა.

4. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. თ. ჯაფარიძე, წევრები: ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი) მუშაობას ახორციელებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გეგმით და ძირითადად კათედრის თანამშრომელთა ძალებით. ექსპედიცია აგრძელებდა არქეოლოგიურ გათხრებს მესხეთ-ჯავახეთში, სადაც 1970 წელს აღმოჩენილ იქნა თრიალეთური კულტურის ახალი მძლავრი კერა (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი). გათხრები წარმოებდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თმოგვის ციხის პირდაპირ — „კოჭრებში“ და „ბერთაყანაში“. გაითხარა ორი, ქვაყრილიანი ყორღანი. 1973 წელს არტანის მტკვრის აუზში ჩატარებული გათხრები ადასტურებს მოსაზრებას, რომ მესხეთ-ჯავახეთში არსებობდა თრიალეთური კულტურის ერთ-ერთი მძლავრი კერა.

5. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნე კანდიდატი ალ. ჯავახიშვილი, წევრები: ლ. ლლონტი, თ. კიდეურაძე, თ. მეშველიანი, ჯ. ხუციშვილი (მოწვეული პირი), ს. ილიაშვილი) აგრძელებდა გათხრებს მარნეულის რაიონში, სოფ. თაქალოსთან მდებარე ადრესანიშნათმოქმედო ნასოფლარ „ხრამის დიდ გორაზე“, სადაც 1972 წელს გაკეთებულ იქნა სტრატეგრაფიული თხრილი. გაითხარა 175 კვ. მ. ფართობი ბორცვის დასავლეთ ფერდობზე, რომელზეც დადგინდა ერთი საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელი ალიზის შენობებისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები. მოპოვებულია მნიშვნელოვანი მასალა — ობსიდიანის, ქვის, ძვლისა და რქის იარაღები და კერამიკა.

6. ახალსოფლის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ლ. ქილაშვილი, წევრები ნ. ქანთარია, ვ. ცისკარიშვილი, გ. კიკნაძე, თ. კერესელიძე, ნ. აფხაზავა, ბ. მჭედლიშვილი, ს. ბურდულიძე) არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარა ძველი გავაზიდან 7—8 კმ-ის დაშორებით მდებარე სოფ. მთისძირში. გათხრების შედეგად ექსპედიცია ვარაუდობს ამ პუნქტში ქალაქ არეშის არსებობას. მთავარ მონაპოვარს წარმოადგენს დიდი ზომის ეკლესიის გამოვლენა. ეკლესია თარიღდება შუაფეოდალური ხანით. გაითხარა იმავე პერიოდის სამაროვნის ნაწილი; აღმოჩენილი ნივთებიდან აღსანიშნავია კერამიკის ლითონისა და მინის ნაწარმი.

7. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნე დოქტორი, პროფ. ბ. ზაქარაია, წევრები: ნ. ლომოური, ვ. ლექვიანაძე, ლ. ხვედელიძე, მ. იაშვილი, მ. ზამთარაძე, მ. საყვარელიძე) მიზანს შეადგენდა დაზვერვების ჩატარება ნოქალაქევისა და მის მიდამოებში. გაიწმინდა ხეებისა და ბარდნარისაგან ნოქალაქევის ქვედა ტერიტორიის ერთი ნაწილი. ნაყარი მიწისაგან გაიწმინდა მდ. ტეხურისპირას მდგარი კოშკი და გალავანი, სადაც გამოვლინდა III—VIII სს. ექვსი ქრონოლოგიური ფენა, დადგინდა III—IV საუკუნეების მიჯნის გალავანი და ჭიშკარი აღმოსავლეთის მთავარ შესასვლელთან. ნაწილობრივ გამოვლინდა სამსართულიანი სამეფო სასახლის ნაშთები. ექსპედიციის მთავარ აღმოჩენას წარმოადგენს IV—VI სს. რთული გეგმარების აბანოს გამოვლენა. აბანო აიზომა და გაკეთდა ფოტოფიქსაცია.




გაეროს  
საქართველო





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

საქართველო





საქართველოს  
ეკლესიის





سازمان اسناد و کتابخانه ملی  
جمهوری اسلامی ایران

کتابخانه ملی  
اسناد و کتابخانه ملی  
جمهوری اسلامی ایران



1



2









1



2



3



4




1



3



4



2



5












1



2



3




4





1




3



2



4



2




4

1



3




5

საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემიის  
მეცნიერებათა  
სამეცნიერო ცენტრი





1



2



3



4




5







1




2




3




4



5




6




7






1





2




3













8. კაზრეთ-ბალიჭის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. სინაურიძე, წევრები: თ. ბერიძე, მ. ჩუბინიძე, დ. მაჭავაძე, რიანი) იმუშავა სოფ. კაზრეთის ახალმოშენებლობის ტერიტორიაზე, სადაც აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის (III ათასწლ.) ნასახლარი. ამავე ობიექტზე გაითხარა გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები. სოფ. ბალიჭში დამთავრდა ფეოდალური ხანის სამაროვნის გათხრა. სამტრედიაში გაითხარა გვიანფეოდალური ხანის სასახლის აგურით ნაგები დარბაზი და ბუხრიანი ნაგებობა, ნასახლარზე აღმოჩენილია მინისა და ფაიანსის ჭურჭელი.

9. კლდეში ნაკვეთი ძეგლების შემსწავლელი ექსპედიცია (ხელმძღვანელი არქიტექტურის კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი, წევრები: ა. ვართაგავა, ს. ბურდილაძე, დ. ბაქანიძე, ბ. მჭედლიშვილი) მუშაობდა ასპინძის რაიონში. ვანის ქვაბთა არქიტექტურული კვლევის შედეგად გამოვლენილ ძეგლთა არქიტექტურულ-ანალიზურ აზომვებზე. სპელეისტიკის ლაბორატორიამ განახორციელა ექსპედიცია ივრისპირზე ძეგლ „ქვაბებში“, სადაც ჩატარდა ქვაბთა აზომვები, აიკრიფა ზედაპირული არქეოლოგიური მასალა, შედგენილია ძეგლისა და მიმდინარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული სქემა.

10. რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი ა. სოხაძე, წევრები: კ. კახიანი, გ. ჩიკოძე, ნ. თანდაშვილი (მოწვეული პირი) იმუშავა ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონების სოფლებში. შეკრებილ იქნა ეთნოგრაფიული მასალა კოსტიუმის ატლასთან დაკავშირებით, აგრეთვე — ეთნოგრაფიული ზეპირსიტყვიერი მასალა, დამუშავდა ონის მუზეუმის კოლექციები.


11. იმერეთის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტ. გ. ჯალაბაძე, წევრები: ნ. რეხვიამვილი, ნ. ლოლობერიძე, ლ. მოლოდინი, ც. ბეზარაშვილი, თ. გელაძე, ც. კაკაბაძე) იმუშავა ზესტაფონის, ხარაგოლის, ვანის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, ქუთაისისა და თერჯოლის რაიონების სოფლებში, შეკრებილ იქნა საინტერესო მასალა ატლასის შედგენასთან დაკავშირებით.

12. სვანეთის კომპლექსურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ჩართოლანი, წევრები: ლ. ბედუკიძე, გ. ჩიკოძე) საინტერესო სამუშაოები ჩატარა ზემო სვანეთის იფარის თემში, სადაც აღწერილ იქნა ნაკიფარის და ადიშის ეკლესიებში დაცული ნივთები.

13. რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილების ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ხუციშვილი, წევრები: ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. ჩხარტიშვილი, მ. გუგუტიშვილი) განახორციელა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მესხეთ-ჯავახეთში, თუშეთში; აღწერა და კინოფირზე გადაიღო შემორჩენილი საკულტო დანიშნულების ძეგლები და ხალხური დღესასწაულები: „ბერობანა-ყენობა“, „მარიამობა“, „წასნეობა“, „მარიამ წმინდა“, საქართველოში ჩამოსახლებული რუსი სექტანტების — დუხობორების საკულტო დანიშნულების ნაგებობანი, ეპიგრაფიკული ძეგლები. სოფლები, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. შეისწავლა ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა დუხობორების ყოფაში ომის შემდგომ პერიოდში და სხვა.

14. საქართველოს საბჭოთა პერიოდის განყოფილებამ რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილებასთან ერთად მოაწყო კომპლექსური ექსპედიცია სამხრეთ რაიონებში, კერძოდ მესხეთში, ჯავახეთსა და აჭა-





რამი. ექსპედიციის მიზანი იყო აღნიშნულ რაიონებში მოეძია მასალები სა-  
კოლმეურნეო მშენებლობის ისტორიიდან, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილე  
ლეთა შესახებ. ექსპედიციის მიერ ასპინძის რაიონში მოძიებულია სახეობრივი  
სო მასალა დოკუმენტებისა და ფოტოების სახით.

**დისერტაციების დაცვა**

1973 წ. სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს: შ. ლომსაძემ („სამხრეთ საქართველო (სამცხე-ჯავახეთი) XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე“).

პ. ლეჭინაძე („Монументальные памятники Западной Грузии I-II вв.“).

საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს: ლ. გვრიტიშვილმა („საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობა XI—XIII სს. საქართველოში“), რ. ერისთავმა („ფეოდალურ-საზოგადოებრივი წარმოების ისტორია საბჭოთა საქართველოში 1921—1965 წწ.“), მ. მირიანაშვილმა („კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში მე-19 ს. ბოლოსა და მე-20 ს. დასაწყისში (ალკოჰოლიანი სასმელების მიხედვით)“, ც. ყარაულაშვილმა („საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ქსოვის ხალხური წესები კახეთში“), მ. მენაბდემ („თრიალეთი გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ძვ. წ. XIX—VI სს.“).

**მუდმივმოქმედი ლექტორიუმი**

მუზეუმის მეცნიერული პროპაგანდის განყოფილების ხაზით წაკითხულია შემდეგი მოხსენებები:

1. გ. გასიტაშვილი — „საქართველოს და ინდოეთის ურთიერთობის ისტორიიდან.“
2. ნ. ჩიხლაძე — „მარგანეცის მრეწველობა და XIX საუკუნის ქართული კულტურა“.
3. მ. ჩართოლანი — „ახალი ეთნოგრაფიული მასალები სვანეთიდან“.
4. გ. ბერძენიშვილი — „რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიიდან“.
5. გ. ჯალაბაძე — „მიწათმოქმედების უძველესი კერები საქართველოში“.
6. ნ. რეხვიაშვილი — „ქართული ხალხური მეტალურგია“.
7. გ. მანჯგალაძე — „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა“.
8. კ. ჩოლოყაშვილი — „საჭურველის დამზადების ცენტრები საქართველოში“.
9. რ. ერისთავი — „მძიმე მრეწველობის განვითარების ისტორიიდან საქართველოში“.
10. ბ. შაფაქიძე — „სოფლის მეურნეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში“.
11. მ. გუგუტიშვილი — „თანამედროვე დღესასწაულები საქართველოში“.

1973 წელი მუზეუმის ცხოვრებაში აღინიშნა მეტად მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1973 წლის 24 აბ-

რილის № 292 დადგენილებით, იმ ისტორიული მასალის მოწესრიგების მიზნით, რომელიც მოწმობს ქართველი ხალხის რუს ხალხთან და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ურყევ კავშირს და მშრომელთა ინტერნაციონალურ ურთიერთობას, შეიქმნა ხალხთა მეგობრობის მუზეუმი — ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი. ხალხთა მეგობრობის მუზეუმს დაუმტკიცდა თანამშრომელთა შტატი და გამოეყო ორი სართული საქართველოს მუზეუმის მშენებარე კორპუსში.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორად დანიშნულია ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ბაღურაშვილი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შეისწავლა და განიხილა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე ათეიზმის სამეცნიერო ცენტრის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი და 1973 წლის სათანადო დადგენილებით გარდაქმნა მუზეუმის რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის კაბინეტი განყოფილებად, მინიჭა რა მას ამასთანავე ქალაქში მეცნიერული ათეიზმის ცენტრის ფუნქციები.

გარდა ამისა, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემაში, გადავიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში და დაუქვემდებარდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, როგორც ფილიალი; ამიერიდან მას ეწოდება — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი. სვანეთის მუზეუმის დირექტორად დანიშნა ისტ. მეცნ. კანდიდატი ა. ჩარკვიანი.

ცვლილებები მოხდა მუზეუმის ხელმძღვანელობაში. 1973 წლის 8 მაისიდან, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო მუზეუმის დირექტორის მოვალეობისაგან განთავისუფლდა დოც. ნ. ჩერქეზიშვილი; მუზეუმის დირექტორად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ არჩეულ იქნა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ლ. ჭილაშვილი. 1973 წლის 1-ელი ივნისიდან მუზეუმს მიეცა სამეცნიერო-საექსპოზიციო დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობა რომელზედაც დანიშნა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მ. ურუშაძე; სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ა. ჯავახიშვილი.

საანგარიშო წელს კონკურსით არჩეულ იქნენ: ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე — ისტ. მეცნ. დოქტორი შ. მეგრელიძე; არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე — ისტ. მეცნ. კანდიდატი დ. თუშაბრამიშვილი; ახალი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე — ისტ. მეცნ. დოქტორი შ. ლომსაძე; ნუმიზმატიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე — ისტ. მეც. დოქტორი ვ. ლეჟინაძე; ზოოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბიოლოგ. მეცნ. კანდიდატი — ა. გეგეჭკორი.

გარდა ამისა, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კონკურსით არჩეულ იქნენ: ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ო. ჯაფარიძე, ისტ. მეცნ. კანდიდატები: ც. აბუსაძე, მ. სინაურიძე, ნ. ჩხილაძე, რ. ქებულაძე, ლ. ბედუკიძე, გ. კვიციანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვ. ტარტარაშვილი, ო. ჩიქოვანი, ბ. შაფაქიძე, გ. მანჯგალაძე, გ. ჩხაიძე, გ. კიკნაძე.





В 1973 году музеем изданы по общественным наукам:

1. Из истории социал-экономического развития Грузии (XIX—XX вв.) изд. «Мецниереба», 12 п/л.
2. И. Д. Нанобашвили — «Народные приемы обработки кожи в Грузии», «Мецниереба», 11 п. л.
3. Л. А. Бедукидзе — «Народная мебель в нагорной части Восточной Грузии», «Мецниереба», 10 п/л.
4. Р. М. Долаберидзе — «Археологические материалы из сел. Шенако», «Мецниереба», 6 п/л.
5. А. И. Джавахишвили — «Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э.», «Мецниереба», 25 п/л.
6. Ш. В. Мегрелидзе, Ш. А. Хантадзе — «Из публицистического наследия Г. Церетели», «Сабчота Сакартвело», 9 п/л.

### НАУЧНЫЕ СЕССИИ

В 1973 году музеем проведены 4 научные сессии.

11, 12 и 13 апреля состоялась очередная научная сессия музея, на которой были прочитаны 12 докладов по общественным наукам:

1. М. Сагинашвили, Ю. Гагошидзе — «К истории производства стеклянных пиал в Ахеменидскую эпоху».
2. Н. Ломоури — «К вопросу взаимоотношений Эгрисского царства и Византии в V в. н. э.».
3. Р. Долаберидзе — «Кресты из сел. Шенако с изображениями распятия».
4. Т. Беридзе — «Из истории пригородных сел. г. Тбилиси».
5. А. Вартагава — «Материалы к изучению скальных памятников Квирильского бассейна».
6. Г. Кикнадзе — «Магранский клад».
7. Л. Чилашвили — «К локализации Базар-Загеми».
8. А. Сохадзе — «Идея древа жизни в сказании о воздвижении Мцхетского креста».
9. Ц. Какабадзе — «Керамические печи из Имерети (по этнографическим материалам)».
10. Д. Абжандадзе — «Художественный декор тканей по памятникам чеканного искусства».
11. М. Микадзе — «Дманисский фаянс».
12. И. Чхартушвили — «Из истории антирелигиозной борьбы газеты «Иверия».

Программы сессии и аннотации докладов напечатаны

### ВЫЕЗДНАЯ СЕССИЯ В ЧИАТУРА

28 мая музей, совместно с Чиатурским городским комитетом, устроил сессию в Чиатура, посвященную изучению прошлого и настоящего быта города и района.



Было прочитано 6 докладов:

1. Д. Тушабрамишвили — «Памятники древнекаменного века Чиатурского района».
  2. Л. Хведелидзе — «Памятники материальной культуры Чиатура».
  3. Г. Джалабадзе — «Культура полеводства в Грузии».
  4. Д. Цинцадзе — «История разработки Чиатурского марганца».
  5. М. Хуцишвили — «Старые и новые ритуальные празднества в Грузии».
  6. Г. Гаприндашвили — «Скальные памятники из Чиатурского района».
- Программы сессии напечатаны.

## ВЫЕЗДНАЯ СЕССИЯ В СВАНЕТИ

28 августа состоялась выездная сессия в Местиа, посвященная итогам работы, проведенных Сванетской комплексной экспедицией в 1972 году. Сессию вступительным словом открыл Президент Академии Наук Грузинской ССР акад. И. Векуа; он ознакомил присутствующих с Постановлениями Совета Министров СССР и Президиума АН ГССР о переходе Сванетского историко-этнографического музея в систему АН ГССР. Отныне он именуется — Историко-этнографический музей Сванети — филиал Государственного музея Грузии им. С. Н. Джанашиа.

На сессии были заслушаны 6 докладов:

1. М. Чартолани — «Памятники материальной культуры Сванети».
2. Р. Кения — «Предалтарные кресты Ушгульской и Кальской церквей».
3. В. Силогава — «Исторические документы из церквей св. Квирикэ и Ивлиты».
4. Ш. Чартолани — «Археологический материал, хранящийся в церквях Ушгули и Кала».
5. Л. Бедукидзе — «Некоторые образцы резьбы по дереву из Сванети».
6. М. Макалатиа — «Некоторые языческие памятники Сванети».

В работе сессии приняли участие член-корреспондент АН ГССР проф. Ш. Дзидзигури и директор Государственного музея Грузии, доктор исторических наук, профессор Л. Чилашвили.

Аннотации докладов напечатаны.

20—21 декабря в аудитории музея (ул. Пурцеладзе 1) состоялась очередная V археологическая — отчетная сессия, посвященная итогам полевых работ, проведенных археологическими экспедициями музея; были заслушаны доклады:

1. Доктора ист. наук, проф. О. Джапаридзе — «Отчет Месхет-Джавхетской археологической экспедиции».
2. Доктора историч. наук, проф. Л. Чилашвили — «Археологические раскопки Арешского городища».



3. Докт. искусствовед., проф. П. Закарая — «Итоги работ Накалакевской экспедиции».

4. Канд. ист. наук Д. Тушабрамишвили — «Итоги работ Квирильской археологической экспедиции».

5. Канд. искусствовед. А. Джавахишвили — «Отчет Квемо-Картлийской археологической экспедиций».

6. Канд. историч. наук Э. Гогодзе — «Археологические раскопки в Носири».

7. Канд. ист. наук М. Синауридзе — «Отчет Казретской экспедиции».

8. Канд. ист. наук Ю. Гагошидзе — «Археологические раскопки на Самадло и «Дедоплис миндори».

На сессии были экспонированы основные материалы, добытые экспедициями в 1973 году; программы сессии напечатаны.

Музеем был устроен публичный разбор трудов, изданных в 1972 г.

### НАУЧНЫЕ ЭКСПЕДИЦИИ

По общественным наукам музеем были осуществлены следующие экспедиции:

1. Палеолитическая экспедиция Квирильского ущелья (руководитель канд. ист. наук Д. Тушабрамишвили, члены экспедиции: М. Кецохвели, Л. Жоржикашвили, К. Двали, М. Джикурашвили, Д. Хуцишвили) продолжала стационарные раскопки в пещере Дзудзуана.


2. Ксанская археологическая экспедиция (руководитель канд. ист. наук Ю. Гагошидзе, члены экспедиции: О. Чиковани, Н. Джикиа, У. Чагунава) проводила раскопки на эллинистическом поселении Самадло и раскопочные работы защитного характера на «Дедоплис миндори».

3. Носирская археологическая экспедиция (руководитель канд. ист. наук Э. Гогодзе, члены экспедиции: М. Сагинашвили, Г. Джавахишвили, М. Дариспанашвили) продолжала раскопки жилого холма позднебронзовой эпохи в Цхакаевском районе, в сел. Носири.

4. Месхет-Джавахетская археологическая экспедиция (руководитель докт. ист. наук проф. О. Джапаридзе, члены экспедиции: Я. Киквидзе, Г. Авалишвили), проводила работы совместно с кафедрой археологии Тбилисского Государственного Университета с целью изучения курганных погребений в окрестностях Бертакана (Аспиндзский район).

5. Квемо-Картлийская археологическая экспедиция (руководитель канд. искусствовед. А. Джавахишвили, члены экспедиции: Л. Глonti, Т. Кигурадзе, Т. Мешвелиани, Д. Хуцишвили, С. Илиджев) работала в Марнеульском районе на раннеземледельческом селище Храмис диди гора.

6. Ахалсопельская археологическая экспедиция (руководитель докт. ист. наук, проф. Л. Чилашвили, члены экспедиции: Н. Кантария, В. Цискаришвили, Г. Кикнадзе, Т. Кереселидзе, Н. Абхазава, Б. Мчед-



лишвили, С. Бурдиладзе) проводила работы в сел. Мтисдзир, на территории предполагаемого города Ареша.

7. Нокалакевская археологическая экспедиция (руководитель докт. искусствовед. проф. П. Закарая, члены экспедиции: Н. Ломоур, В. Леквинадзе, М. Иашвили, М. Замтарадзе, М. Сакварелидзе) проводила работы разведочного характера в Цхакаевском районе на территории Нокалакеви; разведано несколько участков городища, выявлена и раскопана баня раннефеодальной эпохи и сохранившаяся часть трехэтажного дворца.

8. Казрет-Баличская археологическая экспедиция (руководитель канд. ист. наук М. Синауридзе, члены экспедиции: Т. Беридзе, М. Чубинидзе, Д. Мачавариани) работала на территории новостроек Казрети. Были раскопаны погребения позднебронзовой эпохи и строения позднефеодального времени.

9. Спелеистическая экспедиция (руководитель канд. архитектуры Г. Гаприндашвили, члены экспедиции: А. Вартагава, С. Бурдиладзе, Д. Баканидзе, Б. Мчедlishvili) проводила работы в Аспиндзском районе и в Кахети по обмерам скальных памятников. Был собран археологический материал. Составлена топографическая схема исследуемой территории.

10. Рача-Лечхумская этнографическая экспедиция (руководитель канд. ист. наук А. Сохадзе, члены экспедиции: К. Кахиани, Г. Чиконидзе, Н. Тандашвили) работала в селах Амбролаурского, Онского и Цагерского районов. Был собран этнографический материал для атласа грузинского костюма. Обработана коллекция Онского музея.

11. Этнографическая экспедиция Имерети (руководитель докт. ист. наук Г. Джалабадзе, члены экспедиции: Н. Рехвиашвили, Н. Гогоберидзе, Л. Молодини, Ц. Безарашвили, Т. Геладзе, Ц. Какабадзе) собирала материал в Зестафонском, Харагоульском, Ванском, Самтредском, Маяковском, Кутаисском и Терджольском районах.

12. Сванетская этнографическая экспедиция (руководитель канд. ист. наук М. Чартолани, члены экспедиции: Л. Бедукидзе, Г. Чиконидзе) работала в Ипаре, где были описаны хранящиеся в Накипарской и Адишской церквях предметы.

13. Экспедиция отдела истории религии и научного атеизма (руководитель канд. ист. наук М. Хуцишвили, члены экспедиции: Л. Меликсед-бег, И. Чхартишвили, М. Гугутишвили) свои работы осуществляла в Ахалцихском, Аспиндзском, Адигенском, Ахалкалакском и Богдановском районах, где собран материал по быту Духоборов; в Адигенском районе на киноплёнке заснят старинный грузинский праздник — «Беробана-Кееноба».

14. Отделом истории Советской Грузии совместно с сотрудниками отдела истории религии и научного атеизма была осуществлена комплексная экспедиция в районах Южной Грузии (Месхет-Джавахети и Аджарская АССР) с целью сбора материала по истории колхозного строительства.



## ЗАЩИТА ДИССЕРТАЦИЙ



В 1973 году докторские диссертации защитили: зав. отделом новой истории Ш. Ломсадзе и зав. отделом нумизматики В. Леквицадзе.

Кандидатские диссертации защитили: Л. Гвретишвили, Р. Эристави, М. Мирианашвили, Ц. Какабадзе, Ц. Караулашвили, М. Менабде.

## НАУЧНАЯ ПРОПАГАНДА

По линии научной пропаганды в лектории отдела научной пропаганды музея прочитаны следующие лекции:

1. Г. Гаситашвили — «Из истории грузино-индийских отношений».
2. Н. Чихладзе — «Производство марганца и грузинская культура XIX в».
3. М. Чартолани — «Новые этнографические материалы из Сванети».
4. Г. Бердзенишвили — «Из истории дружественных отношений грузинского и русского народов».
5. Г. Джалабадзе — «Древние очаги полеводства в Грузии».
6. Н. Рехвиашвили — «Грузинская народная металлургия».
7. Г. Манджгаладзе — «Историческое значение присоединения Грузии к России».
8. К. Чолокашвили — «Центры изготовления оружия в Грузии».
9. Р. Эристави — «Из истории развития тяжелой промышленности в Грузии».
10. Б. Шапакидзе — «Развитие сельского хозяйства в Советской Грузии».
11. М. Гугутишвили — «Современные празднества в Грузии».

## СТРУКТУРНЫЕ ИЗМЕНЕНИЯ

В 1973 году в структуре музея произошли исключительно важные изменения.

Постановлением Президиума АН ГССР от 24 апреля 1973 г. за № 292, в целях упорядочения исторического материала, свидетельствующего о нерушимой дружбе грузинского народа с русским народом и другими народами Советского Союза и усиления воспитания трудящихся в духе интернационализма, был создан Музей дружбы народов — филиал Гос. музея Грузии им. С. Джанашиа АН ГССР; был утвержден штат сотрудников нового музея и было выделено для него два этажа в строящемся для музея Грузии корпусе. Ближайшей задачей его была поставлена организация экспозиции, отражающей дружбу грузинского и русского народов. Директором музея дружбы народов назначен канд. философских наук Т. Бадурашвили.

В соответствии с постановлением Тбилисского Комитета КП Гру-

эни, Президиум АН ГССР изучил и рассмотрел вопрос о целесообразности создания на базе Гос. музея Грузии им. С. Джанашиа научного центра атеизма, постановлением от 12 июля 1973 года за № 170 образовал кабинет истории религии и научного атеизма в отдел, возложив на него функции центра научного атеизма в г. Тбилиси.

Помимо этого, Местийский краеведческий музей, входивший в систему Министерства культуры ГССР, был передан Академии Наук ГССР и подчинен Гос. музею Грузии им. С. Джанашиа в качестве его филиала; отныне он именуется — Историко-этнографический музей Сванети — филиал Гос. музея Грузии им. С. Джанашиа. Директором Сванетского музея назначен кандидат истории наук А. Чарквиани.

Изменения произошли также в руководстве и штате музея. 8 мая 1973 года в связи с переводом на другую работу, от обязанностей директора музея был освобожден доц. Н. Черкезишвили; директором музея Президиум АН ГССР избрал доктора ист. наук, профессора Л. Чилашвили. С 1 июня 1973 г. была создана должность заместителя директора по научно-экспозиционной части, на которую назначен канд. ист. наук М. Урушадзе; зам. директора по научной части избран кандидат искусствоведения А. Джавахишвили.

В 1973 году по конкурсу были избраны руководители следующих отделов: отдела в музее дружбы народов — докт. ист. наук Ш. Мегрелидзе; отдела Археологии — канд. ист. наук Д. Тушабрамишвили; отдела новой истории — докт. ист. наук Ш. Ломсадзе; отдела нумизматики — докт. ист. наук В. Леквинадзе; отдела Зоологии — канд. биолог. наук А. Гегечкори.

По конкурсу на должность старшего научного сотрудника избраны: докт. ист. наук, проф. О. Джапаридзе; кандидаты ист. наук: Ц. Абесадзе, М. Синауридзе, Н. Чихладзе, Р. Кебуладзе, Л. Бедукидзе, Г. Квирквелия, Л. Меликсед-бег, В. Тартарашвили, О. Чиковани, Б. Шапакидзе, Г. Манджгаладзе, Г. Чхаидзе, Г. Кикнадзе.

---



## სარჩევანი — ОГЛАВЛЕНИЕ

### სტატიები — Статьи


გ. კვადრკველია, XVIII—XIX სს. ქვის ირანული ჭურჭელი . . . . .	5
გ. გ. ღვრიკველია, Иранская каменная утварь XVIII—XIX вв. Резюме . . . . .	18
ლ. ბედუკიძე, ხეზე კვეთალობის ზოვერთი ნიმუში სვანეთიდან . . . . .	21
ლ. ა. ბედუკიძე, Некоторые образцы резной мебели из Сванетии. Резюме . . . . .	33
თ. ბერიძე, თბილისის შემოგარენის ისტორიიდან (სეიდაბადი) . . . . .	34
ტ. პ. ბერიძე, К истории окрестностей города Тбилиси. Резюме . . . . .	48
ქ. მუშკედიანი, ქ. დოთისა და ს. საჭილას სახერხი ქარხნის მუშათა გავიცევი 1913 წ. . . . .	49
კ. დ. მუშკუდიანი, Стачные движения рабочих на лесопильных заводах г. Потийс. Сачилаო в 1913 г. Резюме . . . . .	54
ლ. ე. გვერაძე, პროფესიულ-ტექნიკური განათლება საქართველოში რევოლუციის შემდეგ დღემ ხანში . . . . .	55
ლ. დ. ედგვერადე, Профессионально-техническое образование в пореформенный период Грузии. Резюме . . . . .	66
ლ. ქვარიანი, სახელოსნო სკოლები რევოლუციამდელ საქართველოში . . . . .	67
ლ. დ. ღვარიანი, Ремесленные школы в дореволюционной Грузии. Резюме . . . . .	73
მ. შ. მირიანაშვილი, Некоторые вопросы истории коньячного производства в Российской империи . . . . .	74

### პუბლიკაციები — Публикации

ლ. ი. გლოტი, ა. ი. ჯავახიშვილი, ტ. ბ. კიგურადე, Антропоморфные фигурки Храмы Диди-Гора . . . . .	85
ი. ანდრიაშვილი, ი. გაგოშიძე, ვერცხლის თასი ყანხეთიდან . . . . .	98
ი. ვ. ანდრიაშვილი, ი. მ. გაგოშიძე, Серебряная чаша из Канчаети Резюме . . . . .	103
რ. ქეზულაძე — ფხოველის განძი . . . . .	104
რ. ვ. კეზულაძე, Клад из Пховели. Резюме . . . . .	122
მ. სინაურაძე, ხატისოფლის ადრექრისტიანული ხანის ძეგლები . . . . .	123
მ. ი. სინაურაძე, Раннехристианские памятники Хатисопели. Резюме . . . . .	136
გ. საყვარელიძე, სამეფო კოსტუმები (ლენ კახთა მეფის გამოსახულებათა მიხედ- ვით) . . . . .	138
მ. დ. საყვარელიძე, Царский костюм по фресковым изображениям кахетинского царя Левана. Резюме . . . . .	148
ც. ყარაულაშვილი, ქსოვილების დამზადების ხალხური წესები აღმოსავლეთ საქარ- თველოში . . . . .	149
ც. გ. კარაულაშვილი, Народные способы изготовления тканей в Восточной Грузии «Тканье джеджиури». Резюме . . . . .	162

### სამეცნიერო ანგარიშები — Научные отчеты

მ. ჩართოლანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972 წ. კომპლექსური ექსპე- დიციის ანგარიში . . . . .	165
---	-----



სამუზეუმო საქმე — Музейное дело

ნ. იაშვილი, ორგანული წარმოშობის ისტორიული ექსპონატების სტაბილიზაციის გზები	185
Н. Н. Яшвили, Пути стабилизации исторических экспонатов органического происхождения. Резюме . . . . .	193

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — Критика и библиография

მ. ჩართლანი, რეცენზია კრებულისა—მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის . . . . .	194
მუზეუმის 1973 წლის ქრონიკა — Хроника музея за 1973 г.	205



ВЕСТНИК  
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ  
XXXI — V

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ლ. ქილაშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჯაია  
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია  
მხატვარი გ. ნადირაძე  
კორექტორი ც. ქიტიაშვილი

გადაეცა წარმოებას 9.7.1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.3.1975;  
ქალაქის ზომა  $70 \times 108^{1/16}$ ; ქალაქი № 2. ნაბეჭდი თაბახი 21,88;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,91;  
უფ. 00940; ტირაჟი 600; შეკვეთა 2099

ფასი 1 მან. 85 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19